# მაცნე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

675-ფ/
1974/2

ფილოსოფიის
ფსიქოლოგიის
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

1.1974

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემია
საზოგადოებრივ მეცნიერებათა
განყოფილება

АКАДЕМИЯ НАУК ГРУЗИНСКОЙ ССР
Отделение общественных
наук

12648

თბილისი·1974 ТБИЛИСИ

კ. მარქსის სახ. საქ. სს
სახელმწიფო რესპუბ.
ბიბლიოთეკა

# МАЦНЕ
ВЕСТНИК

*Серия философии
психологии
экономики
и права*

1.1974

# მაცნე

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ფილოსოფიის
ფსიქოლოგიის
ეკონომიკისა და
სამართლის სერია

1.1974

ეროვნული
ბიბლიოთეკა

სარედაქციო კოლეგია: ნ. ჭავჭავაძე (რედაქტორი),
ა. ბოჭორიშვილი, ვ. გრიგოლავა (რედაქტორის მოადგილე), პ. გუგუშვილი,
გ. თევზაძე, ი. მიქელაძე, ა. ფრანგიშვილი, თ. წერეთელი

РЕДАКЦИОННАЯ КОЛЛЕГИЯ: Чавчавадзе Н. З. (*редактор*),
Бочоришвили А. Т., Григолава В. В. (*зам. редактора*), Гугушвили П. В.,
Тевзадзе Г. Б., Микеладзе И. С., Прангишвили А. С., Церетели Т. В.

პასუხისმგებელი მდივანი გ. ბოჭორაძე
*Ответственный секретарь* **Г. Г. Бочорадзе**

რედაქციის მისამართი: თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., № 19
Адрес редакции: Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19
ტელეფონი 37-24-07 телефон

ხელმოწერილია დასაბეჭდად: 3.9.74; შეკვ. № 1633; ანაწყობის ზომა $7 \times 11^1/_2$;
ქაღალდის ზომა $70 \times 108^1/_{16}$; ნაბეჭდი თაბახი 16,6; სააღრიცხვო-საგამომცემლო
თაბახი 14,8; უე 01020; ტირაჟი 600;
**ფასი 1 მან.**

*

გამომცემლობა „მეცნიერება", თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Издательство «Мецниереба», Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19.

*

საქ. სსრ მეცნ. აკად. სტამბა. თბილისი, 380060, კუტუზოვის ქ., 19
Типография АН Грузинской ССР, Тбилиси, 380060, ул. Кутузова, 19

ეროვნული ბიბლიოთეკა

# შინაარსი

## მიეძღვნა ვ. ი. ლენინის ხსოვნას

პ. გუგუშვილი, ვ. ი. ლენინი და ამიერკავკასიის ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი . . . 7
ა. ნეცუბიძე, ფინანსური კაპიტალის ჰილფერდინგისეული განსაზღვრების ოპორტუნისტული ხასიათი . . . 17
მ. ხურცილავა, დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა მოთხოვნები წარმოების მართვაში მონაწილეობის უფლების შესახებ . . . 28
გ. ყორანაშვილი, წარმოების წესის შინაარსისა და ევოლუციის პრობლემისათვის . . . 34

## მიეძღვნა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის იუბილეს

გ. ხასია, საბჭოთა ქართული ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მიღწევები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში (1944—1974) . . . 50
ბ. ძვანია, იურიდიულ მეცნიერებათა განვითარება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში . . . 62
რ. ხარბედია, შრომის რედუქციის კანონი ეკონომიკური კანონების სისტემაში . . . 72
ა. თითრაშვილი, განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორები . . . 85
მ. კახითელიძე, სოციალისტური სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულებისა და ფასის განსაზღვრის საკითხისათვის . . . 99
დ. დიასამიძე, მთლიანი შემოსავალი და მისი განაწილება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში . . . 113
რ. აბურჯანიძე, ხორცის მრეწველობის განვითარება საქართველოში . . . 126
ი. ჩადუნელი, მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობის სოციალურ-ეკონომიური ბუნება . . . 142
ნ. იაშვილი, ქართული ღვინის სახელგანთქმულობა . . . 154
ბ. ბზიშვილი, ნასყიდობის ხელშეკრულების სიმტკიცისათვის . . . 170
დ. ძნელაძე, ი. აბესაძე, წარმოების მართვის ფუნქციები . . . 178

## კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

ნ. ლეჟავა, ო. ჯიოევი, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სოციოლოგიური და ფილოსოფიური ანალიზი . . . 185

## ქრონიკა და ინფორმაცია

ა. ნეცუბიძე, გამოჩენილი საბჭოთა მეცნიერი — კონსტანტინე ვასილის ძე ოსტროვიტიანოვი . . . 191

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# СОДЕРЖАНИЕ

## К ПАМЯТИ В. И. ЛЕНИНА

П. В. ГУГУШВИЛИ, В. И. Ленин и некоторые вопросы экономики Закавказья . 7

А. НУЦУБИДЗЕ, Оппортунистический характер определения финансового капитала Гильфердингом . . . . . . . . 17

М. ХУРЦИЛАВА, Требования западногерманских профсоюзов о праве их участия в управлении производством . . . . . . 28

Г. В. КОРАНАШВИЛИ, К проблеме содержания и эволюции способа производства . . . . . . . . 34

## К ЮБИЛЕЮ ИНСТИТУТА ЭКОНОМИКИ И ПРАВА А/Н ГРУЗИНСКОЙ ССР

Б. ХАСИА, Важнейшее достижение Советской грузинской экономической науки в А/Н Грузинской ССР . . . . . . . 50

Г. ЖВАНИЯ, Развитие юридической науки в А/Н Грузинской ССР . . . . 62

Р. П. ХАРБЕДИА, Закон редукции труда в системе экономических законов . . 72

А. ТЕТРАУЛИ, Факторы роста национального дохода развитого социалистического общества . . . . . . . . 85

М. КАХЕТЕЛИДЗЕ, К вопросу определения общественной стоимости и цены продуктов социалистического сельского хозяйства . . . . . . 99

Д. ДИАСАМИДЗЕ, Общий доход и его распределение в колхозах Грузинской ССР . . . . . . . . 113

Р. И. АБУРДЖАНИДЗЕ, Развитие мясной промышленности в Грузии . . . 126

Э. Г. ЧАДУНЕЛИ, Социально-экономическая природа личного подсобного хозяйства рабочих и служащих . . . . . . . 142

Н. С. ЯШВИЛИ, Прославленность грузинских вин . . . . . . 154

К. Р. БЗИШВИЛИ, Об устойчивости договора купли-продажи . . . . 170

Д. П. ДЗНЕЛАДЗЕ, Ю. М. АБЕСАДЗЕ, Функции управления производством . 178

## КРИТИКА И БИБЛИОГРАФИЯ

А. К. ЛЕЖАВА, О. И. ДЖИОЕВ, Социологический и философский анализ научно-технической революции . . . . . . . . 185

## ХРОНИКА И ИНФОРМАЦИЯ

А. НУЦУБИДЗЕ, Выдающийся советский ученый — Константин Васильевич Островитянов . . . . . . . . 191

ეროვნული
ბიბლიოთეკა

# მიეძღვნა ვ. ი. ლენინის ხსოვნას

პაატა გუგუშვილი

## ვ. ი. ლენინი და ამიერკავკასიის ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი

ვ. ი. ლენინი საზოგადოებრივი ცხოვრების ყველა საგულისხმო მხარეს გასწვდა: იგი ერთნაირი ყურადღებით ამუქებდა რუსეთისა თუ საზღვარგარეთის მუშათა მოძრაობას, სწავლობდა უკრაინისა თუ ციმბირის გლეხობის მდგომარეობას, იკვლევდა კავკასიისა თუ შუა აზიის ჩაგრული ერების ეკონომიკას, ხელმძღვანელობდა უზარმაზარი ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში მოქმედ პარტიულ კომიტეტებს და ა. შ. მისი ცოცხალი სიტყვა მასებში ვრცელდებოდა „ისკრასა" და „პრავდას" საშუალებით, რაც განაპირობებდა ლენინის იდეების მიმდევართა სიმრავლეს; მაღალი ავტორიტეტი მოიპოვა საქართველოში ი. სტალინისა და ლ. კეცხოველის მიერ დაარსებულმა გაზეთმა „ბრძოლამ" როგორც ლენინურ-ისკრული მიმართულების ორგანომ. მსოფლიომ მართლაც რომ ტიტანური ბრძოლითა და შრომით სცნო ლენინი პროლეტარიატის აღიარებულ ბელადად. დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის შემოქმედის თეორიული მემკვიდრეობა ჩამოყალიბდა როგორც ახალი ეპოქის თვალსაზრისით განვითარებული მარქსისტული მოძღვრება, როგორც — ლენინიზმი.

ვ. ი. ლენინის მრავალმხრივი პრაქტიკული მოღვაწეობისა და მეცნიერული აზრის მიმართების ერთ-ერთ დიდმნიშვნელოვან სფეროდ განიხილება მის მიერ ეკონომიკური თეორიის აქტუალური საკითხების მიგნება და ღრმა ანალიზი, მეურნეობრივი ამოცანების დროული წამოყენება და პრაქტიკული გადაწყვეტა. ფუძემდებელ ნაშრომებსა თუ პირადს წერილებში ლენინმა ეკონომიკური პრობლემატიკის მეტად ფართო წრე დაამუშავა, რის შედეგად შემოქმედებითად განავითარა მარქსისტული პოლიტიკური ეკონომია: ერთი მხრივ, მან ახალი დებულებებით შეავსო კაპიტალიზმის პოლიტეკონომია და მასში საკვანძო საკითხად ჩამოაყალიბა იმპერიალიზმის თეორია; მეორე მხრივ, საბჭოთა სახელმწიფოს მართვის პრაქტიკიდან გამომდინარე, მან შექმნა სოციალისტური საზოგადოების მეთოდოლოგიური საფუძველი — სოციალიზმის პოლიტეკონომია.

ვ. ი. ლენინის მიერ კავკასიის მაგალითით განზოგადებული მასალა საშუალებას გვაძლევს, რამდენადმე ჩავწვდეთ მის შემოქმედებითს ლაბორატორიას. — მაგრამ ეს ფართო კვლევა-ძიების საგანია და ლენინის ხსოვნისადმი მიძღვნილ მცირე საჟურნალო წერილში უნდა შემოვიფარგლოთ ზოგიერთი ფაქტის აღნიშვნით. კავკასიის შესახებ ფართო მასალაა მოცემული ვ. ი. ლენინის ერთ-ერთ ადრინდელ ფუძემდებელ თხზულებაში — „კაპიტალიზმის

განვითარება რუსეთში“, სადაც იგი იკვლევს კაპიტალისტური ბაზრის შექმნას ორი ასპექტით: 1) კაპიტალიზმის გაღრმავება მოცემულ ტერიტორიაზე და 2) კაპიტალიზმის ბატონობის გავრცელება ახალ ტერიტორიებზე; ამ საკითხის გასარკვევად ვ. ი. ლენინმა განსაკუთრებული მნიშვნელობის მქონედ მიიჩნია „განაპირა მხარეების კოლონიზაციისა და რუსეთის ტერიტორიის გაფართოების პროცესის ცოტად თუ ბევრად სრული შესწავლა“ (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 3, გვ. 704-705). იმავე წელს ვ. ი. ლენინმა განაგრძო ამ თემის დამუშავება ნაშრომში — „ისევ რეალიზაციის თეორიის საკითხის შესახებ“ — და აღნიშნული ორი მხარე დაახასიათა როგორც „კაპიტალიზმის განვითარება „სიღრმეში“ და „სიგანეში“, ამასთან, პირდაპირ მიუთითა, რომ კავკასია, შუა აზია და ციმბირი „ერთგვარ კოლონიებს“ წარმოადგენენ მეფის რუსეთისათვის და უზრუნველყოფენ მის უზარმაზარ განვითარებას „სიღრმეშიც“ და „სიგანეშიც“.

ვ. ი. ლენინმა დასვა კითხვა: „რა არის კოლონია პოლიტიკურ-ეკონომიური აზრით?“ — და ორი ნიშნით განსაზღვრა იგი: 1) დაუკავებელი, თავისუფალი, ახალმოშენეთათვის ადვილად მისაწვდომი მიწების არსებობა; 2) შრომის უკვე ჩამოყალიბებული მსოფლიო განაწილების, მსოფლიო ბაზრის არსებობა, რომლის მეოხებით კოლონიებს შეუძლიათ დახელოვდნენ სასოფლო-სამეურნეო პროდუქტების მასობრივ წარმოებაში და მათ სამაგიეროდ მიიღონ მზა სამრეწველო ნაწარმი. ამ თვალსაზრისით, ლენინის აზრით, ცენტრალური ევროპული რუსეთის კოლონიებს წარმოადგენენ სამხრეთი და აღმოსავლეთი განაპირა მხარეები; აქვე მან დააზუსტა, რომ კოლონიის ეს ცნება კიდევ უფრო შეეფერება... მაგალითად, კავკასიას. რუსეთის მიერ მისი ეკონომიური „დაპყრობა“ გაცილებით უფრო გვიან მოხდა, ვიდრე პოლიტიკური დაპყრობა, ხოლო ეს ეკონომიური დაპყრობა სავსებით აქამდეც არ დასრულებულა“. ვ. ი. ლენინი დაწვრილებით აღწერს კავკასიის კოლონიზაციას: „რეფორმისშემდგომ ხანაში... ხდებოდა კავკასიის ძლიერი კოლონიზაცია, მიწის ფართო დამუშავება კოლონისტების მიერ (განსაკუთრებით ჩრდილო კავკასიაში), რომელთაც გასაყიდად მოჰყავდათ ხორბალი, თამბაქო და სხვ. და რომელნიც სოფლის მრავალ დაქირავებულ მუშას იზიდავდნენ რუსეთიდან (ტ. 3, გვ. 702).

ფეოდალურ წარმოების წესთან შეფარდებით, ვ. ი. ლენინმა აღნიშნა იმ დროისათვის აღმავალი კაპიტალიზმის დადებითი „მისიაც“, რომ მისი „... პროგრესული ისტორიული როლი მოკლედ ორი დებულებით გამოითქმება: საზოგადოებრივი შრომის საწარმოო ძალთა გადიდება და მისი განსაზოგადოება“ (ტ. 3, გვ. 706). სიტყვა „მისია“ აქ ბრჭყალებშია მოცემული იმის მისანიშნებლად, რომ კაპიტალიზმი უხეშად იჭრებოდა ახალი გზით განვითარებისათვის ნაკლებად მომზადებულ ქვეყნებში და ერთი უკიდურესობიდან საზოგადოება მიჰყავდა მეორე უკიდურესობამდე. მაინც პროგრესული იყო ფაქტი, რომ „კავკასიის გაძლიერებული კოლონიზაციისა და მისი მიწათმოქმედი მოსახლეობის გაძლიერებული ზრდის პროცესთან ერთად სწარმოებდა აგრეთვე (ამ ზრდით მიჩქმალული) პროცესი მოსახლეობის მიზიდვისა მიწათმოქმედებიდან მრეწველობისაკენ“; ქალაქების მოსახლეობა კავკასიაში 34 წლის განმავლობაში (1863-1897) ორნახევარჯერ გაიზარდა, ე. ი. ქალაქურ ცივილიზაციას ეზიარა სოფლიდან წამოსული ღატაკი გლეხობის ერთი ნაწილი (ტ. 3,

გვ. 704). მეტად მნიშვნელოვანი მოვლენა იყო კავკასიის „სამთო მრეწველობის გასაოცარი ზრდა რეფორმისშემდგომ პერიოდში“. 97 წლის განმავლობაში (1805-1902) ნავთობის მოპოვება 557 ათასი ფუთიდან გაიზარდა 637,7 მილიონ ფუთამდე; რუსეთში მოხმარებულ ნავთობს თითქმის [illegible] ბერნია აწარმოებდა და ბაქო „... უმნიშვნელო ქალაქიდან გადაიქცა რუსეთის პირველხარისხოვან სამრეწველო ცენტრად“, სადაც მაშინ 112 ათასი მცხოვრები ითვლებოდა; რუსეთში გადიდდა ნავთობის მოხმარება და აზერბაიჯანმა „სავსებით განდევნა ამერიკული პროდუქტი“; ყველაზე ღირსშესანიშნავი, ამ შემთხვევაშიც, მუშათა კლასის სწრაფი ზრდა იყო: 13 წელიწადში (1877-1890) მუშათა რაოდენობა გადიდდა ხუთჯერ (3431-დან — 17603-მდე), — ვ. ი. მნიშვნელოვნად გაძლიერდა საზოგადოების ყველაზე რევოლუციური კლასი (ტ. 3, გვ. 581).

უდავოდ წინგადადგმული ნაბიჯი იყო ისიც, რომ „თანდათანობით იდევნებოდა ადგილობრივი საუკუნეობრივი მრეწველური სარეწები...“ ეცემოდა იარაღისა და რკინის შინამრეწველური დამუშავება... „ყველა ეს პროდუქტი უფრო იაფად მზადდებოდა რუსეთის ფაბრიკებში... ეცემოდა რქის დამუშავება ყანწად საქართველოში ფეოდალური წყობილებისა და მისი ისტორიული ნადიმების დაცემის გამო... ეცემოდა რუმბებისა და ქვევრების წარმოება ადგილობრივი ღვინისათვის, რომელიც პირველად გაჰქონდათ გასაყიდად (რაც იწვევდა მეკასრეობის განვითარებას) და რომელიც თავის მხრით იპყრობდა რუსეთის ბაზარს“. კაპიტალიზმის შემოჭრამ მთლიანად გადაახალისა განაპირა ქვეყნების ეკონომიკა და საზოგადოებრივი ცხოვრება: „ამრიგად, რუსეთის კაპიტალიზმი კავკასიას ითრევდა მსოფლიო ბრუნვაში, ანიველირებდა მის ადგილობრივ თავისებურებებს — ძველი პატრიარქალური კარჩაკეტილობის ნაშთს, — ჰქმნიდა ბაზარს თავისი ფაბრიკებისათვის. ქვეყანა, რეფორმისშემდგომი ხანის დასაწყისში ოდნავ დასახლებული ან დასახლებული მთიელებით, რომელნიც მსოფლიო მეურნეობიდან და ისტორიიდანაც კი განზე იდგნენ, თანდათან ნავთის მრეწველთა, ღვინის ვაჭართა, ხორბლისა და თამბაქოს მეფაბრიკეთა ქვეყანად იქცეოდა“. აქვე მინიშნებულია კაპიტალისტური განვითარებისათვის დამახასიათებელი ტრაგიკომიკური მომენტი, რაც ფართოდ აისახა იმდროინდელ მხატვრულ თუ პუბლიცისტურ ნაწარმოებებში და გამოხატულება ჰპოვა მეცნიერულ ნაშრომებშიც, კერძოდ, ვ. ი. ლენინის ამ თხზულებაში დამოწმებულია [illegible] დაუნდობლად ხდიდა ამაყ მთიელს ეროვნულ კოსტიუმს და ევროპული ლაქიის კოსტიუმით მოსავდა მას“ (ტ. 3, გვ. 704).

კაპიტალიზმისათვის უფრო დამახასიათებელია დრამატული და ტრაგიკული სიტუაციები, განსაკუთრებით — კოლონიალიზმის საკითხში და ვ. ი. ლენინმა მკაცრი კრიტიკით დამაჯერებლად გამოააშკარავა ცარიზმის რეაქციული პოლიტიკა განაპირა ქვეყნების მიმართ წერილში — „გადასახლების საკითხი“ (1912 წ.), სადაც შესანიშნავად გამოიყენა სათათბიროს დეპუტატებისა თუ სხვადასხვა მოხელეთა დოკუმენტური მასალა და ბოლომდე ამხილა მეფის რუსეთის ბიუროკრატიული მთავრობის მიზნები: „სოციალ-დემოკრატმა ორატორმა, უწინარეს ყოვლისა ფაქტებითა და ციფრებით დაამტკიცა, რომ ყველა ოფიციალური ცნობა კავკასიაში თავისუფალი მიწების შესახებ აშკარად ეწინააღმდეგება ჭეშმარიტებას“. ეს ფაქტი დასაბუთებულია ჯერაც 80-იან წლებში შეკრებილი მონაცემებით, რომ სახაზინო მიწებზე დასახლე-

ბულ სახელმწიფო გლეხთა შორისაც კი ამიერკავკასიის ოთხ გუბერნიაში ითვლებოდა 22 000 სრულიად უმიწაწყლო, მთლიანად კი 1 000 000-მდე სული, რომელთა ნადელები კავკასიაში გადასახლებულთათვის ნადელის [illegible] მინიმალურ ნორმაზე ნაკლები იყო; ქუთაისის გუბერნიაში [illegible] ითვლებოდა უმიწაწყლო და კომლზე ერთ დესეტინაზე ნაკლები ნადელის მქონე 2541 კომლი; „...იმ სოფლების რიცხვი, რომლებსაც სრულებით არა აქვთ სახაზინო მიწა ან ნაკლებად არიან უზრუნველყოფილი ასეთი მიწით, ამიერკავკასიის ოთხ გუბერნიაში 46-მდე პროცენტს შეადგენს, ხოლო ქუთაისის გუბერნიაში 33 პროცენტი არაუზრუნველყოფილი კომლი ითვლებოდა... ასეთი მიწით ნაკლებ უზრუნველყოფილი სოფლები თავის წრიდან გამოჰყოფენ უმიწაწყლოებს, რომლებიც სახლდებიან მიწის მნიშვნელოვანი ნადელის მქონეებთან და ასეთ დამოკიდებულ მდგომარეობაში იმყოფებიან მრავალ წელს“ ქუთაისის გუბერნიაში მიწის მწვავე ნაკლებობას განიცდიდნენ არა მარტო გლეხები, არამედ პრივილეგირებული კლასის წარმომადგენელთა — აზნაურობის 25 პროცენტიც. ამ საკითხთან დაკავშირებით, ვ. ი. ლენინმა გამოიტანა დასკვნა: „ამრიგად, ჯერ კიდევ 25 წლის წინათ ამიერკავკასიაში ითვლებოდა ასეულ ათასობით სახელმწიფო გლეხი, — რომლებიც უფრო უზრუნველყოფილი უნდა ყოფილიყვნენ, ვიდრე სხვა კატეგორიის გლეხები, რომლებსაც გადაუჭარბებლად შეიძლება ეწოდოთ მოჯამაგირენი. ჯერ კიდევ 25 წლის წინათ ადგილობრივი ხალხები იძულებული იყვნენ იჯარით აეღოთ ის მიწები, რომლებიც გადასახლებულთ ეძლეოდათ“. აღნიშნული ვითარების დადგენის შემდეგ ვ. ი. ლენინმა დასვა ლოგიკური შეკითხვა: „თუ მცირემიწიანობის მხრივ კავკასიელ გლეხთა მდგომარეობა ბევრად არაფრით განსხვავდება რუსეთის გლეხთა მდგომარეობისაგან, მაშინ საკითხავია, საიდანღა იქმნება მიწის საკოლონიზაციო ფონდი კავკასიაში და რისთვის ხდება იქ გადასახლება, ნაცვლად იმისა, რომ ადგილობრივი გლეხების განსახლება მოახდინონ?“ — თავის შეკითხვას ლენინმა თვითონ გასცა ამომწურავი პასუხი და ამოხსნა ცარიზმის მთავარი მიზნის არსი: „...გადასახლების ფონდი იქმნება ადგილობრივ მკვიდრთა საადგილმამულო უფლებების აღმაშფოთებელი დარღვევის გზით, ხოლო რუსეთიდან გადასახლება ხდება „განაპირა მხარეთა რუსიფიკაციის“ კვლავ იმავე ნაციონალისტური პრინციპისათვის“. მეფის მთავრობა თავის ლაქიებს მარტო სახელმწიფო მიწებით კი არ იმადლიერებდა, არამედ — ადგილობრივ მკვიდრთა ადგილ-მამულებითაც: წერილში მითითებულია ქუთაისის მაზრის თავადაზნაურთა წინამძღოლის მოხსენება შინაგან საქმეთა მინისტრის სახელზე, სადაც ლაპარაკია მთის სოფელ კიკნაველეთის მკვიდრთა მიწა-წყალზე რეპრესიული ღონისძიებით კოლონისტების დასახლების შესახებ და აღნიშნულია, რომ „...ყოველივე ეს ერთეული და გამონაკლისი ფაქტები კი არ არის, არამედ „ტიპიური შემთხვევებია“ (ტ. 25, გვ. 99-102).

ვ. ი. ლენინმა გულისტკივილით აღნიშნა ცარიზმის ანტიჰუმანისტური პოლიტიკის შედეგი: „გადასახლებულთა და მკვიდრთა შორის პირდაპირ მტრული ურთიერთობა იქმნება. მაგალითად, როცა ალარის საზოგადოება თავისი მიწებიდან გარეკეს, „გაასახლეს“, როგორც გამოთქვამს სენატორი კუზმინსკი, „ისე რომ მიწით არ უზრუნველყვეს, ბედის ანაბარად“, ის გადმოსახლებულნი, რომლებმაც ხელში ჩაიგდეს მისი ბინა, ხაზინის ხარჯზე შეაიარაღეს: ადგილობრივ მაზრის უფროსებს წინადადება მიეცათ „იზრუნონ იმისთვის, რომ

მულახზე ახლად შექმნილი სოფლების გლეხები, მათ შორის პოკროვსკოელებიც, მომზადებულ იქნან იარაღით — 10 ბერდენის თოფით 100 გლეხისათვის. ვ. ი. ლენინი აქ შენიშნავს, რომ „ეს საინტერესო ილუსტრაციაა ცარიზმის პოლიტიკის „ნაციონალისტური კურსის“ დასახასიათებლად“. თვითმპყრობელობა ყოველგვარი ღონისძიებით ცდილობდა ძალაუფლების შენარჩუნებასა და განმტკიცებას. მან გასული საუკუნის 60-იან წლებში საგლეხო რეფორმის გატარებით დააღწია თავი მოახლოებულ პოლიტიკურ კრიზისს, ხოლო რეფორმისშემდგომ პერიოდში განაპირა ქვეყნების კოლონიზაციის განხორციელება ცარიზმის შემდგომი ღონისძიება იყო ამ მიმართულებით: კოლონისტების მასობრივი ჩამოსახლებით ირღვეოდა ადგილობრივი მოსახლეობის კომპაქტურობა და ფერხდებოდა ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობა; ამასთან, მთავრობის ეკონომიკური და პოლიტიკური დახმარებით, იქმნებოდა მთელი კულაკური სოფლები, კულაკობა კი საიმედო დასაყრდენი იყო ცარიზმისთვის მუშებისა და გლეხების რევოლუციური ბრძოლის წინააღმდეგ; მაგრამ მთავრობა ვერაფრით შეაკავებდა გლეხობის კლასობრივი დიფერენციაციის გაღრმავებას, რის შედეგად კულაკები მუდამ სოფლის უმცირესობას შეადგენდნენ ღარიბ და საშუალო გლეხობასთან შეფარდებით. ყოველივეს დაემატა ისიც, რომ მეფის მთავრობამ კოლონიზაციის საკითხშიც გამოიჩინა ბიუროკრატიული უპასუხისმგებლობა და გადმოსახლებულთა ერთი ნაწილი მალე გაიქცა კავკასიიდან საურმე გზების უქონლობისა და ნაკვეთების არასაკმარისი წყალმომარაგების გამო; ბევრი ვერც უჩვეულო კლიმატურ პირობებს შეეგუა. საბოლოოდ, ცარიზმის კოლონიურმა პოლიტიკამ საპირისპირო შედეგი გამოიღო, რაც მეფის მთავრობის ყველაზე მაღალი რანგის მოხელეებმაც კი აღნიშნეს, კერძოდ ვ. ი. ლენინი იმოწმებს მეფისნაცვლის მიერ შეფასებულ ვითარებას: „ის დამოკიდებულება კავკასიის მოსახლეობისადმი მის სადღეგრძელო-მამულო საქმეში, რაც ამ ბოლო დრომდე იყო პრაქტიკაში გამოყენებული: აღარ შეიძლება შეწყნარებულ იქნეს და უკვე იმიტომ, რომ იგი უეჭველია საკმაოდ თვალსაჩინო როლს ასრულებს სოფლის მოსახლეობის რევოლუციურ განწყობილებაში“ (ტ. 25, გვ. 102-103).

ქალაქადაც და სოფლადაც მოსახლეობის მზარდი რევოლუციური სულისკვეთება გაპირობებული იყო კაპიტალიზმის ეპოქაში მწარმოებლურ ძალთა მტაცებლური ექსპლოატაციის ხასიათით: უკვე 1897 წელს რუსეთის აღმავალი კაპიტალიზმის თითქოს უღრუბლო ცაზე ვ. ი. ლენინმა ყველაზე ადრე შენიშნა ავდარი და განსაზღვრა 1900-იანი წლების კრიზისის მოახლოება, რომლის სავაჭრო-მრეწველური ფაზა 1903 წელს დასრულდა, მაგრამ 1907 წელს ახალი ძალით იფეთქა როგორც მთელ მსოფლიო ეკონომიკის შემბოჭველმა კრიზისმა. 1901 წელს ვ. ი. ლენინმა გააანალიზა კრიზისის მიმდინარე პროცესი ბაქოს ნავთობმრეწველური ამხანაგობის (ძმები ნობელები) მაგალითზე და აღნიშნა ის მძიმე შედეგები, რაც კრიზისმა მოუტანა ამიერკავკასიის სამთო მრეწველობას, განსაკუთრებით — ჭიათურის მარგანეცისა და ბაქოს ნავთობის მოპოვებაში დასაქმებულთ. მაგრამ გაჭირვებამ უფრო შეამჭიდროვა პროლეტარიატის რიგები და გაზარდა მასების რევოლუციური განწყობილება. ბოლშევიკების ლენინური პარტია წარმართავდა მასების რევოლუციურ ბრძოლას და ამ ბრძოლის წინა ხაზზე იდგა. ვ. ი. ლენინი დიდ მნიშვნელობას ანიჭებდა კავკასიას რუსეთის რევოლუციურ მოძრაობაში. ლენინის „ისკრამ“ თბილისის 1901 წლის საპირველმაისო დემონსტრაცია შე-

აფასა როგორც ღირსშესანიშნავი მოვლენა ამიერკავკასიის ხალხთა ცხოვრებაში („ისკრა“, 1901, № 6), ხოლო სამხრეთ რუსეთის 1902 წლის საგაფიცვო მოძრაობაში „ისკრამ“ აღნიშნა ბაქოსა და ბათუმის პროლეტარიატის განსაკუთრებული როლი („ისკრა“, 1902, № 6). ქართველი სოციალ-დემოკრატების გაზეთი „ბრძოლა“ აგრეთვე რაზმავდა რევოლუციურ მუშებსა და გლეხობას და საქართველოში ისეთი ძალით იფეთქა 1905 წლის აჯანყებამ, რომ მისი რეზონანსი მეტად შორს გასწვდა; კერძოდ, რსდმპ III ყრილობამ (1905 წ.) მიიღო ვ. ი. ლენინის რეზოლუცია კავკასიის მშრომელი მასების შეიარაღებული აჯანყების თაობაზე, სადაც აღინიშნა, რომ ამბოხებულ გურიაში მთავრობამ გაგზავნა ჯარი და არტილერია, რათა განადგურება მოუმზადოს სახალხო აჯანყების უმნიშვნელოვანეს კერებს; რომ თვითმპყრობელობის გამარჯვებას გააადვილებს კავკასიელთა მრავალტომობრივი შემადგენლობა და ეს ყველაზე მავნე შედეგს გამოიღებს მთელი რუსეთის შეიარაღებული აჯანყების მსვლელობისათვის. ყრილობა მხურვალედ მიესალმა კავკასიის გმირულ პროლეტარიატსა და გლეხობას, ამასთან, ცკ-ს დაევალა მათთვის ყოველმხრივი დახმარების გაწევა.

ცარიზმის ნაციონალისტური პოლიტიკა მიმართული იყო ერებს შორის ძმური თანამშრომლობის წინააღმდეგ. ასეთ ვითარებაში ვ. ი. ლენინი გამუდმებით ეძებდა ეროვნული საკითხის მართებული გადაჭრის გზებს. საინტერესოა ფაქტი, რომ 1913 წელს მან ეროვნული საკითხის სწორი გადაწყვეტის ნიმუშად დაასახელა კავკასიის პარტიული ორგანიზაციების მაგალითი და მ. გორკისადმი გაგზავნილ წერილში მიუთითა, რომ ათ წელზე მეტი ხნის განმავლობაში ერთიანი სოციალ-დემოკრატიული ორგანიზაციის რიგებში მუშაობენ ქართველი, სომეხი, აზერბაიჯანელი და რუსი კომუნისტები; აქვე ვ. ი. ლენინმა აღნიშნა: „ეს ფრაზა არ არის, არამედ ეროვნული საკითხის პროლეტარული გადაწყვეტაა. ერთადერთი სწორი გადაწყვეტა“. ვ. ი. ლენინი მშრომელებს უნერგავდა კლასობრივი სოლიდარობის პრინციპებს, რაზმავდა პროლეტარიატს ყველა ექსპლოატატორის წინააღმდეგ, ყველა ჩაგრულის მხარეზე; იგი მოუწოდებდა რუსეთის მშრომელებს „...нельзя великороссам „защищать Отечество“ иначе, как желая поражения во всякой войне царизму, как наименьшего зла для 9/10 населения Великороссии, ибо царизм не только угнетает эти 9/10 населения экономически и политически, но и деморализует, унижает, обесчесчивает, проституирует его приучая к угнетению чужих народов, приучая прикрывать свой позор лицемерными, якобы патриотическими фразами“ (т. 21, стр. 86).

როდესაც მართვის სადავეები დროებით იგდეს ხელთ საქართველოში — მენშევიკებმა, აზერბაიჯანში — მუსავატელებმა და სომხეთში — დაშნაკებმა, — ვ. ი. ლენინი ყურადღებით აკვირდებოდა ამიერკავკასიის პოლიტიკურ ვითარებას და 1918 წელს წერდა, რომ მენშევიკური საქართველოს „დამოუკიდებლობა“ აშკარა თვალთმაქცობად იქცა მას შემდეგ, როცა საქართველოს მაშინდელმა მმართველებმა მიიწვიეს გერმანელი ოკუპანტები, რომელთაც თავისი იმპერიალისტური მიზნები უფრო აინტერესებდათ, ვიდრე საქართველოს ბედ-იღბალი; ეს ნაბიჯი ფაქტიურად წარმოადგენდა „... გერმანული ხიშტის კავშირს მენშევიკურ მთავრობასთან ბოლშევიკური მუშებისა და გლეხების წინააღმდეგ (ტ. 38, გვ. 9).

ვ. ი. ლენინმა 1920 წლის 29 აპრილს რუსეთს სიხარულით ამცნო ბაქოს პროლეტარიატის გამარჯვება და განმარტა აზერბაიჯანში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების დიდი ეკონომიკური და პოლიტიკური მნიშვნელობა: „... საბჭოთა რუსეთის მდგომარეობა უკეთესდება: ... ჩვენი მრეწველობა [illegible] სათბობის უქონლობის გამო, და აი ჩვენ მივიღეთ ცნობა, რომ ბაქოს პროლეტარიატმა ხელში აიღო ძალაუფლება და დაამხო აზერბაიჯანის მთავრობა. ეს ნიშნავს, რომ ჩვენ ახლა ისეთი ეკონომიური ბაზა გვაქვს, რომელსაც შეუძლია გამოაცოცხლოს მთელი ჩვენი მრეწველობა. ბაქოში არის მილიონი ფუთი ნავთობი, რომელიც უკანასკნელ დრომდე ვერ საღდებოდა, რის გამო ნავთობის მრეწველი ნობელიც კი ცდილობდა დაეწყო ჩვენთან მოლაპარაკება ამ ნავთობის საბჭოთა რუსეთში შემოტანის შესახებ. ამრიგად ჩვენი ტრანსპორტი და მრეწველობა ფრიად არსებით დახმარებას მიიღებენ ბაქოს ნავთობის საწარმოებისაგან". 5 მაისს ვ. ი. ლენინმა მიულოცა აზერბაიჯანის მშრომელებს სოციალისტური რევოლუციის გამარჯვება და გამოთქვა რწმენა, რომ საბჭოთა აზერბაიჯანი მოძმე რუსეთთან ერთად დაიცავს თავის დამოუკიდებლობას აღმოსავლეთის ხალხთა მოსისხლე მტრის — იმპერიალიზმისაგან (ტ. 38, გვ. 134-135, 152). 1920 წლის 29 ნოემბერს სომეხმა ხალხმაც მოუღო ბოლო დაშნაკი მმართველების ბატონობას, ხოლო 1921 წლის 25 თებერვალს, — იმავე მუშურ-გლეხური მე-11 არმიის დახმარებით, რომელმაც ძმურად გაუწოდა ხელი ჯერ აზერბაიჯანის პროლეტარიატს, შემდეგ — სომხეთის მშრომელებს, — ქართველებმაც დაამხეს მენშევიკთა კონტრრევოლუციური მთავრობა და, ამრიგად, მთელს ამიერკავკასიაში გაიმარჯვა საბჭოთა ხელისუფლებამ, რაც 1921 წლის 2 მარტს ვ. ი. ლენინმა აღნიშნა მუშათა და გლეხთა დეპუტატების საბჭოს სხდომაზე: „... სომეხ-ქართველთა ომი აჯანყებად იქცა, რომელშიც რუსეთის ჯარის გარკვეული ნაწილიც მონაწილეობდა. და ეს დამთავრდა იმით, რომ სომხეთის ბურჟუაზიის შეთქმულება ჩვენს წინააღმდეგ, დღემდე მაინც, მის წინააღმდეგვე შებრუნდა ისე, რომ თბილისში უკანასკნელი ცნობებით, რომლებიც ჯერ კიდევ არ არის შემოწმებული, საბჭოთა ხელისუფლება აღმოჩნდა" (ტ. 31, გვ. 175). იმავე დღეს ვ. ი. ლენინმა გაუგზავნა ს. ორჯონიკიძეს წერილი, რომელშიც მხურვალედ ულოცავდა გამარჯვებას საქართველოს რევკომის ყველა წევრს, ამასთან, გარკვეული პოლიტიკური კურსი დაუსახა ადგილობრივ ბოლშევიკებს: „... საქართველოს როგორც საშინაო, ისე საერთაშორისო პირობები მოითხოვენ ქართველი კომუნისტებისაგან რუსული შაბლონის გამოყენებას კი არა, არამედ ისეთი თავისებური ტაქტიკის მოხერხებულად და მოქნილად შემუშავებას, რომელიც ყოველგვარი წვრილბურჟუაზიული ელემენტებისადმი მეტ დათმობაზე იქნება დამყარებული" (ტ. 32, გვ. 193). იმ დროს თვით რუსეთის პირობებში ხორციელდებოდა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა და ლენინის მითითებაში იგულისხმებოდა ამ პოლიტიკის საქართველოში გატარება, ადგილობრივი პირობების გათვალისწინებით, რათა მომხდარიყო სახალხო მეურნეობის სწრაფი აღდგენა. ცნობილ წერილში — „აზერბაიჯანის, საქართველოს, სომხეთის, დაღესტნისა და მთიელთა რესპუბლიკის ამხანაგ — კომუნისტებს" (1921, 14 აპრილი) — ვ. ი. ლენინმა კვლავ დაბეჯითებით მოითხოვა, ამჯერად ყველა კავკასიელი კომუნისტისაგან, რათა, თავ-თავისი რესპუბლიკების ეკონომიკური და პოლიტიკური პირობების გათვალისწინებით, მათ შეემუშავებინათ სწორი პარტიული ტაქტიკა და ისევ მიუთითა, რომ კავკასიელ კომუნისტებს არავი-

თარ შემთხვევაში არ გადაეღოთ რუსული შაბლონი, არამედ შემოქმედებითად აეთვისებინათ და გამოეყენებინათ რსფსრ-ს 1917-1921 წლების გამოცდილება.

ვ. ი. ლენინის თხზულებებში დაცული მასალით ირკვევა, რომ სამოქალაქო ომისა და ანტანტის ინტერვენციის დროს, აგრეთვე, ომების შედეგად გაპარტახებული რუსეთის სახალხო მეურნეობის აღდგენითს პერიოდში, — მისი ყურადღება არამც თუ შენელებულა კავკასიის მიმართ, არამედ დღითიდღე იზრდებოდა. აღნიშნულ მძიმე პერიოდში ვ. ი. ლენინმა დასახა ამიერკავკასიის ეკონომიკის რეკონსტრუქციის პროგრამა თითოეული მოძმე რესპუბლიკისათვის და მათი ერთობლივი განვითარების შესაბამისად: საამისო საშუალებას მაშინვე იძლეოდა ამიერკავკასიის ერთიანი რკინიგზის ქსელი და ერთიანი სამეურნეო ბაზარი, ხოლო რკპ (ბ) X ყრილობაზე (1921, 8-16 მარტი) ვ. ი. ლენინმა აღნიშნა ბაქო-თბილისის ნავთობსადენის ამოქმედება და აღუთქვა საბჭოთა ქვეყანას, რომ ეს გაყვანილობა მალე მიაღწევს ბათუმს; მან აქვე მიუთითა ამ შესანიშნავი წარმატების დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა არა მარტო ამიერკავკასიისათვის, არამედ მთელი საბჭოეთისათვისაც, რადგან პირველი სოციალისტური ქვეყნის ეკონომიკა გზას იკაფავდა მსოფლიო ბაზრისაკენ. ვ. ი. ლენინმა განსაზღვრა, რომ ეს წინგადადგმული ნაბიჯი წამოსწევდა საბჭოთა რესპუბლიკების ეკონომიკის ტექნიკური აღჭურვის საქმეს, რის შედეგად გადიდდებოდა პროდუქციის წარმოება, — ეს კი შეამსუბუქებდა კვებისა და მოხმარების საგნებით მშრომელთა დაკმაყოფილებას, ვ. ი. ლენინის თქმით, „ამ მხრივ, ყოველგვარ შემსუბუქებას გიგანტური მნიშვნელობა აქვს ჩვენთვის“ (ტ. 32, გვ. 304). ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ეკონომიკის რეკონსტრუქციისათვის ვ. ი. ლენინი გადამწყვეტ პირობად მიიჩნევდა სამთო მრეწველობის განვითარებას, რათა ქვეყანას მიეღო ძირითადი სამრეწველო ნედლეული: ნავთობი, მარგანეცი, ქვანახშირი, სპილენძი; ამასთან მიუთითა, ნედლეულის ამ წყაროთა რაციონალური ექსპლოატაციის მიზნით, მეცნიერულ-ტექნიკური ნორმების დაცვის აუცილებლობაზე. ვ. ი. ლენინი მოითხოვდა სამეურნეო მშენებლობაში ინტელიგენციის ჩაბმას, საერთოდ, სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საკითხს იგი უპირველესად უკავშირებდა მუშებისა და გლეხების მდგომარეობის გაუმჯობესებისათვის ბრძოლას. მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლების, მათი ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური უზრუნველყოფის მიზნით ვ. ი. ლენინმა დასახა კავკასიაში ფართო საკურორტო მშენებლობის ამოცანაც, — ეს საკითხი მან ქვეყნის ბუნებრივ პირობებს დაუკავშირა. ვ. ი. ლენინმა საფუძვლიანად შეისწავლა ამიერკავკასიის აგრარული პრობლემები, რაც, უმთავრესად, მიწების გასარწყავიანებასთანაა დაკავშირებული, ხოლო ირიგაციის მეტად შრომატევადი სამუშაო დიდ კაპიტალდაბანდებებსაც მოითხოვს ხანგრძლივი ვადით; აღდგენითი პერიოდის სიძნელეთა მიუხედავად, ვ. ი. ლენინი კავკასიელ კომუნისტებს მიუთითებდა სახმარი მიწების მორწყვის გაუმჯობესების შესახებ — მიწათმოქმედებისა და მესაქონლეობის წამოსაწევად; მაგრამ იგი მორწყვის საკითხს უმთავრესად უკავშირებდა ამიერკავკასიის სოფლის მეურნეობაში ტექნიკური კულტურების აღდგენისა და გაუმჯობესების საქმეს: 1921 წლის 21 ოქტომბერს მან პროექტიც კი გაუგზავნა ს. ორჯონიკიძეს მუღანის ველის გასარწყავიანებისა და აზერბაიჯანსა და სომხეთში მებამბეობის განვითარების პრობლემის გადასაწყვეტად. ამიერკავკასიის ბუნებრივი პირობების გათვა-

ლისწნებით, ვ. ი. ლენინმა ერთმანეთს დაუკავშირა ირიგაციისა და ელექტროფიკაციის საკითხები და გოელროს ლენინური გეგმის თანახმად 1923 წ. დაიწყო ზემოავჭალის ჰიდროელექტროსადგურის მშენებლობა.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ამიერკავკასიის ერთიანი მძლავრი სახალხო მეურნეობის შექმნის ლენინური იდეა გაპირობებული იყო ცარიზმის კოლონიური რეჟიმისა და მენშევიკ-დაშნაკ-მუსავატელთა ბატონობის შედეგების აღმოსაფხვრელად, ვინაიდან საბჭოთა ხელისუფლებამ ამიერკავკასიაში მიიღო არანაკლებ დაქვეითებული ეკონომიკა, ვინემ საბჭოთა რუსეთმა — ომების შედეგად. 1921 წლის 28 ნოემბერს ვ. ი. ლენინმა ამ ეკონომიკური პრობლემის გადასაჭრელად წამოაყენა საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა რესპუბლიკათა ფედერაციის ჩამოყალიბების პროექტი და კომუნისტებს მიუთითა, რომ წინასწარი ფართო პროპაგანდა გაეწიათ ამიერკავკასიის მოსახლეობისათვის ამ საქმის სასარგებლოდ, რათა მასები შეგნებულად მისდგომოდნენ საკითხს. ვ. ი. ლენინის პროექტი განხორციელდა ცხრა თვის განმავლობაში: 1922 წლის 12 მარტს საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის ცენტრალური აღმასრულებელი კომიტეტების სრულუფლებიანმა წარმომადგენლებმა გამოაცხადეს ამიერკავკასიის რესპუბლიკათა ფედერაციული კავშირი, ხოლო 1922 წლის 13 დეკემბერს ამიერკავკასიის საბჭოების ყრილობაზე ბაქოში გამოცხადდა ამიერკავკასიის სოციალისტური ფედერაციული საბჭოთა რესპუბლიკის შექმნა.

ლენინური კომუნისტური პარტიის ხელმძღვანელობით, ამიერკავკასიის ფედერაციულმა რესპუბლიკამ წარმატებით შეასრულა თავისი ისტორიული როლი მწარმოებლურ ძალთა ამაღლების საქმეში, ამიერკავკასიის რესპუბლიკების ეკონომიკური, პოლიტიკური და კულტურული ყოველმხრივი განვითარების საქმეში; მხოლოდ ამის შემდეგ გახდა შესაძლებელი საქართველოს, აზერბაიჯანისა და სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კონსტიტუციურად დადგენილი უშუალო გაერთიანება საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირში 1936 წელს, ე. ი. ამიერკავკასიის მოძმე რესპუბლიკებმა მიიპოვეს უმაღლესი სახელმწიფოებრივი სტატუტი სხვა მოკავშირე რესპუბლიკებთან თანაბარი უფლებით.

ამრიგად, ვ. ი. ლენინმა ე. წ. „განაპირა მხარეთა", მათ შორის — კავკასიის მაგალითით განზოგადებული მდიდარი სტატისტიკური მასალის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე განსაზღვრა კაპიტალისტური რუსეთის ბაზრის თავისებურება. რეფორმისშემდგომი პერიოდის დასაწყისში პერიფერიული ქვეყნები შეადგენდნენ გარე ბაზარს ცენტრალური რუსეთისათვის, ხოლო წარმოების ახალი წესის დამკვიდრებისთანავე მოიშალა ფეოდალური კარჩაკეტილობა და კაპიტალიზმმა ჩაითრია ეს ქვეყნები საერთო განვითარებაში, ამასთან, მათი მეურნეობა გამოიყენებოდა როგორც ნედლეულის წყარო. კაპიტალისტური განვითარების კანონზომიერება, კერძოდ, მისი გავრცელება-გაფართოების აუცილებლობა ახალ-ახალ ტერიტორიებზე, ცარიზმმა გამოიყენა თავისი ნაციონალისტური რუსიფიკატორული პოლიტიკის განსახორციელებლად და მოაწყო განაპირა მხარეთა ინტენსიური კოლონიზაცია, მაგრამ ჩაიშალა მეფის ბიუროკრატული მთავრობის ცდა, რომ შეექმნა დასაყრდენი რევოლუციური აღმავლობისა და ეროვნულ-განმათავისუფლებელი მოძრაობის წინააღმდეგ: თვითმპყრობელობას მხედველობიდან გამორჩა გლეხობის გაღრმავებული დიფერენციაციის ფაქტი, რის შედეგად საშუალო

გლეხობის მცირე ნაწილი აღწევდა კულაკობას, უმრავლესობა კი ზრდიდა რევოლუციური პროლეტარიატის რიგებს.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისთანავე, დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის გამარჯვების შემდეგ, ვ. ი. ლენინმა [illegible] წარმართა სახალხო მეურნეობის აღდგენისა და შემდგომი განვითარების საქმე, რომ ეკონომიკა დააყენა მშრომელი ადამიანების სამსახურში და მათი მზარდი მოთხოვნილებების დაკმაყოფილების საქმეს დაუქვემდებარა ყოველი მეურნეობრივი პრობლემა: იქნებოდა ეს წიაღისეული სიმდიდრე თუ ბუნებრივ-კლიმატური პირობები, მიწათმოქმედებისა თუ მესაქონლეობის განვითარების საკითხები; ხოლო საბჭოთა ადამიანების კეთილდღეობაზე დამყარებულია სოციალისტური სამშობლოს სახელმწიფოებრივი ძლიერება.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

აპოლონ ნუცუბიძე

# ფინანსური კაპიტალის ჰილფერდინგისეული განსაზღვრების ოპორტუნისტური ხასიათი

თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომიკურ ლიტერატურაში ერთ-ერთი მეტად გავრცელებული ვერსიაა, თითქოს მსხვილი მრეწველური მონოპოლიების დაფინანსებაში მცირდება ბანკების როლი, ფინანსურ ბურჟუაზიას ხელიდან ეცლება გაბატონებული მდგომარეობა. ამტკიცებენ იმასაც, თითქოს მრეწველური კორპორაციები აღარ საჭიროებენ ფინანსურ საშუალებათა გარედან მიღებას, კმაყოფილდებიან საკუთარი სახსრებით; ზოგიერთი მათგანი საკუთარ ბანკსაც კი ფლობს, ახორციელებს „თვითდაფინანსებას“ და სხვ. ამით, — აღნიშნავენ ისინი, — ისპობა საბანკო და მრეწველური კაპიტალების შერწყმა, ბანკებისა და ბანკირების „ძლაუფლება“ წარსულს ბარდება. ამჟამად ბანკები მოსახლეობასა და წვრილ საწარმოებს უფრო მეტად ემსახურებიან, ვიდრე მრეწველურ მონოპოლიებს. ეს კი, — როგორც ისინი აღნიშნავენ, — გამორიცხავს ფინანსური კაპიტალის ბატონობის შესაძლებლობას, ასუსტებს მის პოზიციებს.

12648

იტალიის ბურჟუაზიული ეკონომისტი მ. სალვადორი თავის წიგნში — „თავისუფლების ეკონომიკა“: ამერიკის კაპიტალიზმი დღეს“ — წერს: „უოლსტრიტი, ბანკირები, 60 ოჯახი, მონოპოლისტები — ყველა ეს უმეტეს ნაწილად მითის ელემენტებია“[1]. არიან ისეთი ბურჟუაზიული ეკონომისტებიც, რომლებიც პირდაპირ აღიარებენ ფინანსური კაპიტალის „გაქრობის“ ფაქტს, ბანკების როლის დაცემას. მაგალითად, ცნობილი ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ჯ. გელბრეითი ჯერ კიდევ 1952 წელს წერდა: „მარქსისტული გაგებით, ამერიკის შეერთებულ შტატებში ფინანსური კაპიტალი უკვე აღარ არსებობს“[2]. იმავე წიგნის მეორე გამოცემაში ჯ. გელბრეითი წერს: „საერთოდ და კერძოდ, ამერიკის შეერთებულ შტატებში შეუძლებელია ფინანსური კაპიტალის მარქსისტული დოქტრინის სტატისტიკური ან ემპირიული შემოწმების ჩატარება“[3], ვინაიდან აქ იგი არ არსებობსო. აღნიშნული კონცეფცია ჯ. გელბრეითმა შემდეგ წლებში კიდევ უფრო გააღრმავა; მაგალითად, თავის ფუნდამენტურ ნაშრომში — „ახალი ინდუსტრიული საზოგადოება“ — იგი წერს: „მრეწველური დაწესებულება თვითონ ამარაგებს თავის თავს კაპიტალით, რაც დაგეგმვის შემადგენელ ნაწილად ითვლება. იგი კაპიტალის მიღების საიმედო გარანტიაა და ნამდვილი გეგმიანობის მიზანს წარმოადგენს“[4]. როგორც ვხედავთ, ჯ. გელბრეითი ხაზს უსვამს მსხვილი მრეწველური დაწესე-

[1] M. Salvadory. «The Economics of Freedom: American Capitalism today», 1959, p. 108.

[2] J. Galbraith. American Capitalism, Boston, 1956, p. 109. (პირველი გამოცემის წინასიტყვაობა).

[3] Ibidem, p. 120.

[4] Дж. Гэлбрейт. Новое-индустриальное общество, М., 1969, стр. 97.



კ. მარქსის სახ. საქ. ...
სახელმწიფო რესპუბლ...
ბი ლიოთეკა

ბულებების, კორპორაციების „თვითდაფინანსების“ ფაქტს, რასაც გეგმიანობის განხორციელების ნიმუშადაც კი მიიჩნევს. მაგრამ მარტო ჯ. გელბრეითი როდი სცოდავს ამ მხრივ.

ამერიკელი ბურჟუაზიული ეკონომისტი ა. ბერლი [illegible] სესხო კაპიტალი და ბანკები ამჟამად მსხვილი მრეწველური კორპორაციების საქმიანობის გარეშე დგანან. ფინანსისტი დრომოჭმულ ფიგურად იქცა, მისი ადგილი მენეჯერმა დაიპყრაო. ფინანსური კაპიტალის ბატონობას აშკარად უგულებელყოფენ ბურჟუაზიული ეკონომისტები: პ. ბერენი და პ. სუიზი; მათ თავიანთ ნაშრომში — „მონოპოლისტური კაპიტალიზმი“ ისეთი აბსტრაქტული მოდელი შეიმუშავეს, რომლის მიხედვით სრულიად მოსწყდნენ თანამედროვე კაპიტალიზმის სინამდვილეს; ერთმანეთისაგან იმდენად დააცილეს ფინანსური კაპიტალისტები და მენეჯერთა ზემოწრე, საბანკო და მრეწველური კომპანიები, რომ ფინანსური კაპიტალისათვის სრულებით არ რჩება ადგილი; გამორიცხეს თვით ფინანსური კაპიტალის ცნებაც კი. მსგავს შეხედულებას ინგლისში იცავს ლეიბორისტი ეკონომისტი ბ. ბრაუნი. თავის ნაშრომში: „იმპერიალიზმის შემდეგ“ იგი აღნიშნავს, რომ ლენინური დებულება — მრეწველური კაპიტალის შეზრდა საბანკო კაპიტალთან წარმოქმნის „ფინანსურ კაპიტალს“ და ამის საფუძველზე ფინანსურ ოლიგარქიას — სრულებით არ არის დამახასიათებელი ინგლისისათვისო.

ჩვენ კიდევ შეგვეძლო დაგვესახელებინა ბურჟუაზიული ეკონომისტები, რომლებიც გადაჭრით ილაშქრებენ ფინანსური კაპიტალისა და ფინანსური ოლიგარქიის ბატონობის ფაქტის წინააღმდეგ, უარყოფენ იმპერიალიზმის ამ ერთ-ერთ ძირითად დამახასიათებელ ეკონომიკურ ნიშანს.

ძნელი არ არის იმის დანახვა, რომ, ფინანსური კაპიტალისა და ფინანსური ოლიგარქიის ბატონობის ფაქტის უარყოფით, ბურჟუაზიული ეკონომისტები ცდილობენ, რათა ძალადაკარგულად გამოაცხადონ, საერთოდ, იმპერიალიზმის ლენინური თეორია; დაარწმუნონ მასები იმაში, რომ თანამედროვე კაპიტალიზმი არის არა იმპერიალისტური, არამედ ახალი, „ტრანსფორმირებული“ კაპიტალიზმი, რომელსაც შესწევს უნარი მაქსიმალურად გააუმჯობესოს მასების კეთილდღეობა, მათი საარსებო პირობები. ასახელებენ რაღაც „სიუხვის კიბერნეტიკულ საზოგადოებას“, რომელსაც, თითქოს, შეუძლია საზოგადოების თითოეულ წევრს მისი შრომისაგან დამოუკიდებლად შეუქმნას მატერიალური და კულტურული სიკეთე; მიუთითებენ „პოსტინდუსტრიულ საზოგადოებასაც“, სადაც საზოგადოების თითოეულ წევრს, მიუხედავად იმისა, მუშაობს თუ არა იგი, თითქოს, შეუძლია ისარგებლოს „ავტომატური წესით“ შექმნილ პროდუქტთა სიუხვით, გაერთოს სპორტით, ხელოვნებით და სხვ. ამ საზოგადოებაში ადამიანები არ ფიქრობენ ლუკმაპურზე, საზრუნავად რჩება მხოლოდ ის, თუ როგორ დაისვენოს, როგორ გამოიყენოს თავისუფალი დრო და სხვ.

როგორც ვხედავთ, თანამედროვე იმპერიალიზმის შეცვლა „სიუხვის კიბერნეტიკული“ თუ „პოსტინდუსტრიული“ თუ სხვა მსგავსი საზოგადოებით, არის ფარსი, ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და სოციოლოგების დემაგოგიური მონაჭორი, რომელიც მიზნად ისახავს დაამციროს სოციალიზმის როლი მშრომელთა კეთილდღეობის საქმეში, მოახდინოს მისი დისკრედიტაცია, გვიჩვენოს კაპიტალიზმის ცხოველმყოფელობა, რაც მას არ გააჩნია. ნამდვილად კი, ფაქტი ის არის, რომ კაპიტალისტური წყობილების პირობებში სა-

ხელმწიფოებრივი, კიდევ უფრო მეტად კერძო საკუთრება, ეკონომიკური ღონისძიებები, რომელსაც ბურჟუაზიული მთავრობა ატარებს, [illegible] გამოხატავს „საყოველთაო კეთილდღეობის“ შინაარსს, იგი მხოლოდ მსხვილი მონოპოლისტებისა და ფინანსური მაგნატების ინტერესებს ემსახურება, მას არაფერი აქვს საერთო „ზეკლასობრივი“ სახელმწიფოს არსებობასთან. არც სახელმწიფოებრივი, არც სხვა ჯგუფობრივი კაპიტალისტური — აქციონერული და კორპორაციული — საკუთრება არ წარმოადგენს საზოგადოებრივ საკუთრებას. ამის გარეშე კი აბსურდია რაიმე „საყოველთაო კეთილდღეობაზე“ ლაპარაკი. მართალია, თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებით, რიგი მეურნეობრივი საქმიანობა სულ უფრო მეტად სახელმწიფოს მონაწილეობით სრულდება, მაგრამ ეს გამოწვეულია ფინანსური ოლიგარქიის ინტერესებით და სრულებით არ მოასწავებს მონოპოლიებისა და ფინანსური მაგნატების გაქრობას.

დაისმის კითხვა: რა განაპირობებს იმას, რომ თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები და სოციოლოგები ავითარებენ ასეთ ყალბ შეხედულებას? ამისი ერთ-ერთი მთავარი საფუძველი ის არის, რომ მათ ფინანსური კაპიტალის ჰილფერდინგისეული ოპორტუნისტური განსაზღვრება ჭეშმარიტებად მიაჩნიათ, მაშინ როცა ეჭვის ქვეშ აყენებენ ან სრულებით უარყოფენ მის ლენინურ განსაზღვრებას. თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტები და სოციოლოგები იქიდან გამოდიან, რომ სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის პირობებში მართლაც შეიცვალა საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებების სტრუქტურა, აქტიური როლი მოიპოვეს ისეთმა ორგანიზაციებმა, როგორიც არიან: სადაზღვევო საზოგადოებები, საპენსიო ფონდები, საინვესტიციო კომპანიები, სასესხო-საშემნახველო ასოციაციები და სხვ. — რომლებმაც თითქოს შეცვალეს ფინანსური კაპიტალის გაგება, მისი ბუნება. ცხადია, ამ არასაბანკო ინსტიტუტების რესურსების ზრდამ, მათი აქტივობის გაძლიერებამ რამდენადმე შეამცირა საბანკო ინსტიტუტების ხვედრითი წონა საკრედიტო-საფინანსო სისტემაში, მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს ბანკებისა და საბანკო კაპიტალის როლის შემცირება, საბანკო და მრეწველური მონოპოლიების კაპიტალების შეზრდის შეწყვეტა.

ამერიკის შეერთებული შტატების საბანკო საქმის ერთ-ერთი ცნობილი სპეციალისტი დ. ბუდჯეიკა იძულებულია აღიაროს, რომ ნიუ-იორკის უმსხვილესი ბანკები არსებითად განსხვავდებიან საშუალო და წვრილი ბანკებისაგან იმით, რომ ისინი დიდ სესხებს აძლევენ უმსხვილეს მრეწველურ კორპორაციებს, რომლებიც განლაგებულია ამერიკის შეერთებული შტატების ტერიტორიაზე და სხვა ქვეყნებში. ავტორი აღნიშნავს, აგრეთვე, თუ როგორ იზრდება მოთხოვნა კაპიტალზე მრეწველური კორპორაციების მხრივ[5]. ეს ცნობა რამდენადმე აბათილებს ბურჟუაზიული ეკონომისტების მტკიცებას იმის შესახებ, თითქოს მსხვილ მრეწველურ კორპორაციებს უკვე აღარ ესაჭიროება სახსრების გარედან მიღება.

უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი აშკარად აიძულებს მსხვილ მრეწველურ კაპიტალისტებს, კორპორაციებს მიმართონ დიდ ფინანსურ დაბანდებებს მორალურად გაცვეთილ მოწყობილობათა განახლებისათვის, საწარმოების, მრეწველობის ახალი

[5] G. Budzeika. Lending to Business by New-York City Banks, N.Y 1971, YJ. 12.

დარგების მოსაწყობად. კორპორაციებს განსაკუთრებით ესაჭიროებათ, აგრეთვე, საბაზრო სიტუაციის გაუარესების პირობებში გარან[illegible] ფინანსური მხარდაჭერა. ასეთ ვითარებაში კავშირი მრეწველურ და საბანკო მონოპოლიებს შორის კი არ სუსტდება, არამედ უფრო ძლიერდება. [illegible] შეზრდის პროცესი კი არ მცირდება, არამედ კვლავ გრძელდება ახალი ძალით. ეს გარემოება იმასაც გვიჩვენებს, რომ მსხვილ საწარმოთა „თვითდაფინანსება" არ არის მყარი, მას არ შეუძლია დიდი ხნით შეცვალოს გარედან მიღებული სახსრების წილი, პირიქით, ზოგიერთ ქვეყანაში, მაგალითად: საფრანგეთში, იაპონიაში და სხვ. კორპორაციების გარედან მიღებული საშუალებები აღემატება კიდეც მათს საკუთარ საშუალებებს. თუ რამდენად აუცილებელ კავშირში იმყოფებიან მსხვილი კომპანიები ბანკებთან და სხვა საფინანსო-საკრედიტო დაწესებულებებთან, გვიჩვენებს ამერიკის შეერთებული შტატების გიგანტური სარკინიგზო კორპორაციის „პენნ სენტრალ კომპანის" მაგალითი.

ეს კომპანია, რომლის აქტივიც 6,4 მლრდ დოლარს შეადგენდა, ჯერ კიდევ 2 წლის წინათ უნდა გაკოტრებულიყო, მაგრამ დროებით დააღწია თავი ამას მსხვილი ბანკებისა და საინვესტიციო კომპანიებისაგან მიღებული კრედიტების საშუალებით. 1969 წლის ბოლოს აღნიშნული კომპანიის გრძელვადიანი დავალიანება გადიდდა 400 მლნ დოლარამდე ანუ 20 პროცენტით; საბოლოოდ მან მაინც განიცადა კრახი.

მოსალოდნელი გაკოტრების შიში მსხვილ მრეწველურ მონოპოლიებს საშუალებას არ აძლევს გაწყვიტონ კავშირი ბანკებთან, მეტიც, ისინი იმის მუდმივ ცდაში არიან, რომ, საჭირო შემთხვევაში, ყოველთვის ჰქონდეთ შესაძლებლობა, დაუბრკოლებლად მიიღონ დამატებითი კრედიტები; ამისათვის ისინი სათანადო წყაროების მუდმივ ძიებაში იმყოფებიან. ეს გარემოება კი არ ამცირებს, პირიქით, კიდევ უფრო ზრდის საბანკო კრედიტის როლს. ბევრ ქვეყანაში დიდ მნიშვნელობას იძენს დაფინანსების ახალი — კომბინირებული წესი, რომლის მიხედვით, კრედიტის გამოყენება ხდება სხვა სახის ფულადი რესურსების გამოყენებასთან ერთად, რაც ზრდის ფინანსური კაპიტალის არეალს.

ამ პროცესის შესახებ ამერიკის შეერთებული შტატების ერთ-ერთი მსხვილი ფირმის წარმომადგენელი წერს: „ჩვენ ვიწყებთ საბანკო სესხით, შემდეგ, ერთი წლის ვადაში ვუშვებთ ობლიგაციებს და ვფარავთ ბანკის სესხს. მესამე წლის განმავლობაში ვუშვებთ ჩვეულებრივ აქციებს და, ბოლოს, მეოთხე წელს, ისევ ვღებულობთ სესხს ბანკებისაგან"[6].

თანამედროვე პირობებში, როცა სულ უფრო მეტად ძლიერდება საბანკო საქმის კონცენტრაცია საკუთარი კაპიტალის გადიდებით, როცა სულ უფრო ფართო მასშტაბით წარიმართება კაპიტალის ცენტრალიზაცია, — რაც ბანკებს შესაძლებლობას აძლევს განავითარონ საემისიო ოპერაციები აქციებისა და ობლიგაციების გამოშვებით და გასცილდნენ თავიანთი საწარმოების ფარგლებს და სხვ., — ადგილი აქვს ფინანსური კაპიტალის ახალ თვისებრივ ცვლილებებს: ფინანსური კაპიტალი თითქმის ყველგან, ყველა სახის ფულად ფონდს თავს უყრის ერთ საკონტროლო ცენტრში, რაც მის მონოპოლიას ფართო საფუძველს უქმნის. რა თქმა უნდა, ეს გარემოება შეუმჩნეველი ხდება თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტებისათვის, ისინი ვერც იმას ამჩნევენ,

[6] Экономическая газета, № 37, 1973, стр. 14.

რომ საბანკო და მრეწველური მონოპოლიების ურთიერთშერწყმის ზრდა აძლიერებს მათ შეერთებას სახელმწიფოებრივ კაპიტალთან, მის აპარატთან, რაც გამოხატულებას ღებულობს ეკონომიკის სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური რეგულირების, მეცნიერულ-ტექნიკურ გამოკვლევებში [illegible] [illegible]რევის, ამ გამოკვლევათა შედეგების წარმოებაში დანერგვისა და სხვა ფორმით.

ამგვარად, ზემოთქმულის მიხედვით, შეიძლება დავასკვნათ, რომ არასაბანკო საკრედიტო-ფინანსური დაწესებულებების გაძლიერება, მათი აქტივობის ზრდა სრულებითაც არ გამოდგება ფინანსური კაპიტალის უარსაყოფად, ბანკების როლის შემცირების საილუსტრაციოდ. უფრო სწორი იქნებოდა გვეთქვა, რომ ბანკებისა და საბანკო კაპიტალის აქტივობის თანამედროვე დონე და არასაბანკო ფინანსური ინსტიტუტების ზრდა უფრო ამაღლებენ კაპიტალისტური წყობილების საკრედიტო ფინანსური სისტემის მოცულობას, — რისი უგულებელყოფაც არ შეიძლება.

აღნიშნულთან დაკავშირებით, გვინდა მივაქციოთ ყურადღება ერთ გარემოებას, სახელდობრ, ფინანსური კაპიტალის ჰილფერდინგისეული განსაზღვრების არამეცნიერულ, ოპორტუნისტულ ხასიათს, რომელიც თანამედროვე ბურჟუაზიულ ეკონომისტებს ფინანსური კაპიტალის „კვდომის“ შესახებ ლაპარაკის საბაბს აძლევს. სწორედ ფინანსური კაპიტალის ჰილფერდინგისეული განსაზღვრების მიხედვით ცდილობენ ისინი, არასაბანკო საკრედიტო ინსტიტუტების გაძლიერების საფუძველზე დაამტკიცონ საბანკო საკრედიტო-საფინანსო სისტემის როლის შემცირების ფაქტი, რაც, როგორც დავინახეთ, სრულებით არ შეეფერება სინამდვილეს.

გაკვრით აღვნიშნოთ ის, თუ რა ვითარებაში მოუხდა რ. ჰოლფერდინგს ფინანსური კაპიტალის საკითხის დამუშავება. როგორც ცნობილია, კაპიტალიზმის გადაზრდამ იმპერიალიზმში, მონოპოლიების წარმოქმნამ და გაძლიერებამ ახალი სიტუაცია შექმნა ამ წყობილების ეკონომიკურ და პოლიტიკურ ცხოვრებაში, ძირეულად შეცვალა მუშათა კლასის ბრძოლის პირობები, საჭირო გახადა გარკვევა იმ ძირითად ამოცანებში, რომლის გარეშე შეუძლებელი იყო მოვლენათა მეცნიერული ანალიზი, შეფასება. ეს აუცილებელი იყო იმიტომაც, რომ თითქმის ყველგან ფართო გავრცელებას ჰპოვებდნენ სოციალისტური პარტიები, პროფესიული კავშირები, კულტურული ორგანიზაციები, მუშათა კოოპერატივები და სხვ., რომელთა საქმიანობის წარმართვა სოციალიზმის მიმართულებით სწორ ორიენტაციას მოითხოვდა. მაგრამ ასეთი მისიის შესრულება ყველას როდი შეეძლო.

იმპერიალიზმის აპოლოგეტები აქებდნენ და ადიდებდნენ მონოპოლისტურ გაერთიანებებს: ტრესტებს, სინდიკატებს, საბანკო მონოპოლიებს, აშკარად აფერადებდნენ კაპიტალის მაგნატების საქმიანობას. კაპიტალიზმის წვრილბურჟუაზიული კრიტიკოსები კმაყოფილდებოდნენ კაპიტალიზმის ცალკეული უარყოფითი მხარეების დაგმობით, მოითხოვდნენ ამ „ნაკლოვანებების“ გამოსწორებას და თავისუფალი კონკურენციის აღდგენას.

მართალია, კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომები თეორიული აზროვნების უდიდეს საგანძურს წარმოადგენდნენ და წარმოადგენენ, მაგრამ იმპერიალიზმის პერიოდის ყველა საკითხზე, ამ პერიოდის ახალ ამოცანებზე ისინი არ იძლეოდნენ ამომწურავ პასუხს. სწორედ ამ დროს (1910 წ.) გამოქვეყნდა

რ. ჰილფერდინგის ნაშრომი — „ფინანსური კაპიტალი“, რომელშიც იმპერიალიზმის ეპოქის ბევრი აქტუალური, კერძოდ, საბანკო და მრეწველური კაპიტალების ურთიერთკავშირის — საკითხია განხილული. ჰილფერდინგის ნაშრომმა მაშინვე მიიპყრო მკითხველთა ფართო მასების ყურადღება, [illegible] მეტად მნიშვნელოვანმა მოვლენამ. ზოგიერთი შეცდომის მიუხედავად, რომელიც წიგნს ახასიათებს, ვ. ი. ლენინმაც მას დადებითი შეფასება მისცა: „მიუხედავად ავტორის შეცდომისა ფულის თეორიის საკითხში და განსაკუთრებული მიდრეკილებისა, შეარიგოს მარქსიზმი და ოპორტუნიზმი, ეს თხზულება წარმოადგენს... ფრიად ძვირფას თეორიულ ანალიზს“[7].

ფინანსური კაპიტალის არსი ჯერ კიდევ ჰილფერდინგის წიგნის გამოქვეყნებამდე ბურჟუაზიულ ეკონომიკურ ლიტერატურაში შენიშნული იყო უოლ-სტრიტის თაყვანისმცემლის — ამერიკელი ჯონ მუდის მიერ, რომელიც წიგნში — „სიმართლე ტრესტების შესახებ“ — წერდა:

„მაშასადამე, ტრესტებში მთლიანად ბატონობს კაპიტალისტების წვრილი და მსხვილი ჯგუფების დახლართული ქსელი. ... ყველა ისინი წარმოადგენენ უფრო მსხვილი ჯგუფების დანამატებს ან ნაწილებს, რომლებიც თვითონ არიან დამოკიდებულნი ორი გიგანტური — როკფელერებისა და მორგანების — ჯგუფებისაგან. ეს ორი გიგანტური ჯგუფი ერთობლივად წარმოადგენენ ქვეყნის საქმიანი და კომერციული ცხოვრების გულს. ყველა დანარჩენი კი — არტერიებს, რომლებითაც დასერილია ქვეყნის მთელი ცხოვრება და, რომელთა გავლენა დაყვანილია თვითეულ ოჯახურ კერამდე ქალაქად და სოფლად. ისინი დაკავშირებულნი არიან ამ გიგანტურ ცენტრალურ წყაროებთან, დამოკიდებული არიან მათზე და ყველგან ბატონობს მათი გავლენა და პოლიტიკა“[8].

როგორც ვხედავთ, ამ მსჯელობაში აღნიშნულია მსხვილ ფინანსურ ჯგუფებსა და ტრესტებში გაერთიანებულ კაპიტალისტთა ურთიერთობა, სიახლოვე, მაგრამ ფინანსური კაპიტალი არ არის ხსენებული. ფინანსური კაპიტალის შინაარსი, თავისებური ფორმით, ხსენებულ ნაშრომში გადმოგვცა რ. ჰილფერდინგმა.

ფინანსური კაპიტალის ჰილფერდინგისეული განსაზღვრება საყოველთაოდ ცნობილია და მისი კიდევ ერთხელ მოყვანა შეიძლება საჭიროც არ იყოს, მაგრამ, როგორც უკვე აღვნიშნეთ, თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომისტებისა და სოციოლოგების ყალბი მტკიცება იმის შესახებ, თითქოს ფინანსური კაპიტალის მარქსისტულ-ლენინური კონცეფცია ძალას კარგავს და ქრება, — გვიკარნახებს, რომ ისევ დავუბრუნდეთ ფინანსური კაპიტალის ჰილფერდინგისეულ განსაზღვრებას, ვუჩვენოთ მისი ოპორტუნისტული ხასიათი. მართლაც, ფინანსური კაპიტალის ჰილფერდინგისეული განსაზღვრება რომ ერთადერთი იყოს და არ გვქონდეს მისი ლენინური განმარტება, შეგვეძლო გვეთქვა, რომ ბურჟუაზიული ეკონომისტები და სოციოლოგები შეიძლება სადღაც მართალნი არიან. მაგრამ ეს ასე არ არის.

ჩვენ გვაქვს ფინანსური კაპიტალის არსისა და მისი წარმოშობის ისტორიის ლენინური, ღრმა მეცნიერული დახასიათება, რაც სასტიკად ეწინააღმდეგება ბურჟუაზიულ კონცეფციებს. ვ. ი. ლენინის განსაზღვრებით, ფინანსური კაპიტალი ბატონობს კაპიტალისტური წარმოების ყველა სფეროში. იგი რთული ქსელითაა დაკავშირებული კაპიტალისტური მსოფლიოს ყველა ქვე-

[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 22, გვ. 241.
[8] J o h n M o o d y. The Truth about the Trusts NJ, 1904, p. 493.

ყანასთან, რაც იმპერიალიზმის ერთ-ერთ მძლავრ ეკონომიკურ დამახასიათებელ ნიშანს წარმოადგენს; სანამ იარსებებს იმპერიალიზმი, იარსებებს ფინანსური კაპიტალიც, ფინანსური პლუტოკრატია და, პირიქით, სანამ არსებობს ფინანსური კაპიტალი, იარსებებს იმპერიალიზმიც.

რ. ჰილფერდინგი სულ სხვა შეხედულებას ავითარებს ამ საკითხის მიმართ. მისი განსაზღვრებით, „სამრეწველო კაპიტალის სულ უფრო მზარდი ნაწილი არ ეკუთვნის იმ მრეწველებს, რომლებიც ამ კაპიტალს იყენებენ; კაპიტალის განმკარგულებელნი ისინი მხოლოდ ბანკის საშუალებით ხდებიან: ბანკი წარმოადგენს მათ მიმართ ამ კაპიტალის მესაკუთრეებს. მეორე მხრივ, ბანკსაც თავისი კაპიტალის სულ უფრო მზარდი ნაწილის მოთავსება უხდება მრეწველობაში, — ამის გამო იგი სულ უფრო და უფრო მეტად იქცევა სამრეწველო კაპიტალისტად. *საბანკო კაპიტალს, — მაშასადამე, ფულად ფორმაში, — რომელიც ამ გზით ნამდვილად სამრეწველო კაპიტალად არის გადაქცეული, მე ვუწოდებ ფინანსურ კაპიტალს*“. ქვევით რ. ჰილფერდინგი წერს: „... ფინანსური კაპიტალი არის კაპიტალი, რომელიც ბანკების განკარგულებაში იმყოფება და რომელსაც მრეწველები იყენებენ“[9].

როგორც ვხედავთ, რ. ჰილფერდინგის მიხედვით, ერთ პოლუსზე არსებობს საბანკო კაპიტალი, მეორე პოლუსზე — მრეწველური კაპიტალი. ისინი ერთმანეთს ხვდებიან იმის მიხედვით, თუ როგორია მოთხოვნა თითოეულ მათგანზე. მრეწველობას ამა თუ იმ ზომით ესაჭიროება ბანკის კაპიტალი, რაზედაც იგი პროცენტებს იხდის, ბანკს თავისი კაპიტალის გასადიდებლად ესაჭიროება პროცენტი. მართალია, როგორც რ. ჰილფერდინგი აღნიშნავს, ფინანსური კაპიტალი ვითარდება და უმაღლეს საფეხურს აღწევს მრეწველობის მონოპოლიზაციის გზით, მაგრამ ამით საქმის ვითარება არ იცვლება: ბანკის შემოსავალი მხოლოდ უფრო საიმედო და მყარი ხდება, რაც კიდევ უფრო მეტად აფართოებს ბანკის კაპიტალის მოთავსებას მრეწველობაში. „მრეწველობა უფრო მეტად ხდება დამოკიდებული საბანკო კაპიტალისაგან“ ანდა „ბანკის ძალაუფლება იზრდება, ისინი მრეწველობის დამფუძნებელნი და ბოლოს და ბოლოს ბატონ-პატრონები ხდებიან. როგორც ფინანსური კაპიტალი, ბანკები ისაკუთრებენ თავისთვის მრეწველურ მოგებას, ისე როგორც ერთ დროს ძველი მევახშე თავისი „პროცენტის“ ფორმით გამოგლეჯდა გლეხს შრომის შემოსავალს და მემამულეს კი რენტას“[10].

მთელი ამ მსჯელობიდან ნათლად ჩანს მრეწველობისათვის ბანკის საჭიროება, ბანკის მდგომარეობის იმდენად გაძლიერება, რომ იგი „ბატონდება“ მრეწველობაზე, — ეს არის და ეს; აქ ერთი სიტყვაც კი არ არის ნათქვამი საბანკო და მრეწველური კაპიტალების „დამოუკიდებლად“ არსებობაზე, მათს შერწყმაზე, მათს გაერთიანებაზე. ჰილფერდინგს ფინანსურ კაპიტალად მიაჩნია თითოეული მსხვილი ბანკი, რომელიც თავის კაპიტალს აბანდებს მრეწველობაში, მრეწველობა კი განცალკევებულად, „თავისთავად“ არსებულად გამოიყურება ბანკებთან შედარებით.

როგორც ვხედავთ, ეს არ არის ფინანსური კაპიტალის ნამდვილი, მეცნიერული დახასიათება, იგი არ გვიჩვენებს ფინანსური კაპიტალის ნამდვილ

---

[9] Р. Гильфердинг. Финансовый капитал, М., 1959, стр. 301.
[10] იქვე, გვ. 302.

სახეს, არსს. ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, რომ: „ეს განსაზღვრა სრული არაა იმდენად, რამდენადაც იქ აღნიშნული არ არის ერთ-ერთი [illegible] მნიშვნელოვანი მომენტი, სახელდობრ: წარმოებისა და კაპიტალის კონცენტრაციის, იმდენად ძლიერი ზრდა, როდესაც კონცენტრაციას შედეგად მოსდევს და მოჰყვა კიდევაც მონოპოლია“ მისივე განსაზღვრებით „ფინანსური კაპიტალი არის მონოპოლისტურ-მცირერიცხოვანი უდიდესი ბანკების საბანკო კაპიტალი, რომელიც შეეზარდა მრეწველთა მონოპოლისტური კავშირების კაპიტალს“[11]. მაშასადამე, ფინანსური კაპიტალის წარმოშობისათვის მთავარია წარმოების კონცენტრაცია, მისგან აღმოცენებული მონოპოლიური ბანკების შეერთება ანუ შეზრდა, რაც, რა თქმა უნდა, ჰილფერდინგს არ გააჩნდა. ფინანსური კაპიტალის ლენინური განსაზღვრება ძირეულად განსხვავდება ჰილფერდინგისეული განსაზღვრებისაგან, რასაც ჩქმალავენ ბურჟუაზიული მკვლევარები.

მოგვცა რა ფინანსური კაპიტალის ღრმა მეცნიერული დასაბუთება, ვ. ი. ლენინმა ამასთანავე კრიტიკის ქარცეცხლში გაატარა რ. ჰილფერდინგის კონცეფცია ამ საკითხის შესახებ, ამხილა მისი აშკარა ოპორტუნისტული ხასიათი. ფინანსური კაპიტალის ჰილფერდინგისეული განსაზღვრების დიდი შეცდომა, უწინარეს ყოვლისა, ის იყო, რომ იგი უარყოფდა წარმოების პრიმატს, უპირატესობას ანიჭებდა განაწილებას, გაცვლას, მოხმარებას. რ. ჰილფერდინგისათვის გამოსავალს წარმოადგენდა არა წარმოებაში, არამედ ფულის, კრედიტის, ბანკების, ბირჟების სფეროში მომხდარი ცვლილებები. წარმოებაში მომხდარ ცვლილებებს მისთვის მეორეხარისხოვანი მნიშვნელობა ჰქონდა. ამით აიხსნება ის, რომ ჰილფერდინგი გაცვლითს სფეროში მომხდარი ცვლილებების განხილვის შემდეგ, ამ ცვლილებების საფუძველზე განიხილავდა მრეწველური მონოპოლიების წარმოშობას. აქედან ჩანს, რომ იგი გადაჭარბებით აფასებდა ბანკების როლს, ხოლო კაპიტალისტური ექსპლუატაციის როლს იმპერიალიზმის ეპოქაში ამცირებდა. ჰილფერდინგი ამტკიცებდა, რომ „ბანკების ძალაუფლება იზრდება, ისინი ბოლოს და ბოლოს წარმოადგენენ მრეწველობის დამფუძნებლებს და მებატონეებს“[12]. მეტიც, იგი ბანკებს მიაწერდა მთელი კაპიტალისტური მეურნეობის „მაორგანიზებელ“ როლს. ამიტომ იყო, რომ ბანკების გაძლიერების კვალობაზე ჰილფერდინგს შესაძლებლად მიაჩნდა წარმოების ანარქიის თანდათანობით მოსპობა, ანარქიის შეცვლა კაპიტალისტური წარმოების „გეგმაზომიერი“ ორგანიზაციით. დამახასიათებელია, რომ თავის „ფინანსურ კაპიტალში“ ჰილფერდინგი არსად არ ხმარობს ტერმინებს: „შეზრდას“, „გადაჯაჭვას“; საბანკო მონოპოლიების მრეწველურ მონოპოლიებთან შ ე ზ რ დ ი ს, გ ა დ ა ჯ ა ჭ ვ ი ს გაცვლად, იგი ხმარობს გამოთქმას — ბ ა ნ კ ე ბ ი ს „ბ ა ტ ო ნ ო ბ ა“ მ რ ე წ ვ ე ლ ო ბ ა ზ ე.

---

[11] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი. თხზ., ტ. 22, გვ. 282, 334. „ფინანსური კაპიტალის ბატონობის შესახებ, —წერს მ. ვოლკოვი,—რომელიც კაპიტალიზმის უმაღლეს სტადიაზე—იმპერიალიზმზე გადასვლის პერიოდში ჩამოყალიბდა XIX და XX საუკუნეთა მიჯნაზე, წერდა ბევრი ეკონომისტი, მაგრამ მხოლოდ ვ. ი. ლენინმა ახსნა ფინანსური კაპიტალის არსი, რომელიც წარმოადგენს საბანკო-მონოპოლისტური და მრეწველურ-მონოპოლისტური კაპიტალების შეზრდას და გვიჩვენა, რომ ფინანსური კაპიტალის ბატონობა—იმპერიალიზმის ერთ-ერთი მთავარი ეკონომიური ნიშანია“. (М. В о л к о в, Финансовый капитал и финансовая олигархия, М., 1961. стр. 35).

[12] Р. Г и л ь ф е р д и н г. Финансовый капитал, стр. 302.

შემდეგი არსებითი ხასიათის შეცდომა, რომელიც რ. ჰილფერდინგმა დაუშვა თავის ნაშრომში, — კაპიტალის პარაზიტიზმის უგულებელყოფაა. ამ მხრივ, როგორც ვ. ი. ლენინი აღნიშნავდა, მან ჰობსონთან შედარებით ნაბიჯი გადადგა უკან. რ. ჰილფერდინგის ერთ-ერთი დიდი შეცდომა ისიც იყო, რომ იგი გვერდს უვლიდა თავის კავშირს ოპორტუნიზმთან, რომელსაც მაშინ ადგილი ჰქონდა მუშათა მოძრაობაში, ეწეოდა მარქსიზმის შერიგებას ოპორტუნიზმთან. ეს და მთელი რიგი სხვა შეცდომები და ნაკლოვანებანი, რომელიც გაიჩნდა ჰილფერდინგის აღნიშნულ გახმაურებულ ნაშრომს, როგორც ვთქვით, თავის დროზე ამხილა ვ. ი. ლენინმა, აღნიშნა მუშათა საერთაშორისო მოძრაობისათვის მისი საზიანო ხასიათი. ამჟამად კი მას ისევ ებღაუჭებიან ბურჟუაზიული ეკონომისტები და სოციოლოგები.

აღსანიშნავია, რომ იმპერიალიზმის, კერძოდ, ფინანსური კაპიტალის ლენინური კონცეფცია სავსებით დაადასტურა სინამდვილემ. არა ბანკების ბატონობა მრეწველობაზე, მრეწველობის დამორჩილება ბანკების მიერ, არამედ მათი ურთიერთშეზრდა და ფინანსური კაპიტალის მონოპოლიის წარმოქმნა, ფინანსური ოლიგარქიის ბატონობის გაძლიერება — აი რა ახასიათებს თანამედროვე იმპერიალისტურ სამყაროს. ბურჟუაზიის თანამედროვე დამცველები თავიანთი კონცეფციის გასამართლებლად მიმართავენ ფინანსური კაპიტალის არა ლენინურ, არამედ ჰილფერდინგისეულ განსაზღვრებას. ეს გასაგებიცაა, ვინაიდან, როგორც თვით ჰილფერდინგი აღნიშნავს, ფინანსურ კაპიტალს თავის სრულყოფის პროცესში შეუძლია მოსწყდეს იმ მკვებავ საფუძველს, რომელზედაც იგი აღმოცენდა. „ეს — შეგნებული რეგულირებული საზოგადოებაა ანტაგონისტურ ფორმაში. მაგრამ ეს ანტაგონიზმი არის განაწილების ანტაგონიზმი"[13]. მაშასადამე, იგი შეიძლება სხვაგვარადაც გაიგებოდეს.

რ. ჰილფერდინგი იყო გაცვლითი კონცეფციის წარმომადგენელი, რომლის მიხედვით იგი ხსნიდა კაპიტალიზმის ყველა მოვლენას. მაგალითად, კაპიტალისტური ეკონომიკის შეფერხების მიზეზებს ჰილფერდინგი ხედავდა არა წარმოების პროცესის, არამედ მიმოქცევის პროცესის დარღვევაში. კრიზისის მიზეზად მას მიაჩნდა არა კაპიტალიზმის ძირითადი წინააღმდეგობა, არამედ საქონელთა მიმოქცევის პირობების ცვლილება. კრიზისის ახსნა, ამბობდა ჰილფერდინგი, „შეიძლება მხოლოდ კაპიტალისტური საქონლური მიმოქცევის სპეციფიკური პირობებიდან გამომდინარე"[14]. აღსანიშნავია, რომ იმპერიალიზმისა და ფინანსური კაპიტალის ანალიზის ამ ანტიმეცნიერული თვალსაზრისიდან ჰილფერდინგი ლოგიკურად მივიდა საერთაშორისო პროლეტარიატის კლასობრივი ინტერესების გამცემლობამდე და ჰიტლერის დიქტატურის პერიოდში ფაშიზმის ერთგული მსახური გახდა. საჭიროა ამის შესახებ იცოდნენ იმპერიალიზმის თანამედროვე აპოლოგეტებმა, რომლებსაც სურთ იგი ვ. ი. ლენინს დაუპირისპირონ, გამოაცხადონ ჰილფერდინგი თანამედროვე კაპიტალიზმის თეორიული ანალიზის საქმეში მთავარ ავტორიტეტად.

ფინანსური კაპიტალისა და ფინანსური ოლიგარქიის განვითარებამ თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში ისეთი გაქანება მიიღო, რომ არ არსე-

[13] Р. Гильфердинг, დასახ. შრ., გვ. 312.
[14] იქვე, გვ. 320.

ბობს არც ერთი საშუალო და წვრილი საქონელმწარმოებელიც კი (არც ქალაქად და არც სოფლად), რომლებიც არ იყვნენ მისგან დამოკიდებული. მათ დასამორჩილებლად ფინანსურ კაპიტალს გააჩნია ბანკები. საბანკო მონოპოლიები კრედიტებისათვის; ახორციელებს სრულ კონტრ[illegible] კიდებელ ფირმებზე. მაგრამ ეს კიდევ არ არის ყველაფერი. ფინანსური კაპიტალი, ბანკების გარდა, ფლობს სხვა საშუალებებსაც: სატრანსპორტო, კავშირგაბმულობის მონოპოლიებს და სხვ.

მაგრამ ახლა, საინტერესოა, გავიგოთ ტერმინების „შეერთების“ და „შერწყმის“ შინაარსი, მათი მნიშვნელობა. შეერთებასა და შერწყმას შორის არის აზრობრივი განსხვავება. საბანკო მონოპოლიის შეერთება მრეწველურთან გულისხმობს მათს ორგანიზაციულ გაერთიანებას ერთ მონოპოლიაში. ეს მიიღწევა, მაგალითად, ან კონცერნის ფორმით, სადაც ერთი კომპანიის საკუთრებაში ერთდროულად იმყოფება მრეწველური საწარმოები, კომერციული ბანკები, სადაზღვევო კომპანიები და სხვ., ან ბანკის მიერ მრეწველური ბანკის შესყიდვის ფორმით. საბანკო მონოპოლიის შერწყმა მრეწველურთან ერთ მონოპოლიაში მიიღწევა მათი ორგანიზაციული გაერთიანების გარეშე ფინანსური კაპიტალით განმტკიცებული მჭიდრო კავშირების, მსხვილ აქციონერებთან ერთად, ხელმძღვანელობის პირადი უნიის გზით და სხვ. ეს ფინანსური კაპიტალის წარმოშობის ყველაზე უფრო მოქნილი და უფრო გავრცელებული ფორმაა[15].

ფინანსური კაპიტალის შექმნაში მონაწილეობს როგორც ნამდვილი, ისე ფიქტიური კაპიტალი, — ესენი მის ნაწილებს შეადგენენ; მონოპოლიზებულ ფიქტიურ კაპიტალში თითქმის ყოველთვის შედის ისეთი ფასიანი ქაღალდები, რომლებიც ბანკის ხელში იმყოფებიან უფრო ადრე, ვიდრე თავიანთი მფლობელის ხელში მოხვდებოდნენ. მრეწველური მონოპოლიის ფიქტიური კაპიტალის მნიშვნელოვანი ნაწილი ბანკების პირდაპირ საკუთრებაში იმყოფება როგორც მათი ნამდვილი კაპიტალის ნაწილი. მაგრამ აქედან არ გამომდინარეობს, რომ ყველა ფიქტიური კაპიტალი არის ფინანსური კაპიტალის ნაწილი (მაგალითად, წვრილი მწარმოებლების აქციები). ეს რომ ასე იყოს, მაშინ არც იმის „საჭიროება იქნებოდა ერთმანეთისაგან განგვესხვავებინა „შეერთება“ და „შერწყმა“. ფიქტიური კაპიტალის მოძრაობაში ჩვენ ვხედავთ შეერთებას, ნამდვილი კაპიტალის მოძრაობაში ჩვენ საქმე გვაქვს საბანკო და მრეწველურ კაპიტალის შერწყმასთან, ერთი ავსებს მეორეს[16]. თუ ამ კუთხით განვიხილავთ საკითხს, კიდევ უფრო ნათლად დავინახავთ ჰილფერდინგის მიერ ფინანსური კაპიტალის განსაზღვრების ცალმხრივობას.

როგორც ცნობილია, მარქსის მიერ მოგების დაყოფა პროცენტად და მეწარმის შემოსავლად დამყარებულია იმაზე, რომ მრეწველური კაპიტალის უმეტესი ნაწილი, თუ მთლიანად არა, ნასესხებს წარმოადგენს. აქედან ის არ გამოდის, რომ ყოველი ასეთი კაპიტალი შეიძლება იყოს ფინანსური კაპიტალი. ასევე ბანკირი არ შეიძლება იქცეს მრეწველ კაპიტალისტად მხოლოდ იმიტომ, რომ იგი სესხს აძლევს მრეწველებს. ჰილფერდინგის ფინანსური კაპიტალის განსაზღვრება კი ასეთ საფუძველს ემყარება, მას ფინანსური კაპიტალის გაგება გამოყავს „ბანკებზე მრეწველობის მზარდი დამოკიდებულებისა-

[15] С. М. Меньшиков, Миллионеры и менеджеры, М., 1965. стр. 228-229.
[16] იქვე, ლასახ. ნაშრ., გვ. 231.

გან“. მაგრამ, უწინარეს ყოვლისა, ე. წ. ბანკების ახალი როლი ფინანსური კაპიტალის წარმოშობის პროცესის ერთი მხარეა, მეორე მხარე კი წარმოადგენს ბანკების გადაქცევა თავდაბალი შუამავლიდან კრედიტის ყოვლისშემძლე მონოპოლისტად; მისი ასეთად გადაქცევა მრეწველობის [illegible]ბის მზარდი სპეციალიზაციის შედეგი კი არ არის, არამედ საბანკო საქმის კონცენტრაცია და ერთი მუჭა საბანკო გიგანტების ხელში საზოგადოების თავისუფალი ფულადი საშუალებათა მნიშვნელოვანი ნაწილის ცენტრალიზაციის შედეგია.

ამგვარად, წარმოების კონცენტრაციიდან და მონოპოლიებიდან აბსტრაჰირება საშუალებას არ აძლევს ჰილფერდინგს თავის მსჯელობაში სწორი აზრი იქონიოს ფინანსურ კაპიტალზე. ამ ფონზე ჩვენ კიდევ უფრო მეტი ძალით წარმოგვიდგება ვ. ი. ლენინის დებულების მნიშვნელობა იმის შესახებ, რომ ფინანსური კაპიტალის წარმოშობისათვის აუცილებელი პირობები იყო წარმოების კონცენტრაცია, მისგან აღმოცენებული მონოპოლიები და ბანკების შეერთება ანუ შეზრდა მრეწველობასთან.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მერაბ ხურცილავა

# დასავლეთ გერმანიის პროფკავშირთა მოთხოვნები წარმოების მართვაში მონაწილეობის უფლების შესახებ

გერმანიის მუშათა კლასის ბრძოლას წარმოების მართვაში მონაწილეობის უფლების მოპოვების შესახებ ას წელზე მეტი ხნის ისტორია აქვს. XIX-XX სს. მიჯნაზე ბრძოლა ამ უფლებისათვის ძლიერდება: 1905 წელს პრუსიის სამთო მრეწველობის მუშათა პირველმა ყრილობამ მოითხოვა საწარმოებში მუშათა კომიტეტების შექმნა „ნამდვილი უფლებამოსილებით“; პირველი მსოფლიო ომის დროს, 1916 წლის 5 დეკემბერს გამოიცა კანონი „დამხმარების სამამულო სამსახურის შესახებ“, რომლითაც გათვალისწინებული იყო „მუშათა კომიტეტების“ შექმნა საწარმოებში. ამ კანონს, რომლის მიზანი იყო მუშათა ჩათრევა გერმანიის იმპერიალიზმის აგრესიულ პოლიტიკაში, ხშირად ემყარებოდნენ და ემყარებიან წარმოების მართვაში მუშათა მონაწილეობის მოძრაობის მოწინააღმდეგეები. 1918 წლის რევოლუციის დროს გერმანიის მუშების მოთხოვნა წარმოების მართვაში მონაწილეობის შესახებ დაკავშირებული იყო მსხვილი მრეწველობის ნაციონალიზაციის ლოზუნგთან, თუმცა ეს რევოლუცია დამარცხდა და მონოპოლისტური ბურჟუაზიის ექსპროპრიაცია აცილებული იქნა, რევოლუციური ბრძოლებით შეშინებული ბურჟუაზია იძულებული გახდა წასულიყო ზოგიერთ მნიშვნელოვან დათმობებზე; ასე, მაგალითად: მუშათა მოთხოვნებმა ეკონომიკის რეგულირებაში მონაწილეობის შესახებ გამოხატულება ჰპოვა ვაიმარის კონსტიტუციის 165-ე მუხლში: „მუშები და მოსამსახურეები მოწოდებულნი არიან, თანასწორი უფლებებით მონაწილეობდნენ მეწარმეებთან ერთად როგორც შრომის პირობებისა და ხელფასის რეგულირებაში, ასევე მწარმოებლური ძალების განვითარებაში“[1]. კლასობრივი ძალების თანაფარდობის შემდგომმა ცვლილებამ ბურჟუაზიის სასარგებლოდ გააკეთა ის, რომ კონსტიტუციის ეს მუხლი დარჩა მხოლოდ ქაღალდზე. ვაიმარის რესპუბლიკის არსებობის შემდგომი წლებიდან მართვაში მონაწილეობის მოთხოვნა გაიჟღინთა რეფორმისტული სულით. პროფკავშირებმა რომლებიც არასწორ ტაქტიკას დაადგნენ ამ მოთხოვნის მიმართ, ნაწილობრივ თვითონ დაუთმეს კლასობრივი ბრძოლის ეს მხარე ოპორტუნისტებს. ფაშიზმის დიქტატურის დროს ეკონომიკის მართვაში მუშათა მონაწილეობის შესახებ ბრძოლაზე ლაპარაკიც ზედმეტი იყო, რადგანაც მუშათა კლასის ყოველგვარი დემოკრატიული ორგანიზაცია განადგურებული იყო.

დასავლეთ გერმანიის ბურჟუაზია, რომელიც მნიშვნელოვნად დასუსტდა ომის შედეგად, ვერ უწევდა წინააღმდეგობას მუშათა კლასის აქტიურ მოქმედებას. ამ პირობებში მონოპოლისტები და მათი პოლიტიკური დამქაშები იძულებულნი იყვნენ, ზოგი რამ დაეთმოთ და 1946 წლის 7 აპრილს ადენაუერმა განაცხადა „ჩვენ გვსურს მუშათა მონაწილეობა არა მარტო ხელმძღვანელობაში და თვითმმართველობის ორგანოებში, არამედ — მსხვილ აქციონერულ საზოგადოებებშიც“[2].

თანდათანობით, რურის კონცერნის მფლობელებმა გაიმაგრეს პოზიციები და უკვე 1950 წ. მუშები იძულებულნი გახდნენ თავი დაეცვათ მონოპოლიების პირდაპირი ცდებისაგან — მოესპოთ წარმოების მართვაში მუშათა მონაწი-

---

[1]. «Mitlestimmuung -eine Forgerung unserer Zeit», Iherausgeber. Deutscher Gewerkschaftsbund, Düsseldorf, o. y., S. 7.

[2] Deutsche Gewerkschaftsbund, Bundesvorstand, Düsseldorf, O. J., S. 7. 1960.

ლეობის უფლება. პროფკავშირების მოწოდებით, რურის მშრომელები დაირაზმნენ საყოველთაო გაფიცვის მოსაწყობად, რომელიც [illegible] ბოდა მათ მიერ მოპოვებული უფლების დასაცავად [illegible] გაფიცვის შიშით, ბუნდესტაგმა 1951 წ. 21 მაისს მიიღო კანონი „სამთო მრეწველობის საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოებში მუშათა მონაწილეობის შესახებ“. ამ კანონის თანახმად, სამთო მრეწველობის საწარმოების სამეთვალყურეო საბჭოების შემადგენლობაში უნდა შესულიყო მეწარმეებისა და მუშების თანატოლი რაოდენობა, აგრეთვე, ერთი — „ნეიტრალური“ წევრი, რომლის კანდიდატურა მოწონებული იქნება ორივე მხარის მიერ. ამას გარდა, კონცერნის მმართველობის შემადგენლობაში შედიოდა დირექტორი შრომის დარგში. მისი კანდიდატურა მტკიცდებოდა სამეთვალყურეო საბჭოს მუშათა მხარის მიერ. დირექტორის კომპეტენციაში შედიოდა კადრების საკითხი, პროფესიული მომზადება, შრომის უსაფრთხობა და სოციალური უზრუნველყოფა. 1952 წ. 11 ოქტომბერს ბუნდესტაგმა მიიღო კანონი მუშათა წარმომადგენლობის შესახებ საწარმოებში (Betriebsverfassungestz), რომელმაც გამოხატა პოლიტიკური ძალების ცვლილება გფრ-ში მონოპოლისტური ბურჟუაზიის სასარგებლოდ. ეს კანონი, მუშათა კლასის ინტერესების თვალსაზრისით, უკან გადადგმული ნაბიჯი იყო 1951 წლის კანონთან შედარებით.

მართვაში მუშათა მონაწილეობის უფლებისათვის ბრძოლის ახალ ეტაპს წარმოადგენდა მიტინგი დორტმუნდში 1965 წ. 6 ოქტომბერს, რომლითაც გერმანიის გაერთიანებულმა პროფკავშირმა (გგპ) საფუძველი ჩაუყარა წარმოების მართვაში მუშების მონაწილეობისათვის ბრძოლის ახალ კამპანიას. პროფკავშირებმა წამოაყენეს მოთხოვნა ყველა მსხვილ საწარმოში — ეკონომიკური და სოციალური საკითხების გადაწყვეტისას — მუშათა თანასწორუფლებიანი მონაწილეობის უფლების მოპოვების შესახებ. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა პროფკავშირულ მოთხოვნებს — ეკონომიკის მართვაში მშრომელთა მონაწილეობის შესახებ — მიეცა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციით წამოჭრილ პრობლემებთან დაკავშირებით. გფრ-ის მუშათა კლასი, ინტელიგენცია, ხალხთა ფართო მასები სისხლხორცეულად არიან დაინტერესებულნი იმით, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ემსახურებოდეს სოციალური პროგრესისა და მშვიდობის საქმეს. სერიოზული წარმატებების მიღწევა ამ მიზნების განხორციელებისათვის შესაძლებელია მხოლოდ ისეთი ღონისძიებებისა და გარდაქმნების გატარების შედეგად, რომლებიც დაასუსტებდნენ მონოპოლიების კონტროლს ეკონომიკაზე და განაპირობებდნენ მასების დემოკრატიული უფლებების გაფართოებას. პროფკავშირებს, რომლებიც წარმოადგენენ მშრომელთა ყველაზე მასობრივ ორგანიზაციას, შეუძლიათ დიდად შეუწყონ ხელი ამ ამოცანების განხორციელებას.

გერმანიის კომუნისტური პარტიის პროგრამის პროექტში ნათქვამია: „სახელმწიფო გადაწყვეტილებების სულ უფრო ძლიერი გავლენა ეკონომიკურ ცხოვრებაზე, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ზემოქმედება მილიონობით მუშებისა და მოსამსახურეების მდგომარეობასა და შრომის პირობებზე, პროფკავშირებს აყენებს იმის აუცილებლობის წინაშე, რომ მსხვილი კაპიტალის ეკონომიკურ პოლიტიკას დაუპირისპიროს საკუთარი ალტერნატივა. პროფკავშირები მით უფრო მეტ წარმატებებს მიაღწევენ, რაც უფრო ენერ-

გიულად იბრძოლებენ ისინი მშრომელი ადამიანების პოლიტიკური და სოციალური ინტერესებისათვის ცხოვრების ყველა სფეროში"[3].

მონოპოლისტური კაპიტალისადმი წაყენებული პროფკავშირული ალტერნატივის მნიშვნელოვან ნაწილს წარმოადგენს მოთხოვნები მართვაში მუშების მონაწილეობის უფლების შესახებ; გასაგებია, რომ საკითხი ეხება მმართველობაში მშრომელთა ნამდვილ მონაწილეობას, რომელიც მიმართულია მონოპოლიების ძალაუფლების შეზღუდვისაკენ და არა მშრომელების მიერ კონცერნების მოჩვენებითს კონტროლზე. პროფკავშირული მოთხოვნები მართვაში მონაწილეობის უფლების შესახებ მიმართულია მასზე, რომ ზემოქმედება მოახდინოს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მოთხოვნების შესაბამისად ეკონომიკურ და საზოგადოებრივ განვითარებაზე. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მომწიფებული ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური პრობლემები, მათი გადაწყვეტის შეუძლებლობა სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური სისტემის პირობებში გვიჩვენებს იმის გადაუდებელ საჭიროებას, რომ მუშათა კლასი, პროფკავშირები და სხვა დემოკრატიული და მშვიდობისმოყვარე ძალები დაადგნენ საკუთარ გზას, გამოიმუშავონ დემოკრატიულად დასაბუთებული ალტერნატივის პროგრამა, მიმართული სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის წინააღმდეგ — ტექნიკური და საზოგადოებრივი პროგრესისათვის. მმართველობაში მონაწილეობის მოთხოვნას, ამავე დროს, დიდი მნიშვნელობა აქვს ყველა ეკონომიკური, სოციალური და პოლიტიკური მოთხოვნის განხორციელებისათვის.

კლასობრივი ბრძოლის ტაქტიკა გფრ-ში გვიჩვენებს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის გამოყენება ხალხის კეთილდღეობისათვის შესაძლებელია მხოლოდ იმ პირობით, თუ პროფკავშირები მართვაში მუშათა მონაწილეობის უფლებას განიხილავენ როგორც ბრძოლის იარაღს მონოპოლიების წინააღმდეგ, გაატარებენ დამოუკიდებელ პოლიტიკას, უარყოფენ შრომასა და კაპიტალს შორის „სოციალური პარტნიორობის" ყოველგვარ ვარიანტს. მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საკითხები თავიანთ გამოხატულებას პოულობენ გფრ-ის პროფცენტრის საპროგრამო დოკუმენტებში. ყველგან ხაზგასმულია პროფკავშირების დადებითი დამოკიდებულება ტექნიკური პროგრესისადმი, მაგრამ, ამასთანავე, აღნიშნულია, რომ მისმა დანერგვამ წარმოებაში უნდა უზრუნველყოს მშრომელთა კეთილდღეობა, სოციალური პროგრესი. პროფკავშირები იწონებენ ტექნიკურ პროგრესს როგორც ცხოვრების დონის ამაღლებასა და ადამიანის შრომის გაადვილების მნიშვნელოვან ფაქტორს. ტექნიკური პროგრესი უნდა ემსახურებოდეს საერთო კეთილდღეობას. ეკონომიკური და სოციალური სიძნელეები რომლებიც შეიძლება წარმოიშვან ახალი ტექნიკის დანერგვისა და რაციონალიზაციის შედეგად, მუდმივი მეთვალყურეობისა და გამოკვლევის საგანი უნდა გახდეს.

ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა აუცილებლად იწვევს ცვლილებებს ეკონომიკის სტრუქტურაში, პროფესიულ შედგენილობაში, შრომის ხასიათში. პროფკავშირების მესვეურთა აზრით, ეს პროცესები დროულად უნდა იქნან შეცნობილნი და საქარხნო საბჭოების მონაწილეობით უნდა გამომუშავდეს შესაბამისი ღონისძიებები მშრომელთა ინტერესების შესაბამისად.

[3] Programm der Kommunistischen Partei Deutschlands in «Neues Deutschland», 13. Februar, 1968, S. 5.

პროფკავშირული პროგრამის პოპულარიზაციისათვის გამოცემულ ბროშურაში აღნიშნულია, რომ რაციონალიზაციისა და ავტომატიზაციის შედეგად შეიცვლება შრომის ხასიათი, წარმოიშობა ახალი პროფესიები, ახალი ტექნიკის დანერგვის შესაძლებელი ნეგატიური სოციალური შედეგები შესუსტებული და აცილებული უნდა იქნას შემდეგი გზებით: 1. წარმოების მართვაში მშრომელთა მონაწილეობით, 2. სატარიფო ხელშეკრულებების დადებით, 3. შრომითი ბაზრის გეგმური სახელმწიფო პოლიტიკის გატარების გზით[4].

დასავლეთ გერმანიის გაერთიანებული პროფკავშირების საპროგრამო დოკუმენტებში დასახულია რიგი ღონისძიებები, რომლებმაც ხელი უნდა შეუშალონ ახალი ტექნიკის დანერგვის შედეგად მოსალოდნელ უარყოფით შედეგებს; ამ მიზნით წამოყენებულია წინადადება, რომ, საწარმოებში ორგანიზაციულ-ტექნიკური ცვლილებების გეგმის დამუშავებასთან ერთად, შემუშავდეს, აგრეთვე, სოციალური გეგმები, რომლებშიც გათვალისწინებული იქნება მშრომელთა დასაქმების უზრუნველყოფა, მათი ხელახალი სწავლება; განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს სამუშაო ადგილებისა და ხანშიშესული მუშებისათვის ხელფასის დონის შენარჩუნებას, რადგანაც მათთვის უფრო ძნელია ახალ პროფესიასთან შეგუება და მათს ხელფასზეა დამოკიდებული მოხუცებულობის გამო მისაღები პენსიის ოდენობა. ფედერაციული გერმანიის გაერთიანებული პროფკავშირების 1966 წლის მაისის კონგრესზე მიღებულია სპეციალური რეზოლუცია — „ტექნიკური განვითარება, ავტომატიზაცია და სოციალური უზრუნველყოფა" — სადაც აღნიშნულია, რომ ტექნიკური პროგრესის არც შეფერხება შეიძლება და არც შეჩერება, მაგრამ, ამასთანავე, უზრუნველყოფილი უნდა იქნას მასზე გონივრული კონტროლი ეწეოდეს და იყოს ყველასათვის სასარგებლო. აქვე წამოყენებულია რიგი მოთხოვნები, რომლებიც მიმართულნი არიან ფედერალური მთავრობისადმი და მეწარმეებისადმი; განსაკუთრებით მნიშვნელოვანია შემდეგი მოთხოვნები: „ავტომატიზაციისა და ტექნიკური განვითარების ფედერალური ბიუროს შექმნა სამინისტროების, სამეცნიერო ცენტრებისა და კერძო პირების საქმიანობის კოორდინაციისათვის პროფკავშირების მონაწილეობით; შრომის ბაზრის ინსტიტუტის შექმნა; მეცნიერული გამოკვლევების ჩატარება ახალი ტექნიკის ეკონომიკური და სოციალური ზემოქმედების გარკვევისათვის; რეგიონალური და სტრუქტურული პოლიტიკის დაგეგმვა სახალხო მეურნეობის მოთხოვნილების შესაბამისად; მშრომელთა ყველა კატეგორიებზე დაზღვევის გავრცელება; ტექნიკურ განვითარებასთან დაკავშირებული სოციალური ღონისძიებების დაფინანსებისათვის სოციალური ფონდის შექმნა; მშრომელთა პროფესიული სწავლების პროგრესული სისტემის დანერგვა"[5].

გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროფკავშირებს კარგად ესმით, რომ მშრომელთა კეთილდღეობის ამაღლებისათვის ტექნიკური პროგრესის გამოყენება მჭიდროდაა დაკავშირებული ეკონომიკის ყველა საკითხის გადაწყვეტაში მშრომელთა აქტიური მონაწილეობის განხორციელებასთან. პროფკავშირების მოთხოვნები მეცნიერულ-ტექნიკურ პროგრესთან დაკავშირებულ

---

[4] «Aktionsprogramm 69», Iherausgeber DGB. Mei 1970, S. 22.

[5] Entschliessung des 7. DGB—Kongresses. «Technische Entwiklung, Automation und soziale Licherheit». in «Mitbestimmung—Gretschenfrage der Demokratie». Berlin, 1967, S. 232.

საკითხებზე ძირითადად მიმართულნი არიან ორი ურთიერთდაკავშირებული ამოცანის გადაჭრასთან: 1. *ბურჟუაზიის მხრიდან მატერიალური დათმობის მოპოვება* — ხელფასის ამაღლება, სამუშაო დროის შემცირება, ტექნიკური რეკონსტრუქციის შედეგად სამუშაო ადგილების დაკარგვასთან დაკავშირებული მატერიალური ზარალის ანაზღაურება და სხვ., 2. *მშრომელთა აქტიური ზემოქმედების მიღწევა მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მსვლელობაზე მის ხასიათზე, დასაქმებულობის უზრუნველყოფაზე.* ამ ამოცანების გადაჭრას დიდი მნიშვნელობა აქვს მშრომელებისათვის, მაგრამ, ამასთანავე, დასავლეთ გერმანიის პროფკავშირებმა უნდა გაითვალისწინონ ის მდგომარეობა, რომ გფრ-ის ბურჟუაზია თავისი მიზნების მიღწევისათვის ხშირად მიდის ზოგიერთ მატერიალურ დათმობებზე. დასავლეთ გერმანიის მონოპოლიებისა, მათი სახელმწიფოსა და იდეოლოგებისათვის სრულიად ნათელია, რომ მათი ძალაუფლება მანამ იმოქმედებს წარმატებით, სანამ არ იქნება მუშათა კლასიდან, განსაკუთრებით პროფკავშირის აქტიური გავლენა განხორციელებული. ამიტომ ისინი სხვადასხვა საშუალებებით იბრძვიან იმისათვის, რომ მასობრივი დემოკრატიული ბრძოლის მთავარმა ძალამ — პროფკავშირებმა — ვერ გამოავლინოს თავი. მნიშვნელოვან ფაქტორს, რომელიც აიძულებს გფრ-ის მონოპოლიებს წავიდნენ დათმობებზე, წარმოადგენს, აგრეთვე, გერმანიის დემოკრატიული რესპუბლიკის არსებობა და მისი დიდი სოციალური მიღწევები.

ამასთანავე, აღსანიშნავია, რომ მონოპოლისტური ბურჟუაზია მიდის მხოლოდ ისეთ დათმობებზე, რომლებიც სრულიადაც არ ავიწროვებენ მათი ძალაუფლების სფეროს. ძალზე მნიშვნელოვანია, რომ ეს მომენტი გაითვალისწინონ პროფკავშირებმა თავიანთ მოთხოვნებში. მონოპოლიები შემდეგშიაც წავლენ დათმობებზე, მხოლოდ ისე, რომ არ დაკარგონ ძალაუფლების არც ერთი სექტორი. სწორედ ამ დროს ვლინდება გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის პროფკავშირების მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციასთან დაკავშირებული მოთხოვნების განსაკუთრებული მნიშვნელობა, რომელიც მდგომარეობს იმაში, რომ გავლენა მოახდინონ მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ხასიათზე მუშათა კლასის სასარგებლოდ. ერთის მხრივ მსხვილი ბურჟუაზია იბრძვის ამ პროფკავშირული ამოცანის გადაწყვეტის წინააღმდეგ. მეორეს მხრივ ზოგიერთი პროფკავშირული მუშაკების რეფორმისტული შეხედულებები უბიძგებენ მუშათა კლასს ილუზიებისაკენ — მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პრობლემების ისეთი გადაწყვეტისაკენ, რომლებიც იქნებოდნენ „ყველასათვის ხელსაყრელი", ე. ი. კაპიტალისტებისთვისაც და მშრომელებისთვისაც. ასეთ რეფორმისტებს შეიძლება მიეკუთვნოს მაგალითად, გერმანიის ფედერაციული რესპუბლიკის მეტალისტთა პროფცენტრის ზოგიერთი წარმომადგენლები.

გფრ-ის მეტალისტთა პროფკავშირების ხელმძღვანელებმა ვერ გამოავლინეს სათანადო სიმტკიცე. ეს კერძოდ შედეგია იმ ილუზიისა, რომელიც გულისხმობდა კაპიტალისტებთან მუშების „ურთიერთსარგებლიანი" გადაწყვეტილების შესაძლებლობებს.

მეტალისტთა პროფკავშირების გამგეობის ხელმძღვანელმა ოტო ბრენერმა ერთ-ერთ-თავის გამოსვლაში აღნიშნა: „ჩვენ გვინდა მხარი დავუჭი-

რით მეწარმეებს იმისათვის, რომ წინ წავწიოთ ტექნიკური პროგრესი... მაგრამ ჩვენ ამასთანავე ველოდებით მეწარმეებისგანაც, რომ ისინი გაითვალისწინებენ მომენტის მნიშვნელობას და ყველაფერს გააკეთებენ იმისათვის, რომ პროფკავშირებთან ერთად გადაჭრან ის ამოცანები, რომლებიც [illegible] იქნებიან მშრომელებისათვის"[6]. აქედან ჩანს, რომ მელითონეთა პროფკავშირი გამოდის იქიდან, რომ მეწარმეებთან ერთად შეიძლება გადაწყდეს საწარმოთა მოდერნიზაციის საკითხი, მელითონეთა მრეწველობის მეწარმეთა კავშირის რეაქცია ამ საკითხზე კი გვიჩვენებს, რომ ასეთი თანამშრომლობა შეუძლებელია.

მეწარმეები პირველ რიგში ზრუნავენ არა იმისათვის, რომ მაღალმწარმოებლური წარმოება შექმნან მშრომელების მდგომარეობის გასაუმჯობესებლად, არამედ რაციონალიზაციის დახმარებით მათ სურთ მიიღონ რაც შეიძლება მაღალი მოგება, სწორედ ამაში მდგომარეობს ინტერესების წინააღმდეგობა, რომლის დაძლევაც ამ გზით არ შეიძლება. „ეკონომიურ ბრძოლას შეუძლია გამოიწვიოს მუშათა მასების მდგომარეობის მტკიცე გაუმჯობესება და მათი ჭეშმარიტად კლასობრივი ორგანიზაციის განმტკიცება მხოლოდ იმ პირობით თუ ეს ბრძოლა სწორად იქნება შეხამებული პროლეტარიატის პოლიტიკურ ბრძოლასთან"[7] — წერდა ვ. ი. ლენინი.

**დასავლეთ გერმანიის მუშათა კლასის ბრძოლას ეკონომიკის მართვაში მონაწილეობის უფლების მოპოვებისათვის მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის პირობებში აქვს კონკრეტული მიზნები და მისი განხორციელება შექმნის ხელსაყრელ პირობებს მუშათა კლასის ბრძოლის შემდგომი გაშლისა და გაღრმავებისათვის.**

---

[6] «Die Arleit», № 9, Berlin, 1969. S. 41.

[7] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, ტაქტიკური პლატფორმა გამაერთიანებელი ყრილობისათვის, თხზ., ტ. 10, გვ. 180-182.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

Г. В. КОРАНАШВИЛИ

# К ПРОБЛЕМЕ СОДЕРЖАНИЯ И ЭВОЛЮЦИИ СПОСОБА ПРОИЗВОДСТВА

Во время происходивших в советской и зарубежной марксистской науке дискуссий о докапиталистических формациях четко проявились многие трудности методологического характера. Оказалось, что давно известные теоретические взгляды далеко не всегда отражают минувшую историческую действительность; более того: эти взгляды не всегда вытекают из наследия классиков исторического материализма и полное освоение последнего можно при хорошем знании исторической действительности. Одну из таких методологических трудностей представляет недостаточная разработанность категории способа производства. Экономист А. Д. Гусаков правильно замечает: «Однако эти понятия (общественные производительные силы, производственные отношения, способ производства Г. К.) в существующих учебниках политической экономии (а также исторического материализма Г. К.) трактуются очень абстрактно, схематично. Например, производительные силы определяются как средства производства, состоящие из средств труда и предметов труда, а также людей, приводящих их в действие и осуществляющих производство материальных благ. В такой формулировке понятие общественных производительных сил есть абстракция, и как всякая абстракция — понятие, отвлеченное от конкретных исторических общественных форм своего бытия и развития, она полезна, но ничего не вносит в понимание содержания общественных производительных сил при том или ином способе производства»[1] В нашей статье мы постараемся раскрыть содержание уровня производительных сил конкретного общества и тем самым способа производства последнего.

НЕСКОЛЬКО СЛОВ О ТРУДНОСТЯХ, ВОЗНИКШИХ НА ПРОХОДЯЩЕЙ ДИСКУССИИ ПО ДОКАПИТАЛИСТИЧЕСКИМ ОБЩЕСТВАМ. Докапиталистические способы производства часто перечисляют по такому порядку: первобытный коммунистический, рабовладельческий и феодальный. Но историческая действительность оказывается намного сложней, чем это обычно представляют. В результате этого данная схема не выдерживает проверки фактами. О непригодности последней можно судить уже по следующему обстоятельству. Носителями этих способов производства объявляется любое общество, начавшее цивилизованную жизнь задолго или наравне с греко-римским миром. Египет, Месопотамия (Шумер—Вавилония—Ирак), Индия, Китай и многие другие общества, согласно такому представлению, по разложении бесклассового общества проходили фазы рабовладения, феодализма и начинали переходить к капитализму. Но оказалось, что перенесение известных западноевропейской исторической действительности фаз на докапиталистический Восток лишено смысла. Многие историки напрасно искали рабовладельческий способ производства в

[1] См. сборник «История общественной мысли», М., 1972, стр. 325.

этом историческом регионе. Абсурдно тем самым утверждение здесь перехода от рабовладельческого способа производства к феодализму.

Даже само существование феодализма во многих, в том числе классических, — центрах Азии подвергается сильному сомнению. Статичность Индии, Китая и других стран древней Азии исключала несколько коренных исторических переворотов. Так что смысл нынешней дискуссии по докапиталистическим формациям вполне понятен. Из положительных моментов ее следует отметить показ беспочвенности концепции существования рабовладельческого способа производства на Востоке (см. особенно работы Ю. И. Семенова, Г. А. Меликишвили, Л. С. Васильева). Вместо рабовладельческой Азии ученые гораздо основательней утверждают наличие в этом регионе раннеклассового общества. Проведена большая работа также в деле освоения наследия К. Маркса и Ф. Энгельса на проблему докапиталистических способов производства (труды Н. Б. Тер-Акопяна, Ф. Токей, Э. Гобсбаума, М. А. Виткина, Г. А. Богатурия). Но несмотря на эти и некоторые другие частичные успехи (изучение И. С. Сюре — Каналем, П. Буато и другими конкретных обществ), в ходе дискуссии появились огромные трудности. Остается фактом, что данная дискуссия уже не дает положительных результатов, что до сколько-нибудь удовлетворительного осмысления затрагиваемой ею проблемы еще далеко. Порою кажется что она (эта дискуссия) продлится бесконечно.

Как ни парадоксально, надо отметить, что участники дискуссии далеко не всегда указывают о каком обществе идет речь, рассуждая о докапиталистических формациях. Исходя из изучения отдельной страны они легко замечают, что не все древние общества проходили через фазу рабовладения, а затем — феодализма. Одни из них, по их взглядам, переходили в раннеклассовое общество, а от последнего направлялись в сторону феодализма, представлявшего-де магистральный путь движения от бесклассового к классовому обществу (И. А. Стучевский, Л. С. Васильев, Н. Ф. Колесницкий, Ю. М. Кобищанов и другие). Согласно другим (Е. М. Штаерман, Г. А. Меликишвили), движение общества в сторону классического рабовладения — исключение, поэтому-де после упадка античного общества общественная эволюция направилась опять по магистральному пути, т. е. по пути развития феодализма. Таким образом, выходит, что развитие рабовладельческого способа производства выпадает из необходимой цепи эволюции общества (человечества). Третьи (М. Н. Мейман, С. Д. Сказкин, А. Р. Корсунский и др.) признают правомерность пути от родового строя к феодализму[2], а А. И. Неусыхин и А. Я. Гуревич путь движения к феодализму у германских народов видят через «дофеодальный период».

Критическая мысль двинулась еще дальше. Упомянутые выше Л. С. Васильев и И. А. Стучевский пишут: «Близкие друг другу по уровню развития производительные силы рождают во многом сходные по своей сущности производственные отношения, равно основанные на внеэкономической системе эксплуатации рабов, крепостных или зависимых, полусвободных и даже формально свободных крестьян — общинников». Они также утверждают: «Видимо, из одного только факта разительной по контрасту эволюции в производстве, культуре, социальной структуре еще никаких нельзя делать выводов о существовании принципиально различных, противостоящих друг другу, ан-

[2] Относительно славянства до них это утверждали Б. Д. Греков, К. Н. Тарновский, И. В. Созин и другие.

тагонистических формаций»[3]. По мнению В. П. Илющечкина, докапиталистические антагонистические общества не отличались друг от друга по уровню производительных сил, равным образом основывались на «системе внеэкономического принуждения» и представляли вторую основную стадию общественной эволюции[4].

Представители исторического материализма и теоретической политэкономии легко упрекнули бы этих историков за недостаточный теоретический уровень. Но мы здесь приведем высказывания философов — авторов популярных у нас учебников по историческому материализму.

В. Ж. Келле пишет: «Вместе с тем относительная неизменность и устойчивость материально-технического базиса на таком его уровне, когда сохраняется еще значительная зависимость общества от окружающей среды, слабо развиты средства сообщения и существует большая изолированность внутреннего развития различных стран, создает условия и служит предпосылкой вариативности экономических форм общественной жизни»[5]. Д. И. Чесноков пишет: «Различие в орудиях труда на последней стадии родового общества, рабства и начальной стадии феодализма было еще не очень существенным. Поэтому там, где в силу тех или иных причин родовой строй задержался на более долгий срок, орудия труда этого общества практически мало чем отличались от орудий развитого рабовладельческого общества. Производительные силы подобного родового общества без значительного развития рабства могли непосредственно породить феодальные отношения»[6].

К сожалению, такие объяснения теоретиков мало чего дают для изучения исторической действительности. Действительное положение вещей мы попытаемся прояснить в дальнейшем; у упомянутых авторов отсутствует понимание прогрессивно сменяющих друг друга способов производства, а также фундаментального закона соответствия производственных отношений уровню производительных сил. А ведь по Марксу способы производства представляли именно «прогрессивные эпохи экономической общественной формации». Но все эти затруднения вряд ли имели бы место, если бы пятичленная схема полно отражала историческую действительность и наследие классиков исторического материализма.

КОРОТКО О ВЗГЛЯДАХ К. МАРКСА И Ф. ЭНГЕЛЬСА О ДОКАПИТАЛИСТИЧЕСКИХ СПОСОБАХ ПРОИЗВОДСТВА. Гегель прекрасно представлял себе о каком обществе следует идти речь при рассуждении о пройденных исторических фазах. Под этим обществом он мыслил все человечество, а не только отдельные части его[7]. Одну

---

[3] Л. С. Васильев, И. А. Стучевский. Три модели возникновения и эволюции докапиталистических обществ, Вопросы истории, 1966 № 5, стр. 89-90. Ш. Парэн (Ch. Pàrain) в статье «Comment caracteriser «un mode de production»? опубликованной в журнале «La penseé» (за 1967, № 132) упрекает Г. А. Меликишвили за подобное утверждение, но позитивных аргументов Ш. Парэн не приводит.

[4] См. В. П. Илющечкин. Система внеэкономического принуждения и проблема второй основной стадии общественной эволюции, М., 1970, Рентный способ эксплуатаций в добуржуазных обществах древности, средневековья и нового времени, М., 1971 (обе на правах рукописи).

[5] Ю. М. Бородай, Е. Г. Плимак, В. Ж. Келле. Принцип историзма в познании социальных явлений. М., 1972, стр. 76.

[6] Д. И. Чесноков. Исторический материализм. Изд. 2-ое, М., 1965, стр. 462.

[7] Из участников дискуссии это яснее всего заметил Ю. И. Семенов. См. его статьи «Теория общественно-экономических формаций и всемирный исторический процесс».

фазу эволюции человечества («исторический мир») олицетворял один исторический регион, другую — другой и т. д. Для Гегеля критерий членения мировой истории, как известно, представляла степень развития свободы, а для классиков материалистического понимания истории этим стали сперва формы собственности (в широком смысле), а затем — способы производства. Но относительная трудность в изучении взглядов Маркса и Энгельса на проблему докапиталистических способов производства состоит в том, что эти взгляды в соответствии с прогрессом исторической науки (открытия Г. Маурера, Л. Моргана и других) претерпевали определенную эволюцию.

Изучение данной проблемы входило не только в задачу разработки исторического материализма, но и новой политической экономии. Об этом лучше послушаем у Энгельса, который в «Анти-Дюринге» писал: «Чтобы всесторонне провести эту критику буржуазной экономики, недостаточно было знакомства с капиталистической формой производства, обмена и распределения. Нужно было также, хотя бы в общих чертах, исследовать и привлечь к сравнению формы, которые ей предшествовали, или те, которые существуют еще рядом с ней в менее развитых странах. Такое исследование и сравнение было в общем и целом предпринято пока только Марксом, и почти исключительно его работам мы обязаны поэтому всем тем, что установлено до сих пор в области теоретического исследования добуржуазной экономики»[8]. Отсюда ясно, что Ф. Энгельс совершенно explicité сознавал разработанность Марксом — и разумеется, им самым — «в общем и целом» теории докапиталистических обществ.

С другой стороны, по признанию Маркса, «Буржуазное общество есть наиболее развитая и наиболее многосторонняя историческая организация производства. Поэтому категории, выражающие его отношения, понимание его организации, дают вместе с тем возможность проникновения в организацию и производственные отношения всех отживших общественных форм»[9]. Конечно, несмотря на это обстоятельство, Маркс и Энгельс, не удовлетворяясь исследованием на уровне абстрактного мышления, снова и снова принимались за изучение конкретной действительности, в том числе проблем докапиталистических обществ.

При разработке новой теории исторического процесса К. Маркс и Ф. Энгельс прогрессивно сменяющие друг друга общества, представляли так: **патриархальное, античное, феодальное, буржуазное и коммунистическое** общества; в основе смены этих обществ, по классикам, лежал прогресс в разделении труда. Научная с 50-х годов ими было изучено восточное общество, вследствие чего в схеме эволюции место **патриархального** общества заняло **азиатское**; а после изучения Марксом и Энгельсом теории родовой организации Л. Г. Моргана — азиатское общество ими обозначилось уже как вторая фаза и схема в целом предстала так: **архаический коммунистический, азиатский, античный, феодальный, буржуазный и коммунистический** способы производства. Из перечисленных способов универсальными, в смысле всеобщей распространенности, был первый и будет последний, когда как промежуточные ступени имели региональный характер.

Народы Азии и Африки, 1970, № 5; Марксистско-ленинская теория общественно-экономических формаций и исторический процесс, «Философские науки,» 1973, № 5.

[8] К. Маркс, Ф. Энгельс. Сочинения, т. 20, стр. 154.

[9] К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. 12, стр. 731.

НАСЛЕДИЕ В. И. ЛЕНИНА ПО ПРОБЛЕМЕ ДОКАПИТАЛИСТИЧЕСКИХ СПОСОБОВ ПРОИЗВОДСТВА. Здесь мы остановимся на наследии В. И. Ленина по данной проблематике и это считаем очень важным потому, что при трактовке ленинских мыслей о докапиталистических общественно-экономических формациях ограничиваются лишь очень неполным материалом, главным образом лекцией В. И. Ленина о государстве, да и то не в полном объеме.

В. И. Ленин два раза цитировал известное место из «Предисловия — К критике политической экономии», где Маркс перечисляет четыре формации[10]. Г. В. Плеханову и его сторонникам в вопросе о возможности реставрации национализации земли, якобы имевшей место в Московской Руси, Ленин так возражал: «Поскольку в московской Руси была (или: если в московской Руси была) национализация земли, постольку экономической основой ее был азиатский способ производства». Далее он продолжает, что национализацию, основанную на азиатском способе производства, Плеханов смешал с национализацией, основанной на капиталистическом способе производства, когда налицо другие экономические, технически и внешнеисторические условия русского общества. Ленин продолжает: «Из посылок его (Плеханова [Г. К.) аргументации вытекает реставрация московской Руси, т. е., азиатского способа производства, т. е. чистейшая бессмыслица в эпоху капитализма»[11]. Непредубежденному читателю отсюда ясно, что Ленин сомневался в том, считать ли Московскую Русь, — где, действительно, «азиатский строй» был лишь укладом, — основанной на азиатском способе производства, а отнюдь не в правомерности существования особого азиатского способа производства в истории человечества. В других местах ленинских трудов мы не раз находим выражения: «полуазиатские порядки», «азиатчина», «восточный строй», «азиатский строй», «восточная неподвижность» (в противоположность этому имеют особый смысл слова «пробуждение Востока») и т. д.[12]. Ряд положений Маркса и Энгельса, относящийся к концепции азиатского способа производства, В. И. Ленин отмечал в составленном им конспекте «Переписки К. Маркса и Ф. Энгельса»[13].

В полемике с Р. Люксембург В. И. Ленин пишет: «Роза Люксембург характеризует государственный строй России по признакам, очевидно, и экономическим, и политическим, и бытовым, и социологическим — совокупностью черт, которые дают в сумме понятие «азиатского деспотизма». Далее: «Всем известно, что подобного рода государственный строй (азиатский деспотизм Г. К.) обладает очень большой прочностью в тех случаях, когда в экономике данной страны преобладают совершенно патриархальные, докапиталистические черты и ничтожное развитие товарного хозяйства и классовой дифференциации»[14]. При таком понимании социальных основ существования азиатского государства В. И. Ленин исходил из учения Маркса и Энгельса об азиатском обществе, особенно из того места «Анти-Дюринга», где Энгельс различает два пути классообразования и дает основу возникновения государств на Востоке. В связи с этим очень примечательно место из

[10] В. И. Ленин. Полное собрание сочинений, т. 1, стр. 136, т. 26, стр. 57.

[11] В. И. Ленин. Полное собр. соч., т. 13, стр. 14-15.

[12] В. И. Ленин. Полное собр. соч., т. 16, стр. 309, т. 20, стр. 102 и т. д.

[13] В. И. Ленин. Конспект «Переписки К. Маркса и Ф. Энгельса 1844-1883 гг.» М., 1959, стр. 259-263.

[14] В. И. Ленин. Полное соб. соч., т. 25, стр. 266-267.

«Государства и революции», где, следуя Энгельсу, автор подчеркивает «основную отличительную черту» государства: превращать «должностных лиц, «слуг общества», органы его в господ над обществом»[15]. Эта мысль тоже, как мы видели, исходит из вышеупомянутого — произведения Энгельса. На данном фоне очень интересно осмыслить содержание лекции Ленина о государстве.

По Ленину, возникновение классов и государства параллельные, одновременные процессы (см. также «Государство и революцию»), чего никак нельзя понять при обычном понимании данных явлений: сперва будто оформляются классы, а затем появляется государство — орган подавления эксплуатируемого класса в руках эксплуататоров. Наряду с аппаратом угнетения сущность государства Ленин определяет и как аппарат управления. «Когда появляется такая особая группа людей, которая только тем и занята, чтобы управлять, и которая для управления нуждается в особом аппарате принуждения, подчинения чужой воли насилию — в тюрьмах, в особых отрядах людей, войске и пр., — тогда появляется государство»[16] — писал В. И. Ленин. Суть этой мысли В. И. Ленина, повторяем, можно понять лишь соеденив ее с другими высказанными им мыслями по проблеме возникновения классов и государства.

При анализе «Лекции о государстве» надо принять во внимание и аудиторию слушателей, перед которой выступал Ленин и неизбежно вытекающий отсюда схематизм, (это подчеркивают Л. В. Данилова и др.). Когда Ленин говорил, что рабство — первая форма эксплуатации, через которое прошло громадное большинство народов мира, что следы и учреждения рабства в Африке мы находим и сейчас, то это никак не следует понимать в буквальном смысле: т. е. в смысле становления рабства способом производства у всех народов. Исследователи, понимавшие данное место из «Лекции о государстве» в этом смысле, оставляли и без внимания другие его мысли, высказанные в этом же труде. Ленин, например, говорил: «Этот основной факт — переход общества от первобытных форм рабства к крепостничеству... — вы всегда должны иметь в виду». Значит, по Ленину, одни народы от «первобытных» (отнюдь не классических!) форм рабства перешли к крепостничеству, минуя высокое, классическое развитие рабства, тогда как древняя Греция и Рим «целиком покоились на рабстве», Римская империя была «целиком основанной на рабстве»[17].

Очень интересно высказывание Ленина о возникновении частной собственности на землю. Согласно этому взгляду данный институт возникает в связи с разделением труда, развитием обмена. Таким образом, частная собственность на землю возникла в условиях высокоразвитого товарного производства и этого же взгляда придерживались основоположники исторического материализма. Данная идея очень проясняет понимание исторических процессов, особенно на древнем Востоке. Характеризуя движение общественно-экономических формаций, Ленин писал: «Каждая такая система производственных отношений явля-

---

[15] В. И. Ленин. Полное собр. соч., т. 33, стр. 77.

[16] В этом отношении особенно примечательна мысль: «Но по мере того, как возникает и упрочивается общественное разделение на классы, по мере того, как возникает общество классовое, по мере этого возникает и упрочивается государство». В. И. Ленин. Полное собр. соч., т. 39, стр. 39, 69, 72-73; См. также—«Государство и революция», В. И. Ленин. Полное собр. соч., т. 25.

[17] В. И. Ленин. Полное собр. соч., т. 39, стр. 71, 74, 77.

ется, по теории Маркса, особым социальным организмом, имеющим особые законы своего зарождения, функционирования и перехода в высшую форму, превращения в другой социальный организм»[18]. Ясно, что развитие каждой общественно-экономической формации В. И. Ленин не мыслил одинаковым образом. Но к сожалению в Советской науке утвердилась мысль об одинаковом характере смены одной формации другой (дальнейший рост производительных сил, социальная революция и т. д.). В свете такого понимания исторического процесса очень верно замечена судьба движения рабов. «Рабы, — писал Ленин, — как мы знаем, восставали, устраивали бунты, открывали гражданские войны, но никогда не могли создать сознательного обльшинства, руководящих борьбой партий, не могли ясно понять, к какой цели идут, и даже в наиболее революционные моменты истории всегда оказывались целиком в руках господствующих классов»[19]. Такое коренное различие судьбы движения рабов от судьбы рабочего движения вытекало из различных условий развития рабовладельческой и капиталистической формаций. Так что, утверждать о победоносных революциях рабов, смене рабовладельческого общества феодальным благодаря революциям рабов, по Ленину, лишено оснований.

Можно было бы еще говорить о важных мыслях Ленина относительно эволюции докапиталистического человечества, но это нас повело бы далеко[20]. Они ждут углубленных исследований. Но даже приведенного, полагаем, хватает для уяснения отношения Ленина к наследию Маркса и Энгельса на проблему докапиталистических общественно-экономических формаций. Хотя данная тематика не стала объектом систематического изучения со стороны Ленина, но, тем не менее, по ней им были высказаны важные мысли, соответствующие мыслям создателей исторического материализма на данную проблему. Принимание во внимание этих ленинских мыслей очень помогает в деле понимания соответствующих исторических процессов.

Пока мы остановимся на общей характеристике докапиталистических способов производства, задержимся на содержании и механизме эволюции способа производства.

О СОДЕРЖАНИИ СПОСОБА ПРОИЗВОДСТВА. Излишне подробно говорить о том, какое значение имеет осмысление содержания категории способа производства в деле осознания исторической действительности. Как известно, согласно материалистическому пониманию истории эволюция государства, права, морали, религии, искусства, науки и т. д. в конечном счете основывается на развитии способа производства соответствующих обществ. С другой стороны, пройденные человечеством ступени, отдельные общества отличаются друг от друга существующими в них способами производства. Возникает вопрос: что подразумевается под способом производства? Каково содержание последнего? У нас ответы на эти вопросы считают достаточно ясными; способ производства рассматривают как единство производительных сил и производственных отношений. При большей конкретизации понятия в системе производительных сил подразумевают три стороны про-

[18] В. И. Ленин. Полное собр. соч., т. I, стр. 152, 167, 429.

[19] В. И. Ленин. Полное собр. соч., т. 39, стр. 82.

[20] Об этом см. В. Г. Попов. В. И. Ленин об азиатском способе производства. В книге «Вопросы исторического материализма и критика некоторых концепций буржуазной социологии», М., 1969; Г. В. Коранашвили. В. И. Ленин о возникновении классов и государства, «Мнатоби», 1969, № 12.

цесса труда, постоянные на протяжении всей истории общества — в частности, человека с трудовым опытом, средства труда и предметы труда (последние два момента объединяются в средства производства). Под производственными отношениями понимают: отношения к средствам производства, отношения социальных классов и групп и обмен в обществе. Но такая ясность в понимании понятия способа производства иллюзорна, что прямым образом отмечается А. Д. Гусаковым (см. выше).

Попробуем-ка осмыслить данным содержанием способы производства древних египтян, античных греков и римлян, кочевых народов, современной Англии, США, Грузии и т. д. Пусть мы сравним способы производства древнего Египта и античной Греции. Средства (орудия) труда в первом случае были более неразвиты, особенно в земледелии. Зато почвы Египта были плодороднéй почв Греции. У египтян несравненно более развитой была ирригационная система. Соответственно богаче был их опыт в деле ирригации. Хотя древние египтяне в земледелии пользовались более примитивными орудиями, но нельзя сказать, что производительность труда древних египтян в земледелии была меньшей, чем у античных греков. Наоборот, урожайность зерновых в Египте была в 2—3 раза выше, чем в Греции. В целом ряде отраслей ремесленного производства (обработка камня, изготовление стекла, папируса, фаянса и т. д.)[21] египтяне превосходили греков. Если ко всему сказанному добавим и то, что в земледелии и ремеслах Египта было занято в основном «свободное» население, заинтересованное в результатах труда и передававшее по наследству трудовой опыт, то сравнение способов производства упомянутых обществ еще более затрудняется. По распространенному содержанию способа производства невозможно осмыслить даже самый примитивный, первобытный коммунистический способ производства. Каково было производство и воспроизводство непосредственной жизни австралийских аборигенов или ирокезов в Америке, это невозможно осознать исходя только из трех сторон процесса труда. Тем более невозможно сделать это в отношении последовавших способов производства.

Трудности указанного характера более всего видны в трудах историков. Показ наиболее абстрактных моментов производства ничуть не помогает им в деле создания конкретной, живой картины экономической жизни страны. В трудах историков, стремящихся выйти за рамки абстракции, получаются довольно скучные, похожие друг на друга картины экономических состояний стран, стран, находящихся как на одинаковом, так и на различном уровне развития. Это несмотря на то, что способ производства — это показатель отношения общества к природе, показатель той энергии, которая была затрачена множеством поколений общества в деле овладения природы, часто благоприятной. И не только поколениями данного народа, но и предшествовавшими и современными ему народами (диффузия изобретений и открытий)!

В отношении изображения картины способов производства у основоположников исторического материализма дело обстоит иначе. Не ограничиваясь общим указанием на способ производства, при раскрытии непосредственной жизни общества им во внимание принимался целый ряд факторов. Человек с соответствующей физической конституцией, природные условия, рост населения[22], уровень разделения труда,

[21] Подробнее об этом см. в книге А. Лукаса—Материалы и ремесленные производства Древнего Египта., М., 1958.

[22] В книге «Происхождении семьи, частной собственности и государства»—(1884 г.) Ф. Энгельс производство человека, продолжение рода считал одной из двух сторон производства и воспроизводства непосредственной жизни. К. Маркс, Ф. Энгельс Соч., т. 21, стр. 26.

потребности — вот те моменты, совокупность которых, по Марксу и Энгельсу, давала картину способа производства. Им же отмечалось, что эти стороны социальной деятельности следует рассматривать не как различные ступени, а как моменты, совместно существующие с самого начала истории, со времени первых людей[23]. Наряду с таким общеметодологическим рассуждением Маркс и Энгельс в той же «Немецкой идеологии» давали картины «форм собственности» (племенная, античная общинная и государственная, феодальная, буржуазная), не умозрительно, а исходя из изучения исторической реальности.

В письме к В. Боргиусу (1894 г) Ф. Энгельс под экономическими отношениями (совпадающими со способом производства) подразумевал: всю технику производства и транспорта, географическую среду, фактически перешедшие от прошлого остатки прежних стадий экономического развития, внешнюю (историческую) среду, окружающую данное общество. Мы не считаем уместным остановиться здесь на конкретных изложениях картин способов производства, данных классиками исторического материализма — «Немецкая идеология», «Капитал», «Крестьянская война в Германии», «Происхождение семьи, частной собственности и государства» и др. об этом дают хорошее представление.

После изложенного, думается, неудовлетворительными выглядят попытки некоторых историков найти иной путь в осмыслении содержания способа производства. Так например, Е. Вельскопф находится в затруднении — по каким признакам определить уровень развития производительных сил: по характеру используемых материалов (каменный век, бронзовый, железный, ныне «век сплавов», «век полимеров», наконец, «век сверхчистых материалов»), или по характеру источников и способов передачи энергии (век использования мускульной силы человека и животных, век пара, электричества, ядерной энергии), или по степени развития кооперации (простая, сложная кооперация); или по непрерывному углублению разделения труда? Ю. И. Качановский полагает, что: «Используя всю совокупность имеющихся фактических данных, подвергнув их всестороннему анализу, в частности обработав с помощью современных математических методов (сотрудничество историков, экономистов в этой области было бы очень плодотворным), наша историческая наука, надо надеяться, сумеет получить важнейшие сопоставимые величины, характеризующие производительность труда в древних и средневековых обществах». После этой операции, по Ю. И. Качановскому, споры о характере древнеазиатского общества, о следующих фазах истории Азии будут окончательно решены[24]. Нам же кажется, что надо идти в другом направлении, на что было указано уже классиками.

Итак, при характеристике способа производства надо исходить из развития техники производства (в первую очередь) и транспорта. Затем мы должны учитывать окружающую общество природную среду, разумеется в той мере, в какой последняя «очеловечена», «социализована», т. е. включена в социальную практику. Известно, что по Марксу уровень развития производительных сил — показатель господства общества над природой. Плодородие почв, размеры обрабатываемой

[23] К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. 3, стр. 18—20, 26-28. Отсюда ясно, насколько возражения А. Тойнби, П. Сорокина и других против т. н. «техницизма» не относятся к историческому материализму.

[24] См. Ю. И. Качановский. Рабовладение, феодализм или азиатский способ производства? М., 1971, стр. 86-88.

площади, луга, пастбища, леса, полезные ископаемые, гидрографическая сеть (особенно в жарких странах) и т. д. на прежних ступенях цивилизации играли огромную роль, характеризовали уровень развития производительных сил общества[25]. Одним словом, правильно поступают экономисты, вносящие в понятие «национальное богатство» используемые обществом природные ресурсы (Вообще данное понятие более богаче по содержанию и посредством его более адекватно осознается производительные силы общества, чем средствами производства и человеком).

Надо принимать во внимание фактор народнонаселения. Для развития материального производства не безразличны любая плотность и абсолютная численность населения. Недаром же говорил Маркс, что население «есть основа и субъект всего общественного процесса производства». А согласно распространенному у нас представлению, демографический фактор как и географическая среда хотя и вводится в «систему условий материальной жизни общества», но при изложении содержания способа производства их обычно оставляют в стороне. Далеко не лучшим образом обстоит дело в этом отношении и в трудах историков.

Немаловажное значение имеет и историческая среда, окружающая конкретное общество. От этой среды идут положительные или отрицательные импульсы, которые отражаются на данном способе производства. В случае отсутствия контактов с другими обществами получалась стагнация и наступал даже регресс (пример австралийских аборигенов, полинезийцев и т. д.).

Важным показателем уровня развития производительных сил, по Марксу и Энгельсу, являлась степень разделения труда. В «Немецкой идеологии» мы читаем: «Уровень развития производительных сил нации обнаруживается всего нагляднее в том, в какой степени развито у нее разделение труда. Всякая новая производительная сила, — поскольку это не просто количественное расширение известных уже до того производительных сил (например, возделывание новых земель) — влечёт за собой дальнейшее развитие разделения труда»[26]. Показателем уровня производительных сил являлось не только разделение труда внутри общества, но и между ним и другими обществами.

Надо показать и состояние коммуникаций общества, быт, жизнь верхних и нижних слоев населения[27], потребности, количественную сторону производительных сил, цены, денежные доходы (в условиях денежного хозяйства), остатки старого, зачатки нового (уклады) и т. д. Составить себе научное представление о конкретной картине способа производства без перечисленных моментов невозможно.

Но мы должны пойти еще дальше. Как и в случае геосреды и демографического фактора, нельзя ограничиться только противопоставлением базиса надстройке. Государство, право, мораль, религия и т. д. не только обусловленные экономикой феномены, но и, со своей стороны, обусловливающие, — в определенных границах, — экономику, уровень производительных сил общества. Например, деспотические государства Азии играли заметную роль в развитии экономики азиатских стран

[25] В «Немецкой идеологии» Маркс различал естественно возникшие и созданные цивилизацией орудия производства и формы собственности.

[26] К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. 3, стр. 20.

[27] В. Келле и М. Ковальзон не считают возможным найти место быту в базисе или надстройке (См. их «Исторический материализм», М., 1962, стр. 72).

(ирригация, оборона от кочевников, ремонт и строительство новой оросительной сети, внешняя торговля и т. д.). Естествознание (астрономия, география, математика) в этих странах, как известно, возникли именно на основе хозяйственных нужд. Следовательно, осмысливая способ производства общества, надо принять во внимание и влияния со сторон надстройки[28].

Сказанное о производительных силах объясняет и производственные отношения. Способ производства (слово «производство» здесь имеет широкий смысл) включает в себя и соответствующие способы распределения, обмена и потребления. Вся система в этих сферах социальной деятельности и составляет производственные отношения[29]. Вырывая из этого целого только форму эксплуатации или формы собственности (Е. М. Штаерман, С. Л. Утченко, В. П. Илюшечкин, И. М. Дьяконов), историки тем самым создают очень и очень неполные картины экономических отношений отдельных обществ.

Вот вкратце о содержании способа производства.

ОБ ЭВОЛЮЦИИ СПОСОБА ПРОИЗВОДСТВА. Рассматривая эволюцию способа производства, обычно ограничиваются указанием диалектики производительных сил и производственных отношений. Но систему производительных сил, как мы уже говорили, невозможно уразуметь исходя только из средств производства и человека. Наряду с этими мы должны принять во внимание целый ряд моментов. Это не только для понимания состояния способа производства, но и эволюции последнего. Незыблемым фактом минувшей истории остается неравномерность развития отдельных частей человечества. Последнее вряд ли имело бы место, если диалектика производительных сил и производственных отношений в том упрощенном виде, как это представляют, носила бы преодолевающий все преграды характер. Она (эта диалектика) была очень исторической, связанной с определенными обстоятельствами бытия. Из них часто главную роль играла географическая среда общества[30]. В судьбах отдельных обществ важную роль играла историческая среда. Это, повторяем, не только в смысле ускорения развития, но и замедления и даже катастрофического последствия для отдельных обществ[31].

---

[28] При изложении «системы буржуазной экономики» К. Маркс намеревался включить и государство (перед внешней торговлей и мировым рынком!). См. К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 13, стр. 5.

[29] Основу производственных отношений многие в первую очередь видят в форме собственности. В письме П. В. Анненкову (1846 г). К. Маркс писал: «В действительном мире, наоборот, разделение труда и все прочие категории г-на Прудона суть общественные отношения, которые в совокупности образуют то, что в настоящее время называют собственностью; вне этих отношений буржуазная собственность есть не что иное как метафизическая и юридическая иллюзия». Соч., т. 27, стр. 406. Подробнее об этом см. П. П. Столяров. Вопросы теории и исторического развития форм собственности в работах К. Маркса, Киев, 1970.

[30] Об этом подробнее см. наши статьи «Роль географической среды в эволюции докапиталистического человечества», Цискари, 1969 № 10 (на груз. яз.); «К вопросу о роли географической среды в развитии общества», Мацне, 1971 № 2 (на груз. яз.) и др.

[31] Среди многих примеров укажем на грузинское общество XIII в, когда нашествия хорезмийцев и монголов привели к его упадку.

Короче говоря, в докапиталистические эпохи развитие экономики не везде и всегда преодолевало природные и иные помехи[32]. В случае наличия неблагоприятных условий получалась стагнация и даже деградация отдельных обществ, центр развития же мировой цивилизации перемещался в другие ареалы. Ситуация радикально изменилась в процессе развития капитализма: отныне экономика стала силой, преодолевающей все природные, исторические, политические и т. д. условия.

Соответствующим же образом, взаимодействие производительных сил и производственных отношений в докапиталистических формациях не всегда приводило к социальным революциям в том строгом значении, как это понятие осмысливается.

Остановимся на краткой характеристике докапиталистических способов **производства.**

ОБ АРХАИЧЕСКОМ КОММУНИСТИЧЕСКОМ СПОСОБЕ ПРОИЗВОДСТВА. Чтобы иметь научное представление о первобытном способе производства надо исходить из следующих моментов. Определенный уровень развития техники и технологии представлял главный фактор в системе производительных сил, основу степени освоения общества природы, плотности населения. Затем надо исходить из используемых видов и ресурсов окружающих общество растительных и животных миров (см. труды Г. Кунова и А. Богданова). Надо составить представление о размерах коллективов и плотности населения (см. труды Ф. Ратцеля), о разделении труда в коллективе и между коллективами[33], импульсы от других этнических групп. Надо осмыслить производство орудий труда, изготовление пищи, жилища, одежды. Разумеется, были различия в материальной жизни этнических групп, населявших различные климатические и рельефные зоны. Но эти различия в технике, быте, потребностях и т. д. в целом существовали в рамках одного качества.

Сказанное говорит о том, что научное и философское понимание даже простейшего из существовавших способов производства далеко не такая легкая задача, как об этом иногда думают[34].

ОБ АЗИАТСКОМ (СЕЛЬСКО-ОБЩИННОМ) СПОСОБЕ ПРОИЗВОДСТВА. Излишне задержаться на изложении того, сколько различных толкований вызвал данный термин. Энергия исследователей направилась к тому, какая форма эксплуатации, какие формы собственности и какого типа общины существовали в обществах древнего Востока[35]. Когда В. В. Струве и его сторонники попытались доказать су-

[32]. Из сравнительно новейших примеров можно указать на Италию и Испанию. Целый ряд факторов, о которых здесь нет места распространяться, вызвал упадок экономики этих стран в начале нового времени.

[33] Тойнби в своем «A study of History» различие в разделении труда в примитивных и цивилизованных обществах считает несущественным. Но это различие, с нашей точки зрения, представляло характер, вызвавший качественное различие между отмеченными состояниями общества.

[34] Особенно в последнее время изучению первобытной экономики на Западе посвящено множество монографии.

[35] Фундаментальнейшим, с точки зрения исторического материализма, моментом проблемы азиатского способа производства является изучение техники, технологических процессов во всех сферах производства, дела ирригации, торговли и многих других. Как ни странно, участники дискуссии эту сторону проблемы считают давноизвестной. Не имея определенного представления о ней, они сразу начинают рассуждение о социальной, политической и др. сторонах древне-азиатской действительности. Вряд ли можно отрицать,

ществование рабовладельческого способа производства в древней Азии, они ограничивались только формой эксплуатации. Но дело не только и не столько в том факте, что рабство здесь было второстепенным явлением, имея «домашний» масштаб. За формой эксплуатации надо разглядеть совокупность экономических отношений. А последние в античном мире и на древнем Востоке резко различались. Экономика греко-римского мира была достаточно развитым товарным (см. труды Эл. Мейера, Ю. Белоха, М. Ростовцева, Т. Франка и других). В древней Азии же господствовало натуральное хозяйство, чего не отрицают даже сторонники концепции рабовладельческого характера древнеазиатского общества — В. В. Струве, В. И. Авдиев, И. М. Дьяконов. Тем самым, **их усилие, увидеть рабовладельческий способ производства на Востоке нам кажется беспредметным.**

Экономическая структура древнеазиатского общества блестяще была осознана классиками исторического материализма. По их взглядам, это общество было основано на глубоко натуральном хозяйстве. Основной хозяйственной и социальной ячейкой была сельская община — верховный собственник на землю. Производство и распределение в общине было частным. От первобытных общин она отличалась и высоким уровнем разделения труда (напр. система джаджмани в индийских общинах). Экономические отношения между сельскими общинами были незначительны. Объединение масс сельских общин происходило в интересах ирригации и обороны от кочевников, вообще от исторического окружения. Города в этом историческом регионе возникали спорадически, в первую очередь как центры администрации, иногда — как транзитной торговли. Ремесленники, купцы обслуживали в основном потребности деспотов, сатрапов и их окружения[36]. Достаточно было перемещения резинденций деспотов и сатрапов, торговых путей и эти города приходили в упадок (примеров этого из истории Азии предостаточно)[37].

Таким образом, объединяющим общины фактором в Азии выступало государство, исполнявшее общественно полезные функции. Этим объясняется и быстрое создание и разрушение «систем сельских общин» (К. Маркс) Азии. Здесь невозможно было развитие рабовладельческого способа производства. «Главную фигуру восточного эксплуататора» (Ф. Энгельс) представлял отнюдь не рабовладелец. Древнеазиатское общество не развилось и в сторону феодализма. Икта, союргал, инам, джагир и т. д. были лишь зародышевой формой феодализма — бенефициями. Превращение этих институтов в феод, развитие иерархической структуры земельной собственности, вассалитета — союзерени-

---

что в данном отношении давно начатое дело (см. например М. Кокин и Г. Папян. «Цзянь-тянь». Аграрный строй древнего Китая, Л., 1930; Очерки по истории техники древнего Востока. М-Л. 1940) в Советской науке не очень значительно двинулось вперед.

[36] Концентрация-богатств, награбленных в стране и за счет других стран (дань) в нескольких пунках, производство предметов роскоши, сравнительно развитая внешняя торговля, накопление эфемерных крупных состояний—все это очень поражало воображение европейцев эпохи феодализма. Но, к сожалению, их иллюзию теперь разделяют многие историки. Раскопки древнеазиатских городов, сосредоточение внимания на жизни верхушки общества опять возродили иллюзию богатства этих стран. Мышление многих историков, ограничиваясь этими городами, сельские общины оставляет за пределами научного интереса.

[37] Конкретную картину азиатского общества мы постарались дать в написанной нами истории древнего Египта (см. книгу. «История народов Древнего Востока». Тбилиси, 1971).

тета, сосредоточение власти в руках феодалов и соответственно упадок царской власти на Востоке не имели места. Это просто потому, что они не могли иметь. История Востока была бы бессмысленной, если бы здесь явление феодализма свершилось; в данных исторических условиях, — необходимость ирригации, обороны от кочевников, — феодализм был невозможен.

Азиатский способ производства отличается особенной устойчивостью, неизвестной другим классовым способам производства. Незначительные успехи в хозяйственной жизни, религии и т. д. разумеется, дело не изменяли радикальным образом[38]. Коренной переворот в условиях материальной жизни Азии был связан с воздействием на нее капиталистической цивилизации. С этих пор в Азии началась новая историческая эра. Разложились сельские общины, исчезла деспотическая форма государства, возникли капиталистические отношения. Тем самым азиатское общество в своем развитии минуло две общественно-экономические формации.

ОБ АНТИЧНОМ СПОСОБЕ ПРОИЗВОДСТВА[39]. Ф. Энгельс писал: «Только там, где они (сельские общины Г. К.) разложились, народы двинулись собственными силами вперед по пути развития, и их ближайший экономический прогресс состоял в увеличении и дальнейшем развитии производства посредством рабского труда»[40]. Следовательно, широкое развитие рабства предполагало наличие целого ряда предпосылок, о чем классики неоднократно писали (см. «Немецкую идеологию», «Анти-Дюринг», «Происхождение семьи, частной собственности и государства»). Развитие городов, как центров ремесла и торговли, разложение под влиянием товарно-денежных отношений сельских общин, возникновение частной собственности на землю, последовавшая за этим явлением концентрация земельной собственности, возникновение и других форм собственности и т. д. стали предпосылками развития классической формы рабства, тем самым рабовладельческого способа производства.

Со своей стороны, высокое развитие рабовладельческих отношений подняло производительные силы на новую ступень. Разумеется, это произошло отнюдь не по причине развития техники, а в силу концентрации в производстве огромной рабочей силы. Но такой путь развития производства и тем самым культуры общество завел в тупик[41]. В результате синтеза римского и варварского обществ развился феодальный способ производства.

О ФЕОДАЛЬНОМ СПОСОБЕ ПРОИЗВОДСТВА. Генезис и развитие феодального способа производства никак не был связан со сколько-нибудь заметным ростом производительных сил, в ряде стран

---

[38] Мы здесь не можем остановиться на трудах Б. Н. Заходера, Н. В. Пигулевской, И. П. Петрушевского, А. Ю. Якубовского, К. З. Ашрафян и других советских авторов, утверждающих наступление «средневекового феодального» общества в Азии.

[39] Мы намеренно пользуемся термином «античный способ производства», так как он более точно отражает богатство процессов истории греко-римского общества.

[40] К. Маркс, Ф. Энгельс. Соч., т. 20, стр. 186.

[41] Подробнее об античном способе производства мы писали в статьях: «О причине упадка античного мира» (Мацне, 1967, № 1); «К вопросу о характере экономики античных стран» (Мацне, 1970, № 1). Кстати, М. А. Виткин в статье «Проблема перехода от первичной формации ко вторичной» (см. сборник «Проблемы истории докап. обществ» М., 1968) совершенно игнорирует роль способа производства античных греков, выпячивая значение политики. Но это отрицал Маркс сто с лишним лет назад (см. К. Маркс, Ф. Энгельс, Соч., т. 23, стр. 91-92).

наоборот — с их упадком[42]. В зрелом античном обществе уровень развития сельского хозяйства, отделение от него ремесл и торговли, развитие городов, плотность населения, коммуникации и т. д. были несравненно развитыми, чем в условиях раннего средневековья. Это элементарный факт истории и на нем не стоит задерживаться. Вырывание из целого комплекса экономических моментов заинтересованности в труде крепостного ничего не объясняет в деле развития производительных сил. Наоборот: труд крепостных крестьян не поднял до античного уровня даже сельское хозяйство[43]. Но несмотря на это, феодальный способ производства в возможности имел преимущества перед античным способом производства. Во первых, феодальное общество распространилось на гораздо большем ареале, чем античное и, во вторых, прогресс первого основывался не на привлечении в производство возросшего количества рабочих сил в лице рабов, а на медленном качественном росте производства. С X—XI веков в Западной Европе имело дальнейшее отделение ремесла от сельского хозяйства и как результат этого явления — развитие городов (Хотя по размерам они значительно уступали восточным, зато они были многочисленны). В дальнейшем от этих сфер экономической деятельности отделилась торговля. Многие изобретения и технологические открытия были совершены на местной основе, многие же были заимствованы из восточных стран.

Ветряная мельница, алкоголь, хлопчатобумажные, шелковые ткани, чугун, сталь, механические часы, бумага, компас, новые химические лекарства, печатный станок, оконное и оптическое стекла, мыло, использование колеса и водяной энергии в горном деле и текстильном производстве, прогресс в кораблестроении, освоение Северного, Норвежского, Балтийского морей и Атлантического океана, общественное разделение труда в отдельном обществе и между европейскими обществами, развитие коммуникаций — вот неполная картина развития производства в условиях феодального общества[44]. Великие географические открытия, колонии, расширение рынков сбыта (сферы обмена!), эксплуатация отсталых, в том числе азиатских, народов стали могучими факторами дальнейшего развития производства, возникновения нового, капиталистического способа производства[45].

---

[42] Встречается утверждение, будто у греков и римлян по разложении родового общества, производительные силы находились на более низком уровне, чем у германцев и славян в аналогичную эпоху. Этим объясняют эволюцию этих обществ в сторону рабовладения и феодализма. Но такие утверждения не содержат в себе ни крупицы истины. Скорее наоборот (об этом см. у Энгельса, К. Маркс, Ф. Энгельс, Соч. т. 21, стр. 33). Также не выдерживает критики объяснение «перехода» от древней Азии к средневековью или феодализации грузинских обществ по причине роста производительных сил. Напрасно в этих случаях искать «материальный, с естественно-научной точностью констатируемый переворот в экономических условиях производства» (К. Маркс).

[43] В. И. Ленин писал, что «. . . условием и следствием описываемой системы хозяйства было крайне низкое и рутинное состояние техники, ибо ведение хозяйства было в руках мелких крестьян, задавленных нуждой, приниженных личной зависимостью и умственной темнотой.» См. В. И. Ленин. Полное собр. соч., т. 3, стр. 185.

[44] На XIII Международном конгрессе историков С. Л. Утченко и И. М. Дьяконов в совместном докладе «Социальная стратификация древнего общества» перечисляли различные, по нашему мнению, второстепенные признаки, по каким «древние общества» отличались от «средневековых». Различие же в уровнях развития производства они оставили без внимания.

[45] По мнению Н. Бердзенишвили, в конце XII и начале XIII веков грузинское общество будто достигло того уровня, откуда следовал бы генезис капиталистических отношений. См. История Грузии, Тбилиси, 1958, стр. 218; К историческому зна-

Итак, суммируя содержание нашей статьи, мы приходим к выводу, что **невозможно иметь научное знание о содержании способа производства без учета природной среды, вовлеченной в социальную практику, народонаселения** (плотность, абсолютная численность), **исторического окружения конкретного общества, без учета состояния коммуникаций и остатков старого способа производства и т. д. Отсутствие такого подхода является главной причиной тянувшихся доныне дискуссий о докапиталистических способах производства.**

чению присоединения Грузии с Россией, Мнатоби, 1954, № 6, стр. 122, 125, 127. Но такое утверждение лишено основания. Грузия долго пребывала под господством арабов, она не спаслась и от турок-сельджуков. Ей пришлось оставаться в условиях мира и наличия централизованного государства чуть больше одного столетия. И за этот период наша страна никак не исчерпала те экономические возможности, которые давал феодализм в лице городов, цехов и гильдий. В Грузии XII века, в отличие от Западной Европы позднего феодализма, не распространились даже многие достижения восточных стран, не говоря уж о дальнейшем местном прогрессе техники и технологии. Так что даже в случае наличия мира эволюция грузинского общества направилась бы в пределах феодализма.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# მიეძღვნა ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის იუბილეს

ბექირბი ხასია

## საბჭოთა ქართული ეკონომიკური მეცნიერების უმნიშვნელოვანესი მიღწევები საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

(1944—1974)

სკკპ პროგრამაში მწარმოებლურ ძალთა განვითარების მიღწეული დონის ღრმა მეცნიერული ანალიზის საფუძველზე განსაზღვრულია საერთოდ საზოგადოებრივ მეცნიერებათა და კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერების ამოცანები კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის საქმეში „ეკონომიკური მეცნიერების ამოცანა ის არის, რომ განაზოგადოს საზოგადოების ეკონომიკური ცხოვრების ახალი მოვლენები, დაამუშაოს სახალხო-სამეურნეო პრობლემები, რომელთა გადაჭრა ხელს უწყობს კომუნიზმის წარმატებით მშენებლობას. ეკონომისტების ყურადღება უნდა მიეპყროს სახალხო მეურნეობაში მატერიალური და შრომითი რესურსების ყველაზე ეფექტიანი გამოყენებას, სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოების დაგეგმვისა და ორგანიზაციის საუკეთესო მეთოდების გამონახვას, საწარმოო ძალების რაციონალური გაადგილების პრინციპებისა და კომუნიზმის მშენებლობის ტექნიკურ-ეკონომიკური პრობლემების დამუშავებას“[1]. საერთოდ, საზოგადოებრივ მეცნიერებათა და, კერძოდ, ეკონომიკური მეცნიერების ამოცანები სკკპ პროგრამის სახელმძღვანელო დებულებათა საფუძველზე ჩამოყალიბებულია სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებში, აგრეთვე სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1967 წლის დადგენილებაში — „საზოგადოებრივ მეცნიერებათა შემდგომი განვითარებისა და კომუნისტურ მშენებლობაში მათი როლის ამაღლების შესახებ“.

სკკპ ცკ და საბჭოთა მთავრობის მიერ ეკონომიკური მეცნიერების წინაშე დასმული ამოცანების შესაბამისად ინსტიტუტში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ისეთ თეორიულ პრობლემებს, რომლებიც მჭიდროდაა დაკავშირებული კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის ამოცანებთან, შესწავლილია ახალი მეურნეობრივი რეფორმის შედეგები, საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების გზები, ეკონომიკური კანონების გამოყენებისა და სოფლის მეურნეობის წარმოებრივ ურთიერთობათა სრულყოფის, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის, საკუთრების ფორმების განვითარების, რესპუბლიკის ეკონომიკაში გაფართოებული აღწარმოების ტემპებისა და პროპორციების, შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში რესპუბლიკის ადგილისა და როლის, საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების, თანამედროვე ბურჟუაზიული ეკონომიკური თეორიების კრიტიკის, სოციოლოგიის, ეკონომიკურ კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების, სახალხო მეურნეობის ოპტიმალური დაგეგმვის, სახალხო მეურნეობისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის აქტუალური პრობლემები და სხვ.

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის, მის სპეციფიკური და წამყვანი დარგების, შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში რესპუბლიკის ადგილისა და როლის, ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის გეგმიანობისა და კოორდინაციის პრობლემების, საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის, აგრეთვე ეკონომიკური მეცნიერების ზოგადი აქტუალური პრობლემების შესწავლისა და, მაშასადამე, ქართული ეკონომიკური აზრის შემდგომი განვითარების მიზნით, — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის სისტემაში 1944 წელს ჩამოყალიბდა ეკონომიკის ინსტიტუტი, რომელმაც თავის გარშემო დარაზმა ქართული ეკონომიკური მეცნიერების საუკეთესო წარმომადგენლები და ფართო გეგმით გააზრებული სისტემატური მუშაობა გაჩაღა როგორც საერთოდ მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური თეორიის პრობლემებზე, ისე, განსაკუთრე-

[1] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1967, გვ. 145.

ბით, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის, საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის საკითხებზე. ეკონომიკის დარგში ინსტიტუტს ამჟამად აქვს — პოლიტიკური ეკონომიის, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემებისა და აღწ[illegible]ლემათა, საბჭოთა ეკონომიკის გამოცდილების განზოგადებისა და ეკონომიკური აზრის ისტორიისა, კონკრეტული სოციოლოგიისა და დემოგრაფიის, აღრიცხვისა და ფინანსების პრობლემათა — განყოფილებანი.

განვლილი წლების განმავლობაში ინსტიტუტში ეკონომიკური მეცნიერების მრავალი მნიშვნელოვანი პრობლემური საკითხი იქნა შესწავლილი. გამოიცა ინსტიტუტის თანამშრომელთა 250-ზე მეტი წიგნი, რომელთა საერთო მოცულობა 2500 საავტორო თაბახს აღემატება, ხოლო ინსტიტუტის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებული წიგნების, საჟურნალო სტატიებისა და ნარკვევების საერთო მოცულობა 3500 საავტორო თაბახზე მეტია. მეცნიერულ-ლიტერატურული პროდუქციის მხრივ ჩვენს ინსტიტუტს მეორე ადგილი უჭირავს, — უკრაინის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შემდეგ სხვა მოკავშირე რესპუბლიკების აკადემიების შესაბამის ინსტიტუტებს შორის. ინსტიტუტის თანამშრომელთა მეცნიერული კვლევის შედეგებმა სათანადო ასახვა ჰპოვეს, აგრეთვე, „ეკონომიკის ინსტიტუტის შრომების" ორი სერიის ოც ტომში და პერიოდული ქართული ეკონომიკური და სხვა ჟურნალების ფურცლებზე. ამასთანავე, თუ საკითხს თვით მეცნიერების განვითარების თანმიმდევრული საფეხურების მიხედვით განვიხილავთ, ქართველი საბჭოთა ეკონომისტების ორიგინალურ გამოკვლევათაგან პირველ რიგში აღსანიშნავია საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის, პოლიტიკური ეკონომიის, ფინანსების, პოლიტიკური ეკონომიის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკისა და სოციოლოგიის პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომები, რომელთა ჩამოთვლა აქ, ცხადია, დიდ დროს მოითხოვდა, მაინც მათგან უნდა დავასახელოთ ზოგიერთი, როგორიცაა: ინსტიტუტის ნაშრომების თხუთმეტი ტომი (1946-1968 წწ.), ინსტიტუტის თანამშრომელთა ნაშრომების ახალი სერიის „ეკონომიკა", ხუთი ტომი (1969-1973 წწ.). ინსტიტუტის შრომების პირველი სერიის XV ტომში (450 თაბახის საერთო მოცულობით), დაბეჭდილია გამოკვლევები პოლიტიკური ეკონომიის, საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკის, ფინანსების, სტატისტიკის, სოციოლოგიის, დემოგრაფიის აქტუალურ საკითხებზე. დანამდვილებით შეიძლება ითქვას, რომ საქართველოში დღემდე ეკონომიკის დარგში გამოცემულ სერიებს შორის იგი ერთ-ერთია არა მხოლოდ ტომთა რაოდენობით, თემატიკის აქტუალობითა და მრავალფეროვნებით, არამედ, რაც მთავარია, თვით მეცნიერული კვლევის სიღრმის მიხედვით და, ამდენადვე, ამ სერიის ხუთმეტტომეული სავსებით სწორად ასახავს საბჭოთა ქართული ეკონომიკური მეცნიერების თანამედროვე მაღალ დონეს და როგორც ჩვენი ეკონომიკური ცხოვრების მატიანე წარმოადგენს ძვირფას შენაძენს საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერებისათვის.

საქართველოში არის დიდი ტრადიცია არა მხოლოდ ჩვენი რესპუბლიკის, არამედ მთლიანად ამიერკავკასიის ეკონომიკური რაიონის სახალხო მეურნეობის განვითარების კომპლექსური პრობლემების შესწავლისა. ამ პრობლემებს პროფ. პ. გუგუშვილმა მიუძღვნა რამდენიმე ტომი ნაშრომებისა ქართულ და რუსულ ენებზე, რომლებმაც ფართო გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურეს არა მარტო ჩვენში, არამედ ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც. სწორედ ამ ნაშრომების საფუძველზე, ჩვენი აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტი დიდი ხანია, რაც აღიარებულია ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარების პრობლემების კვლევის ცენტრად. ცხადია, ამ ტრადიციას და, შესაბამისად, კვალიფიციურ კადრებს დიდი მნიშვნელობა ჰქონდა საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის განვითარების პრობლემების სწორად გაშუქებისათვის.

საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტმა დიდი ოქტომბრის სოციალისტური რევოლუციის 50 წლისთავს მიუძღვნა რამდენიმე ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია ავტორთა კოლექტივის — საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. პ. გუგუშვილისა და წევრ-კორესპონდენტების ა. გუნიასი და ვ. ჩანტლაძის, მეცნიერებათა დოქტორების, პროფესორების ი. ბაჯაძის, ა. კაკაბაძის, ა. ნუცუბიძის, მ. კაზთელიძის, ბ. ხასიას ნაშრომები „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1921—1967 წწ. პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით (1967); „საქართველოს სსრ" (მოკლე ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი (1967).

სსრკ შექმნის 50 წლისთავისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან აღსანიშნავია: „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა 1922-1972, პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით (1972), პროფ. ა. გუნიას „საქართველოს სსრ ინდუსტრია“ (1972), პროფ. მ. კახეთელიძისა და პროფ. ბ. ხასიას „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობა და მისი განვითარების პერსპექტივები“ (1972), პროფ. ა. ნუცუბიძისა და პროფ. რ. ხარბედიას „საქართველოს მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა“ (1972), დოც. რ. გოგოხიასა და დოც. ა. ჭიბუტის „საქართველოს სსრ კულტურა“ (1972), „საბჭოთა საქართველო“ (სომხურ ენაზე), პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით (1972).

ეკონომიკის ინსტიტუტის კოლექტივის მეცნიერულ მოღვაწეობაში განსაკუთრებული ადგილი უკავია საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის განვითარების კომპლექსური პრობლემის შესწავლას. ამ პრობლემებისადმი მიძღვნილი ნაშრომებიდან განსაკუთრებული ადგილი უჭირავს პროფ. პ. გუგუშვილის გამოკვლევას — „საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX საუკუნეებში“ (1949-1965 წწ. გამოცემულია ხუთი ტომი). ამავე საკითხებს მიეძღვნა მისი ნაშრომები: „Развитие промышленности в Грузии и Закавказье в XIX—XX вв“., т. I (1957), „Развитие сельского хозяйства в Грузии и Закавказье в XIX—XX вв“., т. I, (1968).

ნაყოფიერი მუშაობაა ჩატარებული პოლიტიკური ეკონომიის პრობლემების დამუშავებისათვის. ამ მხრივ აღსანიშნავია ავტორთა კოლექტივის: პროფესორების — პ. გუგუშვილის, ა. გუნიას, ა. ნუცუბიძის, მ. კახეთელიძის, ვ. ჩანტლაძის, ბ. ხასიას, რ. ხარბედიას, ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატების — რ. გოგოხიას, ა. ჭიბუტის, ვ. რეხვიაშვილის ნაშრომები: „კ. მარქსის ეკონომიკური მოძღვრება“ (1968) მიძღვნილი კ. მარქსის დაბადების 150 წლისთავისადმი, „მარქსისტულ-ლენინური ეკონომიკური და სამართლებრივი თეორიის საკითხები“ მიძღვნილი ვ. ი. ლენინის დაბადების 100 წლისთავისადმი (1970) და სხვ.

პროფ. პ. გუგუშვილის კალამს ეკუთვნის გამოკვლევები საკუთრივ პოლიტიკური ეკონომიის საკითხებზე, რომელთაგან საჭიროა დავასახელოთ: „ახალი ეტაპი მარქსისტულ-ლენინური პოლიტიკური ეკონომიის განვითარებისა“ (1952), „მეცნიერული ეკონომიკური აზრის უმაღლესი მიღწევა“ (1952), „მრეწველობის ფორმათა სოციოლოგიური კლასიფიკაციის საკითხისათვის“ (1954) — გამოქვეყნებულია, აგრეთვე, — რუსულ, ფრანგულ, რუმინულ და ინგლისურ ენებზე; „ეკონომიკური მეცნიერება საბჭოთა საქართველოში 1921-1961“ (1961 წ. გამოქვეყნებულია, აგრეთვე, — რუსულ და ფრანგულ ენებზე); „მრეწველობის ფორმები და შრომის მწარმოებლურობა ეკონომიკური განვითარების ტემპთა ასპექტში“ (1968—გამოქვეყნებულია რუსულადაც); „სოციოლოგიური ეტიუდები“, ტ. I, II (1970—1971), „საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერებისა და ეკონომიკური განათლების აქტუალური პრობლემები“ (1968).

მუშახელის აღწარმოება პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთი რთული პრობლემაა. საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. ა. გუნიას ნაშრომი „Воспроизводство рабочей силы в промышленности Грузинской ССР“ (1961), პირველი წარმატებითი ცდაა საქართველოს მრეწველობაში მუშახელის აღწარმოების მეცნიერული, მონოგრაფიული შესწავლისა. ის ორ ათეულ წელზე მეტია მუშაობს სოციალისტური აღწარმოების პრობლემაზე და ეს მონოგრაფია მის მიერ ამ მიმართულებით გაწეული ნაყოფიერი შრომის ერთ ნაწილს წარმოადგენს. დასახელებულ პრობლემას მიეძღვნა პროფ. ა. გუნიას მეორე ნაშრომი —„О темпах и пропорциях социалистического воспроизводства в экономике Грузии (1966). გაფართოებული სოციალისტური აღწარმოების თავისებურებანი ნაშრომში წარმოდგენილია არა მხოლოდ სსრ კავშირის, არამედ მისი მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური, — უპირატესად, — ინდუსტრიული განვითარების მაჩვენებელთა ღრმა ანალიზის საფუძველზე; დადგენილია ახალი კანონზომიერებანი, რომელიც იქამდე საბჭოთა კავშირის ეკონომიკის საკითხებზე მომუშავე სპეციალისტების მიერ არ ყოფილა მეცნიერულად შესწავლილი. 1969 წელს გამოქვეყნდა პროფ. ა. გუნიას საინტერესო მონოგრაფია — „К вопросу о темпах и пропорциях воспроизводства в экономике Грузии“. ამ ნაშრომებში პირველად, — მოკავშირე რესპუბლიკის მაგალითზე, — შესწავლილია სოციალისტური აღწარმოების ტემპები და პროპორციები.

პოლიტიკური ეკონომიის პრობლემებისადმი მიძღვნილი პროფ. ა. ნუცუბიძის ნაშრომებიდან განსაკუთრებით აღსანიშნავია „ფინანსური კაპიტალი სოფლის მეურნეობაში", „კაპიტალისტური სახალხო მეურნეობის დაგეგმვის შეუძლებლობა" [illegible], „თანამედროვე იმპერიალიზმის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა" (1962), „კაპიტალიზმის" „ტრანსფორმაციის" ანტიმარქსისტული თეორიების კრიტიკა (1967). „Империализм или трансформированный капитализм (1970).

სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის საკვანძო პრობლემაზე გამოქვეყნდა პროფ. ი. ბაქაძის რამდენიმე ნაშრომი, რომელთაგან აღსანიშნავია „სოფლისმეურნეობრივი შრომის ინდუსტრიული შრომის ნაირსახეობად გადაქცევის შესახებ" (1948) და „სსრ კავშირის ინდუსტრიისა და სოფლის მეურნეობის ურთიერთობა" (1958); ამ უკანასკნელი ნაშრომის საფუძველზე ი. ბაქაძეს მიენიჭა ეკონომიკურ მეცნიერებათა დოქტორის მეცნიერული ხარისხი. პროფ. მ. კახეთელიძემ პოლიტიკური ეკონომიის საკითხებს მიუძღვნა ფრიად საინტერესო ნაშრომები: „დიფერენციული რენტა საბჭოთა კავშირის სოფლის მეურნეობაში" (1951), „მარქსისტულ-ლენინური მოძღვრება მიწის დიფერენციული რენტის შესახებ" (1957), „მიწის რენტის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკა" (1958); დაიბეჭდა პროფ. ბ. ხასიას ნაშრომები: „გადართოებული სოციალისტური აღწარმოების ხასიათი" (1956), „Расширенное все производство в чайных совхозах Грузинской ССР"; (1957) პროფ. რ. ხარბედიასი — „სოციალიზმის ეკონომიკური კანონების გამოყენება" (1966), რ. გოცირიძისა — „საბჭოთა მეურნეობების როლი სოფლის მეურნეობაში" (1966), ა. ჩიბუტისა — „კოლმეურნეობათაშორისი კავშირები საქართველოს სსრ" (1970), ა. თორიაულისა — „საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის სტრუქტურა და ზრდის ფაქტორები" (1968), დ. დიასამიძისა — „საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურისა და ზრდის ტემპების შესახებ" (1965), „მთლიანი პროდუქციის განაწილება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში" (1969).

საბჭოთა საქართველოს სახალხო მეურნეობის განვითარების პრობლემებს, გარდა ზემოთ დასახელებული კოლექტიური ნაშრომებისა, მიეძღვნა მრავალი საინტერესო გამოკვლევა, რომელთაგან დავასახელებთ მხოლოდ რამდენიმეს პროფ. პ. გუგუშვილის — „В. И. Ленин об экономическом развитии Советских республик Закавказья" (1954), „Грузинская Советская Социалистическая республика"; რომელიც 10 წელზე მეტია, რაც დიდი საბჭოთა ენციკლოპედიის „წელიწდეულში" (Ежегодник) პ. გუგუშვილის ან მისი თანაავტორობითა და ხელმძღვანელობით სისტემატურად იბეჭდება; ამასთან, იგი ახევე თითქმის ყოველწლიურად ითარგმნება და იბეჭდება ინგლისურ, ფრანგულ, გერმანულ, ესპანურ, პორტუგალიურ, იაპონურ და სხვა ენებზე; ა. გუნიას — „საქართველოს ეკონომიკური განვითარება" (1961), პროფ. ა. ნუცუბიძის — „რა მისცა ოქტომბრის რევოლუციამ საქართველოს გლეხობას (1957), პროფ. ნ. იაშვილის — „მეაბრეშუმეობის განვითარება საქართველოში" (1949), მისივე — „Субтропические колхозы ГССР", პროფ. ი. ჭაშის — „მანქანა-ტრაქტორთა სადგურების მშენებლობა საქ. სსრ-ში" (1949), პროფ. დ. ქორიძის — „მიწის ნაციონალიზაცია საქართველოში" (1948), პროფ. ბ. ხასიას — „სოციალისტური მიწათმოქმედების განვითარება საქართველოში", ტ. I, II (1962-1968), Экономическое и культурное развитие советской Грузии" (1961, სომხურ ენაზე) — პროფ. მ. კახეთელიძის თანაავტორობით; პროფ. ვ. დათუკიშვილის — „მანქანათმშენებლობის განვითარება საქართველოში" 1921-1941 წწ." (1968), დოც. ა. ბრეგვაძის — „ბორჯომის მინერალური წყლების წარმოება" (ისტორიულ-ეკონომიკური ნარკვევი (1964), „ჩაის მრეწველობის განვითარება საბჭოთა საქართველოში" (1969); დოც. ა. სტეფანიშვილის — „მეღვინეობის განვითარება საბჭოთა საქართველოში" (1967), მისივე — „დავით სარაჯიშვილი" (1968); დოც. დ. პავლიაშვილის — „მეხილეობის განვითარება საქართველოში" (1960); ისტორიის მეცნ. კანდ. ს. მიქელოვის — „გოელროს ლენინური გეგმა და მისი განხორციელება საქართველოში" (1961); ლ. გუგუშვილის — „ირიგაცია საბჭოთა საქართველოში" (1969); ლ. მინდორაშვილის — „სარეწაო კოოპერაცია საბჭოთა საქართველოში" (1921-1929 წწ.) და სხვ. გასაბჭოებამდელ საქართველოს სახალხომეურნეობრივ განვითარებას მიეძღვნა პროფ. ვ. ჩანტლაძის სადოქტორო დისერტაცია „ფინანსები რეფორმამდელ აღმოსავლეთ საქართველოში (1801-1864)", რომელმაც გამოჩენილი სპეციალისტების დადებითი შეფასება დაიმსახურა.

მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის შესასწავლად, კერძოდ, დაიბეჭდა ნაშრომები პროფ. პ. გუგუშვილისა — „ქართული ჟურნალისტიკა“, ტ. I (1941), Карл Маркс в грузинской публицистике и общественной мысли (1968), მისივე — „კარლ მარქსი ქართულ პუბლიცისტიკასა და საზოგადოებრივ აზროვნებაში 1921 წლამდე“, მეორე გამოცემა (1971), „ალექსანდრე წულუკიძის ეკონომიკური შეხედულებანი“, „ილია ჭავჭავაძის ეკონომიკურ შეხედულებათა შესახებ“; პროფ. ვ. ჩანტლაძის — „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებანი“ (1965), პროფ. ვ. ბახტაძის — Очерки по истории грузинской общественно-экономической мысли 1860—1900 гг. (1960); პროფ. გრ. თოდუას — „ქართველ სამოციანელთა ეკონომიკური მოძღვრების სათავეებთან“ (1967); დოც. ე. ჩადუნელის — „ჟურ. „იმედის“ ეკონომიკური შეხედულებანი“ და სხვ.

მრეწველობის ეკონომიკის განყოფილებას ხანგრძლივი პერიოდის განმავლობაში ხელმძღვანელობასა და ნაყოფიერ მუშაობას ეწეოდა პროფ. ი. ბაქაძე. ინსტიტუტში დამუშავდა მრეწველობის ეკონომიკის მრავალი პრობლემა, გამოქვეყნდა საინტერესო მონოგრაფიული გამოკვლევები; მათ შორის აღსანიშნავია: ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატების — ს. გამყრელიძის — „Себестоймость промышленной продукции и пути ее снижения“ (1956), ვ. მიშინას „Экономика Руставского металлургического завода“ (1965), ს. ხოსიტაშვილის „საქართველოს სსრ ლითონის მრეწველობის ეკონომიკის საკითხები“ (1963), თ. ლაბაძის — „საქართველოს სსრ ნახშირის მრეწველობის ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი“ (1962), შ. მარგველაშვილის — „შრომის მწარმოებლურობა საქართველოს სსრ ჩაიის მრეწველობაში“ (1964), ვ. აბალაკის — „ელექტროენერგიის თვითღირებულების შემცირების საკითხები საქართველოს ენერგოსისტემაში“ (1963), ო. აკალიშვილის — „ფასები და რენტაბელობა საქართველოს სსრ შამპანურ მრეწველობაში“ (1968), ფ. ანანიაშვილის — „მრეწველური პროდუქციის თვითღირებულების დაგეგმვისა და აღრიცხვის პროგრესული მეთოდების გამოყენება შიგამეურნეობრივ ანგარიშიანობაში“, (1969), ბ. კელენჯერიძის — „მანქანათმშენებლობის ეკონომიკა“ (1962), მანქანათმშენებელ საწარმოთა ორგანიზაცია და დაგეგმვა“ (1961).

ნაყოფიერი მუშაობაა ჩატარებული სოფლის მეურნეობის ეკონომიკის პრობლემების შესასწავლად. გამოქვეყნებულია რამდენიმე მონოგრაფია, რომელთაგან აღსანიშნავია: პროფ. მ. კახეთელიძის — „კოლმეურნეობრივი მეცხოველეობის ეკონომიკის საკითხები“ სამ ტომად (1962-1973), პროფ. პ. გუგუშვილის — „მარცვლეულის მეურნეობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში“ (1954), პროფ. ლ. კარბელაშვილის — „ქართლის სოფელი“ (1949), „შიდა ქართლისა და სამხრეთ ოსეთის მეხილეობა“ (1946), პროფ. ნ. იაშვილის — „საქართველოს სსრ მიწის ფონდი“ (1961), „მელიორაცია სოფლის მეურნეობაში“ (1970), პროფ. ა. ნუცუბიძის — „კოლმეურნეობათა ორგანიზაციულ-მეურნეობრივი განმტკიცების საკითხები“ (1954), ეკონ. მეცნ. კანდიდატების კ. ლოლობერიძის — „ინტენსიფიკაციის როლი კოლმეურნეობრივი წარმოების განმტკიცებაში“ (1952), „აღმოსავლეთ საქართველოს მეღვინეობის ეკონომიკა“ (1956), „კოლმეურნეობრივი პროდუქციის თვითღირებულების შემცირების ცნები“ (1956), ა. ფაცურიას — „ჩაის მეურნეობის განვითარების პერსპექტივები საქართველოში“ (1947), დ. დიასამიძის — „შრომის მწარმოებლურობის გადიდების გზები საქართველოს სსრ კოლმეურნეობრივ მებოსტნეობაში“ (1963), გრ. ქარჩავას — „საქართველოს სსრ ჩაის საბჭოთა მეურნეობების რენტაბელობა და მისი ამაღლების გზები“ (1958), ეკონ. მეცნ. კანდიდატის მ. ლეინჯილიას — „კოლხიდის დაბლობის სასოფლო-სამეურნეო ათვისების ეკონომიკური ეფექტურობა“ (1969), მ. გველესიანის — „ჩაის კულტურის მოვლის სამუშაოთა მექანიზაციის ეკონომიკური საკითხები“ (1954), პროფ. ბ. ხახიას — „საქართველოში მარცვლეულის მეურნეობის ეკონომიკის საკითხები“ (1954), შ. ბერძულის — „კოლმეურნეობათა მეურნეობრივი საქმიანობის ანალიზი“ (1960). სოფლის მეურნეობის ეკონომიკის საკითხებს მიეძღვნა აგრეთვე: რ. გოგოხიას, ა. ჯიბუტის, ია ყიფშიძის, ვ. რეხვიაშვილის, დ. პავლიაშვილის, ა. რეხვიაშვილის, გ. მინდაძის, ს. ჭელიძის, ლ. ბალანჩივაძის და სხვათა ნაშრომები.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა გამოაქვეყნეს საინტერესო გამოკვლევები — მიძღვნილი — ფინანსების, ვაჭრობის ეკონომიკის, მშენებლობისა და ტრანსპორტის ეკონომიკის საკითხებისადმი, რომელთაგან აღსანიშნავია პროფ. ა. კაკაბაძის — „Закономерности развития финансов Грузинской ССР“ (1962); პროფ. ვ. ჩანტლაძის — „ფინანსური მეცნიერების საგანი და ამოცანები“ (1966), მისივე — „საბჭოთა ფინანსების განაწილებლობითი ფუნქცია“ (1961), კ. მარქსისა და ფ. ენგელსის საფინანსო მოძღვრება

(1929), „ფინანსური კატეგორიების ადგილი კ. მარქსის ეკონომიურ სისტემაში" (1946), „ფინანსები კ. მარქსისა და ფ. ენგელსის ნაშრომებში" (1961 — მეორე გამოცემა); [illegible] ვ. ჩიბლაძის — „მშენებლობის მართვის სრულყოფა და მისი ეკონომიკური [illegible]" (1965), მისივე „საქართველოს სსრ სამშენებლო ორგანიზაცია რენტაბელობის [illegible]" (1968); ვ. ტრაპაიძის — „ეკონომიკური რეფორმის არსი და მნიშვნელობა" (1967); ი. კვანაძის — „საკვები მასალების წარმოებისა და გამოყენების ეკონომიკის ზოგიერთი საკითხი საქართველოში" (1965), დ. მოურავიძის — „პროდუქციის თვითღირებულება და მისი შემცირების გზები საშენ მასალათა მრეწველობაში" (1965), გ. რ. ბუაჩიძის — Координация автомобильного транспорта и железных дорог местного значения (1964), გრ. ბუაჩიძის — „Некоторые моменты планирования и проктирования системы операции" (1973).

**მნიშვნელოვანი მუშაობაა ჩატარებული კონკრეტული სოციოლოგიის საკითხებში.** ინსტიტუტმა ჩვენს რესპუბლიკაში პირველმა ჩაატარა ინტერვიუს წესით სოფლის რაიონთა საშუალო სკოლების უკანასკნელი კლასების მოსწავლეებთან ანკეტური მონაცემების შეგროვება (მოსწავლეთა მიერ შევსებულია 10 კითხვის შემცველი 15 ათასამდე ანკეტა და გაცემულია პასუხი 150 000 კითხვაზე, რომლებიც შეიცავენ საინტერესო მონაცემებს სოფლად ახალგაზრდობის შრომის ორგანიზაციის, მატერიალური წარმოების სფეროში ახალგაზრდობის ფართო მასშტაბით დასაქმებისა და სხვ. საკითხებზე). ანკეტური ინტერვიურების (მონაცემების მოპოვების) საფუძველზე მიღებული მასალების წინასწარი შედეგები უკვე დაიბეჭდა რესპუბლიკის ჟურნალ-გაზეთებში, რამაც ფართო გამოხმაურება და მოწონება დაიმსახურა. ამჟამად დამთავრებულია ანკეტური მონაცემების საბოლოო დამუშავება, რაშიც გამოყენებულ იქნა გამომთვლელი მანქანები. ანკეტური მონაცემები მოპოვებულია სხვა საკითხებზედაც.

**ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის კოლექტივმა ფრიად მნიშვნელოვანი წვლილი შეიტანა საქართველოსა და ამიერკავკასიის არქეოგრაფიაში:** დაიბეჭდა პ. გუგუშვილის „Сельского хозяйство и аграрные отношения", тт. I, II, IV (1938—1955).

ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სოციალისტური ეკონომიკის გამოცდილების განზოგადებისა და ეკონომიკური აზრის განყოფილება მნიშვნელოვან მუშაობას ეწევა საბჭოთა საქართველოს ეკონომიკური ისტორიის საარქივო დოკუმენტებისა და მასალების გამოვლენისა და პუბლიკაციისათვის. დაიბეჭდა „История индустриализации Грузинской ССР", т. I (1968) 68 თაბახი (დოკუმენტებისა და მასალების კრებული), რომელიც შედგენილია ინსტიტუტის უფროსი მეცნიერთანამშრომლის ა. ბრეგვაძის მონაწილეობით . დაიბეჭდება აგრეთვე «История коллективизации сельского хозяйства Грузинской ССР» (დოკუმენტებისა და მასალების კრებული), შედგენილია ინსტიტუტის თანამშრომლების პროფ. ბ. ხასიას და დოც. ა. სტეფანიშვილის მონაწილეობით და პროფ. პ. გუგუშვილის რედაქციით, ორივე დასახელებული კრებული წარმოადგენს დოკუმენტთა პუბლიკაციის საერთო საკავშირო სერიის ცალკეულ ტომებს.

დიდი დამსახურება მიუძღვის ინსტიტუტის კოლექტივს ქართული *მეცნიერული ტერმინოლოგიის*, კერძოდ ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებაში. ენათმეცნიერებისა და ეკონომიკის ინსტიტუტის მიერ 1947 წ. გამოიცა „*ეკონომიკის ტერმინოლოგია*" (რუსულ-ქართული და ქართულ-რუსული) შედგენილი პ. გუგუშვილის წამყვანი მონაწილეობითა და მის მიერვე შემუშავებული მეცნიერული ტერმინოლოგიის თეორიული პრინციპების საფუძველზე.

*ეკონომიკურ მეცნიერებათა სფეროში* განსაკუთრებული ყურადღება ექცევა ახალი მეურნეობრივი რეფორმის პირობებში მრეწველურ საწარმოთა გამოცდილების შესწავლასა და განზოგადებას, წარმოებრივ ურთიერთობათა სრულყოფისა და წარმოების ეკონომიკური ეფექტურობის ამაღლების საკითხებს სოფლის მეურნეობაში, დამუშავდა სოციალიზმის პოლიტიკური ეკონომიის პრობლემები, პირველად მოკავშირე რესპუბლიკის მაგალითზე შესწავლილია სოციალისტური აღწარმოების ტემპები და პროპორციები. გრძელდებოდა მუშაობა საქართველოსა და ამიერკავკასიის სახალხო მეურნეობის კომპლექსური განვითარებისა და ქართული ეკონომიკური აზრის ისტორიის პრობლემებზე. შესწავლილი იქნა ახალი მოვლენები თანამედროვე კაპიტალიზმის განვითარებაში. საინტერესო სამუშაო შესრულდა მრეწველობის მუშათა დროის ბიუჯეტის კონკრეტულ-სოციოლოგიური შესწავლისათვის.

ამჟამად გრძელდება მუშაობა შემდეგ პრობლემებზე:

I პრობლემა „კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის ეკონომიკური კანონზომიერებანი და საკუთრების ფორმების განვითარება“. აქედან დამუშავდა: „საქართველოს სსრ სოციალისტური მრეწველობისა და სოფლის მეურნეობის [illegible] განვითარების საკითხები“. ნაშრომში გაანალიზებულია კვების მრეწველობისა და მისი სანედლეულო ბაზის განვითარების ძირითადი ეკონომიკური მაჩვენებლები, შესწავლილია წლიური პროდუქციის დინამიკა და სტრუქტურა, ნაჩვენებია მრავალწლიან ნარგავთა მეურნეობისა და კვების მრეწველობის ადგილი და როლი რესპუბლიკის ეკონომიკასა და შრომის საერთო-საკავშირო დანაწილებაში. კვების მრეწველობის სანედლეულო ბაზის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზის საფუძველზე გამოვლენილია გამოუყენებელი რეზერვები და შემუშავებულია პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და წარმოების რენტაბელობის დონის ამაღლების ღონისძიებანი.

II პრობლემა „სრული მეურნეობრივი ანგარიშიანობის განხორციელება დაგეგმვის ახალი სისტემისა და ეკონომიკური სტიმულაციის პირობებში“. აქედან შესწავლილია საქართველოს სსრ თამბაქოს მრეწველობაში პროდუქციის თვითღირებულების შემცირებისა და მოგების განაწილების, ეკონომიკური სტიმულაციის ფონდების, პროდუქციის ასორტიმენტის, თამბაქოს მრეწველობის ძირითადი ფონდების გამოყენების საკითხები და შემუშავებულია რეკომენდაციები მეურნეობრივი საქმიანობის მაჩვენებელთა გაუმჯობესებისათვის. დიდი ადგილი ეთმობა: მეურნეობრივი რეფორმის თეორიული საფუძვლების, საქართველოს სსრ მრეწველობაში წმინდა პროდუქციის განაწილების, მოგების ზრდისა და რენტაბელობის ამაღლების, მინერალური სასუქების წარმოების ეკონომიკის, საქართველოს სსრ სამშენებლო მრეწველობაში წარმოებრივი ფონდების გამოყენების ეკონომიკური ეფექტურობის საკითხებს ახალი მეურნეობრივი რეფორმის პირობებში. 1963 წლიდან ფართოდ გაიშალა მუშაობა ეკონომიკურ კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების საკითხებზე და დამუშავდა ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა „ოპერაციათა სისტემის დაგეგმვა“ და „საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობის დამამზადებელ წარმოებაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევა ეკონომიკურ-მათემატიკურ მეთოდების გამოყენებით“. დასახელებულ ნაშრომებში განხილულია ისეთი აქტუალური საკითხები, როგორიცაა: გრაფების დიაგრამის აგება, ოპერაციათა ალბათობის წრის დაგეგმვა და შესაბამისი გეგმური სტრატეგიის შემუშავება, სისტემათა ფუნქციონირების დროითი ინტერვალის დაგეგმვა და გაშლილი ოპერაციების გრაფის განსაზღვრა. ამასთანავე, შედგენილია საქართველოს სსრ მანქანათმშენებლობის დამამზადებელ წარმოებაში სპეციალიზაციისა და კოოპერირების ოპტიმალური ვარიანტის შერჩევის ეკონომიკურ-მათემატიკური მოდელი, რომლის მიზანია მათემატიკური მეთოდების გამოყენებით მოიძებნოს თუჯის, ფოლადის, ფერადი ლითონის ჩამოსხმულების, აგრეთვე ნაჭედების და ნატვიფრების წარმოების სპეციალიზაციის და კოოპერირების ისეთი ოპტიმალური ვარიანტი, რომელიც დააკმაყოფილებს მოთხოვნილებას აღნიშნულ პროდუქციაზე მინიმალური დანახარჯებით. ეკონომიკურ კვლევაში მათემატიკური მეთოდების გამოყენებას მიეძღვნა ინსტიტუტის უფროს მეცნიერთანამშრომლების ხაინტერესო ნაშრომები. მათ შორის აღსანიშნავია: ბ. კელენჯერიძის — „მათემატიკური მეთოდები და გამოთვლითი ტექნიკა ეკონომიკასა და დაგეგმვაში“ (1968), „სადიპლომო პროექტის ეკონომიკური და ორგანიზაციული ნაწილების პროგრამა და შედგენის მეთოდიკა“ (1969), Экономико-математическая модель оптимальной специализации и кооперирования в машиностроении...“ 1966). „Выбор оптимального варианта специализации и кооперирования в машиностроении“, Экономика и математические методы“, том. II, выпуск 5 (1966); ს. ბუაჩიძემ გამოაქვეყნა ნაშრომები—Исходные соображения о системе, управляемой комплексом вичислительных машин“, Труды ГПИ. 1964. № 4 (97). იგივე ნაშრომი გამოაქვეყნა ფრანგულმა ჟურნალმა (1965). „О функциях информации вычислительной машины—советчика для диспетческого управления энергосистемой“. Труды ГПИ. 1964. № 4 (97). „О системе информации и управления, обслуживаемой взаимосвязанными вычислительными машинами“, I и II. Труды ГПИ. 1965. № 1 и 2 (99 и 100).

III პრობლემა მიძღვნილია „სახოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების პერსპექტივებისადმი 15-20 წლისთავში“. აქედან უკვე შესწავლილია საქართველოს სსრ კოლმეურნეობრივი მეფუტკრეობის ეკონომიკური ეფექტურობის, კერძოდ შრომის მწარმოებლურობის, პროდუქციის თვითღირებულებისა და რენტაბელობის საკითხები. საქართველოს სსრ სოფლისმეურნეობრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების რეზერვებზე

მნიშვნელობას დიდი ადგილი აქვს დათმობილი მელიორაციის, კერძოდ კოლხეთის დაბლობის მთლიანად ათვისებისა და გამოყენების საკითხებს. დაწვრილებითაა გამოკვლეული საქართველოს სსრ მევენახეობის საბჭოთა მეურნეობებში მეურნეობრივი ანგარიშიანობის, ეკონომიკური სტიმულაციის, თბილისის საგარეუბნო ზონის კოლმეურნეობებში [illegible] ინტენსიფიკაციის, კოლმეურნეობებში რენტაბელობისა და გაფართოებული აღწარმოების ტემპების, საბჭოთამეურნეობრივი წარმოების სტრუქტურის სრულყოფისა და სოციალისტური სოფლისმეურნეობრივი წარმოების რაციონალური გაადგილებისა და სპეციალიზაციის საკითხები.

IV პრობლემა. „სოციალიზმისა და კაპიტალიზმის ეკონომიკური შეჯიბრება თანამედროვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პირობებში და სსრკ საგარეო ეკონომიკური კავშირების საკითხები". აქ პირველ რიგში გამახვილებულია ყურადღება სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის გამოვლინების ფორმებზე თანამედროვე პირობებში, მოცემულია სახელმწიფოებრივ-მონოპოლისტური კაპიტალიზმის ბუნების შესახებ ბურჟუაზიულ, რეფორმისტულ და რევიზიონისტულ შეხედულებათა მეცნიერულად დასაბუთებული კრიტიკა. თავიდანვე დამყარდა სამეცნიერო კავშირები სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტსა და მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკის ინსტიტუტებს შორის. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის ინიციატივითა და ხელმძღვანელობით 1952 წელს მოსკოვში მოეწყო თათბირი აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტების მეცნიერული მუშაობის კოორდინაციის საკითხებზე, სადაც საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტიდან მონაწილეობდნენ — ეკონომიკურ მეცნიერებათა კანდიდატები: ი. ბაქრაძე, ა. კაკაბაძე; პროფ. ს. ბერაძე.

ეკონომიკის ინსტიტუტი 1950 წ. მონაწილეობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ინიციატივით უკრაინის სსრ ეკონომიკის ინსტიტუტში მოწყობილ სამეცნიერო კონფერენციის მუშაობაში, რომელიც მიეძღვნა „კოლმეურნეობრივი წარმოების პერსპექტიული დაგეგმვის საკითხებს". ეს ღონისძიება იმავე დროს გათვალისწინებული იყო ამ ორ ინსტიტუტს შორის სოციალისტური შეჯიბრების ვალდებულებებით. თავიდანვე მჭიდრო სამეცნიერო კავშირი დამყარდა ამიერკავკასიის საბჭოთა რესპუბლიკების აკადემიების ეკონომისტთა შორის. 1951 წელს ერევანში გაიმართა გაერთიანებული სამეცნიერო სესია, სადაც მოხსენებებით გამოვიდნენ: პროფ. ნ. იაშვილი — „ხრამჰესის სარწყავი სისტემის მშენებლობის სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა" და დოც. ნ. დგებუაძე — „ამიერკავკასიის მეტალურგიული კომბინატის სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა". 1953 წ. 7-10 იანვარს მიმდინარეობდა სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის განყოფილების სამეცნიერო სესია, — მიძღვნილი „ეკონომიკური პრობლემებისადმი", სადაც მონაწილეობდა პროფ. პ. გუგუშვილი.

1953 წლის 18 იანვარს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში გაიმართა საკოორდინაციო საბჭოს თათბირი, სადაც მოხსენებით გამოვიდა ინსტიტუტის დირექტორი პროფ. პ. გუგუშვილი, სადაც მან აღნიშნა, რომ: „Как известно, Институт экономики АН СССР оказывает большую помощь национальным республикам в деле подготовки научных кадров. В частности, из нашей республики в докторантуре и аспирантуре института числится немалое количество товарищей, которые успешно занимаются повышением своей квалификации, под руководством известных советских ученых[3]. ამასთანავე, სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან თანამშრომლობის შემდგომი გაღრმავებისა და მაშასადამე ამ ინსტიტუტისაგან მეტი დახმარების მიღების მიზნით პროფ. პ. გუგუშვილი აყენებდა საკითხს: Мы предполагаем с этой целью и в дальнейшем направлять сюда молодых работников еще в большем количестве. И нам кажется, что будет целесообразно, чтобы они здесь занимались преимущественно вопросами политической экономии социализма, проблемами империализма и вообще теоретическими вопросами экономической науки..." ცხადია, რომ მეცნიერული საქმიანობის და კადრების მომზადების ასეთი კოორდინაცია დიდ როლს თამაშობს საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების განვითარების საქმეში. 1951 წლის 3 მარტს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის

---

[2] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 45, აღწ. I, შეს. ერთ. № 181, ფ. 14-15.

[3] საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 48, აღწ. I, შეს. ერთ. 181, ფ. 7.

პრეზიდიუმს წერილობით მიმართეს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკისა და სამართლის განყოფილებამ და სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტმა, კოლექტიური ნაშრომის „История экономической науки в СССР" გამოსაცემად [illegible], სადაც აღნიშნულია, რომ ასეთი ნაშრომის დაწერა: „...возможно осуществить только совместными усилиями Института экономики Академии наук СССР и институтов и секторов экономики республиканских Академий наук и филиалов АН СССР... Институт экономики АН СССР сможет подготовить разделы по истории русской экономической мысли, а разделы по истории экономической мысли других народов СССР должны подготовить институты и секторы экономики республиканских Академий наук и филиалов АН СССР"[4]. ამ მიმართულებით მუშაობის კოორდინაციის შედეგად ბევრი რამ გაკეთდა არა მხოლოდ რუსული ეკონომიკური აზრის, არამედ სხვა ხალხების ეკონომიკური აზრის შესწავლის მიმართულებითაც.

1966 წ. 6—9 დეკემბერს სსრკ მეცნიერებათა აკადემიის კომპლექსური პრობლემის „Экономическое соревнование двух систем и слаборазвитые страны" სამეცნიერო საბჭომ საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის საზოგადოებრივ მეცნიერებათა განყოფილებასთან ერთად თბილისში ჩაატარა სამეცნიერო კონფერენცია „Новые явления в экономике и политике развивающихся стран", სადაც მოხსენებით თემაზე „Колониальная империя и империализм" გამოვიდა ეკონ. მეცნიერებათა დოქტორი პროფ. ა. ნუცუბიძე. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი ვ. პ. დიაჩენკო დიდი ხნის მანძილზე ხელმძღვანელობდა პრობლემის—„Основы ценообразования в социалистическом хозяйстве"—საკოორდინაციო საბჭოს და სათანადო დახმარებას უწევდა საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში ამ მიმართულებით წარმოებულ მუშაობას. კერძოდ აქ დამუშავდა თემები: 1. „Ценообразование в пищевой промышленности Грузинской ССР", 2. „Цены и ценообразование на продукцию сельского хозяйства Грузинской ССР". 3. „Цены и ценообразование в марганцевой промышленности Грузинской ССР"[5].

მუშაობა კოორდინირებული იყო სსრკ მეცნიერებათა აკადემიასთან სხვა პრობლემების ხაზითაც, კერძოდ, პრობლემიდან—„Экономические закономерности перерастания социализма в коммунизм": 1. „Переходный период от социализма к коммунизму и воспроизводства рабочей силы в Грузинской ССР". 2. „Вопросы повышения материального благосостояния колхозников Грузинской ССР". დასახელებულ პრობლემებზე მუშაობის კოორდინაციამ ერთხელ კიდევ ცხადყო ,რომ მას დიდი მნიშვნელობა აქვს მეცნიერული კვლევის ეფექტურობისა და ნაშრომთა თეორიული დონის ამაღლებისათვის. ამჟამად ჩვენი ინსტიტუტის მუშაობა კოორდინირებულია სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის შესაბამის განყოფილებებთან. კერძოდ, გათვალისწინებულია ერთობლივად დამუშავება თემებისა, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ეკონომიკური პრობლემები საქართველოს სსრ მრეწველობაში, სათბობ-ენერგეტიკული მრეწველობის განვითარება საქართველოს სსრ, სოციალიზმის ეკონომიკური კანონების სისტემა და მათი გამოყენება, აგროსამრეწველო კომპლექსები საქართველოში.

ინსტიტუტის თანამშრომლებმა პროფ. პ. გუგუშვილმა, პროფ. ი. ბაქაძემ, პროფ. ა. ნუცუბიძემ აქტიური მონაწილეობა მიიღეს 1951 წ. ნოემბერს სკკპ ცენტრალური კომიტეტის მიერ მოსკოვში პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს პროექტის გარშემო მოწყობილ დისკუსიაში. აქ პროფ. პ. გუგუშვილმა თავის გამოსვლაში, აგრეთვე, როგორც სარედაქციო კომისიის წევრმა და სექციის ხელმძღვანელმა გააკეთა რიგი შენიშვნა სახელმძღვანელოს პროექტის გაუმჯობესებისათვის და წარადგინა კონკრეტული მასალები და დებულებები, რომლებიც აისახა სახელმძღვანელოს საბოლოო ტექსტში. სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის გრიფით გამოცემული პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს (რომლის ქართული თარგმანი 1954 წელს გამოიცა პ. გუგუშვილისა და ი. ბაქაძის რედაქციით) გამოქვეყნების შემდეგ მისი საჯარო განხილვა მოეწყო მოსკოვს, ლენინგრადს, კიევსა და თბილისში ავტორების მონაწილეობით. თბილისში ჩატარებულ სახელმძღვანელოს განხილვისადმი მიძღვნილ დისკუსიას (1955, აპრილი) ხელმძღვანელობდა პ. გუგუშვილი, რო-

---

[4] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 45, აღწ. I, შეს. ერთ. № 242, ფ. 96.

[5] საქართველოს მეცნიერებათა აკადემიის ცენტრალური არქივი, ფონდი № 45, აღ. I, შეს. ერთ. № 146, ფ. 10-11. იქვე, ფონდი № 45, აღ. I, შეს. ერთ. № 256, ფ. 1-5.

ბულმაც წამოაყენა რიგი მოსაზრებანი სახელმძღვანელოს შემდეგი გაუმჯობესებისათვის. სათანადო ორგანოების მიერ მოწონებული პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს ქართული თარგმანების გამოქვეყნებას ხელმძღვანელობს ეკონომიკის ინსტიტუტი [illegible] მოიცა „პოლიტიკური ეკონომიის" სახელმძღვანელოს ქართული თარგმანი [illegible]სა და პ. გუგუშვილის რედაქციით. პოლიტიკური ეკონომიის სახელმძღვანელოს ქართულმა თარგმანებმა დიდი როლი შეასრულა ქართული საბჭოთა ეკონომიკური მეცნიერების განვითარებაში.

1973 წ. 28-30 ნოემბერს სკკპ ცენტრალურ კომიტეტში ჩატარდა თათბირი მიძღვნილი ეკონომიკური პრობლემებისადმი, სადაც სიტყვით გამოვიდა პროფ. პ. გუგუშვილი. ინსტიტუტის თანამშრომლები აქტიურად მონაწილეობენ ეკონომისტთა და სოციოლოგთა მსოფლიო კონგრესებზე, სიმპოზიუმებზე და კონფერენციებზე. პროფ. პ. გუგუშვილის მოხსენებები გატანილი იყო სოციოლოგთა საერთაშორისო კონგრესებზე: IV (იტალია), VI (საფრანგეთი), VII (ბულგარეთი); ეკონომისტთა — II (ავსტრია) კონგრესზე და სხვ. მოხსენებათა ტექსტები დაიბეჭდა რუსულ, ინგლისურ, ფრანგულ, რუმინულ და სხვ. ენებზე. 1970 წ. 10.14 აგვისტოს ქ. ლენინგრადს ჩატარდა ეკონომიკური ისტორიის V საერთაშორისო კონგრესი, სადაც მონაწილეობდნენ პროფ. პ. გუგუშვილი (საორგანიზაციო კომიტეტის წევრი და საქართველოს დელეგაციის ხელმძღვანელი), პროფესორები ა. ნოცუბიძე, ვ. ჩანტლაძე, მ. კახეთელიძე, გ. ბახტაძე, ბ. ხასია, დოცენტები: ი. ნოიაკიძე, გ. სურმავა, რ. კაკულია და სხვ. ქართველმა მეცნიერებმა კონგრესზე წარადგინეს სამი მოხსენება: 1. პ. გუგუშვილის „შრომის მწარმოებლურობა ეკონომიკური ზრდის ტემპებისა და დაგეგმვის მეცნიერული საფუძვლების ასპექტში", 2. ვ. ჩანტლაძის — „სულხან-საბა ორბელიანის ეკონომიკური შეხედულებები", 3. ბ. ხასიას — „მოკავშირე რესპუბლიკების ეკონომიკური ზრდის დაგეგმვა...". მოხსენებათა სრული ტექსტები დაიბეჭდა ცალკე ბროშურებად რუსულ და ინგლისურ ენებზე.

აღსანიშნავია ისიც, რომ უკანასკნელი წლების განმავლობაში ინსტიტუტის მუშაობას გაეცნენ საკავშირო მეცნიერებათა აკადემიიდან აკადემიკოსები: კ. ოსტროვიტიანოვი, ა. არზუმანიანი, ვ. დიაჩენკო, ლ. გატოვსკი, რომლებმაც დადებითი შეფასება მისცეს ინსტიტუტის მუშაობას. მაგალითად, აკადემიის წევრ-კორესპონდენტის ვ. დიაჩენკოს დახასიათებით „Грузинская Академия наук имеет Институт экономики, который является одним из крупнейших среди всех республиканских академий наук". აკადემიკოს კ. ოსტროვიტიანოვის მიერ საკავშირო აკადემიის პრეზიდიუმისადმი წარდგენილ მოხსენებით ბარათში ნათქვამია: „Со дня основания научными сотрудниками института велись исследования по актуальным проблемам политической экономии капитализма и социализма, узловым вопросам экономики главных отраслей народного хозяйства и, в частности, промышленности и сельского хозяйства, теоретическим и практическим вопросам размещения производительных сил вообще и в Грузинской ССР в частности, а также по истории народного хозяйства Грузии и Закавказья и грузинской экономической мысли".

1968 წელს ინსტიტუტის მუშაობას გაეცნო სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის დირექტორი აკად. წევრ-კორესპონდენტი ლ. მ. გატოვსკი და ინსტიტუტის საქმიანობისა და ამოცანების შესახებ ვრცელი მოხსენებითი ბარათი წარადგინა ზემდგომ ორგანოებში. აკად. წევრ-კორესპონდენტი ლ. გატოვსკი დადებითად აფასებს ინსტიტუტის მუშაობას, მისი დახასიათებით: „В институте экономики и права АН ГССР изучаются вопросы использования экономических законов в хозяйственной практике, создания материально-технической базы коммунизма, развития социалистических производственных отношений, значительная работа выполнена по изучению и обобщению результатов проведения новой системы планирования и экономического стимулирования в промышленности республики; выявление резервов производства, что сотрудники института с успехом участвуют в работе всесоюзных и международных симпозиумов и конгрессов и т. д.".

მეცნიერული თანამშრომლობისა და დახმარების ერთ-ერთი ფორმაა, აგრეთვე, გამოქვეყნებული ნაშრომების რეცენზირება. ამ მხრივ აღსანიშნავია, რომ ეკონომიკისა და სამართლის ინსტიტუტის სწავლულ ეკონომისტთა ნაშრომები მოწონებულია საბჭოთა კავშირისა და უცხოეთის ქვეყნების გამოჩენილი სპეციალისტების მიერ. ამ ნაშრომებზე დადებითი რეცენზია გამოქვეყნებულია ქართულ, რუსულ, სომხურ, აზერბაიჯანულ, ინგლისურ, ფრანგულ, ჩეხურ, პოლონურ, უნგრულ, რუმინულ და სხვ. ენებზე. ამ მხრივ საჭიროა აღ-

ნიშნოს, რომ პროფ. პ. გუგუშვილის ნაშრომებს მაღალ შეფასებას აძლევენ აკადემიკოსები კ. ოსტროვიტიანოვი, ნ. დრუჟინინი, ლ. გატოვსკი, ვ. დიაჩენკო, პროფ. მასლოვი (მოსკოვი), პროფ. ვ. ურბანოვი (პრაღა), პროფ. ტ. ფიოლდი (ბუდაპეშტი), პროფ. [illegible] (ბერლინი), Проф. Дж. Коладжа (США) და სხვ. რეცენზენტები სავსებით მართებულად აღნიშნავენ საკითხს დაჩქარდეს პ. გუგუშვილის სხვა ნაშრომების თარგმნა [illegible] ინსტიტუტის თანამშრომელთა დაბეჭდილ და სხვა ნაშრომებში წარმოდგენილია წინადადებანი და რეკომენდაციები სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების შემუშავების, პროდუქციის თვითღირებულების შემცირების, შრომის მწარმოებლურობის ამაღლების, რენტაბელობის დონის გადიდების და საერთოდ მაღალ ეკონომიკურ მაჩვენებელთა მიღწევის გზების შესახებ, რომელთაგან ზოგიერთმა რეკომენდაციამ რამოდენიმე მილიონი მანეთის ეკონომია მისცა სახელმწიფოს.

ინსტიტუტს საქმიანი მიმოწერა აქვს დამყარებული საზღვარგარეთის რიგ სამეცნიერო დაწესებულებებთან და ცალკეულ მეცნიერებთან. განსაკუთრებით მჭიდრო კავშირია დამყარებული პოლონეთის, ბულგარეთის, გდრ, რუმინეთის, ჩეხოსლოვაკიის, უნგრეთის, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიების ეკონომიკის ინსტიტუტებთან. ინსტიტუტის ბიბლიოთეკა აწარმოებს წიგნთგაცვლას ლონდონის უნივერსიტეტის, ჰავარდის უნივერსიტეტის, აშშ კონგრესის, აშშ სოფლის მეურნეობის დეპარტამენტის, საფრანგეთის პარლამენტის, ქ. კილის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტის, ქ. ტოკიოს კიოვის უნივერსიტეტის, ლიუბლინის უნივერსიტეტის, ქ. ლაიპციგის შინაგანი ვაჭრობის უმაღლესი სკოლის, აგრეთვე სახალხო დემოკრატიის ქვეყნების მეცნიერებათა აკადემიების ეკონომიკის ინსტიტუტების ბიბლიოთეკებთან.

მეცნიერული კონტაქტები დამყარებულია საფრანგეთის უმაღლესი სწავლების პრაქტიკულ სკოლასთან, ქ. დორტმუნდის სოციალურ გამოკვლევათა ინსტიტუტთან, გდრ მეცნიერებათა აკადემიის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტთან, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან, ამერიკის შეერთებული შტატების ეკონომიკური განვითარების კომიტეტთან, ჩიკაგოს უნივერსიტეტის ეკონომიკურ განყოფილებასთან (აშშ), გდრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან, უმაღლესი სწავლების პრაქტიკულ სკოლასთან (საფრანგეთი), ლონდონის უნივერსიტეტთან, ბულგარეთის სოფლის მეურნეობის მეცნიერებათა აკადემიასთან, პოლონეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტთან, ვიეტნამის დემოკრატიული რესპუბლიკის მეცნიერებისა და კულტურის სახელმწიფოებრივი კომიტეტის სახალხო მეურნეობის ინსტიტუტთან, სოფიის უნივერსიტეტთან, ჰუმბოლდტის სახელობის ბერლინის უნივერსიტეტთან, სახელმწიფოსა და სამართლის აკადემიის სექციასთან (გდრ), ბრიუსელის უნივერსიტეტთან, სორბონის უნივერსიტეტთან (საფრანგეთი), ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის სამართლის ინსტიტუტთან, უნგრეთის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტთან, ეკონომიკურ მეცნიერებათა ბუქარესტის ინსტიტუტთან და სხვ. 1968-1972 წწ. ინსტიტუტს ეწვივნენ და ლექციებით გამოვიდნენ ჰამბურგის ეკონომიკისა და პოლიტიკის ინსტიტუტის, ავსტრიის საგარეო ვაჭრობის ბიუროს, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის, უნგრეთის სახალხო რესპუბლიკის მეცნიერებათა აკადემიის, ბულგარეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის, ფილოსოფიის და სამართლის განყოფილების, რუმინეთის მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტის, ზაგრების ეკონომიკის ინსტიტუტის მეცნიერი თანამშრომლები და სხვ.

საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარების და სახალხო მეურნეობის ისტორიის ზოგადი პრობლემების, საბჭოთა საქართველოს ეკონომიკისა და სახალხო მეურნეობის განვითარების, ქართული საზოგადოებრივი და ეკონომიკური აზრის, პოლიტიკური ეკონომიის, სოციოლოგიის, პოლიტიკური ეკონომიის ბურჟუაზიული თეორიების კრიტიკის და სხვ. პრობლემებზე მრავალრიცხოვანი ფუნდამენტური მონოგრაფიების გამოქვეყნებით, საქართველოში ეკონომიკური კვლევაძიების ცენტრის — ეკონომიკის ინსტიტუტის ორგანიზაციით, კვალიფიციური ეკონომიკური კადრების აღზრდით, მეცნიერული ეკონომიკური ტერმინოლოგიის შემუშავებით საბოლოოდ ჩამოყალიბდა საბჭოთა ეკონომისტების ქართული სკოლა, რომელიც დიდ მუშაობას ეწევა ეკონომიკური პრობლემების კომუნისტური მშენებლობის პრაქტიკასთან მჭიდრო კავშირში გაშუქებისათვის.

ინსტიტუტის გეგმით შესრულებული გამოკვლევების დიდი ნაწილი შეიცავს პრაქტიკული ხასიათის რეკომენდაციებსა და წინადადებებს, რაც წარმოებაში ინერგება ამ ნაშრომთა გამოქვეყნებისა და აგრეთვე ხელნაწერთა სახით შესაბამის უწყება-დაწესებულებებში წარდგე-

ნის გზით. ზოგიერთი ასეთი ღონისძიების დანერგვამ, როგორც ცნობილია, შესამჩნევი შედეგები მოგვცა საწარმოებში შინაგანი რეზერვების გამოვლინების, რე[illegible] ამაღლების, თვითღირებულების შემცირების, შრომის ორგანიზაციისა და ანაზღაურების ეკონომიკურ მაჩვენებელთა გაუმჯობესების საქმეში.

ინსტიტუტთან ჩამოყალიბებულია სამართლის სექტორი (ოთხი განყოფილებით). 1973 წელს ინსტიტუტში ჩამოყალიბდა მათემატიკური სტატისტიკისა და ეკონომიკურ გამოკვლევებში მათემატიკური მეთოდების გამოყენების სექტორი (სამი განყოფილებით).

სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრკ მინისტრთა საბჭოს 1974 წლის 11 იანვრის დადგენილების „საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობის შემდგომი განვითარების ღონისძიებათა შესახებ" შესაბამისად ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტივის გადაუდებელი ამოცანაა კიდევ უფრო ღრმა ანალიზი გაუკეთონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობაში მიმდინარე ეკონომიკურ პროცესებს, გამოავლინონ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გადიდების რეზერვები, დასახონ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლების გზები, უფრო აქტიური მონაწილეობა მიიღონ რესპუბლიკის სახალხო მეურნეობის განვითარების პერსპექტიული გეგმების შემუშავებაში, გაანალიზონ და განაზოგადონ ახალი მეურნეობრივი რეფორმის შედეგები და საბოლოო ანგარიშში ხელი შეუწყონ კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის დაჩქარებას.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

გივი ჟვანია

# იურიდიულ მეცნიერებათა განვითარება საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიაში

საბჭოთა ხელისუფლების დამყარებამდე საქართველოში სამართლის მეცნიერების განვითარება ძირითადად იფარგლებოდა ძველი ქართული სახელმწიფოებრიობისა და სამართლის ისტორიის საკითხთა კვლევა-ძიებით. რევოლუციამდელი გამოკვლევებიდან აღსანიშნავია ნ. ურბნელის (ნ. ხიზანიშვილის) ნაშრომები როგორც ქართული სამართლის ძეგლების იურიდიული შესწავლის პირველი ნაცადი; ივანე ჯავახიშვილის „ძველი საქართველოსა და სომხეთის სახელმწიფო წესწყობილება“ (1907 წ. რუსულ ენაზე); გ. თარხნიშვილის, პ. კიზირიას, ვ. თაყაიშვილისა და სხვათა ნაშრომები, რომლებიც სპეციალურად ან სხვა პრობლემათა შორის ეხებოდნენ საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის ცალკეულ საკითხებს; აგრეთვე ზ. ავალიშვილის „საქართველოს შეერთება რუსეთთან“ (1903 წ., რუსულ ენაზე), რომელიც ქართველი ავტორის პირველ საერთაშორისო-სამართლებრივ გამოკვლევად უნდა ჩაითვალოს. ძველი ქართული სამართლის ისტორიის შესწავლას დიდად შეუწყო ხელი ისტორიული წყაროებისა და სხვა სამართლებრივი ხასიათის საბუთების გამოცემამ მ. ბროსეს, დ. ჩუბინაშვილის, ა. ცაგარელის, თ. ჟორდანიას, ა. ხახანაშვილისა და დიმ. ფურცელაძის მიერ.

საქართველოში იურიდიულ მეცნიერებათა განვითარების პირველი კერა შეიქმნა საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ: ეს იყო 1922 წელს, როცა თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სოციალურ-ეკონომიურ ფაკულტეტთან გაიხსნა იურიდიული განყოფილება, რომელსაც სათავეში ჩაუდგა რუსეთიდან ამ მიზნით მოწვეული სახელგანთქმული იურისტი ლუარსაბ ანდრონიკაშვილი; მის ლექციებზე და მეცნიერულ მოხსენებებზე, მისი სემინარების დროს უშუალო ზრუნვითა და ხელმძღვანელობით აღიზარდნენ მეცნიერ იურისტთა ახალი კადრები (ი. ბოჭორიშვილი, დ. პოლუმორდვინოვი, ვ. მაყაშვილი, თ. წერეთელი და სხვ.), რომლებმაც წარმატებით გააფართოვეს და გააღრმავეს თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის იურიდიულ ფაკულტეტზე უფროსი თაობის — ირ. სურგულაძის, გ. ნანეიშვილის, ალ. ვაჩეიშვილის — მიერ დაწყებული სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა. დღეს ამ მუშაობას ფაკულტეტის ოთხ კათედრაზე ნაყოფიერად განაგრძობენ პროფესორები: ს. ჯორბენაძე, ნ. წერეთელი, ე. ნინიძე, შ. ჩიკვაშვილი, ლ. ჯომარჯიძე (სამოქალაქო სამართლის კათედრა); ბ. ფურცხვანიძე, ბ. ხარაზიშვილი, ა. ფალიაშვილი (სისხლის სამართლის კათედრა); გ. ინწკირველი, გ. ერემოვი, ვ. ფარქოსაძე (სახელმწიფოსა და სამართლის თეორიისა და სახელმწიფო სამართლის კათედრა); ი. სურგულაძე, ვ. აბაშმაძე (სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის კათედრა); აგრეთვე — ფაკულტეტის დოცენტები და უფროსი მასწავლებლები.

1957 წლის ოქტომბერში საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ეკონომიკის ინსტიტუტში ჩამოყალიბდა სამართლის განყოფილება, რომელიც, როგორც მოსალოდნელი იყო, მალე იქცა ჩვენს რესპუბლიკაში იურიდიულ მეცნიერებათა განვითარების მეორე და, შეიძლება ითქვას, მთავარ კერად: თუ თავდაპირველად ამ განყოფილებაში მხოლოდ ოთხი თანამშრომელი მუშაობდა, ექვსი-შვიდი წლის განმავლობაში მათი რიცხვი ისე გაიზარდა, ხოლო, შესაბამისად, სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა იმგვარად გაფართოვდა, რომ 1963 წელს შესაძლებელი გახდა სამართლის განყოფილება სამართლის სექტორად გარდაქმნილიყო. სამართლის სექტორი (ხელმძღვანელი — საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტი, პროფ. თ. წერეთელი) დღეს უკვე 29 თანამშრომელს ითვლის და აერთიანებს ოთხ განყოფილებას: სახელმწიფო და საერთაშორისო სამართლისა (გამგე — პროფ. გ. ჟვანია),

ეროვნული ბიბლიოთეკა

სისხლის სამართლისა (გამგე — პროფ. თ. წერეთელი), სამოქალაქო სამართლისა (გამგე — იურ. მეცნიერებათა დოქტორი — თ. ლილუაშვილი), ქართული სამართლის ისტორიის განყოფილება (გამგე — საქ. მეცნ. აკადემიის აკადემიკოსი — ი. დოლიძე).

სამართლის სექტორის თანამშრომელთა სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა, [illegible]რებული კავშირის მასშტაბით და სახელმწიფო გეგმის შესაბამისად განხორციელებული, — მოიცავს პრობლემატიკას სამართლის ისეთი ძირითადი დარგებისას, როგორიცაა: სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორია, საბჭოთა სახელმწიფო და ადმინისტრაციული სამართალი, სისხლის სამართალი, სისხლის სამართლის პროცესი, კრიმინოლოგია, სამოქალაქო სამართალი, სამოქალაქო სამართლის პროცესი, საერთაშორისო სამართალი, საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორია. სამართლის სექტორში გაწეული კვლევა-ძიების შედეგები თავმოყრილია სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის ყოველწლიურ გეგმურ ნაშრომებში და მათი მხოლოდ ნაწილია გამოქვეყნებული სტატიებისა და ცალკე წიგნების სახით. გასაგებია, რომ ერთ წერილში ამ ნაშრომთა დასახელებაც კი შეუძლებელია; იგივე ითქმის სტატიების შესახებ. ამიტომ დავკმაყოფილდებით მარტოოდენ მონოგრაფიული გამოკვლევების მოკლე მიმოხილვითა და ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი სამეცნიერო სტატიების თემატიკური აღნიშვნით.

**სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი თეორიის** საკითხებზე დაწერილი ნაშრომებიდან, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს სამართლის სექტორის უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ს. როგავას მონოგრაფია — „საბჭოთა სოციალისტური სახელმწიფო სოციალიზმიდან კომუნიზმში გადასვლის პერიოდში“ (რუსულ ენაზე, „მეცნიერება“, 1966), მარქსისტულ-ლენინური დებულებების, სკკპ გადაწყვეტილებებისა და სახელმწიფოებრივი პრაქტიკის ანალიზის საფუძველზე წიგნში განხილულია ჩვენი სახელმწიფოს ადგილი და მნიშვნელობა საზოგადოების პოლიტიკური ორგანიზაციის სისტემაში, მისი მოღვაწეობის ძირითადი მიმართულებანი, საბჭოთა დემოკრატიის განვითარება, სახელმწიფოსა და საზოგადოებრივი ორგანიზაციების ურთიერთდამოკიდებულება, სახელმწიფოსადმი პარტიის ხელმძღვანელობა; განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა სახელმწიფო მმართველობის დემოკრატიული პრინციპების განვითარების, საბჭოთა და სამეურნეო ორგანიზაციების საქმიანობის სრულყოფისა და სახელმწიფოებრიობიდან კომუნისტურ საზოგადოებრივ თვითმმართველობაზე გადასვლის კანონზომიერების საკითხებს. საყურადღებო ნაშრომს წარმოადგენს, აგრეთვე, უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის პ. ფუხალაძის წიგნი „საბჭოთა საზოგადოებაში პიროვნების მდგომარეობის იურიდიული ფორმები“ (რუსულ ენაზე, „მეცნიერება“, 1969), რომელშიც გამოკვლეულია საზოგადოებაში პიროვნების მდგომარეობის ორი უმნიშვნელოვანესი ფორმის — უფლებაუნარიანობის და ძირითადი უფლებების თანაფარდობის საკითხები; ავტორი დამაჯერებლად ასაბუთებს, რომ უფლებაუნარიანობა ძირითადი უფლებების განხორციელების პირობაა; ამ წიგნმა მაღალი შეფასება მიიღო (მხედველობაში გვაქვს პროფ. ს. ს. ალექსეევის რეცენზია ჟურნალში „Правоведение“, 1970 წ. № 5) და მას უცხოეთშიც გამოეხმაურნენ (იხ. Revue internationala de droit comparé“, Par s, 1971, № 1; „Ruch prawniczy, economiczny i socjologiczny“, Worszawa-Poznan, 1971, № 3).

**საბჭოთა სახელმწიფო სამართლის დარგში** სამართლის სექტორის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობა უმთავრესად მიმართულია საბჭოთა კავშირში ეროვნულ-სახელმწიფოებრივი მშენებლობის აქტუალური საკითხის დასამუშავებლად, რაც შეესაბამება საერთო-საკავშირო გეგმით დასახულ პრობლემატიკას. ამ მხრივ ყურადღებას იპყრობს უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ფუტკარაძის მონოგრაფია — „საქართველოს საბჭოთა სახელმწიფოებრიობის განვითარება“ („მეცნიერება“, 1969), აგრეთვე მის მიერ დაწერილი პარაგრაფები საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის შესახებ „საბჭოთა სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის“ მეორე წიგნში („საბჭოთა სახელმწიფო და სამართალი სოციალიზმის მშენებლობის პერიოდში“, „Наука“, 1968, რუსულ ენაზე) და მონოგრაფიაში „მოკავშირე რესპუბლიკების ეროვნული სახელმწიფოებრიობა“ („Юридическая литература“, 1969). ამ ნაშრომებში, რომლებმაც ფრიად დადებითი შეფასება მიიღეს, საფუძვლიანადაა გამოკვლეული საქართველოში საბჭოთა სახელმწიფოებრიობის წარმოშობისა და განვითარების ისტორიული გზა და მისი თანამედროვე მდგომარეობა. ამავე პრობლემას მიეძღვნა უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურ. მეცნიერებათა კანდიდატის ა. მენაბდის წიგნი — „ქართული ეროვნული სახელმწიფოებრიობის განვითარების ზოგიერთი საკითხი“ („მეცნიერება“, 1970, რუსულ ენაზე); უნდა აღინიშნოს, რომ ეს

წიგნი გაკრიტიკებულია მასში დაშვებული შეცდომებისათვის ამიერკავკასიის ფედერაციის შექმნის, შეფასებისა და ზოგიერთი სხვა საკითხის გაშუქებისას, — ეს შეცდომები ავტორმა გამოასწორა თავის შემდგომ პუბლიკაციებში.

მნიშვნელოვანი მუშაობაა გაწეული საბჭოთა სახელმწიფო სამართლის ისეთი აქტუალური საკითხების გამოსარკვევად, როგორიცაა საბჭოთა სახელმწიფოს [illegible] მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში; ადგილობრივი საბჭოების ფუნქციები სოციალისტური კანონიერების განმტკიცების, მოქალაქეთა უფლებების დაცვისა და კულტურული მშენებლობის მართვის დარგებში. ამ კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია ს. როგავას და ა. მენაბდის სტატიების სახით.

სამართლის სექტორში მეცნიერული კვლევა-ძიების საგანს წარმოადგენს აგრეთვე საბჭოთა ადმინისტრაციული სამართლის აქტუალური პრობლემები. ა. მენაბდის წიგნში „საბჭოთა სახელმწიფო აპარატი და მისი შემდგომი სრულყოფის საკითხები“ („მეცნიერება“, 1965, რუსულ ენაზე) გაშუქებულია საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პოლიტიკა, მიმართული სახელმწიფო აპარატის გამარტივების, გაიაფებისა და ქმედითობის ამაღლებისათვის, გაკრიტიკებულია ყველაზე უფრო დამახასიათებელი ნაკლოვანებანი მის მუშაობაში და დასახულია მათი ლიკვიდაციის ღონისძიებანი. წიგნმა კარგი შეფასება მიიღო, როცა იგი განხილული იქნა სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის სახელმწიფოსა და სამართლის ინსტიტუტის სახელმწიფო აპარატის სრულყოფისა და ადმინისტრაციული სამართლის სექტორში. ა. მენაბდის კიდევ ერთი წიგნი — „სახალხო-სახალხო კონტროლი“ („საბჭოთა საქართველო“ 1965) მიეძღვნა პარტიულ, სახელმწიფო და საზოგადოებრივი კონტროლის ამოცანების, ფორმებისა და მეთოდების დახასიათებას. იურიდიული მეცნიერების კანდიდატის ა. აბესაძის (იმ დროს სექტორის უფროსი მეცნიერთანამშრომლის) ნაშრომში „მოქალაქეთა უფლებების ადმინისტრაციულ-სამართლებრივი დაცვა“ („მეცნიერება“, 1968) გაშუქებულია სახელმწიფო მმართველობის სფეროში საბჭოთა მოქალაქეების უფლებათა არსი, მათი ადმინისტრაციული გარანტიები და დაცვის სამართლებრივი საშუალებანი. უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის რ. ჩიჩუას სტატიები მიეძღვნა მოკავშირე რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოს საქმიანობის სამართლებრივი ფორმების, კერძოდ, მინისტრთა საბჭოს აქტების იურიდიული ბუნების შესწავლას.

სამართლის სექტორის სამეცნიერო-კვლევითი მუშაობის გეგმებში თავიდანვე დაიმკვიდრა ადგილი საერთაშორისო სამართლის პრობლემატიკამ. საერთაშორისო სამართლის მეცნიერება ქართულ საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებათა შორის ყველაზე ახალგაზრდა დარგია და მისი განვითარება დაუკავშირდა სწორედ სამართლის განყოფილების ჩამოყალიბებას. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ამ დარგის ორიგინალური მონოგრაფია საბჭოთა საქართველოში გამოქვეყნდა 1959 წელს, — ესაა პროფ. გ. ქვანიას „ეროვნულ უმცირესობათა დაცვის საერთაშორისო — სამართლებრივი გარანტიები“ (რუსულ ენაზე, „მეცნიერება“, 1959), წიგნში მოძიებულია, სისტემატიზებულია და იურიდიულად გაანალიზებულია ვრცელი მასალა, დაწყებული მე-17 საუკუნის პრეცედენტებიდან (რელიგიურ უმცირესობასთან დაკავშირებით) და დამთავრებული გაეროს წესდებითა და საქმიანობით ამ დარგში. ავტორი საფუძვლიანად აკრიტიკებს ეროვნულ უმცირესობათა დაცვის სისტემას, რომელიც ერთა ლიგის ჩარჩოებში არსებობდა, აგრეთვე მისი თეორიული დასაბუთების ცდებს ბურჟუაზიულ იურიდიულ ლიტერატურაში, და აყალიბებს დასკვნებს ამ პრობლემის გადაწყვეტის საერთაშორისო-სამართლებრივი საშუალებების შესახებ. აღსანიშნავია, რომ ეს წიგნი ჯერჯერობით პრობლემის ერთად-ერთი მონოგრაფიული გამოკვლევაა საერთაშორისო სამართლის საბჭოთა ლიტერატურაში და მან მაღალი შეფასება დაიმსახურა (იხ. რეცენზიები გ. ვ. სტარუშენკოსი — „Советское государство и право“, 1960, № 10, რ. ა. ტუზმუხამედოვის — „Советский ежегодник международного права“, 1960, ბ. ი. კოჟოხინის — „Правоведение“, 1961, № 1, გ. ნადარეიშვილის — „საქართველოს ეკონომისტი“, 1960, № 8). პროფ. გ. ქვანიას მეორე მონოგრაფია „სახელმწიფოს ნეიტრალიტეტი“ („მეცნიერება“, 1968) აშუქებს საერთაშორისო სამართლის ერთ-ერთი ინსტიტუტის ისტორიულ განვითარებას. ავტორს ახლებურად აქვს გადაწყვეტილი ნეიტრალიტეტის სამართლის ზოგიერთი საკვანძო საკითხი, კერძოდ, იგი ასაბუთებს, რომ მუდმივი ნეიტრალიტეტის სამართლებრივ წყაროს შეიძლება წარმოადგენდეს შინასახელმწიფოებრივი კონსტიტუციური აქტი, მდუნარედ ცნობილი სხვა სახელმწიფოთა მხრივ, რომ ე. წ. ნეიტრალიტეტის პოლიტიკა არ ქმნის სამართლებრივ სტატუსს და სხვა. წიგნი შეიცავს აგრეთვე ჰააგის კონვენციათა ვრცელ კრი-

ბიბლიოთეკა

ტიკულ ანალიზს; იგი ფრიად დადებითად იქნა შეფასებული იურიდიულ ლიტერატურაში (იხ. რეცენზიები გ. ნადარეიშვილისა — „საქართველოს კომუნისტი", 1963, № 10, ს. ჭრელაშვილისა — „საბჭოთა სამართალი", 1965, № 3, ს. ი. ტიუნოვის — „Вестник Московского университета. Серия XII. Право", 1966, № 2).

საერთაშორისო სამართლის სხვა პრობლემების მეცნიერული კვლევის შედეგები გამოქვეყნებულია მრავალი სტატიის სახით, რომელთაგან აღსანიშნავია პროფ. გ. ფუტკარაძის სტატიები თანამედროვე საერთაშორისო სამართლის სოციალური ფუნქციის, ხალხთა თვითგამორკვევის პრინციპის, კოლონიალიზმის საერთაშორისო მართლწინააღმდეგობის, საერთაშორისო სამართალშემოქმედების, საერთაშორისო სამართლის კოდიფიკაციისა და პროგრესული განვითარების და სხვ. საკითხებზე; აგრეთვე — უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის რ. დეკანოზოვის სტატიები საერთო სარგებლობის საერთაშორისო ტერიტორიის (კოსმოსური სივრცე, ღია ზღვა, მისი ფსკერი და ა. შ.) სამართლებრივი სტატუსის შესახებ; უფროსი მეცნიერი თანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ბ. მ. ფარჯიზეშვილის ნაშრომები საბჭოთა კავშირისა და ირანის ურთიერთობის საერთაშორისო-სამართლებრივი ფორმების შესახებ და სხვ.

სამართლის სექტორის სამეცნიერო-კვლევით საქმიანობაში მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს საბჭოთა სამოქალაქო სამართლისა და სამოქალაქო საპროცესო სამართლის აქტუალური საკითხების დამუშავებას. ამ მიმართულებით მიღწეულ შედეგთა შორის უპირველესად აღსანიშნავია იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის თ. ლილუაშვილის მონოგრაფიული გამოკვლევა „ექსპერტიზა საბჭოთა სამოქალაქო პროცესში" (რუსულ ენაზე, „მეცნიერება", 1967), სადაც განხილულია იმ ფაქტების ხასიათი და წრე, რომელთა დასადგენად სასამართლოს სამოქალაქო დავის გადაწყვეტისას შეუძლია სპეციალური ცოდნა გამოიყენოს; გამოკვლეულია ექსპერტიზის ჩატარების წესი, სასამართლოს მიერ ექსპერტიზის დასკვნის შეფასება და ა. შ. ავტორი ახლებურად წყვეტს საკითხს სახელმწიფო მმართველობის ორგანოს დასკვნის მნიშვნელობის, მისი როგორც მტკიცებულობის დამოუკიდებელი სახის შესახებ და ასაბუთებს სამოქალაქო პროცესში ექსპერტის ჩაბმის საკანონმდებლო რეგლამენტაციის აუცილებლობას. ამ მონოგრაფიამ მაღალი შეფასება მიიღო საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში (იხ. მ. ა. გურვიჩისა და პ. პ. გურეევის რეცენზია — „Советское государство и право", 1968, № 6). საყურადღებოა, აგრეთვე, უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის თ. ცაგურიას ნაშრომი „სამოქალაქო პასუხისმგებლობა მუშაკის დაშავების ან სიკვდილისათვის" („მეცნიერება", 1965), რომელშიც დაწვრილებითაა განხილული სსრ კავშირისა და მოკავშირე რესპუბლიკების სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძვლების 91-ე მუხლით გათვალისწინებული ზიანის ანაზღაურების ზოგადი და სპეციალური პირობები, მოცულობა და საშუალებანი და ა. შ. ავტორი ასაბუთებს, რომ ადამიანის ჯანმრთელობის ბრალიანი დაზიანება წარმოქმნის მხოლოდ დელიქტურ ვალდებულებას, რასაც დიდი მნიშვნელობა აქვს შესაბამისი საქმეების სწორი გადაწყვეტისა და ამ გზით წარმოებაში ტრავმატიზმის შემდგომი შემცირებისათვის. წიგნი ფრიად დადებითად იქნა შეფასებული (იხ. ს. ჯორბენაძის რეცენზია — „საქართველოს ეკონომისტი", 1966, № 7). უთუოდ უნდა აღინიშნოს აგრეთვე თ. ლილუაშვილის სტატიები სასამართლო გადაწყვეტილების დასაბუთებულობისა და სასამართლო შემეცნების საკითხებზე; უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის რ. ცინცაძის სტატიები — საავტომობილო გადაზიდვის სამართლებრივი მოწესრიგების შესახებ; უმცროსი მეცნიერთანამშრომლის ნ. მიხკარიანისა — საოჯახო სამართლის საკითხებზე და სხვ.

უაღრესად ნაყოფიერია სისხლის სამართლის პრობლემების დამუშავება სამართლის სექტორის თანამშრომელთა მრავალ მონოგრაფიაში. ამ მხრივ, პირველ ყოვლისა, უნდა აღინიშნოს საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის წევრ-კორესპონდენტის პროფ. თ. წერეთლის ფუნდამენტური გამოკვლევა — „მიზეზობრივი კავშირი სისხლის სამართალში" (რუსულ ენაზე. პირველი გამოცემა 1957 წლისა, მეორე შევსებული გამოცემა — „Юридическая литература", 1963), რომელშიც მარქსისტულ-ლენინური ფილოსოფიის დებულებათა საფუძველზე გადაწყვეტილია სისხლის სამართლის თეორიის ერთ-ერთი ურთულესი პრობლემა. ავტორი არკვევს მიზეზობრივი კავშირის ცნების თეორიულ და პრაქტიკულ მნიშვნელობას, გვიჩვენებს, თუ რა ადგილი უჭირავს მას სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის სხვა წანამძღვრებს შორის და როგორ ზეგავლენას ახდენს მიზეზობრივი კავშირის ცნება

სხვა სისხლისსამართლებრივ ცნებათა აგებაზე. ავტორს დასაბუთებული აქვს, რომ ადამიანის მოქმედება მიზეზობრივ კავშირშია შედეგთან ყოველთვის, როცა იგი ამ შედეგის ერთ-ერთი აუცილებელი პირობაა, მაგრამ ამავე დროს ადამიანის მოქმედება [illegible] ლებრივი შედეგის აუცილებელი პირობა, მხოლოდ მაშინ წარმოადგენს ობიექტურ საზოგადოებრივ საშიშროებას, როცა ქმედობის ჩადენის მომენტში ადამიანს [illegible] რეალური შესაძლებლობა, ზემოქმედება მოეხდინა გარემოებათა ფაქტიურ კონკრეტულ მსვლელობაზე. ნაშრომი შეიცავს სისხლისსამართლებრივი პრაქტიკისათვის სხვა დიდმნიშვნელოვან დასკვნებსაც. ან გამოკვლევის ორივე გამოცემამ ფართო და ფრიად დადებითი გამოხმაურება ჰპოვა როგორც საბჭოთა, ასევე უცხოურ იურიდიულ ლიტერატურაში, საკმარისია აღინიშნოს თუნდაც პრესაში გამოქვეყნებული რეცენზიები: ვ. გ. სმირნოვისა („Правоведение", 1958, № 1), ვ. ნ. კუდრიავცევისა („Советское государство и право", 1959, № 4 და „საბჭოთა სამართალი", № 5), გ. ტყეშელიაძისა („საბჭოთა სამართალი", 1958, № 4 და „მნათობი", 1965, № 12), გერმანელი მეცნიერის ი. ლეკშასისა („Staat und Recht", 1959, № 3) და უნგრელი მეცნიერის ა. ხორვატისა („Allam és Iogtudomány" VII. Kötet 2. Szam. Budapest, 1964).

დანაშაულის ობიექტურ მხარეს მიეძღვნა, აგრეთვე, პროფ. თ. წერეთლის მონოგრაფია „დანაშაულებრივი ქმედობა და მისი შედეგი" („მეცნიერება", 1966), ნებელობითი აქტის შესახებ საბჭოთა ფსიქოლოგიის მიღწევათა გამოყენებით ავტორი ნათელყოფს, რომ უმოქმედობაც შეიძლება წარმოადგენდეს ნების გამოვლინებას. ავტორს დასაბუთებული აქვს, რომ მავნე შედეგი მხოლოდ მაშინ შეიძლება გახდეს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის ანდა უფრო მკაცრი სასჯელის შეფარდების საფუძველი, როცა არსებობს ბრალეული ფსიქიკური დამოკიდებულება ამ მავნე შედეგის მიმართ; ამასთან დაკავშირებით, იგი აკრიტიკებს სისხლის სამართლის ბურჟუაზიულ მეცნიერებაში გავრცელებულ შეხედულებებს პასუხისმგებლობის ე. წ. „ობიექტური პირობებისა" და მძიმე შედეგის ობიექტური შერაცხვის შესახებ. დანაშაულის განვითარების სტადიები მეცნიერულად დამუშავებულია პროფ. თ. წერეთლის წიგნში „დანაშაულის მომზადება და მცდელობა" („მეცნიერება", 1961). ავტორი იკვლევს სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობის საფუძვლებს დაუმთავრებელი დანაშაულისათვის და ასაბუთებს, რომ, რამდენადაც ასეთ საფუძველს წარმოადგენს საზოგადოებრივი საშიშროება, ამდენად მოსამზადებელი მოქმედება, რომელიც, როგორც წესი, საზოგადოებრივ საშიშროებას მოკლებულია, მხოლოდ განსაკუთრებულ შემთხვევაში უნდა ისჯებოდეს; დანაშაულის მცდელობის ცნების აგებისათვის ავტორი იყენებს რეალური შესაძლებლობის კატეგორიას. მეცნიერული კვლევის საგანი გახდა დანაშაულში თანამონაწილეობისა და დანაშაულის დაფარვის საკითხებიც. უპირველესად უნდა აღინიშნოს პროფ. თ. წერეთლის მონოგრაფია „თანამონაწილეობა დანაშაულში" („მეცნიერება", 1965), რომელშიც დასაბუთებულია, რომ, ჯერ ერთი, თანამონაწილეობა არ არსებობს, თუ მოქმედება არ წარმოადგენდა დანაშაულებრივი შედეგის ერთ-ერთ აუცილებელ პირობას, და მეორე: თანამონაწილეთა გამიჯვნას საფუძვლად უდევს პირობათა კაუზალური უთანასწორობის იდეა. ავტორი ნათელყოფს თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის დამოკიდებულებას ამსრულებლის პასუხისმგებლობისაგან და უარყოფს ჰიპერაქცესორულ თეორიასა და თეორიას თანამონაწილეთა პასუხისმგებლობის სრული დამოუკიდებლობის შესახებ. ამ საკითხების დამუშავების შედეგები გამოქვეყნებულია უმცროსი მეცნიერთანამშრომლის თ. გამყრელიძის სტატიებშიც ამსრულებლობისა და თანაამსრულებლობის შესახებ.

მთლიანად დანაშაულის თეორიულ პრობლემებს მიეძღვნა პროფ. თ. წერეთლისა და უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის გ. ტყეშელიაძის ფუნდამენტური გამოკვლევა „მოძღვრება დანაშაულზე, ნაწ. 1" („მეცნიერება", 1969). მასში განხილულია დანაშაულის ზოგადი ცნება, გაშუქებულია დანაშაულის შემადგენლობა და მისი მნიშვნელობა სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობისათვის, გამოკვლეულია დანაშაულის ობიექტი და ობიექტური მხარე. განხილულ საკითხებთან დაკავშირებით ნაშრომში გაანალიზებულია კანონმდებლობა და ვრცელი სასამართლო პრაქტიკა გაკრიტიკებულია ბურჟუაზიულ კრიმინალისტთა შეხედულებანი. გ. ტყეშელიაძის ფრიად მნიშვნელოვანი გამოკვლევა „პასუხისმგებლობა დანაშაულთა ერთობლიობისათვის" („მეცნიერება", 1965). იგი საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში მონოგრაფიული დამუშავებაა თეორიულად რთული და პრაქტიკულად ფრიად აქტუალური პრობლემისა. ავტორს გარკვეული აქვს დანაშაულთა ერთობლიობისა და მისი სახეების სპეციფიკა, მათი გამიჯვნა მონათესავე ცნებებისაგან (და-

ნაშაულის განმეორება, რეციდივი), დადგენილი აქვს ორი ან მეტი დანაშაულისათვის სასჯელის დანიშვნის თავისებურებანი და სხვა (იხ. ო. გამყრელიძის რეცენზია — „საბჭოთა სამართალი", 1966, № 6).

საბჭოთა სისხლის სამართლის ერთ-ერთ მნიშვნელოვან ინსტიტუტს ეძღვნება სექტორის მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის თ. შავგულიძის მონოგრაფია „აუცილებელი მოგერიება" (რუსულ ენაზე, „მეცნიერება", 1966), რომელშიც მოცემულია აუცილებელი მოგერიების ცნებისა და მართლზომიერების საფუძვლების ანალიზი, კერძოდ, დასაბუთებულია, რომ აუცილებელი მოგერიება წარმოადგენს არა მოვალეობას, არამედ უფლებას, თუნდაც შეურაცხი ადამიანის უფლებას ობიექტურად საშიში ხელყოფის მიმართ, ორიგინალურადაა განხილული აუცილებელი მოგერიების გადამეტების საკითხიც. ეს მონოგრაფია საბჭოთა იურიდიულ ლიტერატურაში შეფასებული იქნა როგორც სისხლის სამართლის მეცნიერების მნიშვნელოვანი შენაძენი (იხ. რეცენზიები გ. ა. კრიგერისა — „Советское государство и право", 1967, № 5, ნ. დ. დურმანოვისა — „საბჭოთა სამართალი", 1968, № 5, ო. ფ. შიშოვისა — „მაცნე", 1968, № 5, აგრეთვე უნგრელი მეცნიერის ა. ხორვატისა — Allam és logtudomãny", 1967, № 7) და შეტანილ იქნა აუცილებელი ლიტერატურის სიაში იურიდიული უმაღლესი სასწავლებლების სტუდენტებისათვის. თ. შავგულიძის უაღრესად საინტერესო მონოგრაფია „აფექტი და სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა" (რუსულ ენაზე, „მეცნიერება", 1973) ეძღვნება სისხლის სამართლის თეორიაში ნაკლებად დამუშავებულ პრობლემას, სახელდობრ, დანაშაულის ემოციურ მხარეს. წიგნში კარგადაა გამოყენებული დიდი ქართველი მეცნიერი ფსიქოლოგის აკად. დ. უზნაძის განწყობის თეორია, რომელიც საბჭოთა ფსიქოლოგიური მეცნიერების ერთ-ერთ უმნიშვნელოვანეს მიღწევად ითვლება და უკვე საერთაშორისო აღიარებით სარგებლობს. კერძოდ, თ. შავგულიძის გამოკვლევაში შესწავლილია დანაშაულებრივი ქმედობის ფსიქოლოგიური სტრუქტურა და, აქედან გამომდინარე, ემოციის გავლენა სისხლისსამართლებრივ პასუხისმგებლობაზე, დასაბუთებულია ეს პასუხისმგებლობა საზოგადოებრივად საშიში ქმედობისათვის, რომელიც აფექტის მდგომარეობაშია ჩადენილი, განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა აფექტური დანაშაულის სუბიექტურ მხარეს, აფექტის გამართლებულობის პირობებს და აფექტური დანაშაულის კვალიფიკაციის საკითხს.

საერთოდ დ. უზნაძისა და მისი მოწაფეების მიერ მოპოვებული შედეგები იმის შესაძლებლობას იძლევიან, რომ უფრო ღრმად იქნეს დასაბუთებული საბჭოთა სისხლის სამართლის მრავალი ძირითადი დებულება, ხოლო ზოგიერთი ტრადიციული შეხედულება სისხლის სამართლის ცალკეული ინსტიტუტის თუ ცნების შესახებ — გაბედულად გადაისინჯოს. სწორედ ამ მიმართულებით მუშაობს სექტორის სისხლის სამართლის განყოფილების თანამშრომელთა ერთი ნაწილი, მხედველობაში გვყავს უმცროსი მეცნიერთანამშრომელი მ. ურუშაძე, რომელმაც ფსიქოლოგიის მონაცემებზე დაყრდნობით უკვე რამდენიმე სტატია გამოაქვეყნა გაუფრთხილებელი დანაშაულის პრობლემაზე და რომლის ნაშრომმა — „გაუფრთხილებლობითი ბრალის ბუნებისათვის" დამსახურებულად გაიმარჯვა ახალგაზრდა მეცნიერმუშაკთა II რესპუბლიკურ კონკურსში.

სექტორში სათანადო ყურადღება ექცევა სისხლის სამართლის კერძო ნაწილის საკითხების მეცნიერულ დამუშავებას. ამას მოწმობს ვ. მაყაშვილისა და გ. ტყეშელიაძის წიგნი — „პასუხისმგებლობა მექრთამეობისათვის" („საბჭოთა საქართველო", 1964). ავტორებს დაწვრილებით აქვთ განხილული ამ ერთიანი ორმხრივი დანაშაულის შემადგენლობა, რომელშიც ორგანულად დაკავშირებულია ქრთამის მიმცემისა და ქრთამის ამღების ქმედობანი (აუცილებელი თანამონაწილეობა), მექრთამეობის ობიექტი და ობიექტური მხარე, სუბიექტები და სუბიექტური მხარე, მცდელობა, თანამონაწილეობა და შუამავლობა მასში, მისი კვალიფიციური სახეობანი, აგრეთვე მექრთამეობის სპეციფიკური საკითხები (ქრთამის პროვოკაცია და სხვ.). წიგნმა მაღალი შეფასება დაიმსახურა (იხ. თ. შავგულიძის რეცენზია — „საბჭოთა სამართალი", 1966, № 1).

დანაშაულობასთან ბრძოლის აქტუალური საკითხები გახდა მეცნიერული კვლევის საგანი იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ა. გაბიანის (იმ დროს სამართლის სექტორის უფროსი მეცნიერთანამშრომლის) ნაშრომებში. მათგან უპირველესად აღსანიშნავია „სისხლისსამართლებრივი პასუხისმგებლობა სიმთვრალეში ჩადენილი დანაშაულისათვის" (რუსულ ენაზე, „მეცნიერება", 1968). ამ მონოგრაფიაში განხილულია ალკოჰოლისა და სხვა ნარკოტიკულ საშუალებათა გავლენა ადამიანის შეგნებასა და ნებისყოფაზე და დადგენილია, რომ

უბრალო სიმთვრალეს შეუძლია გამოიწვიოს ქცევის შეგნებისა და ხელმძღვანელობის უნარის დაკარგვა. ნაშრომის ორიგინალური კონსტრუქცია კარგად ასახავს პასუხისმგებლობას სიმთვრალეში ჩადენილ დანაშაულისათვის და სავსებით შეესაბამება ბრალეულობის პრინციპს. ნაშრომი ფრიად დადებითად შეფასდა მრავალ რეცენზიაში (ა. ბ. [illegible] — „Социалистическая законность", 1969, № 5; თ. შავგულიძისა — „საბჭოთა სამართალი", 1969, № 6; ი. შ. ბრაინინისა — „Правоведение", 1970, № 5; ა. ჰორვატისა — „Állam és jogtudomány", 1970, № 3). აღსანიშნავია, აგრეთვე, ა. გაბიანის სხვა ნაშრომები: „დანაშაულის მიზეზების შესახებ" („საბჭოთა საქართველო", 1969) და „ალკოჰოლიკებისა და ნარკომანების იძულებითი მკურნალობის სამართლებრივი საკითხები" („საბჭოთა საქართველო", 1970).

სამართლის სექტორში მომზადდა იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის (იმ დროს სექტორის უფროსი მეცნიერთანამშრომლის) ა. შუშანაშვილის წიგნი — „ხულიგნობა და მასთან ბრძოლა" („საბჭოთა საქართველო", 1968), რომელშიც ავტორი იძლევა ხულიგნობისათვის პასუხისმგებლობის შესახებ მოქმედი კანონმდებლობის ანალიზს, აშუქებს ადმინისტრაციული ორგანოებისა და საზოგადოებრიობის როლს ხულიგნობის აღმოფხვრისა და საზოგადოებრივი წესრიგის განმტკიცების საქმეში. ა. შუშანაშვილმა თავისი მეორე ნაშრომი „საჯაროობა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესში" (რუსულ ენაზე, „მეცნიერება", 1969) მიუძღვნა საბჭოთა სისხლის სამართლის პროცესის ერთ-ერთი მთავარი პრინციპის მონოგრაფიულ დამუშავებას. წიგნში გაშუქებულია ამ პრინციპის ორგანული კავშირი სოციალისტურ დემოკრატიასთან და ჩამოყალიბებულია ზოგიერთი წინადადება სისხლის სამართალწარმოების შემდგომი სრულყოფისათვის.

სისხლის სამართლის მეცნიერების განვითარებაში ფრიად მნიშვნელოვანი როლი შეასრულა ისეთი თეორიული პრობლემების გამოკვლევამ სამართლის სექტორში, როგორიცაა: საზოგადოებრივი საშიშროებისა და დანაშაულის შემადგენლობის ურთიერთდამოკიდებულება, ბრალის პრობლემა, საფრთხის შემქმნელი დელიქტები და სხვ. კერძოდ, პროფ. თ. წერეთლის მთელ რიგ ნაშრომებში დასაბუთებულია, რომ საზოგადოებრივი საშიშროება სპეციფიკური ნიშანია საერთოდ სამართალდარღვევისა, იგი წარმოადგენს დანაშაულის შემადგენლობის შექმნის საფუძველს, ამიტომ ახასიათებს ამ შემადგენლობას მთლიანად და არ შეიძლება მისი სხვა ელემენტებთან გათანაბრება. ბრალის პრობლემასთან დაკავშირებით, პროფ. თ. წერეთლის ნაშრომებში დასაბუთებულია, რომ საზოგადოებრივი საშიშროების შეგნება განზრახვის აუცილებელ მომენტს წარმოადგენს და ეს მომენტი არ შეიძლება შეცვლილი იქნეს ასეთი შეგნების შესაძლებლობით; ნაჩვენებია პრინციპის — არ არის პასუხისმგებლობა ბრალის გარეშე — დამკვიდრება საბჭოთა სისხლის სამართალში და ა. შ. ერთ-ერთი ასეთი ნაშრომი, სახელდობრ, თ. წერეთლისა და ვ. მაყაშვილის სტატია უნგრულ იურიდიულ ჟურნალში გამოქვეყნდა. საზღვარგარეთ რამდენიმე ქვეყანაში (საფრანგეთში, პოლონეთში, უნგრეთში, იაპონიაში) დაიბეჭდა პირველად ან თარგმანის სახით პროფ. თ. წერეთლის სხვა სტატიებიც, კერძოდ, დანაშაულის საზოგადოებრივი საშიშროების, საფრთხის შემქმნელი დელიქტების, დანაშაულის შემადგენლობისა და სხვა საკითხებზე.

საბჭოთა საქართველოს სისხლის სამართლის კანონმდებლობის ისტორიის შესწავლას მიეძღვნა უმცროსი მეცნიერთანამშრომლის ლ. სურგულაძის სტატიები. უმცროსი მეცნიერთანამშრომლის ჯ. ბაბილაშვილის სტატიებში დამუშავებულია ავტოსატრანსპორტო დანაშაულის აქტუალური საკითხები. უნდა აღინიშნოს აგრეთვე სამართლის სექტორში წარმოებული კრიმინოლოგიური კვლევა-ძიება, რომლის პირველი შედეგები გამოქვეყნებულია უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდ. მეცნიერებათა კანდიდატის ნ. უგრეხელიძის სტატიებში და კრიმინოლოგიაში მათემატიკური მეთოდების გამოყენების საკითხის დამუშავება უმცროსი მეცნიერთანამშრომლის თ. ალანიას მიერ.

სამართლის სექტორი დიდ ყურადღებას უთმობს საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის ისტორიის შესწავლას, რომელსაც ჩვენში საკმაოდ მდიდარი მეცნიერული ტრადიცია აქვს. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის კაპიტალურმა ნაშრომმა — „ქართული სამართლის ისტორიამ" (1928-1929 წწ.) მტკიცე ნიადაგი შეუქმნა სამართლის მეცნიერების ამ დარგს, რომელიც მომდევნო ხანებში ვითარდებოდა აკად. ს. მელიქიშვილის, აკად. ნ. ბერძენიშვილის, აკად. ს. ჯანაშიას, აკად. გ. წერეთლის, საქ. სსრ მეცნ. აკადემიის წევრ-კორესპონდენტ პროფ. ვ. გაბაშვილის, პ. ინგოროყვას, პროფ. ირ. სურგუ-

ლაძის, პროფ. ალ. ვაჩეიშვილისა და სხვათა გამოკვლევებით. მდიდარი ტრადიცია აქვს, აგრეთვე, ქართული სამართლის ისტორიული ძეგლების მეცნიერულ გამოცემას.

სამართლის სექტორმა ორივე მიმართულებით განაგრძო ეს ტრადიციები და მნიშვნელოვანი შედეგებიც მოიპოვა. მხედველობაში გვაქვს, უპირველეს ყოვლისა, საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკადემიკოსის ი. დოლიძის „საქართველოს ჩვეულებითი სამართალი" („მეცნიერება", 1960). წიგნის პირველი ნაწილი წარმოადგენს პუბლიკაციას მე-19 საუკუნის დასაწყისში შედგენილი კრებულისა, რომელშიც თავმოყრილია უმთავრესად ქალაქის მცხოვრებთა სამოქალაქო-სამართლებრივ ურთიერთობების მომწესრიგებელი ჩვეულებითი ნორმები. წიგნის შესავალში ავტორი აშუქებს ჩვეულებას როგორც სამართლის წყაროს, ჩვეულებითი სამართლის კავშირს შუა საუკუნეებში საკანონმდებლო ძეგლებთან და მიმოიხილავს ქართული ჩვეულებითი სამართლის ისტორიულ განვითარებას. წიგნის მეორე ნაწილში მოცემულია ძეგლის ცალკეული თავების ძირითადი მუხლების ისტორიულ-იურიდიული კომენტარები და უმნიშვნელოვანესი ტერმინების ლექსიკონი. საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის შესასწავლად ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს აკად. ი. დოლიძის ფუნდამენტურ პუბლიკაციებს, ესაა: „ქართული სამართლის ძეგლების" ოთხი ტომი („მეცნიერება", 1963, 1965, 1970, 1972), რომლებშიც დაბეჭდილია ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნთა კრებული (ტ. I), საერო საკანონმდებლო ძეგლები (ტ. II), საეკლესიო საკანონმდებლო ძეგლები (ტ. III) და სასამართლო განჩინებანი (ტ. IV). თითოეულ ტომში სამართლის ძეგლებს დაერთვის ავტორის გამოკვლევა-შენიშვნები და ვრცელი სამეცნიერო აპარატურა (სხვადასხვა საძიებლები, ლექსიკონები), რაც კიდევ უფრო ზრდის ამ პუბლიკაციათა ღირებულებას.

ასევე მნიშვნელოვანია უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის დ. ფურცელაძის მიერ მომზადებული „სამოქალაქო სჯულდებება", მე-18 საუკუნის მიწურულს შედგენილ კანონპროექტთა კრებული, რომელიც იმდროინდელი სარეფორმო მოძრაობის დოკუმენტია მეცნიერულად დადგენილი ტექსტითა და სათანადო აპარატურით („მეცნიერება", 1966), ხოლო ამ ძეგლისადმი მიძღვნილი გამოკვლევა იმავე სათაურით — უფრო ადრე (საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამომცემლობა, 1960). დ. ფურცელაძემ გამოსცა აგრეთვე ამავე ხანის ქართული სამართლის საკოდიფიკაციო ძეგლი ვრცელი გამოკვლევითურთ, ესაა: „სამართალი ბატონიშვილის დავითისა" („მეცნიერება", 1964). გამოკვლევაში განხილულია ამ ძეგლის შექმნის გარემოებანი, დასავლეთის სოციალურ-პოლიტიკური აზრის, კერძოდ, განათლებული აბსოლუტიზმის იდეათა გავლენა მასზე, ძეგლის სისტემა, წყაროები, მისი მოქმედების საკითხი. ავტორი არკვევს, აგრეთვე, საქართველოში რუსული სამართლის თარგმნისა და გამოყენების პრობლემას და სხვა.

ფეოდალური საქართველოს სამართლის ცალკეული ინსტიტუტების შესწავლას მიეძღვნა სამართლის სექტორის თანამშრომელთა სხვადასხვა მონოგრაფიები. უპირველესად აღსანიშნავია უფროსი მეცნიერთანამშრომლის პროფ. გ. ნადარეიშვილის ნაშრომები: „ქართული სამართლებრივი კულტურის ზოგიერთი საკითხი XI-XII სს. საქართველოში" („მეცნიერება", 1959), რომელშიც ავტორი იკვლევს დანაშაულის სუბიექტსა და სუბიექტურ მხარეს, დაუმთავრებელი დანაშაულის დასჯადობის საკითხს, მტკიცებულებათა სისტემას, სასჯელთა ჰუმანიზაციას და სხვ. (იხ. რეცენზია ბ. როგავასი — „საქართველოს ეკონომისტი", 1960, № 2); „ფიცი როგორც მტკიცებულება ქართული სამართლის წიგნების მიხედვით" („მეცნიერება", 1963), რომელშიც განხილულია გვიანი შუა საუკუნეების საქართველოში ფიცის როგორც დამამტკიცებელი საბუთის, ადგილი და მნიშვნელობა, საერთოდ, მტკიცებულებათა სისტემაში; „ქართული საოჯახო სამართლის ისტორიიდან" („მეცნიერება", 1965), რომელიც აშუქებს ძველი ქართული საოჯახო სამართლის ისეთ ძირითად საკითხებს, როგორიცაა პირადი და ქონებრივი ურთიერთობა მეუღლეთა შორის და მშობლებსა და შვილებს შორის; „ქართული სამართლის ისტორიის ნარკვევი" („მეცნიერება", 1971), სადაც ავტორი საფუძვლიანად განიხილავს V-XVIII საუკუნეების ქართული საქორწინო სამართლის საკითხებს, არკვევს ამ დარგში საერო და კანონიკური სამართლებრივი ნორმების ფეოდალურ არსს და, მდიდარ მასალაზე დაყრდნობით, ადარებს ამ სამართალს ბიზანტიურ, სომხურ, სპარსულ და სხვათა სამართლის ნორმებთან.

საინტერესო გამოკვლევა მიეძღვნა არაგვის საეფლისწულო მოსახლეობისათვის შედგენილ სამართლის წიგნს, ესაა უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის ი. ფუტკარაძის მონოგრაფია — „ქართველ მთიელთა სამართლის ისტორიისათვის" („მეცნიერება", 1941), რომელშიც დაწვრილებითაა შესწავლილი მე-18 საუკუნის სა-

მართლებრივი ძეგლი „განჩინება ბარისა და მთიულთა ადგილთა", დადგენილია მისი მოქმედების დრო და ტერიტორიული ფარგლები და სხვ. ამ წიგნმა დიდი ინტერესი გამოიწვია და ფრიად დადებითი შეფასება მიიღო (იხ. რეცენზიები გ. ნადარეიშვილისა — „საბჭოთა სამართალი", 1964, № 5, ი. სურგულაძისა — „საქართველოს ეკონომისტი", 1964, № 10). უნდა აღინიშნოს აგრეთვე სექტორის მაშინდელი უფროსი მეცნიერთანამშრომლის, იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატის მ. ლეკვეიშვილის ნაშრომი „სასამართლო პროცესი მე-17-18 საუკუნეების აღმოსავლეთ საქართველოში" („მეცნიერება", 1963), რომელშიც განხილულია სამართალწარმოების ფორმა და სამძებრო პროცესების ელემენტები სასამართლო პროცესში; მტკიცებულებათა სახეები, კერძოდ, ორდალები, ფიცი, მოწმის ჩვენება და ა. შ.

ახლახან გამოქვეყნდა სექტორის ქართული სამართლის ისტორიის განყოფილების თანამშრომელთა კრებული „ქართული სამართლის ისტორიის საკითხები" (ტ. I, „მეცნიერება", 1973). წიგნში გამოკვლეულია ძველი ქართული სანივთო სამართლის სუბიექტები (ავტორი — იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატი ი. ფუტკარაძე), ობიექტები (ავტორი — პროფ. გ. ნადარეიშვილი), აგრეთვე საკუთრების უფლება (ავტორი — პროფ. ი. სურგულაძე); ამასთან ერთად, კრებული შეიცავს გ. ნადარეიშვილის გამოკვლევას განქორწინების შესახებ ძველ ქართულ სამართალში და იურიდიულ მეცნიერებათა დოქტორის დ. ფურცელაძის ნაშრომს ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის მოქმედებისა და მისი შემდგომი კანონმდებლობის შესახებ, რომელიც ვრცელი გამოხმაურებაა იურიდ. მეცნ. კანდიდატის მ. კეკელიას ნაშრომზე სასამართლო ორგანიზაციისა და პროცესის შესახებ საქართველოში რუსეთთან შეერთების წინ. ფეოდალური საქართველოს სახელმწიფოსა და სამართლის, აგრეთვე ქართულ პოლიტიკურ მოძღვრებათა განვითარების ცალკეული საკითხები მეცნიერულად დამუშავებულია სამართლის სექტორის თანამშრომელთა მიერ გამოქვეყნებულ სტატიებში, მაგალითად: პროფ. ი. სურგულაძის სტატიები, რომლებიც საქ. სსრ მეცნიერებათა აკადემიის გამოცემებში დაიბეჭდა, მიეძღვნა გვიანფეოდალური საქართველოს სახელმწიფო გადასახადების შესწავლას, სახელმწიფო წესწყობილების საკითხებს, სულხან-საბა ორბელიანის მსოფლმხედველობას და ა. შ.

მნიშვნელოვანი მუშაობა გაწეული სახელმწიფოსა და სამართლის ზოგადი ისტორიის დარგში და შესაბამისი სამართლებრივი ძეგლების პუბლიკაციის მიმართულებით. ამ მხრივ უნდა აღინიშნოს აკად. ი. დოლიძის „ძველი აღმოსავლეთის სამართალი" (თსუ გამომცემლობა, 1960), რომელშიც განხილულია ძველბაბილონური სამართალი, კერძოდ, მისი წყაროები და სისტემა, ბაბილონის საზოგადოების კლასობრივი სტრუქტურის ამსახველი სამართლებრივი ინსტიტუტები, საოჯახო და მემკვიდრეობითი სამართალი, დანაშაულთა სახეები, სასჯელის სისტემა, სასამართლო წყობილება და საპროცესო სამართალი. წიგნის მეორე ნაწილი შეიცავს ძველი ბაბილონის, ასირიისა და ხეთების კანონთა ტექსტების ქართულ თარგმანს, ლექსიკონსა და საძიებლებს. ფრიად სასარგებლო პუბლიკაციაა აგრეთვე ი. დოლიძის მიერ შედგენილი და მისივე შენიშვნებით, კომენტარებითა და საძიებლებით აღჭურვილი კრებული „შუა საუკუნეების სამართალი, ტომი II, განვითარებული ფეოდალიზმის ხანა" („მეცნიერება", 1962). პირველ ტომს წარმოადგენს ი. დოლიძის „ადრინდელი ფეოდალური სამართლის ძეგლები" (თსუ გამომცემლობა, 1950), რომელსაც ერთვის ავტორის ნარკვევი სალიკური სამართლის შესახებ), კრებულში მოცემულია საფრანგეთის, ინგლისისა და გერმანიის ადრინდელი საკანონმდებლო აქტები, მათ შორის ჩვეულებითი სამართლის ძეგლებიც, აგრეთვე ეკლესია-მონასტრების ძალაუფლებისა და პრივილეგიების ამსახველი დოკუმენტები.

საქართველოში იურიდიულ მეცნიერებათა განვითარებას უთუოდ ხელი შეუწყო სამართლის სექტორის მუშაობამ ქართული იურიდიული ტერმინოლოგიის დახვეწა-დადგენის მიმართულებით. ამ მუშაობის პირველი ნაყოფია „იურიდიული ტერმინოლოგია. რუსულ-ქართული ნაწილი" („მეცნიერება", 1968), რომელიც შედგენილია გ. ქვანიას, დ. ფურცელაძისა და თ. წერეთლის მიერ ცნობილი იურისტისა და ლექსიკოგრაფის პ. ქავთარაძის მასალათა გამოყენებით.

სამართლის მეცნიერების განვითარებისათვის მნიშვნელოვანია, აგრეთვე, სამართლის სექტორის თანამშრომელთა აქტიური მონაწილეობა იურიდიულ საკითხებზე გამართულ დისკუსიებში, ამ მხრივ განსაკუთრებით უნდა აღინიშნოს პროფ. თ. წერეთლის, პროფ. გ. [illegible]ნიას; იურიდიულ მეცნიერებათა კანდიდატების გ. ტუღუშიძის, თ. [illegible] და [illegible]ნოზოვის; უმცროსი მეცნიერთანამშრომლის მ. უგრეხელიძის გამოსვლები საკავშირო და საერთაშორისო სამეცნიერო კონგრესებზე, კონფერენციებსა და სიმპოზიუმებზე.

სამართლის სექტორი შედარებით ახალგაზრდა, მაგრამ უკვე მძლავრი მეცნიერული ორგანიზმია. უახლოეს მომავალში მისი შემდგომი ზრდის პერსპექტივა იმის იმედს იძლევა, რომ იგი კიდევ უფრო შეუწყობს ხელს საბჭოთა იურიდიულ მეცნიერებათა განვითარებას და ამით თავის წვლილს შეიტანს კომუნიზმის მშენებლობაში.

---

ეროვნული ბიბლიოთეკა

რაფიელ ხარბედია

# შრომის რედუქციის კანონი ეკონომიკური კანონების სისტემაში

შ რ ო მ ი ს  რ ე დ უ ქ ც ი ი ს  კ ა ნ ო ნ ი  იმ კანონთა რიცხვს მიეკუთვნება, რომლებიც წარმოშობილი არიან შრომითი ურთიერთობის ბაზაზე საქონლური წარმოების არსებობის პირობებში. კარლ მარქსის მიერ ამ კანონის აღმოჩენა შედეგია ეკონომიკურ კანონებზე მარქსისტული ეკონომისტების შეხედულებათა თანმიმდევრული ისტორიული განვითარებისა. უწინარეს ყოვლისა, აღსანიშნავია, რომ უ. პეტი ეკონომიკურ კანონებს, გაგებულს თუნდაც ბუნების კანონებად, განასხვავებდა პოზიტიური სამოქალაქო კანონებისაგან. მაგალითად, სარგებლის განაკვეთზე მსჯელობის დროს პეტი აღნიშნავს: „...ამაო და უნაყოფოა პოზიტიური სამოქალაქო კანონების გამოცემა, რომლებიც ეწინააღმდეგება ბუნების კანონებს“. მარქსი იქვე განმარტავს, რომ პეტი ბუნების კანონებში გულისხმობს ბურჟუაზიული წარმოების ბუნებიდან გამომდინარე კანონებს. მერკანტილისტებიც და ფიზიოკრატებიც ჩვილი ყრმებივით გაოგნებულნი იდგნენ საზოგადოებრივი მოვლენების მომწესრიგებელ კანონზომიერებათა წინაშე. ფიზიოკრატები ამ გაოგნებული მდგომარეობიდან ვერც ს. ლენგემ ვერ გამოიყვანა. მისი წიგნის მიმოხილვის შემდეგ მარქსი წერდა: „ამ მიმოხილვებმა უნდა გვიჩვენოს რა ისტორიულად გაპირობებული ფორმით იყო პირველად გამოთქმული და შემდგომ განვითარებული პოლიტიკური ეკონომიის კანონები“[1]. აქედან ჩანს, თუ როგორ გულმოდგინედ ეძებდა მარქსი მის წინამორბედ და თანამედროვე ეკონომისტებთან ეკონომიკური კანონების პირველსახეებს, სწორედ პირველ სახეებს და არა კანონებს, რადგან ეს მათ არც მქონდათ. ეძებდა უფრო მეტად შეხედულებას, მსჯელობას, შენიშვნას, იმ მიზნით, რომ გაეგო — შეუძლიათ თუ არა მათ ახსნან შინაარსი ან რაობა ეკონომიკური კანონებისა. მაგალითად, ლენგეს შენიშვნაზე, რომ „საზოგადოებამ შექმნა კანონები და არა კანონებმა — საზოგადოება“, მარქსი ამბობდა: „უკვე ეს ერთი შენიშვნა გვიჩვენებს მისი შეხედულების სიღრმეს“[2]. და, მართლაც, ლენგეს ამ შენიშვნამ მიიყვანა მარქსი იმ დასკვნამდე, რომ ეკონომიკური კანონები ადამიანთა საკუთარი საზოგადოებრივი მოქმედების კანონებია.

ფრანგმა ეკონომისტმა პ. ლეპაზანმა, რომელიც ცნობილია ბუაგილბერის სახელით, ეკონომიკურ კანონებზე ისეთი ღრმა შეხედულებები განავითარა, რომ მარქსმა აღნიშნა: კლასიკური პოლიტიკური ეკონომია საფრანგეთში ბუაგილბერით იწყებაო. ეკონომიკურ მეცნიერებაში ბუაგილბერი შემდეგი კითხვებით მოვიდა: რით განისაზღვრება ქვეყნის ეკონომიკური ზრდა? რა კანონზომიერებანი მოქმედებენ სახალხო მეურნეობაში? ეკონომიკური აზრის ისტორიკოსები ხშირად უყურადღებოდ ტოვებენ იმას, თუ რა კითხვებით შემოდის მოაზროვნე მეცნიერებაში, რის გამოც ბევრი შესაძლებლობა იკარგება უფრო ღრმად ჩავწვდეთ თითოეული მოაზროვნის იდეების არსენალში.

**რა კანონზომიერებანი მოქმედებენ სახალხო მეურნეობაში?** ამ კითხვით მოსვლა ეკონომიკურ მეცნიერებაში უკვე მოასწავებდა იმას, თუ რამდენად წინ იყო წასული პოლიტიკური ეკონომია თავის განვითარებაში. არისტოტელეს ო ჯ ა ხ უ რ ი  მ ე უ რ ნ ე ო ბ ა შორს იქნა მიტოვებული. ბუაგილბერი თვლიდა, რომ საქონლური წარმოება ახლა მთელი საზოგადოებრივი მასშტა-

[1] კ. მ ა რ ქ ს ი. ზედმეტი ღირებულების თეორიები, ნაწილი I, თბ., 1966, გვ. 414.
[2] იქვე, გვ. 415.

ბითაა წარმოდგენილი და რომ ამ ეკონომიკური პროგრესის პირობას წარმოშეადგენს პროპორციული ანუ ნორმალური ფასები. პეტის ბუნებრივ ფასებთან შედარებით აქ უეჭველად არის წინსვლა, მაგრამ ღირებულ... ბუნების ამოხსნა ჯერ კიდევ მიუღწეველია. როგორც ვხედავთ, ... ცდილობს სხვა გზით მივიდეს ფასების ნამდვილ საფუძვლებთან — ღირებულებასთან. თუმცა ნორმალური ფასიც, საბოლოო ანგარიშით, ბუნებრივი ფასია, — ფასი, რომლის დროსაც „ფულმა იცის თავისი ადგილი". აღსანიშნავია, რომ ფულის ადგილი და როლი პეტის უფრო მძიმედ აქვს ახსნილი და მიკვლეული, ვიდრე ბუაგილბერს. არსებითად პეტი იმას ფიქრობს, წერდა მარქსი, რომ „ბურჟუაზიული შრომა უნდა აწარმოებდეს არა უშუალო სახმარ ღირებულებას, არამედ საქონელს, — სახმარ ღირებულებას, რომელსაც შეუძლია თავისი გასხვისების გზით გაცვლის პროცესში გამოიხატოს ოქროსა და ვერცხლის სახით, ე. ი. როგორც ფული"[3]. შრომის ისეთი თვისების მოგნება, როგორიცაა მისი გასხვისება მის მიერ წარმოებული პროდუქტის გაცვლის გზით, რა თქმა უნდა, წინ გადადგმულ ნაბიჯს მოასწავებდა შრომის რედუქციისათვის, ვინაიდან ურედუქციოდ შეტოლება ვერ მოხერხდება. აი, როგორი შეხედულებები ამზადებდა ნიადაგს იმისათვის, რომ მარქსს აღმოეჩინა შრომის რედუქციის კანონი ღირებულების სხვა კონკრეტულ კანონებთან ერთად.

რთული შრომა რომ უფრო მეტ ღირებულებას ქმნის, ვიდრე — მარტივი შრომა, — ეს არის მიზეზი, რომელიც ობიექტურ აუცილებლობად ხდის რთული შრომის მარტივ შრომაზე დაყვანას ანუ რედუქციას. მაშასადამე, შრომის რედუქციის ეკონომიკური კანონი იმდენად მსჯელობის კანონი როდია, რამდენადაც — მიზეზობრივი კანონი. ამაზე ყურადღებას იმიტომ ვამახვილებთ, რომ არსებობს მსჯელობის კანონებიც. ამგვარი კანონის კლასიკურ ნიმუშს წარმოადგენს ქიმიურ ელემენტთა პერიოდულობის კანონი, რომლის მიხედვითაც თითოეული ელემენტის ერთიმეორის გვერდით არსებობა მიზეზობრიობით კი არ არის გაპირობებული, არამედ — მათზე მსჯელობით. ბუნების ასეთი კანონი საზოგადოებაში თითქმის არ არის. საზოგადოებრივი კანონი ყოველთვის მიზეზობრივი კანონია. გარდა ამისა, ყურადღებას ამაზე იმიტომაც ვამახვილებთ, რომ საკითხის უფრო ღრმა განხილვისას ჩნდება მეტად საინტერესო კითხვა — **ღირებულების ზოგად კანონს მუდამ ახლდა თან შრომის რედუქციის კონკრეტული კანონი?** — ც ხ ა დ ი ა, ა რ ა.

ღირებულების ზოგადი კანონი თავისი მოქმედების 70 საუკუნეს ითვლის და, რა თქმა უნდა, 70 საუკუნის წინათ საქონელი მხოლოდ მარტივი შრომის ნაჭელაკს წარმოადგენდა. რთული შრომა ჩნდება უფრო გვიან, მანუფაქტური წარმოების ეპოქაში. ეს იმას ნიშნავს, რომ შრომის რედუქციის მიზეზი მრეწველობაში კაპიტალიზმის განვითარების მეორე სტადიაზე ჩნდება და შრომის რედუქციის ეკონომიკური კანონიც ამ დროს წარმოიშობა. გასაგებია, პეტის არ შეეძლო ეს კანონი აღმოეჩინა თუნდაც იმიტომ, რომ მაშინ კანონი არც იყო წარმოშობილი. მაგრამ ბურჟუაზიულ შრომაზე პეტის შეხედულებამ ნიადაგი შეამზადა მისი აღმოჩენისათვის. რაც შეეხება რიკარდოს, მას უნდა აღმოეჩინა იგი, მაგრამ რიკარდოსეული თეორია სუსტი იყო ამისათვის. შრო-

[3] კ. მ ა რ ქ ს ი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, თბ., 1953, გვ. 56-57.

მითი ღირებულების მხოლოდ მარქსისეულმა თეორიამ გახადა შესაძლებელი შრომის რედუქციის კანონი მიკვლეულიყო და აღმოჩენილიყო.

ღირებულების ზოგადი კანონი ზოგადი გაგებაა ღირებულებისა და რეალურ სინამდვილეში მისი გამოვლენის ფორმები კონკრეტული კანონებია. ზედმეტი ღირებულების ზოგადი კანონიც ზოგადი გაგებაა ზედმეტი ღირებულებისა, მაგრამ მისი გამოვლენის ფორმები უკვე უფრო ღრმა კანონებია. ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსებთან ეს გარემოება არაა გარკვეული. სმიტი და რიკარდო, მაგალითად, არ გამოყოფენ ზედმეტ ღირებულებას მოგების, რენტისა და სარგებლისაგან. მარქსი კი საკითხს ასე წყვეტს: რაინაიდან ზედმეტი ღირებულება წყაროა როგორც მოგების, ისე რენტისა და სარგებლის, ზედმეტი ღირებულების კანონი ზოგადი კანონია, რომლიდანაც გამოიყვანება უფრო ღრმა კანონები, ე. ი. მოგების, რენტის და სარგებლის კანონები. უთუოდ ამას გულისხმობდა ენგელსი, როდესაც „კაპიტალის" მეორე ტომის წინასიტყვაობაში წერდა: „ეს კანონები გადმოცემული იქნება III წიგნში, სადაც პირველად იქნება ნაჩვენები, თუ რაოდენ მრავალი შუალედი რგოლია საჭირო იმისათვის, რომ ზედმეტი ღირებულების ზოგადი გაგებიდან მის მოგებად და მიწის რენტად გარდაქმნის გაგებამდე მივიდეთ"[4]. სწორედ ამ მრავალმა შუალედურმა რგოლმა განაპირობა მარქსის მიერ ღირებულების ზოგადი კანონის აღმოჩენის დროს მისი გამოყვანა ისეთი კონკრეტული კანონებიდან, როგორიცაა შრომის გაორადების, შრომის გასაშუალოების და შრომის რედუქციის კანონები; ხოლო ზედმეტი ღირებულების ზოგადი კანონის აღმოჩენის დროს მისგან ისეთი უფრო ღრმა კანონების გამოყვანა, როგორიცაა მოგების, რენტის და სარგებლის კანონები. და ჩვენ სწორედ აქ ვპოულობთ ეკონომიკური კანონების ტიპიზაციის ამოსავალ პუნქტს: კონკრეტული კანონებიდან ზოგადისა და ზოგადი კანონიდან უფრო ღრმა კანონების გამოყვანა.

მართალია, ბურჟუაზიული პოლიტიკური ეკონომიის კლასიკოსებმა მოგვცეს შრომითი ღირებულების თეორია მისი პირვანდელი სახით, მაგრამ ამ სახით იგი ისე როდი იყო განვითარებული, რომ მათ შესძლებოდათ ღირებულების ზოგადი კანონის ნამდვილი აღმოჩენა. შრომითი ღირებულების თეორიამ დიდი და ღრმა განვითარება მარქსთან ჰპოვა და ღირებულების ზოგადი კანონის ნამდვილი აღმოჩენაც მას ეკუთვნის. **განა ასე არ მოხდა ზედმეტი ღირებულების თეორიის მიმართაც?** „პროდუქტის ღირებულების იმ ნაწილის არსებობა, — წერდა ენგელსი, — რომელსაც ჩვენ ახლა ზედმეტ ღირებულებას ვუწოდებთ, მარქსზე დიდი ხნით ადრე იყო დადგენილი; ასევე მეტნაკლები სიცხადით იყო გამოთქმული, რისგან შედგება იგი". მაგრამ ხომ არ შეიძლება ეს ისე ავხსნათ, თითქოს მარქსზე დიდი ხნით ადრე იქნა აღმოჩენილი ზედმეტი ღირებულების კანონი? ცხადია, არა, არ შეიძლება. იმავე წინასიტყვაობაში ენგელსი წერდა: „რიკარდოს სკოლამ დაახლოებით 1830 წელს ცვხი მოიტეხა ზედმეტ ღირებულებაზე"[5].

შრომის რედუქციის კანონი გულისხმობს განვითარებულ საცვლელ ღირებულებას. მას ნაკლები კავშირი აქვს სახმარ ღირებულებასთან. მართალია, სახმარი ღირებულება კონკრეტული შრომით იქმნება და სახმარი ღირებულე-

[4] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. II, თბ., 1957, გვ. 12.
[5] იქვე. გვ. 18, 21.

ბის შექმნაც კონკრეტული კანონია, მაგრამ იგი ყოველ საზოგადოებაში მოქმედებს და კლასიფიკაციის მიხედვით საერთო ეკონომიკური კანონია. შრომის რედუქციის კანონი კი საქონლური წარმოების კანონია და კლასიფიკაციის მიხედვით განსაკუთრებულ კანონებს მიეკუთვნება.

ჩვენ ვანგებადაც აღვნიშნავთ იმას, რომ სახმარი ღირებულების შექმნაც არის კონკრეტული კანონი, ვინაიდან არ გვინდა ისეთი შთაბეჭდილება დარჩეს, თითქოს შრომა პოლიტიკური ეკონომიის საგანს არ შეადგენს.

კ. მარქსი თუმცა წერდა: „სახმარი ღირებულება როგორც სახმარი ღირებულება, პოლიტიკური ეკონომიის კვლევა-ძიების ფარგალს გარეთ იმყოფება", — მაგრამ ამით იმას როდი ამბობდა, რომ ეს მუდამ ასეა. მართლაც, სახმარი ღირებულება რომ არასოდეს არ ექცეოდეს პოლიტეკონომიური კვლევის ფარგალში, იგი არასოდეს არ გახდებოდა ფორმის ეკონომიკური განსაზღვრა და მაშინ პოლიტეკონომია იქნებოდა მეცნიერება მხოლოდ საქონლური წარმოების შესახებ, სადაც ღირებულებაა შრომის საზოგადოებრივი ფორმის ეკონომიკური განსაზღვრა. მარქსი თავის ზემოაღნიშნულ გამოთქმას ისე როდის ტოვებს, რომ მისგან ასეთი დასკვნის გამოტანა შეიძლებოდეს. პირიქით, სახმარი ღირებულების შესახებ იქვე დასძენს, რომ „პოლიტიკური ეკონომიის ფარგალში იგი მხოლოდ მაშინ მოექცევა, როდესაც თვით წარმოადგენს ფორმის ეკონომიურ განსაზღვრას. მაშასადამე, ინდივიდუუმთა მონაწილეობა საზოგადოებრივ შრომაში საზოგადოებრივი ფორმაა და სახმარი ღირებულება ამ ფორმის ეკონომიკურ განსაზღვრას წარმოადგენს. მხოლოდ საქონლის ფეტიშური ხასიათი აბუნდოვანებს სწორ წარმოდგენას, თორემ ნამდვილი საზოგადოებრივი ურთიერთობა არის „... პიროვნებათა უშუალო საზოგადოებრივი ურთიერთობა თვით მათს შრომაში".

„საზოგადოებაში მწარმოებელი ინდივიდები, — წერდა მარქსი, — მაშასადამე, ინდივიდთა საზოგადოებრივად განსაზღვრული წარმოება, — ასეთია, რა თქმა უნდა, ამოსავალი პუნქტი". ასე იყო ეს პირველყოფილ საზოგადოებაში და ასევე იქნება სრულ კომუნისტურ საზოგადოებაშიც. შრომა და მისი შედეგი — სახმარი ღირებულება პოლიტიკური ეკონომიის, როგორც საზოგადოების შესახებ ერთიანი მეცნიერების, კვლევის ფარგალშია მუდამ მოქცეული. სახმარი ღირებულების შემქმნელი შრომა და სახმარი ღირებულება — ასეთია ყოველ საზოგადოებაში შრომის საზოგადოებრივი ფორმა და ამ ფორმის ეკონომიკური განსაზღვრა. ასეთია მარქსისა და ლენინის დასკვნითი თვალსაზრისი. მაგრამ იმ საზოგადოებაში, რომელსაც მარქსი სპეციალურად იკვლევდა, შრომის საზოგადოებრივი ფორმა იყო და ახლაც არის დაქირავებული შრომა, ხოლო ღირებულება და ზედმეტი ღირებულება ამ ფორმის ეკონომიკური განსაზღვრა. ამიტომ ამბობდა მარქსი, „სახმარი ღირებულება როგორც სახმარი ღირებულება პოლიტიკური ეკონომიის კვლევა-ძიების ფარგალს გარეთ იმყოფება" და ამიტომაც დასძენდა: „პოლიტიკური ეკონომიის ფარგალში იგი მხოლოდ მაშინ მოექცევა, როდესაც თვით წარმოადგენს ფორმის ეკონომიურ განსაზღვრას", მაგრამ არა შემდეგ, ოდესმე მომავალში, არამედ ახლაც, ვინაიდან „უშუალოდ იგი ნივთიერი საფუძველია, რომელიც გამოხატავს განსაზღვრულ ეკონომიურ ურთიერთობას — საცვლელ ღირებულებას"[6]. „საზოგადოების იმ ფორმაში, — წერდა მარქსი, —

[6] კ. მარქსი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 17.

რომელიც ჩვენ უნდა განვიხილოთ, სახმარი ღირებულება იმავე დროს ნივთიერი მატარებელია საცვლელი ღირებულებისა"[7]. უიმისოდ არ არსებობს საცვლელი ღირებულება. სავსებით გასაგებია, რომ პოლიტიკური ეკონომიის კვლევის ფარგალში ექცევა არა „სახმარი ღირებულება როგორც სახმარი ღირებულება", არამედ სახმარი ღირებულება როგორც „ნივთიერი საფუძველი", როგორც „ნივთიერი მატარებელი" საცვლელი ღირებულებისა. საცვლელმა ღირებულებამ უნდა გამოავლინოს ღირებულება, მაგრამ მისი გამოვლენა რომ სრულყოფილი იყოს, საჭიროა შრომის რედუქცია.

ეკონომიურ კანონთა აღმოჩენის ისტორია გვიჩვენებს, რომ შრომა, შრომითი საქმიანობა, არის ის ბაზა, რომელზედაც წარმოიშვა რიგი საერთო და განსაკუთრებული ეკონომიკური კანონებისა. ამ ბაზაზეა წარმოშობილი, მაგალითად, შრომის კოოპერაციის, შრომის დანაწილების, შრომითი შეჯიბრების, შრომით დაინტერესებულობის, შრომის მწარმოებლურობის, შრომის განსაზოგადოების, შრომის გამოცვლის, შრომის სასიცოცხლო მოთხოვნილებად გადაქცევის და სხვ. ეკონომიკური კანონები. ეს კანონები სახმარი ღირებულების შემქმნელი შრომის კანონებია და ამიტომ არიან ისინი საერთო კანონები. მაგრამ ღირებულების შემქმნელი შრომის კანონებია: შრომის გაორადების, შრომის განკერძოების, შრომის გასაშუალოების, შრომის რედუქციის და სხვ. განსაკუთრებული ეკონომიკური კანონები. ესენი ღირებულების შემქმნელი შრომის კანონებია, რომლებიც წარმოიშვნენ საქონელწარმოების გაჩენასთან ერთად და მოქმედებენ ვიდრე არ გაქრება საქონელწარმოება, როგორც წარმოების განსაკუთრებული ფორმა. ცხადია, შრომის ეკონომიკური კატეგორია რომ არ ჰქონოდა, პოლიტიკური ეკონომია ვერ შეძლებდა შეექმნა და განევითარებინა შრომითი ღირებულების თეორია, აეხსნა ღირებულება როგორც საზოგადოებრივი ურთიერთობა; ვერ განსაზღვრავდა ღირებულების შემქმნელ შრომას როგორც შრომის საზოგადოებრივ ფორმას და ღირებულებას როგორც ამ ფორმის ეკონომიკურ განსაზღვრას; ვერ აღმოაჩენდა ღირებულების ზოგად კანონსა და ღირებულების შექმნის, ღირებულების გაზომვის, ღირებულების გამოვლენის კონკრეტულ ეკონომიკურ კანონებს. ამ უკანასკნელთა რიცხვს მიეკუთვნება შრომის რედუქციის ეკონომიკური კანონი.

სახმარი ღირებულების შემქმნელ შრომას არ სჭირდება რედუქცია, ღირებულების შემქმნელი შრომისათვის კი იგი აუცილებლად საჭიროა. ეს, პირველყოვლისა, იმით აიხსნება, რომ სახმარ ღირებულებას მნიშვნელობა აქვს მოხმარებისათვის, ხოლო ღირებულებას — გაცვლისათვის. გაცვლაცა და მოხმარებაც სისტემის შემდგენი წარმოებრივი ურთიერთობებია, მაგრამ ისინი ერთნაირი როდია, თუნდაც იმიტომ, რომ მოხმარება ყოველთვის შედის წარმოებრივ ურთიერთობათა სისტემაში, გაცვლა კი ისტორიულადაა შეხული და წარმავალია. კომუნისტური საზოგადოების წარმოებრივ ურთიერთობათა სისტემაში გაცვლა არ იქნება და მის ეკონომიკურ კანონთა სისტემაშიც არ იქნება განსაკუთრებული კანონები, მათ შორის არც შრომის რედუქციის ეკონომიკური კანონი. ყოველ კონკრეტულ შრომას თავისი თვისებრიობა აქვს და ამიტომ ყოველი სახმარი ღირებულება პირდაპირ გამოვლინდება მისი შექმნისათვის საჭირო კონკრეტული შრომით. ეს სავსე-

[7] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, თბ., 1954, გვ. 51.

ბით გასაგებია. მაგრამ როგორ შეიძლება გამოვლინდეს საცვლელი ღირებულება, როგორი შრომა გამოავლენს მას — ეს საკითხი აწვალებდა ბურჟუაზიულ ეკონომიას მისი წარმოშობის დღიდანვე. ნამდვილად, მეცნიერული პასუხი ამ კითხვას მარქსმა გასცა. მან მოგვცა ამის გასაგებად საჭირო ძირითადი თვალსაზრისი. აი რას წერდა იგი: „სამუშაო დროით საცვლელი ღირებულების განსაზღვრის გასაგებად საჭიროა მტკიცედ დავიცვათ შემდეგი ძირითადი თვალსაზრისი: შრომის დაყვანა მარტივ, ასე ვთქვათ, თვისებრიობას მოკლებულ შრომაზე“[8]. შრომა რომ მისი შედეგით გამოიხატება, ამას ახსნის შრომის გასაგნობრივების კანონი, რომელიც საერთო კანონია ყველა საზოგადოებისათვის. ჩვენი ეკონომისტები ამ კანონზე არც ლაპარაკობენ და არც ფიქრობენ. მათ შრომის რედუქციის ეკონომიკური კანონის არსებობაც საეჭვოდ მიაჩნიათ. ამიტომ აუცილებელია საკითხის უფრო ახლო განხილვა. აქ ჩვენ საქმე გვაქვს იმასთან, რომ შრომა თავისი შედეგით გამოიხატება. ამ თვალსაზრისით, არის შრომა, რომელიც სახმარი ღირებულებით ანუ პროდუქტით გამოიხატება და არის შრომა, რომელიც საცვლელი ღირებულებით ანუ საქონლით გამოიხატება. „ყველა საქონელი ერთი და იმავე ერთიანობის კრისტალიზაციაა“ — შენიშნავს მარქსი, და შემდეგ აღნიშნავს, რომ უნდა განვიხილოთ „განსაზღვრული ხასიათი ამ ერთიანობისა, ე. ი. შრომისა, რომელიც საცვლელი ღირებულებით გამოიხატება“[9].

**რა არის ყველა საქონლის ერთიანობა ანუ ის, რაც ერთია ყველა საქონლისათვის?** — ეს არის შრომის ერთგვაროვნობა. მნიშვნელობა მარტო იმას როდი აქვს, რომ შრომა მისი შედეგით გამოიხატება. ამით მხოლოდ სახმარი ღირებულება შეიძლება გამოვლინდეს, თორემ საცვლელი ღირებულება ვერ გამოვლინდება. იმისათვის, რომ საცვლელი ღირებულება გამოვლინდეს, საჭიროა გაქრეს შრომის მრავალგვაროვნობა და მისი ადგილი დაიკავოს შრომის ერთგვაროვნობამ; უნდა გაქრეს თვისებრივი განსხვავებულობა და მისი ადგილი რაოდენობრივ განსხვავებულობამ დაიკავოს. **რა გზით შეიძლება ეს მოხდეს?** — ეს შეიძლება მოხდეს ყველა შრომის გაერთგვაროვნებით. მარქსი ამის შესახებ წერს: „შრომის განუსხვავებელი სიმარტივე უწინარეს ყოვლისა სხვადასხვა ინდივიდის შრომათა ტოლობაა, ურთიერთმიმართებაა მათი შრომისა ერთიმეორისადმი როგორც თანატოლისადმი, თანაც ამის განხორციელება ხდება ყველა შრომის ფაქტიური დაყვანით ერთგვაროვან შრომაზე“[10].

„მხოლოდ სხვადასხვაგვარ საქონელთა ექვივალენტობის გამოხატულება, — წერს მარქსი, — ამჟღავნებს ღირებულების შემქმნელი შრომის სპეციფიკურ ხასიათს იმით, რომ მას სხვადასხვაგვარ საქონელში მოქცეული სხვადასხვაგვარი შრომა ნამდვილად დაჰყავს მათთვის საერთოზე, ადამიანის შრომაზე საერთოდ“[11]. ესაა საქონელთა ერთიანობის კრისტალიზაცია და განსაზღვრული ხასიათი ამ ერთიანობისა. ასე დაიწყო მარქსმა საქონლისა და ღირებულების შემქმნელი შრომის გამოკვლევა. მარქსი თავდაპირველად აღნიშნავს, რომ „ის კანონები, რომლებიც ამ დაყვანას აწესრიგებენ, აქ ჯერ კი-

[8] კ. მარქსი, პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 20.
[9] იქვე, გვ. 18.
[10] იქვე, გვ. 23.
[11] კ. მარქსი, კაპიტალი, ტ. I, გვ. 69.

დევ არ შეადგენენ ჩვენი განხილვის საგანსო"[12]. მაგრამ „კაპიტალში", სადაც საქონლის უფრო ღრმა ანალიზია მოცემული, მარქსი უ[illegible]-ბობს, რომ „გამოკვლევის შემდგომი მსვლელობა კვლავ [illegible] სა-ცვლელ ღირებულებასთან, როგორც ღირებულების გამოსახვის აუცილებელ წესსთან, ანუ მისი გამოვლინების აუცილებელ ფორმასთან". ღირებულების გამოვლენის ეს აუცილებელი ფორმა არის რთული შრომის მარტივ შრომაზე დაყვანა, ანუ შრომის რედუქცია. მარქსმა ის იმ კანონებთან ერთად აღმოაჩინა, რომლებიც აწესრიგებენ ამ დაყვანას. ესაა შრომის რედუქციის და ღირებულების გამოვლენის კანონები. შრომის რედუქციის კანონი ერთ-ერთი პირველი ეკონომიკური კანონია, რომელიც მარქსმა თავის ეკონომიკურ ხელნაწერებში და „კაპიტალში" შენიშნა სწორედ შრომის, როგორც პოლიტეკონომიური კატეგორიის, ღრმა და ყოველმხრივი გამოკვლევით. გამოკვლევის შედეგად მარქსი ადგენს, რომ ღირებულება მ ხ ო ლ ო დ მაშინ გამოვლინდება, როცა რთული შრომა დაყვანილია მარტივ შრომაზე. აქ სიტყვა „მხოლოდ" იმის მაუწყებელია, რომ ღირებულების გამოსავლენად ობიექტურად აუცილებელია შრომის რედუქცია, შრომის თვისებრიობისაგან და სახმარი ღირებულებისაგან აბსტრაჰირება. „თუ ჩვენ მართლაც, — წერს მარქსი, — შრომის პროდუქტთა სახმარი ღირებულებისაგან აბსტრაჰირებას მოვახდენთ, მაშინ მივიღებთ მათს ღირებულებას"[13]. ამ შემთხვევაში საცვლელი ღირებულება თვითონ ხდება ღირებულების გამოვლინების აუცილებელ ფორმად. ეს უკვე იმაზე მიგვანიშნებს, რომ შრომის რედუქციას აქვს კანონის უპირველესი ნიშანი — ო ბ ი ე ქ ტ უ რ ი ა უ ც ი ლ ე ბ ლ ო ბ ა.

შრომის რედუქციის როგორც კანონის კიდევ ერთ ნიშანს — გ ა ნ მ ე ო რ ე ბ ა დ ო ბ ა ს — მარქსი ასე გვიხსნის: „ეს დაყვანა გვევლინება აბსტრაქციად. მაგრამ ესაა აბსტრაქცია, რომელიც წარმოების საზოგადოებრივ პროცესში ყ ო ვ ე ლ დ ღ ი უ რ ა დ ხდება"[14]. მისი, როგორც ეკონომიკური კანონის ერთ-ერთ ნიშანს, სახელდობრ მ უ დ მ ი ვ ო ბ ა ს (რა თქმა უნდა, მოცემული მოვლენისათვის — საქონელწარმოებისათვის, და არა საზოგადოებისათვის საერთოდ) მარქსი გვამცნობს შემდეგნაირად: „გამოცდილება გვიჩვენებს, რომ ეს რედუქცია, — რთული შრომის მარტივ შრომაზე დაყვანა, — მ უ დ ა მ წ ა რ მ ო ე ბ ს". მარქსი არ ივიწყებს არც იმას, რომ კანონი მოქმედებს და ხორციელდება ადამიანთა შეგნებისა და სურვილისაგან დამოუკიდებლად, ასე ვთქვათ, მათს „ზურგს უკან". „სხვადასხვა პროპორცია, — წერს მარქსი, — რომლის მიხედვითაც სხვადასხვა სახის შრომა დაყვანილია მარტივ შრომაზე, როგორც მის საზომ ერთეულზე, საზოგადოებრივი პროცესის მეოხებით მწარმოებელთა ზ უ რ გ ს უ კ ა ნ მყარდება"[15]. ასე ყოველმხრივ, კანონის ყველა ნიშნის მიხედვით აქვს მარქსს დასაბუთებული შრომის რედუქციის ეკონომიკური კანონი. ამ კანონს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ადგილი უკავია ეკონომიკური კანონების სისტემაში, სადაც ის კანონთა კლასიფიკაციის მიხედვით შედის როგორც განსაკუთრებული, ხოლო ტიპიზაციის მიხედვით როგორც კონკრეტული კანონი. დღემდე ჯერ კიდევ მისი როლი არ

[12] კ. მ ა რ ქ ს ი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის. გვ. 22.
[13] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 53-54.
[14] კ. მ ა რ ქ ს ი. პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის, გვ. 21.
[15] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 61.

ჩაის წაოლად. ამის მიზეზი ის არის, რომ ეკონომიკურ ლიტერატურაში კანონებს საერთოდ განიხილავენ მათი ერთმანეთისადმი ისეთი სუბორდინაციული მიმართებით, რომლის დროსაც ამოსავალი პუნქტი ხდება ერთ[illegible] რისადმი და ყველა კანონის ერთი კანონისადმი დამორჩილება [illegible] უნდა, აძნელებს ამა თუ იმ კანონის ადგილის სწორ დადგენას კანონთა სისტემაში.

ამოსავალ პუნქტად უნდა ავიღოთ არა ერთი კანონის მეორისადმი დამორჩილება, არამედ ის მეცნიერული ხერხი, რომელსაც მარქსი იყენებდა კანონის აღმოჩენის დროს. ეს არის ერთი კანონიდან მეორის გამოყვანა. ამ ხერხს იყენებს მარქსი როგორც ეკონომიკურ ხელნაწერებში (1859) ისე „კაპიტალში“ (1867). აგრეთვე ფ. ენგელსი „ნარკვევებში პოლიტიკური ეკონომიის კრიტიკისათვის“ (1844). ამის მიხედვით, შეგვიძლია კლასიფიცირებულ კანონთა თითოეულ ჯგუფში (სპეციფიკური, საერთო, განსაკუთრებული) ერთმანეთისაგან გავარჩიოთ **პირველადი, ღრმა და უფრო ღრმა** კანონები. ამ შემთხვევაში წინა პლანზეა წამოყენებული არა კანონების ერთმანეთისადმი დამორჩილება, არამედ მათი მიმართება ერთი მეორისადმი. მაგალითად, რამდენიმე კანონიდან, რომლებიც პირველადი კანონებია, გამოიყვანება ღრმა კანონი. ამ ღრმა კანონიდან კი რამდენიმე კანონი, რომლებიც მის მიმართ უფრო ღრმა კანონებია. ასე გამოიყვანა მარქსმა შრომის გაორადების და შრომის რედუქციის პირველადი კანონებიდან ღირებულების კანონი, ხოლო ზედმეტი ღირებულების კანონიდან საშუალო მოგებისა და მიწის რენტის კანონი. არც ერთი და არც მეორე მარქსამდელ ეკონომისტებს არ გაუკეთებიათ.

XVII საუკუნის შუა ხანებში არა მარტო პოლიტიკური მეცნიერება გამოჩნდა მთელი სისრულით, არამედ მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, მისი ნამდვილი მამაც. ეს იყო უილიამ პეტი. მაგრამ უ. პეტი იმიტომ კი არაა პოლიტიკური ეკონომიის მამამთავარი, რომ მან აღმოაჩინა ღირებულების კანონი, არამედ იმიტომ, რომ პირველმა გაკაფა გზა აბსტრაქტული შრომისაკენ. ესაა პეტის უდიდესი დამსახურება პოლიტიკურ ეკონომიაში, რაც მან ისე გააკეთა, რომ შრომის ორადი ბუნების დასაბუთება არ მოუცია. „პოლიტიკურ ტრაქტატში პეტიმ მიაგნო ღირებულების სუბსტანციას — შრომას საერთოდ. „პოლიტიკური ტრაქტატის“ შემდეგ იგი წერს „პოლიტიკურ არითმეტიკას“, სადაც ცდილობს ციფრებით უფრო ღრმად დაასაბუთოს ღირებულების შემქმნელი შრომის ანალიზი და იძლევა ღირებულების სიდიდის გაზომვის ცდას. და მართლაც, თუ პეტიმ „ტრაქტატში“ ღირებულების სუბსტანციას მიაგნო, „არითმეტიკაში“ იგი პოულობს ღირებულების საზომს — სამუშაო დროს. შრომა საერთოდ და სამუშაო დრო ანუ ღირებულების შექმნა და ღირებულების გაზომვა — ასეთია ის პოლიტეკონომიური კატეგორიები, რომელთა მოსაძებნად პირველი ნაბიჯები პეტიმ გადადგა, რითაც შეამზადა ნიადაგი რათა მარქსს ღირებულების ზოგადი და კონკრეტული კანონები აღმოეჩინა, ხოლო მათი აღმოჩენა ამოსავალი პუნქტია ეკონომიკურ კანონთა ტიპიზაციის დასადგენად, ე. ი. იმის დასადგენად, თუ კონკრეტული კანონებიდან როგორ გამოიყვანება ზოგადი კანონი.

არც ღირებულების შექმნა და არც ღირებულების გაზომვა უ. პეტის სრულებითაც არა აქვს წარმოდგენილი როგორც კონკრეტული ეკონომიკური კანონები. ღირებულების შექმნის იდეიდან მისი გაზომვის იდეაზე გადასვლას თვითონ პეტი ვერ გრძნობს, როგორც ერთი კონკრეტული კანონიდან მეორე კონკრეტულ კანონზე გადასვლას. ამის საფუძველს პეტის შეხედულებები მხოლოდ ამზადებს, მარქსი კი მას პრაქტიკულად ახორციელებს, ვინაიდან

ღირებულების ზოგად კანონთან ერთად იგი აღმოაჩენს ღირებულების შექმნის, გაზომვისა და გამოვლენის კონკრეტულ კანონებს [illegible] გრძნობს, ფრიად საყურადღებოა. მაგალითად, იგი გრძნობს [illegible]მალებით მოცული პრობლემის წინაშე; რომ აქ მოვლენის გარეგნულობა განსხვავდება მისი არსისაგან. „მე ვამტკიცებ, — წერს უ. პეტი, — რომ სწორედ ამაშია ღირებულებათა შესადარობის და შეტოლების საფუძველი. მაგრამ მე ვაღიარებ, რომ ამ საფუძველზე განვითარებადი ზედნაშენი ფრიად მრავალფეროვანი და რთულია". მართლაც, ფრიად მრავალფეროვანი და რთულია ღირებულების ზოგადი კანონის აღმოჩენის გზა. ამიტომაც აქვს ეკონომიკურ კანონთა აღმოჩენის ისტორიას უშუალო კავშირი მათი ტიპიზაციის პრობლემასთან და უაღრესად დიდი მნიშვნელობა ტიპიზაციის პრობლემისათვის.

მარქსამდელ კლასიკოს ეკონომისტებს, რომელთაც ეკონომიკური კანონები გაგებული ჰქონდათ როგორც მარადიული, ბუნებრივი კანონები, არ შეეძლოთ დაესვათ ისეთი საკითხები, როგორიცაა ეკონომიკურ კანონთა კლასიფიკაცია, ეკონომიკურ კანონთა ტიპიზაცია. და ეს სავსებით გასაგებია, ვინაიდან კანონთა გამარადიულება უკვე თავისთავად გამორიცხავს საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციების განსხვავებას, კანონთა კლასიფიკაციის ამ საფუძველს, ხოლო მათი გაბუნებრივება ასევე თავისთავად გამორიცხავს კონკრეტული და ზოგადი კანონის განსხვავებას, კანონთა ტიპიზაციის ამ საფუძველს. ეკონომიკურ კანონთა კლასიფიკაციისა და ტიპიზაციისათვის საჭირო შეხედულებები მარქსიზმის კლასიკოსებმა განავითარეს კანონთა აღმოჩენის დროს. ამიტომ ეკონომიკურ კანონთა აღმოჩენის ისტორიას დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკურ კანონთა სისტემის გამოკვლევისათვის[16]. ღირებულება იქმნება აბსტრაქტული შრომით, გაიზომება საშუალო-საზოგადოებრივი შრომით, გამოვლინდება რედუქცირებული შრომით — აი ეს არის ის მნიშვნელოვანი ასპექტები, რომლითაც მარქსმა მოახდინა ღირებულების ზოგადი კანონის ნამდვილი აღმოჩენა. ყველა ადრინდელი შეხედულება „საყურადღებო ეკონომისტებისა" (და ასეთები იყვნენ უ. პეტი, ა. სმიტი, დ. რიკარდო) მხოლოდ ამზადებდა ამ ასპექტებს.

ა. სმიტს საშუალო-საზოგადოებრივი შრომა უნდა მიეჩნია საქონელთა ღირებულების საზომად, მაგრამ ცნობილია, რომ მან, თუმცა კარგად შენიშნა ახალი ვითარება, მაინც ღირებულების საზომად „შრომის ღირებულება" მიიჩნია. შეეძლო თუ არა ა. სმიტს ასეთი შეხედულების საფუძველზე ჩამოეყალიბებინა ღირებულების გაზომვის კანონი? რათქმა უნდა არ შეეძლო. მარქსმა სმიტის მიერ მართებულად გაგებულ ახალ ვითარებაში და ღირებულების საზომის მცდარ შეხედულებაში ამოიკითხა იმის საჭიროება, რომ საქონელთა გაცვლის განმსაზღვრელი ზოგადი კანონის აღმოსაჩენად ჩამოეყალიბებია ღირებულების შექმნის, გაზომვისა და გამოვლენის კანონები, როგორც პირველადი, კონკრეტული კანონები. მათი ჩამოყალიბების მსვლელობაში მარქსი გამოთქვამს ისეთ შეხედულებებს, რომლებიც საშუალებას იძლევიან აგვხსნათ ზოგადი და კონკრეტული კანონები, როგორც სხვადასხვა ტიპის კანონები. დ. რიკარდო „ბუნებრივი ფასის" ორი ელემენტისაგან განსხვავებული განსაზღვრით სმიტის შეცდომას იმეორებს და ვერ სცილდება წინააღმდეგობათა იმ გამოუვალ წრეს, რომელშიც ა. სმიტი მოექცა. მას ბუნებრივი ფასი გაიგივებული აქვს საქონლის ღირებულებასთან. სხვა ღოვლათის ყიდვის უნარი, — აი რა არის საცვლელი ღირებულება, ამბობს რიკარდო და იქვე დასძენს: „თუ საქონელთა შეფარდებითი ღირებულება შეიცვალა, ს ა ს უ რ ვ ე ლ ი  ი ქ ნ ე ბ ო დ ა  გვქონოდა საშუალება იმის დასადგენად, თუ რომელმა მათგანმა განი-

14 რ. ხ ა რ ბ ე დ ი ა. სოციალიზმის ეკონომიური კანონების გამოყენება, თბ., 1966, გვ. 146-164.

ცადა თავისი ნამდვილი ღირებულების დაცემა და რომელმა მისი ზრდა"[17]. რიკარდო, რომ ასე მიუდგა ღირებულების განსაზღვრას, ამიტომ შენიშნა მარქსმა, იგი ერთმანეთში ურევსო ღირებულების განსაზღვრას და ღირებულების გამოხატულებას. შეეძლო [illegible] ასეთი არევის პირობებში ჩამოეყალიბებია ღირებულების გაზომვისა და ღირებულების გამოვლენის კონკრეტული კანონები? რა თქმა უნდა, არ შეეძლო.

ბიბლიოთეკა

სმიტისა და რიკარდოს გავლენით აიხსნება ის, რომ, როცა თომას ჰოდსკინი თავის „პოპულარულ პოლიტიკურ ეკონომიაში" (1827 წ.), თუმცა უტოპიური სოციალიზმის პოზიციებიდან, მაგრამ მაინც პროლეტარიატის ინტერესებს იცავდა, გამოდიოდა საზოგადოების განვითარების არა ნამდვილი კანონებიდან, არამედ სმიტისა და რიკარდოს მიერ მოძიებული ბუნებრივი კანონებიდან.

ამრიგად, მარქსის მიერ ჩამოყალიბებული პირველადი ეკონომიკური კანონებიდან ერთ-ერთი არის შრომის რედუქციის ეკონომიკური კანონი. **რა ადგილი უკავია მას ეკონომიკურ კანონთა სისტემაში?** — იგი, როგორც უკვე ვთქვით, ერთი პირველადი კანონთაგანია შრომის გაორადებისა და შრომის გასაშუალოების პირველად კანონებთან ერთად. შრომის გაორადების, გასაშუალოების და რედუქციის: ღირებულების შექმნის, გაზომვის და გამოვლენის პირველადი კანონებიდანაა გამოყვანილი ღირებულების ზოგადი კანონი, როგორც ღრმა კანონი. ასეთია მათი ერთმანეთისადმი მიმართება, მათი ტიპიზაცია. ღირებულების ზოგადი კანონისათვის პირველად კონკრეტულ კანონს წარმოადგენს არა მარტო ღირებულების შექმნის კანონი, არამედ ღირებულების შენახვის კანონიც. ორივე — ღირებულების შექმნაც და შენახვაც მოქმედებს ღირებულების კანონის საფუძველზე და მასთან შეთანხმებით, ერთიც და მეორეც ხორციელდება, მარქსის სიტყვებით რომ ვთქვათ, „ღირებულების ზოგადი კანონის თანახმად". **ღირებულების შექმნის კანონი** არის იმ პროცესის ასახვა, რომლის დროსაც ცოცხალი შრომა პროდუქტში განივთდება. ეს პროდუქტი, ვთქვათ, მაგალითად, ნართი, ხელახლა გამოჩნდება სხვა, ახალ, შრომის პროცესში, მაგრამ ახლა უკვე როგორც წარსული, განივთებული შრომა. და მას როგორც ასეთს, ღირებულების არც შექმნა შეუძლია და არც შენახვა. ეს იმას ნიშნავს, რომ ორივე კანონი დაკავშირებულია მხოლოდ ცოცხალ შრომასთან. მხოლოდ ცოცხალი შრომა ქმნის და ინახავს ღირებულებას. ამ ორი პროცესიდან, — ღირებულების შექმნისა და შენახვის პროცესებიდან, — არ შეიძლება მხოლოდ ერთი იყოს კანონი, მეორე კი არა. აი, რას ამბობს მარქსი ამის შესახებ: „მუშა არ მუშაობს ერთსა და იმავე დროს ორმაგად: ჯერ იმისთვის, რომ თავისი შრომით ბამბას ღირებულება მიუმატოს, და მეორე იმისთვის, რომ ბამბის ძველი ღირებულება შეინახოს... ახალი ღირებულების მიმატება და პროდუქტში ძველი ღირებულების შენახვა ორი სულ სხვადასხვა შედეგია, რომელთაც მუშა ერთსა და იმავე დროს აღწევს, თუმცა ამ დროს იგი მხოლოდ ერთჯერ მუშაობს, ამიტომ, ცხადია, შედეგის ეს ორადი ხასიათი შეიძლება აიხსნას მხოლოდ თვით მისი შრომის ორადი ხასიათით. ერთსა და იმავე დროს შრომამ ერთი თვისების გამო ღირებულება უნდა შექმნას, ხოლო მეორე თვისების გამო ღირებულება

[17] კ. მარქსი, ზედმეტი ღირებულების თეორიები, IV, თბ., 1968, გვ. 263, 276-277.

უნდა შეინახოს ანუ გადიტანოს“[18]. ეს ადგილი „კაპიტალის“ პირველი ტომიდან ყველაზე მკაფიოდ წარმოგვიდგენს ეკონომიკურ კანონთა ტიპიზაციის გამოხატულებას.

ღირებულების შექმნის კანონი ისევე, როგორც [illegible] კანონი, კონკრეტული კანონია, რომელიც მოქმედებს ღირებულების ზოგად კანონთან შეთანხმებით; სხვანაირად არც შეიძლება საქონლური წარმოების პირობებში. მაგრამ ღირებულების შექმნის კონკრეტული კანონი თუ ღირებულების ზოგად კანონთან ერთად გაქრება, ამ მხრივ ღირებულების შენახვის კანონის მდგომარეობა სხვაგვარადაა. ამ კანონის მოქმედება არ კარგავს ძალას საქონლური წარმოების გაქრობის შემდეგ, მაგრამ თუ როგორი იქნება მისი გამოვლინება — ეს უკვე სპეციალური გამოკვლევის საგანია. შრომის პროცესში ხდება არა მარტო ღირებულების შექმნა და შენახვა, არამედ ღირებულების გადიდებაც. ამიტომ ამბობს მარქსი: „თუ ჩვენ ახლა ღირებულების შექმნის პროცესს და ღირებულების ზრდის პროცესს შევადარებთ, აღმოჩნდება, რომ ღირებულების ზრდის პროცესი სხვა არაფერია, თუ არა ღირებულების შექმნის პროცესი, განგრძობილი განსაზღვრულ პუნქტს იქით“[19]. ღირებულების გადიდების ამ პროცესის ასახვაც აგრეთვე არის კანონი, ღირებულების გადიდების კანონი. მის მიმართ ზედმეტი ღირებულების წარმოქმნის კანონი წარმოადგენს ზოგად ანუ ღრმა კანონს. ისიც უნდა გავითვალისწინოთ, რომ ზედმეტი ღირებულების წარმოქმნის კანონს საფუძვლად უდევს ისეთი პირველადი კონკრეტული კანონი, როგორიცაა შრომის დაყოფის კანონი, რომლის მიმართაც ზედმეტი ღირებულების კანონი გამოდის როგორც ზოგადი კანონი. აქედან ჩანს, რომ ეკონომიკურ კანონებს შორის ურთიერთკავშირი ტიპიზაციის მიხედვით სრულებით სხვაა, ვიდრე მათ შორის ურთიერთკავშირი კლასიფიკაციის მიხედვით.

კ. მარქსი როდესაც ამბობს „ზედმეტი ღირებულების კანონები“, იგი გულისხმობს ზედმეტი ღირებულების ტოლობის, კომპენსირებისა და პროპორციულობის კონკრეტულ კანონებს, რომელთა მიმართაც თვითონ ზედმეტი ღირებულების კანონი გამოდის როგორც ზოგადი კანონი. ზედმეტი ღირებულების განხილვისას მარქსი აღნიშნავს: „III წიგნში დავინახავთ, რომ მოგების ნორმის გაგება ადვილია, თუ ზედმეტი ღირებულების კანონებს ვიცნობთ“[20], ხოლო იქ, სადაც ზედმეტი ღირებულების ნორმასა და მასას განიხილავს, იგი უკვე გვიხსნის ამ კანონებს — ზედმეტი ღირებულების კანონებს.

შრომის დაყოფის კანონი, მუშახალის ღირებულების კანონი, ზედმეტი ღირებულების ნორმის კანონი — აი როგორი პირველადი კანონები უდევს საფუძვლად ზედმეტი ღირებულების პირველ კანონს. და მართლაც, მარქსი წერს: „... რადგან ზედმეტი ღირებულების მასა, რომელსაც ცალკეული მუშა აწარმოებს, განისაზღვრება, სამუშაო ძალის მოცემული ღირებულების პირობებში, ზედმეტი ღირებულების ნორმით, ამიტომ აქედან გამომდინარეობს შემდეგი პირველი კანონი: წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა უდრის

[18] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 254.
[19] იქვე, გვ. 249.
[20] იქვე, გვ. 274.

ავანსებული ცვალებადი კაპიტალის სიდიდეს, გამრავლებულს ზედმეტი ღირებულების ნორმაზე"[21].

ზედმეტი ღირებულების მეორე კანონად მარქსი თვლის [illegible] კაპიტალის შემცირების კომპენსირებას ზედმეტი ღირებულების ნორმის გადიდებით, და იქვე შენიშნავს: „ამ ხელშესახებად თვალსაჩინო მეორე კანონს დიდი მნიშვნელობა აქვს კაპიტალის იმ ტენდენციიდან გამომდინარე მრავალი მოვლენის ასახსნელად, რომელსაც ჩვენ შემდეგში გავარკვევთ". და კიდევ შენიშნავს: „ეს ელემენტარული კანონი, ეტყობა, უცნობია ვულგალური ეკონომიის ბანაკიდან გამოსულ ვაჟბატონთათვის"[22].

„მესამე კანონი, — წერს მარქსი, — გამომდინარეობს იმ გარემოებიდან, რომ წარმოებული ზედმეტი ღირებულების მასა განისაზღვრება ორი ფაქტორით: ზედმეტი ღირებულების ნორმით და ავანსებული ცვალებადი კაპიტალის სიდიდით". მარქსის მიხედვით იგი იმაში მდგომარეობს, რომ „... წარმოებული ზედმეტი ღირებულების ოდენობა პირდაპირ შეფარდებაშია ავანსებულ კაპიტალთა სიდიდესთან". რა თქმა უნდა, მარქსი მხედველობიდან არ უშვებს არც იმას, რომ წინ უდგას კაპიტალის ორგანული შედგენილობის ზრდის კანონი, რომელიც ზედმეტი ღირებულების ნორმას ეწევა გათანასწორებისაკენ, ზედმეტი ღირებულების მასის განაწილებისაკენ არა ცვალებადი კაპიტალის სიდიდის მიხედვით, არამედ მთელი ავანსებული კაპიტალის სიდიდის მიხედვით. მაგრამ მარქსი იქვე შენიშნავს, რომ ყოველ მოცემულ მომენტში „... ეს სრულიად არ ცვლის ჩვენ მიერ აქ დადგენილ კანონს, რადგან წინანდელი ანალიზის მიხედვით მუდმივი კაპიტალის ღირებულება თუმცა ხელახლა გვევლინება პროდუქტის ღირებულებაში, მაგრამ არ შედის ახლადშექმნილ ღირებულებაში"[23].

ყველაფერი, რასაც აქ მკითხველს მოვუთხრობთ, მკაფიოდ გვიჩვენებს იმას, რომ, როდესაც მარქსი ადგენს ღირებულების ანდა ზედმეტი ღირებულების კანონებს, მას ყოველთვის პირველადი ანუ კონკრეტული კანონიდან გამოყავს ზოგადი ანუ ღრმა კანონი, ხოლო ამისგან უფრო ღრმა კანონი, და სწორედ ეს არის ეკონომიკური კანონების ნამდვილი აღმოჩენა. ეკონომიკურ კანონთა სწორედ ასეთი ნამდვილი აღმოჩენის პროცესში იჩენს თავს მათი ლიმიტაცია. ბურჟუაზიულ პოლიტიკურ ეკონომიას — არც კლასიკურს და, მით უფრო არც ვულგარულს — არასოდეს არ უცდია ეკონომიკურ კანონთა ასეთი აღმოჩენა. ამ აზრით ფრიად საყურადღებოა თვით მარქსის მიერ მათი მისამართით გამოთქმული მოსაზრება ზედმეტი ღირებულების მესამე კანონის შესახებ. მარქსი წერს: „ეს კანონი აშკარად ეწინააღმდეგება მოვლენათა გარეგნულ დაკვირვებაზე დამყარებულ მთელ გამოცდილებას... თუმცა კლასიკურ ეკონომიას ეს კანონი არასოდეს არ ჩამოუყალიბებია, მაგრამ იგი ინსტინქტურად ეყრდნობა მას, რადგან აღნიშნული კანონი აუცილებელი დასკვნაა საერთოდ ღირებულების კანონისა... ვულგარული ეკონომია, რომელმაც „მართლა ვერაფერი ვერ ისწავლა", აქაც, როგორც ყველგან, მოვლენის გარეგნულობას ებღაუჭება წინააღმდეგ ამ მოვლენის კანონისა"[24].

---

[21] იქვე, გვ. 385.
[22] იქვე, გვ. 387-386.
[23] იქვე, გვ. 387-388.
[24] იქვე, გვ. 389.

ამრიგად, **მარქსი ნათლად გვიჩვენებს, თუ რაოდენ დიდი მნიშვნელობა აქვს ეკონომიკური კანონების ისეთს აღმოჩენას, როცა გარეგნულობას კი არ ვებღაუჭებით, არამედ ნაკლებად ღრმა კანონებიდან, — სიღრმისეული პროცესების გახსნით, — უფრო ღრმა კანონებისაკენ მივისწრაფვით.** სწორედ ამგვარი მისწრაფების ნათელი ილუსტრაციაა ღირებულების კონკრეტული კანონებიდან — ღირებულების ზოგადი კანონისა და ზედმეტი ღირებულების ზოგადი კანონიდან — უფრო ღრმა კანონის გამოყვანა. ყოველივე ამით კი ნათელი წარმოდგენა იქმნება იმაზე, თუ რა ადგილი უკავია ეკონომიკურ კანონთა სისტემაში პირველად ანუ კონკრეტულ კანონებს, რომელთა შორის ერთ-ერთი არის შრომის რედუქციის კანონი, საილუსტრაციოდ მოგვყავს შემდეგი სქემა:

**ზოგიერთი ეკონომიკური კანონი**
(ტიპიზაციის მიხედვით)

| პირველადი ანუ კონკრეტული კანონები | ზოგადი ანუ ღრმა კანონები | უფრო ღრმა კანონები |
|---|---|---|
| შრომის გაორადების კანონი<br>შრომის რედუქციის კანონი<br>შრომის გასაშუალოების კანონი<br>ღირებულების შექმნის კანონი<br>ღირებულების გამოვლენის კანონი<br>ღირებულების გაზომვის კანონი<br>ღირებულების შენახვის კანონი და სხვ. | ღირებულების კანონი | წარმოების ფასის კანონი და სხვ. |
| შრომის დაყოფის კანონი<br>შრომის გასხვისების კანონი<br>შრომის მითვისების კანონი<br>ღირებულების გადიდების კანონი<br>მუშახელის ღირებულების კანონი და სხვ. | ზედმეტი ღირებულების კანონი | მოგების საშუალო ნორმის კანონი და სხვ. |

სქემა, საერთოდ, და ამით გამოხატული ეკონომიკურ კანონთა ტიპიზაცია, უწინარეს ყოვლისა, ორ რამეზე მიგვანიშნებს: სახელდობრ იმაზე, რომ **შრომის რედუქცია არის ეკონომიკური კანონი და, რომ შრომის რედუქციის კანონი ერთ-ერთი კონკრეტული კანონია, რომელიც მნიშვნელოვან როლს ასრულებს არა მარტო ღირებულების ზოგადი კანონისათვის, არამედ ისეთი უფრო ღრმა კანონისათვის, როგორიცაა წარმოების ფასის კანონი; ეს კი იმას ნიშნავს, რომ შრომის რედუქციის კანონს მნიშვნელოვანი ადგილი უკავია იმ საზოგადოების ეკონომიკურ კანონთა სისტემაში, სადაც საქონელწარმოება არსებობს.**

ეროვნული
ბიბლიოთეკა

არჩილ თეთრაული

# განვითარებული სოციალისტური საზოგადოების ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორები

ჩვენს ქვეყანაში საბჭოთა ხალხის თავდადებული შრომით აშენდა განვითარებული სოციალისტური საზოგადოება. მიღწეულია სახალხო მეურნეობის, სოციალისტური საზოგადოებრივი ურთიერთობის, ფართო მასების კულტურისა და შეგნებულობის განუზომლად მაღალი დონე. განვითარებული სოციალიზმის ნიშან-თვისებათა ღრმა მეცნიერული ანალიზი მოცემულია ამხანაგ ლ. ი. ბრეჟნევის მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე. ყრილობის ისტორიულ გადაწყვეტილებებში განსაზღვრულია პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ძირითადი თავისებურებანი, კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის მშენებლობის გზები და მეთოდები, ხუთწლედის მთავარი ამოცანა. პარტიის XXIV ყრილობის დირექტივები სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების ხუთწლიანი (1971-1975) გეგმის შესახებ მნიშვნელოვანი ეტაპი იქნება კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნაში. ხუთწლედის მთავარი ამოცანა ის არის, რომ უზრუნველვყოთ ხალხის ცხოვრების მატერიალური და კულტურული დონის მნიშვნელოვანი ამაღლება სოციალისტური წარმოების განვითარების სწრაფი ტემპების, მისი ეფექტურობის ამაღლების, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესისა და შრომის მწარმოებლურობის ზრდის დაჩქარების საფუძველზე. განვითარებული სოციალიზმის პირობებში, ქვეყნის ეკონომიკური განვითარების თანამედროვე ეტაპის ყველაზე დიდმნიშვნელოვანი თავისებურებაა სახალხო მეურნეობის სრულიად ახალი მასშტაბები. ჩვენი ქვეყნის უზარმაზარ ეკონომიკურ ძლიერებას საფუძვლად უდევს მრავალდარგოვანი ინდუსტრია და მსხვილი სოციალისტური სოფლის მეურნეობა, მოწინავე მეცნიერება; მუშების, სპეციალისტების, სამეურნეო ხელმძღვანელების კვალიფიციური კადრები. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობა უკვე ერთ დღეში აწარმოებს თითქმის ორი მილიარდი მანეთის საზოგადოებრივ პროდუქტს, ე. ი. 10-ჯერ მეტს, ვიდრე 30-იანი წლების დამლევს აწარმოებდა ყოველდღიურად. ჩვენი ქვეყნის მეურნეობრივი განვითარების ახლანდელი ეტაპის დიდმნიშვნელოვან თავისებურებას განსაზღვრავს აგრეთვე მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, რომელიც სწრაფად ვითარდება. ეხებოდა რა ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპის თავისებურებებს, ამხანაგმა ლ. ი. ბრეჟნევმა თავის მოხსენებაში სკკპ XXIV ყრილობაზე აღნიშნა: „...სახალხო მეურნეობის უზარმაზარი მასშტაბი, გაზრდილი ეკონომიკური შესაძლებლობანი და საზოგადოებრივი მოთხოვნილებანი გვიკარნახებენ, რომ საჭიროა სერიოზულად ავამაღლოთ მთელი ჩვენი სამეურნეო მუშაობის დონე, არსებითად გავადიდოთ ეკონომიკის ეფექტიანობა, გადავაქციოთ მთელი ჩვენი უზარმაზარი მეურნეობა უკეთ მომუშავე, კარგად გამართულ მექანიზმად“[1].

ნაციონალური შემოსავალი წარმოადგენს ქვეყნის ეკონომიკური განვითარების ერთ-ერთ ძირითად სინთეზურ მაჩვენებელს. იგი მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა მწარმოებლური შრომით იქმნება და მისი დინამიკა მჭიდროდ არის დაკავშირებული მატერიალური წარმოების დარგების განვითარებასთან, უწინარეს ყოვლისა: *სამრეწველო და სასოფლო-სამეურნეო წარმოებისა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგების ზრდასთან.* ნაციონალური შემოსავლის

[1] სკკპ. XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 51.

გადიდებაში ვლინდება მისი ზრდის ფაქტორების გავლენა. სოციალისტურ საზოგადოებაში ნაციონალური შემოსავლის განუხრელი და მაღალი ტემპებით ზრდა განისაზღვრება: საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ამაღლებით (აქედან — წარმოების საშუალებათა ეკონომიით) და მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის გადიდებით. აღსანიშნავია, რომ საბჭოთა ეკონომისტებს შორის არსებობს აზრთა სხვაობა ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორების კლასიფიკაციის საკითხზე. ეკონომისტების უმრავლესობას — ვ. კულეშოვს[2], ა. ზვერევს[3], დ. ალახვერდიანს[4], ა. აბდუგანიევს[5], ლ. ხარაზს[6], ს. სატარიანს[7], დ. დიასამიძეს[8], ზ. სულთანიშვილს[9], პ. მოსკვინს, ა. პალცევს და სხვ., — მიაჩნიათ, რომ ნაციონალური შემოსავლის ზრდა განპირობებულია ზემოთ დასახელებული ორი ფაქტორით, ხოლო მ. კოლგანოვი[10], ვ. დიაჩენკო[11], ა. კაკაბაძე[12], ხ. საბიროვი და სხვები: მესამე, დამოუკიდებელ, ცალკე ფაქტორად გამოყოფენ წარმოების საშუალებათა ეკონომიას.

ჩვენი აზრით, მართებულად უნდა მივიჩნიოთ ის დებულება, რომ სოციალიზმის დროს ნაციონალური შემოსავლის ზრდა განისაზღვრება ორი ძირითადი ფაქტორით: საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გადიდებით და მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის ზრდით. სათანადო არგუმენტაციას და მეცნიერულ საფუძველს მოკლებულია მოსაზრება, რომ ნაციონალური შემოსავლის ზრდის დამოუკიდებელ ფაქტორად გამოყოფილ იქნას წარმოების საშუალებათა ეკონომია. საკითხის არსი ის არის, რომ შრომის მწარმოებლურობის გადიდება, ცოცხალი შრომის ეკონომიასთან ერთად, იმავდროულად გულისხმობს: წარმოების ტექნიკისა და ტექნოლოგიის სრულყოფის, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესების, წარმოების ნარჩენებისა და ნედლეულის რაციონალურად გამოყენებას, უფრო ძვირად ღირებული ნედლეულისა და მასალის იაფი ნედლეულითა და მასალით შეცვლას და სხვ.; საბოლოოდ — პროდუქციის წარმოებაზე გაწეული მატერიალური დანახარჯების სისტემატურ შემცირებას. ეს გარემოება მნიშვნელოვნად ამცირებს პროდუქციის შრომატევადობას იმ

[2] В. Кулешов. Социалистическое воспроизводство, 1961, М., стр. 14, 38.

[3] А. Зверьев. Национальный доход и финансы СССР, 1961, М., стр. 23.

[4] Д. Аллахвердян. Национальный доход СССР, 1958, М., стр. 44.

[5] А. А. Абдуганиев, У. Н. Марзоходжанов, В. А. Осминин. Общественный продукт и национальный доход Узбекской ССР, 1960. Ташкент, стр. 136.

[6] Л. Харази. Факторы роста национального дохода ССР, (автореферат), 1954, Тб., стр. 10.

[7] Жур. «Коммунист», 1961, № 6.

[8] დ. დიასამიძე, საქართველოს სსრ სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სტრუქტურისა და ზრდის ტემპების შესახებ, 1965, თბ., გვ. 97, 98.

[9] ზ. სულთანიშვილი, საზოგადოებრივი პროდუქტის კვლავწარმოების პრობლემები, თბ., 1969.

[10] М. Колганов. Национальный доход, 1959, М., стр. 203.

[11] ვ. დიაჩენკო. სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის ზრდა და მისი გამოყენება შვიდწლედში, ჟურ. „საქართველოს ეკონომისტი", 1960, № 6, გვ. 20.

[12] ა. კაკაბაძე. ნაციონალური შემოსავლის ბურჟუაზიული „თეორიების" კრიტიკა, 1954, თბ., გვ. 15.

განვითარებული შრომის წილის შემცირებით, რომელიც განხორციელებულია პროდუქციის ყოველ ერთეულში. ამ ვითარების შესაბამისად მატერიალური დანახარჯების ეკონომია, — ასახავს რა წარმოების საშუალებებში განხორციელებული წარსული, განივთებული შრომის გამოყენების ეფექტურობას, — თავისთავად წარმოადგენს შრომის მწარმოებლურობის დონის ამაღლების ერთ-ერთ ფორმას. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ საზოგადოებრივი თვალსაზრისით, შრომის მწარმოებლურობა იზრდება აგრეთვე მისი ეკონომიით. ეს უკანასკნელი შეიცავს არა მარტო წარმოების საშუალებათა ეკონომიას, არამედ — ყოველგვარი უსარგებლო შრომის თავიდან აცილებასაც[13]. შრომის მწარმოებლურობა გამოიხატება ცოცხალი და განივთებული შრომის რაოდენობის შემცირებით პროდუქციის ყოველი ერთეულის წარმოებაზე. ამასთან, ცოცხალი შრომის წილი პროდუქტში მცირდება, წარსული განივთებული შრომისა კი იზრდება. „შრომის ნაყოფიერების გადიდება, — აღნიშნავდა ფრ. ენგელსი კ. მარქსის „კაპიტალის" დამატებაში; — სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ ცოცხალი შრომის წილი მცირდება, წარსული შრომის წილი კი დიდდება. მაგრამ დიდდება ისე, რომ საქონელში მოქცეული მთელი შრომის ჯამი კლებულობს, მაშასადამე, ისე რომ ცოცხალი შრომა უფრო მეტად კლებულობს, ვიდრე წარსული შრომა მატულობს"[14]. აქედან გამომდინარეობს, რომ წარმოების საშუალებათა ეკონომია შეუძლებელია გამოვიდეს ნაციონალური შემოსავლის ზრდის მესამე, დამოუკიდებელ ფაქტორად. ამავე დროს გამართლებულად უნდა მივიჩნიოთ წარმოების საშუალებათა ეკონომიის საკითხის ცალკე განხილვა, მაგრამ არა როგორც ნაციონალური შემოსავლის ზრდის დამოუკიდებელი ფაქტორისა, არამედ — შრომის მწარმოებლურობის გადიდების საკითხთან დაკავშირებით[15].

სოციალიზმის დროს ნაციონალური შემოსავლის ზრდის ძირითადი და გადამწყვეტი ფაქტორია შრომის მწარმოებლურობის გადიდება, რაც ადიდებს ნაციონალური შემოსავლის ფიზიკურ მოცულობას, ე. ი. სახმარ ღირებულებათა მასას. კ. მარქსი წერდა, რომ „... ერთი და იგივე შრომა ერთსა და იმავე დროის განმავლობაში მუდამ იმავე სიდიდის ღირებულებას იძლევა, როგორადაც უნდა იცვლებოდეს მისი მწარმოებლური ძალა, მაგრამ იმავე დროის განმავლობაში იგი სახმარ ღირებულებათა სხვადასხვა რაოდენობას გვაძლევს, მეტს, როცა მწარმოებლური ძალა მატულობს და ნაკლებს, როცა იგი მცირდება"[16]. შრომის მწარმოებლურობის ზრდის საერთო ეკონომიკური კანონის მოქმედება სხვადასხვა საზოგადოებრივ-ეკონომიკურ ფორმაციაში

---

[13] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი ტ. I, 1954, თბ., გვ. 667.

[14] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, 1959, თბ., გვ. 300-301.

[15] აქვე უნდა შევნიშნოთ, რომ ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორების კლასიფიკაციისას არსებითი მნიშვნელობა აქვს იმას, თუ რა თვალსაზრისით ვიხილავთ შრომის მწარმოებლურობას, როგორც ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორს; ე. ი. შრომის მწარმოებლურობაში ვგულისხმობთ ცოცხალი შრომის მწარმოებლურობას, თუ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობას. იმ შემთხვევაში თუ შრომის მწარმოებლურობას განვიხილავთ როგორც საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობას, მაშინ მატერიალურ დანახარჯთა ეკონომიის ცალკე ფაქტორად გამოყოფა მართებული არ იქნება; ხოლო იმ შემთხვევაში, თუ შრომის მწარმოებლურობას განვიხილავთ, როგორც ცოცხალი შრომის მწარმოებლურობას, მაშინ ლოგიკურია მატერიალურ დანახარჯთა დამოკიდებულების ფაქტორად გამოყოფა, თუმცა ნაციონალურ შემოსავლის ზრდის ფაქტორების ასეთი კლასიფიკაცია, ჩვენი აზრით, მიზანშეწონილი არ არის.

[16] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. I, გვ. 63.

განსხვავებული თავისებურებებით გამოიხატება. კაპიტალიზმის დროს, მისთვის დამახასიათებელ ანტაგონისტურ წინააღმდეგობათა გამო [illegible] შრომის მწარმოებლურობის ზრდა უთანაბროდ და ნელი ტემპით მიმდინარეობს. კაპიტალისათვის შრომის მზარდი მწარმოებლურობის ძალის კანონს არა აქვს უცილობელი მნიშვნელობა"[17].

სოციალისტური წარმოების წესის აღმოცენებასთან ერთად ძირეულად იცვლება შრომის მწარმოებლურობის ზრდის საერთო ეკონომიკური კანონის მოქმედების ხასიათი. სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრების არსებობა და წარმოების დამორჩილება მშრომელთა მუდმივად მზარდ მატერიალურ და კულტურულ მოთხოვნილებათა დაკმაყოფილებისადმი ქმნის პირობებს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდის კანონის მუდმივი, განუხრელი მოქმედებისათვის. სოციალისტურ საზოგადოებაში მოქმედებს შრომის მწარმოებლურობის განუხრელი ზრდის ეკონომიკური კანონი, რომელიც მოითხოვს ცოცხალი და განივთებული შრომის მუდმივ ეკონომიას, შრომის მწარმოებლურობის სისტემატურ გადიდებას მატერიალური წარმოების ყველა დარგში. შრომის მწარმოებლურობის გადიდებას განსაზღვრავს ერთმანეთთან მჭიდროდ დაკავშირებული, დიალექტიკურ ურთიერთ კავშირსა და ურთიერთგანპირობებულობაში მყოფი ფაქტორების მოქმედება. მართალია, ამ ფაქტორების მჭიდრო ურთიერთკავშირის გამო ამა თუ იმ ფაქტორის ელიმინირება შრომის მწარმოებლურობის გადიდებაზე მოცემული ფაქტორის გავლენის გაანგარიშების განსაზღვრულ პირობითობას იწვევს, მაგრამ შრომის მწარმოებლურობის გადიდების გაანგარიშება, ცალკეული ფაქტორების მიხედვით, ეკონომიკურად შესაძლებელი და მიზანშეწონილია.

სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის მწარმოებლურობა ზრდის ძირითადი ფაქტორებია: ახალი ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა, წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის გაუმჯობესება, მუშაკთა წარმოებრივი კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკური დონის ზრდა, მეცნიერების განვითარება და მისი ტექნოლოგიური გამოყენების ხარისხის გადიდება. შრომის მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორების რიცხვს ეკუთვნის, აგრეთვე, ბუნებრივი პირობები. უნდა აღინიშნოს, რომ, თავის მხრივ, თითოეული ამ ფაქტორთაგანი მოიცავს აგრეთვე მრავალ ცალკეულ ფაქტორს.

შრომის მწარმოებლურობის ზრდის ფაქტორები და პირობები საჭიროა განვასხვავოთ ერთმანეთისაგან: შრომის მწარმოებლურობის გადიდების პირობები, განსხვავებით ფაქტორებისაგან, შრომის მწარმოებლურობის გადიდებაზე გავლენას ახდენენ არა უშუალოდ, არამედ განსაზღვრული ფაქტორების მეოხებით. შრომის მწარმოებლურობის ზრდის პირობებს შეიძლება მიეკუთვნოს სოციალისტური შეჯიბრება, შრომის მიხედვით განაწილება, მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ზრდა და სხვ.

სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობანი და სოციალიზმის ეკონომიკური კანონები განაპირობებენ შრომის მწარმოებლურობის ზრდის ყველა ფაქტორს რაც შეიძლება სრულ გამოყენებას, უზრუნველყოფენ შრომის მწარმოებლურობის განუხრელ ზრდას. შრომის მწარმოებლურობის ზრდის აღნიშნული ფაქტორებიდან განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს ახალი

---

[17] კ. მ ა რ ქ ს ი. კაპიტალი, ტ. III, ნაწ. I, გვ. 333.

ტექნიკისა და პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვას. იგი გულისხმობს მოძველებული მანქანებისა და მექანიზმების, ახალი უფრო [illegible] შეცვლას, რაც იწვევს საწარმოო პროცესების მექანიზაციისა და ავტომატიზაციის დონის ამაღლებას, შრომის ტექნიკური აღჭურვილობის ზრდას. სამრეწველური წარმოების დარგებში მიმდინარეობს განუხრელი ტექნიკური პროგრესი, იქმნება ახალი სახეობის მანქანა-გაწყობილობანი. წარმოების ახალი, უფრო პროგრესული ტექნოლოგიის დანერგვა საშუალებას იძლევა მნიშვნელოვნად შემცირდეს წარმოებრივი ციკლი, გადიდდეს პროდუქციის გამოშვება და გაუმჯობესდეს მისი ხარისხი. მიახლოებით გაანგარიშებით, სსრ კავშირის მრეწველობაში ახალი ტექნიკისა და ტექნოლოგიის დანერგვა იძლევა შრომის მწარმოებლურობის ნამატის დაახლოებით ნახევარს.

სსრ კავშირის ეკონომიკის განვითარება ხასიათდება წარმოებრივი პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის ზრდით, რაც არსებითს როლს ასრულებს შრომის მწარმოებლურობის გადიდებაში. სკკპ XXIV ყრილობის გადაწყვეტილებებით, გათვალისწინებულია სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარება, წარმოებრივი პროცესების კომპლექსური მექანიზაციისა და ავტომატიზაციის შემდგომი ზრდა. უკანასკნელ წლებში სსრ კავშირის სახალხო მეურნეობაში ფართოდ ხორციელდება წარმოებრივი პროცესების კომპლექსური მექანიზაცია და ავტომატიზაცია, ინერგება პროგრესული ტექნოლოგია, უფრო სრულყოფილი მაღალმწარმოებლური მანქანები და მექანიზმები. ტექნიკური პროგრესი და შრომის მწარმოებლურობის გადიდება წარმოების საშუალებათა მწარმოებელ დარგებში იწვევს წარმოების საშუალებათა გაიაფებას და, ამგვარად, განაპირობებს პროდუქციის ერთეულზე დანახარჯებისა და განივთებული შრომის აბსოლუტურ შემცირებას. წარმოების მასშტაბების ზრდის კვალობაზე სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება ტექნიკურ პროგრესს და წარმოების საშუალებათა წარმოების უპირატეს ზრდას, როგორც საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გადიდების უმნიშვნელოვანეს ფაქტორს. კ. მარქსი მიუთითებდა, რომ უფრო დიდი წარსული შრომის გამოყენება, ცოცხალ შრომასთან შედარებით, მოასწავებს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობისა და საზოგადოებრივი სიმდიდრის გადიდებას.

შრომის მწარმოებლურობის გადიდებისათვის გადამწყვეტი მნიშვნელობა აქვს წარმოებისა და შრომის ორგანიზაციის სრულყოფას, წარმოების სპეციალიზაციის, კოოპერირებისა და კომბინირების განვითარებას. სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივი საკუთრება ხელსაყრელ პირობებს ქმნის წარმოების ყველაზე რაციონალური ორგანიზაციის განხორციელებისათვის. საზოგადოებრივი წარმოების სპეციალიზაცია გულისხმობს ერთგვაროვანი პროდუქციის ფართო, მასობრივი წარმოების ორგანიზაციას. იგი შესაძლებლობას იძლევა გამოვიყენოთ წარმოების ორგანიზაციის ყველაზე პროგრესული, ნაკადური მეთოდი, რაც მნიშვნელოვნად ზრდის შრომის მწარმოებლურობას. სოციალისტური წარმოება, რომელიც გეგმაზომიერად ვითარდება, ყველა პირობას ქმნის წარმოების კომბინირების უპირატესობათა სრული გამოყენებისათვის, მსხვილი სამრეწველო კომბინატების მშენებლობისათვის, აგრეთვე გაერთიანებათა შექმნისათვის, რაც საშუალებას იძლევა შემცირდეს ნედლეულის, მასალების ხარჯვა, მოსპოს ზედმეტი წარმოებრივი დანახარჯები, გადიდდეს საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა.

შრომის მწარმოებლურობის გადიდების მნიშვნელოვანი ფაქტორია მატერიალური წარმოების მუშათა წარმოებრივი კვალიფიკაციისა და კულტურულ-ტექნიკური დონის სისტემატური ზრდა. თანამედროვე პირობებში მიმდინარე განუწყვეტელი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი სახალხო მეურნეობის ყველა დარგში მოითხოვს მუშაკთა წარმოებრივი კვალიფიკაციის განუხრელ ამაღლებას, კვალიფიციური შრომის მუშაკთა ხვედრიწონის გადიდებას. სოციალისტურ საზოგადოებაში მშრომელთა კულტურულ-ტექნიკური დონის ამაღლება ხორციელდება გეგმიანი წესით, უწინარეს ყოვლისა, სახალხო განათლების განვითარებით. ჩვენს ქვეყანაში უაღრესად ფართო განვითარება მიიღო სპეციალურმა, საშუალო და უმაღლესმა განათლებამ. მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, მშენებლობისა და ტრანსპორტისათვის კვალიფიციური კადრების მომზადება ხორციელდება აგრეთვე პროფესიულ-ტექნიკური განათლების სისტემის საშუალებით.

სსრ კავშირის პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებისა და სკოლების მიერ მომზადდა (ათასობით): 1960 წელს — 741 კვალიფიციური მუშა, 1965 წელს — 1100, 1966 წ. — 1123, 1967 წ. — 1334, 1968 წ. — 1469, 1969 წ. — 1511, 1970 წ. — 1638. აღსანიშნავია, რომ 1941-1971 წლებში პროფესიულ-ტექნიკური განათლების სასწავლებლებსა და სკოლებში სახელმწიფო ხარჯით 23 მილიონზე მეტი სხვადასხვა პროფესიის კვალიფიციური მუშა მომზადდა. მუშების ძირითადი ნაწილი მომზადებას უშუალოდ საწარმოებში გადის. ამჟამად, ყოველწლიურად საწარმოებში 2,5 მლნ მეტი მუშა სწავლობს ახალ პროფესიას და სპეციალობას, ხოლო 5 მილიონზე მეტი კი იმაღლებს წარმოებრივ კვალიფიკაციას[18].

ჩვენს ქვეყანაში სისტემატურად მაღლდება კოლმეურნე გლეხობის კულტურულ-ტექნიკური დონე, იზრდება კვალიფიციურ სპეციალისტთა მომზადება სოფლის მეურნეობისათვის. განუხრელად იზრდება უმაღლესი და საშუალო სპეციალური სასწავლებლების მიერ ახალგაზრდა სპეციალისტების მომზადება.

სსრ კავშირის უმაღლესმა და საშუალო სპეციალურმა სასწავლებლებმა მოამზადეს (ათასობით): 1961 წელს — 754, 1962 წ. — 768,8, 1965 წ. — 102,5, 1967 წ. — 1285,4, 1969 წ. — 1583,6, 1970 წ. — 1664,1[19].

სოციალისტურ საზოგადოებაში შრომის მწარმოებლურობის გადიდების ყველა საზოგადოებრივ-ეკონომიკური ფორმაციისათვის დამახასიათებელ ფაქტორებს გარდა მოქმედებენ, აგრეთვე, ახალი, უფრო მძლავრი სტიმულები და მამოძრავებელი ძალები, რომელთაც მიეკუთვნება მშრომელთა პირადი და კოლექტიური მატერიალური დაინტერესებულობა საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით, სოციალისტური შეჯიბრება. მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანამიმდევრულ განხორციელებას აქვს პირველხარისხოვანი მნიშვნელობა სოციალისტური წარმოების შემდგომი აღმავლობისა და შრომის მწარმოებლურობის გადიდებისათვის. ვ. ი. ლენინი მიუთითებდა, რომ „სახალხო მეურნეობის ყველა მსხვილი დარგი უნდა ავაგოთ პირად დაინტერესებაზე"[20]. სოციალიზმის დროს მატერიალური დოვლათის შრომის რაოდენობისა და ხარისხის მიხედვით განაწილება უზრუნველყოფს მშრო-

[18] Народное хозяйство СССР в 1970 году, Стат. ежегодник. М., 1971, стр. 527.

[19] Народное хозяйство СССР в 1965 году; Стат. ежегодник, М., 1966, стр. 696; Народное хозяйство СССР в 1970 году, стр. 645.

[20] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., ტ. 33, გვ. 61.

მელთა პირად მატერიალურ დაინტერესებას შრომის შედეგებით, მუშაკის პირად ინტერესებს ახამებს საზოგადოებრივთან. მატერიალური დაინტერესების პრინციპის თანამიმდევრული განხორციელება წარმოადგენს მნიშვნელოვან პირობას საზოგადოებრივი წარმოების ზრდისა და ნაციონალური შემოსავლის გადიდებისათვის.

შრომის მწარმოებლურობა გადიდების მძლავრი მამოძრავებელი ძალაა სოციალისტური შეჯიბრება, რომელიც სოციალიზმის დროს კანონზომიერად წარმოიშობა. მისი უმაღლესი ფორმაა — მოძრაობა კომუნისტური შრომისათვის. სოციალისტური შეჯიბრება გამოხატავს ექსპლოატაციისაგან თავისუფალი ადამიანის ახალ ურთიერთობას წარმოების პროცესში, იგი წარმოადგენს შრომისადმი ახალი, საზოგადოებრივი მორალური სტიმულების გამოვლენას. მასების შრომითმა აღმავლობამ, სოციალისტურმა შეჯიბრებამ შეასრულა უდიდესი როლი ომამდელი ხუთწლედების განხორციელებაში და დიდი სამამულო ომის წლებში. ფართო გაქანება მიიღო სოციალისტურმა შეჯიბრებამ ომისშემდგომ პერიოდში, წარმოიშვა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმები. სსრ კავშირში კომუნისტური მშენებლობის პროცესში წარმოიშვა სოციალისტური შეჯიბრების ახალი ფორმა — შეჯიბრება კომუნისტური შრომის დამკვრელთა და კოლექტივთა წოდების მოპოვებისათვის. ამ მოძრაობის ძირითადი ლოზუნგია: „ვისწავლოთ მუშაობა და ცხოვრება კომუნისტურად". კომუნისტური შრომის ბრიგადებისა და დამკვრელების მოძრაობისათვის დამახასიათებელია შრომის მწარმოებლურობის მაღალი დონის მიღწევა, რაც გვიჩვენებს, რომ მატერიალური წარმოების დარგებში შრომის მწარმოებლურობის გადიდების ჯერ კიდევ ბევრი გამოუყენებელი რეზერვია. შრომის მწარმოებლურობის გადიდებისათვის საჭიროა სოციალისტური შეჯიბრების შემდგომი გაშლა, მოწინავეთა და ნოვატორთა გამოცდილების ფართოდ გავრცელება.

სოციალიზმის დროს მატერიალური წარმოების ყველა დარგში საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის განუხრელი და სწრაფი ზრდა უზრუნველყოფს ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის უდიდესი ნაწილის მატებას. ამ ფაქტორის მნიშვნელობაზე მიუთითებს ის გარემოება, რომ სსრ კავშირის მრეწველობის პროდუქციის საერთო ნამატიდან შრომის მწარმოებლურობის გადიდების ხარჯზე პირველ ხუთწლედში მიღებულია 56 პროცენტი, მეორე ხუთწლედში 79 პროცენტი, ომის წლებში და მეოთხე ხუთწლედში — 69 პროცენტი, მეხუთე ხუთწლედში 68 პროცენტი. შრომის მწარმოებლურობის გადიდებით 1959-1965 წლებში მიღებულ იქნა მრეწველობის მთელი პროდუქციის ნამატის 67 პროცენტი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის ზრდა მთლიანად. 1971-1975 წლებში შრომის მწარმოებლურობის გადიდების შედეგად მიღებული იქნება მრეწველობის პროდუქციის ნამატის 87-90 პროცენტი. განვითარებულ სოციალიზმის პირობებში კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის შექმნის გრანდიოზული ამოცანის განხორციელებისათვის პარტია პირველხარისხოვან მნიშვნელობას ანიჭებს შრომის მწარმოებლურობის ყოველი ღონისძიებით გადიდებას: „შრომის ნაყოფიერების გადიდება კომუნისტური მშენებლობის პოლიტიკისა და პრაქტიკის ძირეული საკითხია, ხალხის კეთილდღეობის ამაღლო-

ბის, მშრომელებისათვის მატერიალური და კულტურული სიკეთის სიუხვის შექმნის აუცილებელი პირობაა“[21].

სკკპ XXIV ყრილობამ დასახა დიდმნიშვნელოვანი ღონისძიებანი სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის დარგებში შრომის მწარმოებლურობის გადიდებისათვის. პარტიის XXIV ყრილობის მიერ მიღებული დირექტივებით განსაზღვრულია, რომ შრომის მწარმოებლურობის მეცხრე ხუთწლედში სსრ კავშირის მრეწველობაში უნდა გაიზარდოს 36-40 პროცენტით, კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებში — 37-40 პროცენტით[22]. სოციალისტური წარმოების განვითარების კანონზომიერებიდან გამომდინარეობს, რომ საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის გადიდება წარმოადგენს ნაციონალური შემოსავლის ზრდის გადამწყვეტ ფაქტორს. პირველ ხუთწლედში შრომის მწარმოებლურობის ზრდის შედეგად მიღებულია სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის მთელი ნამატის 57 პროცენტი, მეორე ხუთწლედში — 67 პროცენტი. მეოთხე და მეხუთე ხუთწლედში შრომის მწარმოებლურობის გადიდებაზე მოდის ნაციონალური შემოსავლის მთელი ნამატის 80 პროცენტი, ხოლო წარმოების მუშაკთა რიცხვის ზრდაზე ოცი პროცენტი. 1959-1965 წლებში ნაციონალური შემოსავლის ნამატის დაახლოებით 90 პროცენტი შრომის მწარმოებლურობის გადიდებით იქნა მიღებული. სკკპ XXIV ყრილობის დირექტივებით გათვალისწინებულია, რომ შრომის მწარმოებლურობის გადიდებით მიღებულ იქნეს ნაციონალური შემოსავლის ნამატის 80-85 პროცენტი. მეცხრე ხუთწლედში შრომის მწარმოებლურობის ზრდის საფუძველზე მიღებულ იქნება მრეწველობის პროდუქციის ნამატის 87-90 პროცენტი, სამშენებლო-სამონტაჟო სამუშაოების 95 პროცენტი და აგრეთვე სოფლის მეურნეობის პროდუქციისა და სარკინიგზო ტვირთბრუნვის მოცულობის მთელი ნამატი. აქედან ჩანს, რომ განვითარების თანამედროვე ეტაპზე შრომის მწარმოებლურობა სულ უფრო მეტად ხდება საზოგადოებრივი პროდუქტისა და ნაციონალური შემოსავლის ზრდის გადამწყვეტი ფაქტორი. განვითარებული სოციალისტური საზოგადოების პირობებში პარტიის ეკონომიკური პოლიტიკის ამ ხაზმა თავისი გამოხატულება ჰპოვა ხუთწლედის დავალებებში სახალხო მეურნეობის დარგების მიხედვით. შრომის მწარმოებლურობის ზრდის დაწესებული ტემპები მთელ რიგ დარგებში ახლოსაა წარმოების მოცულობის გადიდების დავალების დონესთან. მთლიანად მრეწველობაში პროდუქციის 42-46 პროცენტით ზრდის პირობებში გათვალისწინებულია შრომის მწარმოებლურობა 36-40 პროცენტით ამაღლდეს.

მანქანათმშენებლობასა და ლითონდამუშავებაში პროდუქციის გამოშვება გაიზრდება 1,7-ჯერ, შრომის მწარმოებლურობა 1,5-1,8-ჯერ. ნავთობგადამმუშავებელ მრეწველობასა და ფერად მეტალურგიაში დაწესებულია პროდუქციის ზრდისა და შრომის მწარმოებლურობის ერთნაირი დავალებები. ქვანახშირის მრეწველობაში ქვანახშირის ამოღება გათვალისწინებულია გადიდდეს 10-11 პროცენტით, ხოლო შრომის მწარმოებლურობა 1,4-ჯერ უნდა გაიზარდოს, ანუ ამ დარგში წარმოების ზრდა მოხდება მუშაკების რიცხვის 20 პროცენტით შემცირების პირობებში. ასეთივე გზით განვითარდება სოფლის მეურნეობა (პროდუქციის 20-22 პროცენტი ზრდის პირობებში შრომის მწარმოებლურობა 37-40 პროცენტით უნდა გაიზარ-

[21] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, „სკკპ XXII ყრილობის მასალები“, 1962, თბ., გვ. 383.

[22] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, 1971, თბ., გვ. 308, 331.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ლის) და სარკინიგზო ტრანსპორტი (ტვირთბრუნვების მოცულობა 22 პროცენტით გაიზრდება, ხოლო შრომის მწარმოებლურობა დაახლოებით 23 პროცენტით). მშენებლობაში კაპიტალდაბანდებათა მოცულობა და შრომის მწარმოებლურობა დასახულია გაიზარდოს ერთნაირი სიდიდით — 36-40 პროცენტით.

აღნიშნული მდგომარეობა იმაზე მეტყველებს, რომ სსრ კავშირის ეკონომიკის მთელი რიგი დარგები და ქვედარგები მეცხრე ხუთწლედში უნდა ვითარდებოდნენ მატერიალური წარმოების სფეროში მუშაკთა რიცხვის გადიდების გარეშე.

ნაციონალური შემოსავლის როგორც ფიზიკური, ისე ღირებულებითი მოცულობის ზრდის უმნიშვნელოვანესი ფაქტორია მატერიალური წარმოების დარგებში მუშაკთა რიცხვის გადიდება. შრომის მწარმოებლურობის უცვლელი დონის პირობებში ნაციონალური შემოსავლის ღირებულებითი და ფიზიკური მოცულობა პირდაპირპროპორციულ დამოკიდებულებაშია მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რაოდენობის გადიდების მიმართ. სოციალიზმის დროს წარმოებრივ ურთიერთობათა ხასიათი და მწარმოებლური ძალების განვითარება, საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის განუხრელი გადიდება განაპირობებს მატერიალური წარმოებისა და არაწარმოებრივი სფეროს დარგებს შორის შრომითი რესურსების განაწილების ხასიათს, მუშა ძალის აღწარმოების თავისებურებებს. განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში შრომითი რესურსების განაწილება წარმოებრივ და არაწარმოებრივ სფეროებს შორის ხასიათდება წარმოებრივი სფეროს მუშაკთა რიცხვის ხვედრიწონის თანდათანობითი შემცირებისა და არაწარმოებრივი სფეროს მუშაკთა რიცხვის ხვედრიწონის ზრდის ტენდენციით. მონაცემები გვიჩვენებს, რომ მატერიალური წარმოების დარგებში დასაქმებულ მუშაკთა რიცხვის ხვედრითი წონა 1960 წლის 83,0 პროცენტიდან შემცირდა 77,4 პროცენტამდე 1970 წლისათვის, ხოლო არაწარმოებრივი სფეროს მუშაკთა რიცხვის ხვედრითი წონა ამავე პერიოდში 17,0 პროცენტიდან 22,6 პროცენტამდე ამაღლდა[23].

სოციალისტურ საზოგადოებაში, რომელიც დაფუძნებულია წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებაზე, კაპიტალიზმისაგან განსხვავებით, მოსპობილია ადამიანის მიერ ადამიანის ექსპლოატაცია, მშრომელი მასების უმუშევრობა, — რაც განაპირობებს შრომისუნარიანი მოსახლეობის სრულ დასაქმებას, შრომითი რესურსების რაციონალურ განაწილებას წარმოებრივ და არაწარმოებრივ სფეროებს შორის. სოციალისტური ეკონომიკის განვითარებისათვის კანონზომიერია, რომ მთლიანად არაწარმოებრივი სფეროს მუშაკთა ხვედრითიწონა რამდენადმე გაიზარდოს იმ მუშაკების ხარჯზე, რომლებიც დასაქმებულნი არიან განათლების, მეცნიერებისა და ჯანმრთელობის დარგში. წარმოებრივ და არაწარმოებრივ სფეროებს შორის, მატერიალური წარმოების დარგებს, მოსახლეობის კულტურულ-საყოფაცხოვრებო მომსახურების დარგებსა და მართვის სფეროს შორის, აგრეთვე საზოგადოებრივ წარმოებასა და პირად დამხმარე ან საოჯახო მეურნეობას შორის შრომითი რესურსების რაციონალური განაწილება ხელს უწყობს ნაციონალური შემოსავლის ზრდას.

[23] Народное хозяйство СССР в 1970 году, стр. 508.

სოციალისტურ საზოგადოებაში ნაციონალური შემოსავლის ფიზიკური მოცულობის ზრდის ფაქტორებიდან მთავარი და გადამწყვეტი ფაქტორია საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობის ზრდა. ამასთან ერთად, ნაციონალური შემოსავლის ზრდისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს [illegible] მოებაში დასაქმებულ მუშაკთა რიცხოვნობის გადიდებას. მაგრამ ამ ფაქტორის მოქმედება ზღვარდებულია, ჯერ ერთი, მოსახლეობის რიცხვის ბუნებრივი ზრდის ფარგლებით, მეორეც, არაწარმოებრივი სფეროს უფრო სწრაფი განვითარების აუცილებლობით. აქედან გამომდინარეობს, რომ ნაციონალური შემოსავლის ზრდისათვის ამ ფაქტორის მნიშვნელობა თანდათანობით შემცირდება.

უკანასკნელ პერიოდში განსაკუთრებული ყურადღება ექცევა საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ყოველი ღონისძიებით ამაღლების პრობლემას. პარტიის XXIV ყრილობისა და სკკპ ცენტრალური კომიტეტის პლენუმების მიერ განსაზღვრულია სსრ კავშირის სამეურნეო განვითარების გადამწყვეტი სტრატეგიული მიმართულება, — ეს არის **საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის გადაჭრით ამაღლება**. სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1969 წლის დეკემბრის პლენუმმა და სკკპ XXIV ყრილობამ ხაზგასმით მიუთითა, რომ საზოგადოებრივი წარმოების ეფექტურობის ამაღლება ჭეშმარიტად საკვანძო პრობლემა გახდა, უწინარეს ყოვლისა, იმიტომ, რომ შეიცვალა ჩვენი ეკონომიკური ზრდის მთავარი ფაქტორები. თუ წინათ შეგვეძლო სახალხო მეურნეობა განგვევითარებინა უმთავრესად რაოდენობრივი ფაქტორების გზით, ესე იგი მუშათა რაცხვის გადიდებისა და კაპიტალდაბანდებათა ზრდის მაღალი ტემპების გზით, ამიერიდან საჭიროა, უწინარეს ყოვლისა, ვეყრდნობოდეთ ეკონომიკური ზრდის ხარისხობრივ ფაქტორებს, სახალხო მეურნეობის ეფექტურობის, ინტენსიურობის ამაღლებას. საქმე ეხება იმას, რომ გავადიდოთ წარმოება და გავაუმჯობესოთ პროდუქციის ხარისხი უპირატესად უკვე არსებული წარმოებრივი სიმძლავრეების სრული და რაციონალური გამოყენების, მოწყობილობათა განახლების, თანამედროვე მეცნიერებისა და ტექნიკის მიღწევების დანერგვის გზით; აგრეთვე — სამუშაო დროის თვითეული წუთისადმი, თვითეული მანქანისა და მექანიზმისადმი, თვითეული გრამი ნედლეულისა და სათბობისადმი ყაირათიანი დამოკიდებულების გზით. საქმე ეხება იმას, რომ მუდამ ვიცავდეთ ხარჯებისა და შედეგების თანაზომადობას, — ვიცავდეთ იმას, რომ თვითეული ახლად დაბანდებული მანეთი მაქსიმალურ უკუმოგებას გვაძლევდეს. ეს ახლა ჩვენი ეკონომიკის სწრაფი ტემპებით განვითარებისა და ისეთი ძირეული სოციალურ-პოლიტიკური ამოცანების გადაწყვეტის მთავარი გზაა, როგორიც არის კომუნიზმის მატერიალურ-ტექნიკური ბაზის აშენება, მშრომელთა კეთილდღეობის გაუმჯობესება, ორი მსოფლიო სისტემის ეკონომიკურ შეჯიბრებაში გამარჯვება.

საზოგადოებრივი შრომის მწარმოებლურობა განზოგადებულად გვიხასიათებს ცოცხალი და განივთებული შრომის ეფექტურად გამოყენებას. მატერიალური დანახარჯების ეკონომია, რომელიც წარმოადგენს საზოგადოებრივი შრომის ნაყოფიერების გადიდების ერთ-ერთ ფორმას, გარკვეულ გავლენას ახდენს ნაციონალური შემოსავლის ზრდაზე. ნედლეულისა და მასალების ხარჯვის, აგრეთვე ძირითად საშუალებათა ამორტიზაციის შემცირება პროდუქციის ერთეულზე ნიშნავს შრომის ეკონომიას, რომელიც გამოდის

როგორც დამატებითი რეზერვი მატერიალურ ფასეულობათა გადიდებისათვის, რაც ნაციონალური შემოსავლის ნივთობრივ შინაარსს შეადგენს, რაც უფრო ნაკლებია მატერიალურ-წარმოებრივი დანახარჯები ერთობლივი საზოგადოებრივი პროდუქტის მოცემული სიდიდის დროს, მით უფრო დიდია ნაციონალური შემოსავალი. სსრ კავშირის მატერიალური წარმოების დარგებში მატერიალური დანახარჯების შემცირების უმნიშვნელოვანესი გზებია: მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ყოველი ღონისძიებით დაჩქარება, შრომის იარაღებისა და ტექნოლოგიური პროცესების სრულყოფა; მაღალხარისხოვანი, ეკონომიკური მასალების მასობრივი დანერგვა წარმოებაში; საზოგადოებრივი წარმოების ორგანიზაციის სრულყოფა. მატერიალური დანახარჯები ცვლილებას სხვადასხვა მიმართულებით განიცდიან მატერიალური დანახარჯების ნორმისა და საზოგადოებრივი წარმოების დარგობრივი სტრუქტურის ცვლილებათა შედეგად. აქედან გამომდინარეობს, რომ განსაკუთრებული ყურადღება უნდა მიექცეს საზოგადოებრივი წარმოების დარგობრივი სტრუქტურის გაუმჯობესებასა და შემდგომ სრულყოფას, რაც დადებითს გავლენას მოახდენს ნაციონალური შემოსავლის მოცულობის გადიდებაზე.

სოციალისტურ საზოგადოებაში ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორების მოქმედება და ხასიათი განისაზღვრება სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობებით, რომელიც ემყარება წარმოების საშუალებათა საზოგადოებრივ საკუთრებას. სოციალისტური წარმოებრივი ურთიერთობები განაპირობებენ ნაციონალური შემოსავლის ზრდის ფაქტორების შეუფერხებელ მოქმედებას და მისი შედეგების მაღალ ეფექტურობას.

სოციალისტურ საზოგადოებაში ნაციონალური შემოსავლის ზრდის ყველა აღნიშნული ფაქტორის მოქმედება, სოციალისტურ წარმოებრივ ურთიერთობათა პირობებში, განსაზღვრავს ნაციონალური შემოსავლის განუხრელი და სწრაფი ტემპებით განვითარებას.

სოციალისტურ საზოგადოებაში მიმდინარეობს ნაციონალური შემოსავლის განუხრელი და სწრაფი ტემპებით ზრდა. ნაციონალური შემოსავლის ზრდის საშუალო წლიური ზრდის ტემპი სსრ კავშირში შეადგენდა: პირველ და მეორე ხუთწლედში — 16 პროცენტს[24], მესამე ხუთწლედში — 10 პროცენტს[25]. სსრ კავშირის ეროვნული შემოსავალი ომისშემდგომ პერიოდში განუხრელად იზრდებოდა და მეხუთე ხუთწლედის მანძილზე იგი 68 პროცენტით გადიდდა[26]. მეშვიდე ხუთწლედში (1961-1965 წწ.) სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 32 პროცენტით გაიზარდა. მერვე ხუთწლედში (1966-1970 წწ.) მიღწეულ იქნა სოციალისტური ეკონომიკის შემდგომი ზრდა და განმტკიცება. სსრ კავშირის ნაციონალურმა შემოსავალმა, რომელიც გამოყენებული იყო მოხმარებისა და დაგროვებისათვის, 1970 წელს 41 პროცენტით გადააჭარბა 1966 წლის დონეს. 1970 წელს მრეწველობის პროდუქციის მოცულობა 50 პროცენტით გაიზარდა, მათ შორის წარმოების საშუალებათა წარმოება (ჯგუფი „ა“) 51 პროცენტით, ხოლო მოხმარების საგნების წარმოება (ჯგუფი „ბ“) 49 პროცენტით, სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარ-

[24] Народное хозяйство СССР в 1967 году. Стат. ежегодник, М., 1968, стр. 58.
[25] А. Г. Зверев, Национальный доход и финансы СССР, 1950, М., стр. 20.
[26] ლ. ხარაზი, საბჭოთა კავშირის ეროვნული შემოსავალი ომისშემდგომ პერიოდში, თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის შრომები, № 95, 1960, თბ., გვ. 45.

მოების საშუალო წლიური მოცულობა მერვე ხუთწლედში 31 პროცენტით გადიდდა. ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობამ უკანასკნელ ხუთ წელიწადში შეადგინა უზარმაზარი თანხა — 1 ტრილიონ 156 მილიარდი მანეთი. შედარებისათვის უნდა აღინიშნოს, რომ მეშვიდე ხუთწლედში (1961-1965 წწ.) ნაციონალური შემოსავლის საერთო მოცულობამ შეადგინა 840 მილიარდი მანეთი, ხოლო ხუთი ომამდელი წლის მანძილზე (1936-1940 წლები) მხოლოდ 154 მილიარდი მანეთი (1965 წლის შესადარ ფასებში)[27].

ალსანიშნავია, რომ მეშვიდე და ყველა წინა ხუთწლედში (გარდა პირველი ომისშემდგომი ხუთწლედისა), დაგროვების ფონდის ზრდის ტემპი მნიშვნელოვნად უსწრებდა მოხმარების ფონდის ზრდის ტემპს. მერვე ხუთწლედი ითვალისწინებდა ამ ტემპების დაახლოებას, რაც პრაქტიკულად განხორციელდა. მოხმარების ფონდის მატებამ მერვე ხუთწლედში შეადგინა 56,8 მილიარდი მანეთი ნაცვლად მეშვიდე ხუთწლედის 31,4 მილიარდი მანეთისა, ესე იგი თითქმის ერთიორად გაიზარდა, მასთან მატულობდა დაგროვების ფონდი. აქედან გამომდინარეობს დასკვნა, რომ განვითარებულ სოციალისტურ საზოგადოებაში, სახალხო მეურნეობის დაჩქარებულ განვითარებასთან ერთად, სწრაფად მაღლდება მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობა. სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1970 წელს, 1969 წელთან შედარებით, 9 პროცენტით[28] გაიზარდა; 1971 წელს, 1970 წელთან შედარებით 6 პროცენტით[29]. სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1970 წელს, 1965 წელთან შედარებით, 45 პროცენტით გადიდდა, 1960 წელთან შედარებით 99 პროცენტით, 1940 წელთან შედარებით — 7,6-ჯერ გაიზარდა, ხოლო 1913 წელთან შედარებით — 45,3-ჯერ.

სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის დინამიკა 1960—1970 წლებში[30]

ცხრილი 1

| წლები | ზრდის ტემპი (შესად. ფასებში) | ფაქტიური ფასები (მლრდ მან.) | პროცენტობით წინა წელთან შედარებით (შესადარისი ფასებით) |
|---|---|---|---|
| 1960 | 100 | 145.0 | 107.7 |
| 1961 | 107 | 152.9 | 106.8 |
| 1962 | 113 | 164.6 | 105.7 |
| 1963 | 117 | 168.8 | 104.0 |
| 1964 | 128 | 181.3 | 109.3 |
| 1965 | 137 | 193.5 | 106.9 |
| 1966 | 148 | 207.4 | 108.1 |
| 1967 | 161 | 225.5 | 108.6 |
| 1968 | 174 | 244.6 | 108.3 |
| 1969 | 183 | 261.9 | 104.8 |
| 1970 | 199 | 289.6 | 109.0 |

ცხრილიდან ჩანს, რომ სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი 1960-1970 წლებში განუხრელად და მაღალი ტემპებით იზრდებოდა. ამასთან, ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპი კიდევ უფრო დაჩქარდა უკანასკნელ

[27] სსკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 162.
[28] Народное хозяйство СССР в 1970 году, стр. 535.
[29] СССР и союзные республики, М., 1972, стр. 3.
[30] Народное хозяйство СССР в 1970 году, стат. ежегодник, М., 1971, стр. 533.

წლებში, კერძოდ იგი შედარებით უფრო სწრაფად იზრდებოდა 1966-1970 წლებში. 1970 წელს სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავლის მოცულობამ 289,6 მლრდი მანეთი შეადგინა.

ნაციონალური შემოსავლის ზრდის განუხრელი და სწრაფი ტემპებით ზრდა ახასიათებს საქართველოს სსრ-ს. საქართველოს ნაციონალური შემოსავლის დინამიკა შემდეგი მონაცემებით გამოიხატებოდა (იხ. ცხრილი 2).

საქართველოს სსრ ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპი
1960—1971 წწ. (შესადარისი ფასები)[31]

ცხრილი 2

| წლები | ეროვნული შემოსავალი | | |
|---|---|---|---|
| | პროცენტობით 1960 წელთან | პროცენტობით 1965 წელთან | პროცენტობით წინა წელთან |
| 1960 | 100 | — | 105 |
| 1965 | 137 | 100 | 112 |
| 1966 | 149 | 109 | 109 |
| 1967 | 159 | 117 | 107 |
| 1968 | 165 | 128 | 107 |
| 1969 | 174 | 120 | 106 |
| 1970 | 197 | 144 | 112,7 |
| 1971 | 202 | 148 | 105 |

ცხრილში მოყვანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, რომ უკანასკნელ წლებში (1965-1971 წწ.) მნიშვნელოვნად დაჩქარდა რესპუბლიკის ეროვნული შემოსავლის ზრდის ტემპი. ჩვენი რესპუბლიკის ნაციონალური შემოსავალი 1971 წელს, 1960 წელთან შედარებით, 102 პროცენტით გაიზარდა, ხოლო 1965 წელთან შედარებით, 48 პროცენტით გადიდდა.

საქართველოს ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპის ანალიზი მატერიალური წარმოების დარგების მიხედვით გვიჩვენებს, რომ წმინდა პროდუქცია განსაკუთრებით მაღალი ტემპებით იზრდებოდა მრეწველობაში, მშენებლობაში, ტრანსპორტსა და კავშირგაბმულობაში, მატერიალურ-ტექნიკურ მომარაგებაში. 1970 წელს, 1960 წელთან შედარებით, რესპუბლიკის მრეწველობის წმინდა პროდუქცია გაიზარდა 127 პროცენტით, სოფლის მეურნეობის წმინდა პროდუქცია შესაბამისად 41 პროცენტით, ტრანსპორტისა და კავშირგაბმულობის წმინდა პროდუქცია 124 პროცენტით, ვაჭრობის, დამზადების, მატერიალურ-ტექნიკური მომარაგებისა და სხვ. — 65 პროცენტით[32].

სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის განვითარების 1971-1975 წწ. ხუთწლიანი გეგმა ითვალისწინებს ნაციონალური შემოსავლის მნიშვნელოვან ზრდას. სსრ კავშირის ნაციონალური შემოსავალი მეცხრე ხუთწლედში 39 პროცენტით გადიდდება, ხოლო მოსახლეობის ერთ სულზე რეალური შემოსავალი 31 პროცენტით. მიმდინარე ხუთწლედში სამრეწველო წარმოების მოცულობა 47 პროცენტით გაიზრდება. ნაციონალური შემოსავალი სოციალიზმის პირობებში მაღალი ტემპებით იზრდება. ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპით სსრ კავშირი მნიშვნელოვნად უსწრებს კაპიტალისტურ ქვეყ-

[31] ცხრილი შედგენილია შემდეგი წყაროების საფუძველზე: საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტატ. კრებული, თბ., 1971, გვ. 241; Грузинская ССР в цифрах в 1971 году, Тб., 1972, стр. 21; საქართველოს სსრ ცსს-ს მასალების მიხედვით.

[32] საბჭოთა საქართველოს 50 წელი, სტ. კრ., თბ., 1971, გვ. 241.

7. „მაცნე", ფილოსოფიის... სერია, 1974, № 1.

ნებს. კაპიტალისტური წარმოების განვითარების ციკლური ხასიათი, ჭარბი წარმოების ეკონომიკური კრიზისები და უმუშევრობა, კაპიტალიზმის ღრმა ეკონომიური და პოლიტიკური ანტაგონისტური წინააღმდეგობები უშუალოდ და პირდაპირ გავლენას ახდენენ ნაციონალური შემოსავლის წარმოებაზე, მკვეთრად აფერხებენ მის ზრდას. საბჭოთა კავშირისა და კაპიტალისტური ქვეყნების ნაციონალური შემოსავლის ზრდის ტემპების მონაცემების შედარებიდან ჩანს, რომ 1960 წელთან შედარებით, 1970 წელს სსრ კავშირში ნაციონალური შემოსავალი 99 პროცენტით გაიზარდა, აშშ-ში — 48 პროცენტით, ინგლისში — 28 პროცენტით, საფრანგეთში — 66 პროცენტით, გფრ-ში — 52 პროცენტით. აღსანიშნავია, რომ თუ სსრ კავშირს ნაციონალური შემოსავლის გაორკეცებისათვის დასჭირდა 10 წელი, აშშ-ს — 20 წელი, ინგლისს — 30 წელი, საფრანგეთსა და გფრ-ს — 14-15 წელი. ასე, მაგალითად: 1970 წელს სსრ კავშირში ნაციონალური შემოსავალი მეტი იყო ვიდრე 1960 წელს 1,99-ჯერ; აშშ-ში 1970 წ. მეტი იყო, ვიდრე 1950 წელს — 1,98-ჯერ; ინგლისში — მეტი, ვიდრე 1938 წელს — 1,98-ჯერ; საფრანგეთში — მეტი, ვიდრე 1956 წელს — 1,98-ჯერ, გფრ-ში — მეტი, ვიდრე 1955 წელს — 2,05-ჯერ[33]. ნაციონალური შემოსავლის განუხრელი და სწრაფი ზრდა ახასიათებს სახალხო დემოკრატიის ქვეყნებს, რომლებიც წარმატებით აშენებენ სოციალისტურ საზოგადოებას, ახორციელებენ ღრმა ეკონომიკურ და პოლიტიკურ გარდაქმნებს. 1970 წელს, 1950 წელთან შედარებით, ნაციონალური შემოსავალი გაიზარდა ბულგარეთში — 5,3-ჯერ, უნგრეთში — 3-ჯერ, გერმანიის დემოკრატიულ რესპუბლიკაში — 3,9-ჯერ, პოლონეთში — 3,8-ჯერ, რუმინეთში — 6-ჯერ, ჩეხოსლოვაკიაში — 3,2-ჯერ[34].

**ნაციონალური შემოსავლის ზრდის განსაკუთრებული მაღალი ტემპები საბჭოთა კავშირისა და მსოფლიო სოციალისტური სისტემის სხვა ქვეყნებში განპირობებულია სოციალისტური წარმოების ყველა დარგის მძლავრი და განუხრელი განვითარებით, რაც დამაჯერებლად მოწმობს სოციალიზმის გადამწყვეტ უპირატესობას კაპიტალიზმის მიმართ.**

[33] Народное хозяйство СССР в 1970 году, стр. 88.

[34] იქვე, გვ. 84.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

მიხეილ კახეთელიძე

# სოციალისტური სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულებისა და ფასის განსაზღვრის საკითხისათვის

სოციალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების და ფასის განსაზღვრის საკითხები აბსტრაქტული მსჯელობის საგანი კი არ არის, არამედ მათ უაღრესად დიდი პრაქტიკული მნიშვნელობა აქვთ. მთელ რიგ რესპუბლიკებში, მათ შორის საქართველოს სსრ-ში ეკონომიკურად სუსტი კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების არსებობა სხვა მიზეზებთან ერთად, სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების განსაზღვრისა და შესყიდვა-ჩაბარების ფასების დადგენაში არსებული ნაკლოვანებებით აიხსნება. სოფლის მეურნეობის მთელ რიგ პროდუქტებზე მეცნიერულად დაუსაბუთებელი შესყიდვისა და ჩაბარების ფასების არსებობა ხელს უშლის კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების ეკონომიკის განვითარებას, სოფლის მეურნეობის საწარმოთა რენტაბელობის ამაღლებას. რომ არაფერი ვთქვათ სკკპ ცენტრალური კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმამდე არსებული პერიოდის შესახებ, როდესაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასების დაწესებაში ადგილი ჰქონდა აშკარა დამახინჯებებს, მის შემდეგაც რიგი პროდუქტების შესყიდვის ფასებით ვერ იფარებოდა და ზოგჯერ ახლაც ვერ იფარება წარმოების დანახარჯები. „...არ შეიძლება ნორმალურად მივიჩნიოთ, — აღნიშნავდა ლ. ი. ბრეჟნევი სკკპ ცკ 1965 წლის მარტის პლენუმზე, — რომ სოფლის მეურნეობის მთელი რიგი პროდუქტების შესასყიდი ფასები ვერ ფარავს ამ პროდუქტების წარმოების ხარჯებს“[1].

განვითარების თანამედროვე ეტაპზე კომუნისტური პარტია და საბჭოთა მთავრობა პირდაპირ მოითხოვს სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ეკონომიკურად დასაბუთებული შესყიდვისა და ჩაბარების ფასების დაწესებას. ნაკლოვანებანი ფასების დაწესების საქმეში აიხსნება არა მარტო იმ ორგანოების მუშაობის დაბალი დონით, ვინც შესყიდვისა და ჩაბარების ფასებს უშუალოდ გეგმავს, არამედ ფასწარმოქმნის შესახებ მეცნიერების რეკომენდაციების ნაკლოვანებებით. იმ პერიოდში როდესაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების დაწესების დროს უხეშად ირღვეოდა წარმოების განვითარებით კოლმეურნეობებისა და კოლმეურნეების მატერიალური დაინტერესების პრინციპი, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებისა და ფასების განსაზღვრის პრობლემების შესახებ თეორიული გამოკვლევები თითქმის არ ქვეყნდებოდა. ეს საკითხები ფართო თეორიული მსჯელობისა და დისკუსიის საგნად გადაიქცა მხოლოდ სკკპ ცენტრალურ კომიტეტის 1953 წლის სექტემბრის პლენუმის დადგენილების შემდეგ, როცა კომუნისტურმა პარტიამ სოფლის მეურნეობის განვითარების ჩამორჩენის აღმოფხვრისა და მისი სწრაფი ტემპით განვითარების პრობლემები ჩვენი მეურნეობრივი პოლიტიკის ყურადღების ცენტრში მოაქცია.

---

[1] ლ. ი. ბ რ ე ჟ ნ ე ვ ი. სსრ კავშირის სოფლის მეურნეობის შემდგომი განვითარების გადაუდებელ ღონისძიებათა შესახებ, 1965, გვ. 7.

სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე საზოგადოებრივი ღირებულებისა და ფასწარმოქმნის ისტორია ჩვენი მსჯელობის საგანი არ არის, ამ სტატიის უშუალო მიზანს შეადგენს მარქსისტულ-ლენინური მოძღვრების გაშუქება სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებისა და ფასის განსაზღვრის შესახებ, რადგანაც მათ ირგვლივ საბჭოთა ეკონომიკურ ლიტერატურაში ბევრი რამ ჯერაც დასაზუსტებელია.

კ. მარქსის მოძღვრებით, სოციალიზმის დროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულება განისაზღვრება საშუალო ნაყოფიერების მიწაზე წარმოებული პროდუქტების ღირებულებით, რადგანაც ამ მიწაზე დახარჯული შრომა გვევლინება საზოგადოებრივ აუცილებელ დროდ. სოციალიზმის დროს საშუალო ნაყოფიერების მიწებზე მოყვანილი პროდუქტების ინდივიდუალური ღირებულება იმიტომ განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივ ღირებულებასა და ფასს, რომ მასზე იწარმოება პროდუქციის ყველაზე დიდი მასა. ცნობილია, რომ სოციალიზმის პირობებში, მიწის რაციონალურად გამოყენების შედეგად, ცუდი მიწები თანდათანობით გადადიან საშუალო და კარგი ნაყოფიერი მიწების კატეგორიაში, რითაც მკვეთრად იზრდება საშუალო ნაყოფიერების მიწის ფართობის ხვედრითი წონა. მათზე წარმოებული პროდუქცია აბსოლუტურად აჭარბებს ცუდი და კარგი ნაყოფიერების მიწების პროდუქციის რაოდენობას.

კ. მარქსი სოციალისტური საზოგადოების პირობებში გამორიცხავდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების ცუდი ნაყოფიერების მიწის პროდუქტების ინდივიდუალური ღირებულების მიხედვით განსაზღვრას: „...საზოგადოებრივი შრომა დაამუშავებდა სხვადასხვა ნაყოფიერების მიწას და ამასთანავე, მიუხედავად გამოყენებული შრომის განსხვავებისა, შრომას შეეძლო ყველა მიწაზე უფრო პროდუქტიული გამხდარიყო. მაგრამ ამ შემთხვევაში შრომის ის მასა, რომელიც უფრო მდარე მიწის პროდუქტი ღირს არავითარ შემთხვევაში არ გამოიწვევდა იმას, როგორც ამას ადგილი აქვს ბურჟუაზიული წყობილებისას, რომ უკეთესი მიწის პროდუქტიც უნდა გადახდილი იქნას მეტი შრომით“ (ხაზგასმა ჩემია — მ. კ.)[2]. კაპიტალიზმის პირობებში ცუდ მიწაზე მოყვანილი პროდუქტის ინდივიდუალური ღირებულებით საერთოდ სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების განსაზღვრას კ. მარქსი უკავშირებდა კაპიტალისტური წარმოების წესისათვის დამახასიათებელ კონკურენციას. „...იგი (ესე იგი დიფერენციული რენტა — მ. კ.) წარმოსდგება იმ გარემოებიდან, რომ უფრო იაფი პროდუქტი უფრო ძვირი პროდუქტის ხარჯების მიხედვით იყიდება. მაგრამ ეს არის—წერდა კ. მარქსი, — როგორც მე უკვე უჩვენე (პრუდონი), კონკურენციის უბრალო კანონი, რომელიც არა „მიწიდან“, არამედ თვით „კაპიტალისტური წარმოებიდან“ გამომდინარეობს“[3]. სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების განსაზღვრის თავისებურებას მიწის ბუნებრივ პირობებს კი არ უკავშირებდა არამედ სოციალური რიგის მოვლენებს, საზოგა-

---

[2] კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები, ტ. II ნაწ. 1, გვ. 258.

[3] კ. მარქსი. ზედმეტი ღირებულების თეორიები, ტ. II ნაწ. II, გვ. 156.

დოების წარმოებრივ ურთიერთობებს. „... ყველაზე საინტერესო მხარე რენ-ტაში ის არის, — სწერდა კ. მარქსი, ფ. ენგელსს 1851 წ., — რომ რენტა წარ-მოიშობა სხვადასხვა წარმოების ხარჯების შედეგად მიღებული პროდუქტის ფასების გაწონასწორების მეოხებით, მაგრამ საბაზრო ფასის ეს კანონი სხვა არა არის რა, თუ არა ბურჟუაზიული კონკურენციის კანონი“ ამასთან ერ-თად ხაზგასმით აღნიშნავს, რომ ბურჟუაზიული წარმოების გაუქმების შემ-დეგ „განსხვავებით ბურჟუაზიული წყობილებისაგან, საუკეთესო მიწის მიერ მოცემული პროდუქტი აღარ იქნებოდა ისევე ძვირი, როგორც უცუდესი მიწის მიერ მოცემული“[4].

როგორც ვხედავთ, ამ წერილშიაც კ. მარქსი გარკვევით აღნიშნავდა: ჯერ ერთი, იმას რომ კაპიტალიზმის პირობებში რენტა კონკურენციის შე-დეგად წარმოსდგება, მეორე, ბურჟუაზიული წყობის გაუქმების შემდეგ კარგი მიწის პროდუქტი არ იქნება ისევე ძვირი, როგორც ცუდი მიწის პრო-დუქტი.

ახლა თუ დავსვამთ კითხვას: კაპიტალიზმის პირობებში ცუდი მიწის პროდუქტის ინდივიდუალური ღირებულება რატომ განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საბაზრო ღირებულებას ანუ კონკურენციას სა-ბაზრო ფასი რატომ მიყავს ცუდი მიწის პროდუქტების ფასების დონემდე? — ამ კითხვაზე შემდეგნაირად უნდა ვუპასუხოთ: კაპიტალიზმის პირობებში ნია-დაგების მტაცებლურად გამოყენების გამო დამუშავებული ცუდი მიწების რაოდენობა მეტია, ვიდრე კარგი და საუკეთესოსი. ამიტომაც სოფლის მეურ-ნეობის პროდუქტთა საერთო მასაში ცუდი და მასთან ნაყოფიერების მხრივ ახლო მდებარე მიწების პროდუქციის ხვედრითი წონა უფრო მეტია, ვიდრე კარგი მიწებისა. აქედან გამომდინარე, სოფლის მეურნეობაში საზოგადოებ-რივად აუცილებელი შრომა უახლოვდება ცუდ მიწაზე დახარჯულ შრომის სა-შუალო რაოდენობას. „თუ პურის იმპორტი არ არსებობს, — წერდა კ. მარქსი, — ან იმპორტის გავლენა შეზღუდულია, იმიტომ რომ მისი ოდენობა შეზ-ღუდულია, მაშინ საბაზრო ფასს განსაზღვრავენ ის მწარმოებლები, რომელ-ნიც უფრო ცუდ მიწაზე მუშაობენ, ე. ი. რომელნიც საშუალოზე ნაკლებ ხელ-საყრელ წარმოების პირობებში მუშაობენ. იმ კაპიტალის მთელი მასის დიდი ნაწილი, რომელიც სოფლის მეურნეობაში გამოიყენება ან საერთოდ მის გან-კარგულებაშია, მათ ხელში იმყოფება“[5]. სხვა ადგილას, როდესაც კ. მარქსი იხილავს დიფერენციული რენტის უცუდესი მიწიდან მიღების შემთხვევებს შემდეგს წერდა: „... ასეთი მეთოდი (A-მიწის ნაკვეთზე კაპიტალის დამატე-ბითი ხარჯვა — მ. კ.) გამოყენებული იქნებოდა A-მიწის დამუშავებული აკ-რების უმრავლესობისათვის, რომელნიც მიწოდების მთავარ მასას იძლევიან ამა თუ იმ ქვეყანაში“[6].

როგორც ამ ციტატების შინაარსიდან ჩანს სოფლის მეურნეობის პრო-დუქტების ფასი ცუდი მიწების წარმოების პირობებით იმ შემთხვევაში განი-საზღვრება, როცა სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტი არ ხდება ან თუ მისი ხვედრითი წონა მცირეა და „საზოგადოებრივი მოხმარების დო-ნეზე“ შეზღუდული გავლენა აქვს. ამასთან ერთად, ცუდი მიწის წარმოების

---

[4] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 41.
[5] კ. მარქსი, ტომი III, ნაწ. II, 1959, გვ. 269.
[6] კ. მარქსი, იქვე გვ. 348.

პირობები სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებს, იმპორტის არარსებობის პირობებშიაც მხოლოდ იმ შემთხვევაში განსაზღვრავენ, როცა სოფლის მეურნეობაში გამოყენებული „კაპიტალების მასის“ დიდი ნაწილი [illegible] მერ-კაპიტალისტების ხელშია მოქცეული, რომლებიც ცუდ მიწებს ამუშავებენ და რომლებიც პროდუქტების მიწოდების მთავარ მასას იძლევიან. გარდა ამისა, კაპიტალიზმის პირობებშიაც კი სოფლის მეურნეობის პროდუქტების საბაზრო ფასის ცუდი მიწის წარმოების პირობებით განსაზღვრა ერთადერთი შესაძლებელი შემთხვევა კი არ არის, არამედ სხვა, შემთხვევებიც არსებობს, მაგალითად, საბაზრო ფასის განსაზღვრა საშუალო ნაყოფიერების მიწის პროდუქტების წარმოების პირობებით.

რადგანაც თითქმის არც ერთი კაპიტალისტური ქვეყანა სოფლის მეურნეობის პროდუქტების იმპორტის გარეშე არ არსებობს და, გარდა ამისა, უმეტეს შემთხვევაში მიწოდება, გადახდაუნარიან მოთხოვნას, როგორც წესი, თუ ყოველთვის არა, უმეტეს შემთხვევაში აჭარბებს, ამიტომაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასები უფრო მეტად უახლოვდებიან საშუალო ნაყოფიერების მიწების პროდუქტების ინდივიდუალურ ღირებულებას, ვიდრე — ცუდი მიწებისას. „მე ვამტკიცებ, — წერდა კ. მარქსი 1862 წელს ფრიდრიხ ენგელსს, — რომ, მიწის აბსოლუტური რენტის არსებობაც, რომ ვიგულისხმოთ, აქედან სრულიადაც არ გამომდინარეობს, რომ უცუდესი დამუშავებული მიწა ან უცუდესი მაღარო ყველა ვითარებაში იხდის რენტას, „პირიქით, ძალიან შესაძლებელია, რომ ესენი იძულებული არიან თავიანთი პროდუქტები საბაზრო ღირებულების მიხედვით გაჰყიდონ, მაგრამ მათ ი ნ დ ი ვ ი დ უ ა ლ უ რ ღირებულებაზე დ ა ბ ლ ა. საწინააღმდეგოს დამტკიცების მიზნით, რიკარდო ყოველთვის გულისხმობს, — რაც თეორიულად მცდარია, — რომ საბაზრო ღირებულებას, ბაზრის ყველა პირობის დროს, ყოველთვის ის საქონელი განსაზღვრავს, რომელიც ყ ვ ე ლ ა ზ ე ა რ ა ხ ე ლ ს ა ყ რ ე ლ პ ი რ ო ბ ე ბ შ ი იყო წარმოებული. ამის საწინააღმდეგოდ შენ ჯერ კიდევ „Deutsch-Fraurösch Iahr bücher“ „გააკეთე სწორი შენიშვნა. აი რის დამატება მინდოდა მე რენტის შესახებ... (ხაზგასმა მარქსისაა — მ. კ.)[7]. კ. მარქსის მიერ რენტის შესახებ ფ. ენგელსისადმი მიწერილ წერილში გამოთქმული მოსაზრება უაღრესად საყურადღებოა. ამ წერილის შინაარსიდან ირკვევა, რომ რიკარდოს შეხედულებას სოფლის მეურნეობის პროდუქტების საბაზრო ღირებულების ყოველთვის უცუდესი წარმოების პირობების მიხედვით განსაზღვრის შესახებ მარქსი თეორიულად მცდარ მოსაზრებად თვლიდა. აქედან ჩვენ იმ დასკვნის გამოტანა შეგვიძლია, რომ თვით კაპიტალიზმის პირობებშიაც კი როდესაც შექმნილი საბაზრო პირობების გამო სოფლის მეურნეობის პროდუქტები საშუალო ნაყოფიერების მიწის პროდუქტების ფასით განისაზღვრება დიფერენციული რენტის კანონი არ უქმდება. მიწის მესაკუთრეები ამ შემთხვევაშიც ღებულობენ დიფერენციულ რენტას.

კ. მარქსის მოძღვრების წინააღმდეგ ა. პაშკოვი წერს: „მრეწველობის საქონლებისგან განსხვავებით, რომელთა ღირებულების სიდიდე განისაზღვრება საშუალო წარმოების პირობებში დახარჯული შრომით. სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულება სოციალიზმის დროსაც განისაზღვრება ცუდ მიწებზე დახარჯული შრომით. შრომის ინდივიდუალური დანახარჯები უცუდეს (ნაყოფიერებისა და მდებარეობის მიხედვით) მიწის ნაკვეთებზე სო-

[7] კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული წერილები, 1949, გვ. 138-139.

ციალიზმის დროსაც წარმოადგენენ აუცილებელ საზოგადოებრივ დანახარჯებს, რომლებიც განსაზღვრავენ ამ პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების სიდიდეს[8].

პროფ. ა. პაშკოვის შეხედულება სოციალიზმის დროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულების განსაზღვრის საკითხში პრინციპულად ეწინააღმდეგება კ. მარქსის მოძღვრებას. თუ კ. მარქსი თვით კაპიტალიზმის პირობებშიაც კი გამორიცხავდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულების მხოლოდ ცუდი მიწის წარმოების პირობების მიხედვით განსაზღვრას, მით უმეტეს სოციალისტურ სოფლის მეურნეობის პროდუქციის ღირებულების განსაზღვრის საქმეში ცუდი მიწისათვის ასეთი როლის მინიჭება ყოვლად მიუღებელია. ა. პაშკოვის მთავარი შეცდომა იმაში მდგომარეობს, რომ დიფერენციული რენტის არსებობას როგორც კაპიტალიზმის პირობებში, ასევე სოციალიზმის დროს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულების უცუდესი მიწის წარმოების პირობებით განსაზღვრას უკავშირებს. ამით იგი დგება დ. რიკარდოს პოზიციაზე. ჩვენ ზემოთ ერთხელ უკვე აღვნიშნეთ და ახლაც უნდა გავიმეოროთ, რომ კ. მარქსი მკაცრად აკრიტიკებდა დავიდ რიკარდოს ასეთი შეცდომისათვის.

ხაზგასმით უნდა აღვნიშნოთ, რომ სოციალიზმის დროს საქონლის საზოგადოებრივი ღირებულების განსაზღვრა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობაში ერთნაირია, როგორც პირველში, ასევე მეორეში იგი განისაზღვრება საშუალო წარმოების პირობების მიხედვით. განსხვავებას ადგილი აქვს მხოლოდ იმ მხრივ, რომ სოფლის მეურნეობაში ბუნებრივი ფაქტორის მონაწილეობის შედეგად მეურნეობები რომლებიც ფლობენ უკეთესი ნაყოფიერებისა და ადგილმდებარეობის მიწებს, თანაბარი წარმოებრივი ფონდებისა და ცოცხალი შრომის დანახარჯების პირობებში ღებულობენ ფიქსირებულ დამატებით შემოსავალს, რაც შემდეგ დიფერენციულ რენტა I-ის ფორმას ღებულობს, ამასთან ერთად სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაცია განსხვავებულ ბუნებრივ პირობების ბაზაზე, აგრეთვე წარმოქმნის ფიქსირებულ დამატებით მოგებას, რომელიც ღებულობს დიფერენციულ რენტა II-ის ფორმას. „...საქონლის ღირებულება განისაზღვრება, — წერდა კ. მარქსი, — არა ცალკეულ საქონელზე დახარჯული შრომით, არამედ შრომის იმ რაოდენობით, რომელიც დახარჯულია (იმ) საქონელში, რომელიც წარმოებულია მოცემულ სფეროს საშუალო პირობებში. ა ქ ი ნ დ უ ს ტ რ ი ა და მ ი წ ა თ მ ო ქ მ ე დ ე ბ ა ერთმანეთისაგან განსხვავდებიან მხოლოდ იმით, რომ ინდუსტრიაში მოგება მიდის თვით კაპიტალის ჯიბეში, მიწათმოქმედებაში კი მიწისმფლობელის ჯიბეში"[9].

პროფ. ა. პაშკოვი და ყველა ის ეკონომისტები რომლებიც სოციალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების განსაზღვრას ცუდი მიწის წარმოების პირობებს უკავშირებენ, ნებსით თუ უნებლიეთ სოციალიზმის დროს ფასწარმოქმნის პრაქტიკას ღირებულების კანონს წყვეტენ.

ცნობილია, რომ უკანასკნელ პერიოდამდე, როგორც ეს არა ერთხელ იყო პარტიის მიერ აღიარებული, სოფლის მეურნეობის პროდუქტების შეს-

---

[8] А. П а ш к о в. Об источнике дифференциальной ренты и распределение ее при социализме, «Вопросы экономики, планирования и статистики», М., 1957, стр. 94.

[9] კ. მ ა რ ქ ს ი, ღირებულების თეორიები, ნაწ. II, გვ. 11.

ყიდვისა და ჩაბარების ფასები იმდენად დაბალი იყო, რომ ზოგჯერ წარმოების დანახარჯებსაც ვერ ანაზღაურებდა. ეს გარემოება, [illegible] თავი დავანებოთ, აშკარად მიუთითებს იმ ავტორების [illegible], რომლებიც ცუდი მიწის წარმოების პირობებით განსაზღვრავენ სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივ ღირებულებას.

„პრაქტიკამ გვაჩვენა, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასწარმოქმნის ეს თავისებურება (უცუდესი მიწის წარმოების პირობებით განსაზღვრა — მ. კ.) რჩება სოციალიზმის დროსაც[10], გაუგებარია, რომელი „პრაქტიკა" აქვს მხედველობაში პროფ. ა. ბოლგოვს, მაშინ, როდესაც მთელი რიგი სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულება კი არა თვითღირებულებაც კი მაღალი იყო და არის ვიდრე მათი სახელმწიფო შესყიდვისა და ჩაბარების ფასები. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1 ცენტ. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის წონამეტის თვითღირებულება უდრიდა: 1967 წ. 219,24 მანეთს, შესყიდვის ფასი 141 მანეთს ანუ 35,6%-ით ნაკლებს. 1970 წელს შესაბამისად — 219,76 და 145,5 ანუ 33,9%-ით ნაკლებს და სხვ. რძის თვითღირებულება მთელ რიგ რესპუბლიკებში, შესყიდვის ფასების გადიდების შემდეგაც, შესამჩნევად მაღალია სახელმწიფო შესყიდვის ფასებზე, ასე მაგალითად, 1969 წელს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1 ცენტრ. რძის თვითღირებულება შესყიდვის ფასზე მეტი იყო დაახლოებით 30%-ით, აზერბაიჯანის სსრ შესაბამისად 34,8%-ით და სხვ.[11]. 1970 წ. საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში 1 ც. მარცვლის თვითღირებულება საშუალო შესყიდვის ფასზე მეტი იყო 7,1%-ით და სხვ.

მოყვანილი ცნობებიდან ჩანს, რომ ზოგიერთი პროდუქტის შესყიდვის ფასები დაბალი იყო არა მარტო საზოგადოებრივ ღირებულებაზე, არამედ — თვითღირებულებაზეც. როგორც ვხედავთ, პროფ. ბოლგოვის შეხედულება იმის შესახებ, თითქოს ჩვენი ქვეყნის პრაქტიკაც გვიმტკიცებდეს იმას, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასი ცუდი მიწის წარმოების პირობებით განისაზღვრებოდეს ფაქტებით არ დასტურდება. პროფ. ა. ბოლგოვი მხარს უჭერს რა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების ცუდი მიწის წარმოების პირობების მიხედვით განსაზღვრას, წერს: „...სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულება შეიძლება განისაზღვროს და განისაზღვრება, როგორც ამას ცნობს ეკონომისტთა უმრავლესობა, ცუდი მიწის ნაკვეთებზე არსებული წარმოების პირობებით, მაგრამ საშუალო ან ამ მიწის ნაკვეთებზე მომუშავე უმეტეს კოლმეურნეობებისათვის დამახასიათებელი წარმოების პირობებით, ესე იგი მათი საშუალო ტექნიკური აღჭურვილობის, შრომისა და წარმოების საშუალებების საშუალო დონის და მწარმოებლურობის საშუალო დონის პირობებში... ცუდი ნაყოფიერების მიწის ნაკვეთების წარმოების საშუალო პირობების გათვალისწინების ეს მოთხოვნილება გამომდინარეობს მარქსის ღირებულების თეორიიდან რომელიც მიუთითებდა, რომ „განსაზღვრულ სფეროს საქონლის ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ა განისაზღვრება არა იმ შ რ ო მ ი ს რ ა ო დ ე ნ ო ბ ი თ, რაც ღირს ესა თუ ის ცალკეული საქონელი, არამედ შრომის რაოდენობით, რომელიც დახარჯულია მოცემულ სფეროს საშუალო პირობებში"[12]. პროფ. ა. ბოლგოვი სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების უცუდესი წარმოების პირობებით განსაზღვრის სისწორის დასამტკიცებლად ცდილობს ცნება „უცუდეს მიწაზე მოქმედ კოლმეურნეობათა წარ-

---

[10] А. Болгов. Дифференциальная земельная рента в условиях социализма, М., 1963, стр. 122.

[11] Народнсе хозяйство СССР в 1969 г., М., 1970, стр. 402. Прейскурант № 70-80-23, Закупоные цены на сельхозпродукты, М., 1970, стр. 14.

[12] А. Болгов. დასახელებული შრომა, გვ. 122—123.,

მოების საშუალო პირობები“ გაუთანაბროს შინაარსობრივად მარქსის მიერ მოცემულ ცნებას: „მოცემული სფეროს საშუალო პირობებს“ [illegible] არის.

ა. ბოლგოვის მიერ მოყვანილ კ. მარქსის ციტატაში ნახმარი ცნება „მოცემულ სფეროს საშუალო პირობები“ არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება გულისხმობდეს მარტო უცუდესი წარმოების საშუალო პირობებს, რადგანაც „მოცემულ სფეროში“ არიან ცუდი, საშუალო და უკეთესი წარმოებები. ასეთ ვითარებაში გამორიცხულია „მოცემულ სფეროს საშუალო პირობები“ იგივე იყოს რაც „უცუდესი მიწის წარმოების საშუალო პირობები“. შესაძლებელია, ცუდი წარმოების საშუალო პირობები მიუახლოვდეს მოცემულ სფეროს საშუალო პირობებს, როგორც ამას ადგილი აქვს კაპიტალიზმის პირობებში, მაგრამ იმ შემთხვევაში თუ მოცემულ სფეროში წარმოებული საქონლის ერთობლივ მასაში აბსოლუტურად ჭარბობს ცუდი ნაყოფიერების მიწებზე წარმოებული საქონლის რაოდენობა. მაგრამ არა მგონია, რომ ვინმემ მხარი დაუჭიროს ისეთ შეხედულებას, რომ სოციალიზმის პირობებში ჭარბობდეს ცუდი ნაყოფიერების მიწები და მათზე მოყვანილი პროდუქციის რაოდენობა.

ავტორები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივ ღირებულებას განსაზღვრავენ ცუდი მიწის წარმოების პირობებით, დიფერენციული რენტის არსებობას მხოლოდ ასეთ პირობებში ცნობენ; ამ საკითხთან დაკავშირებით პროფ. პაშკოვი წერს: „მტკიცება, — აღნიშნავს პროფ. პაშკოვი, — რომ სოციალიზმის დროს ის (სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულება — მ. კ.) განისაზღვრება საშუალო ნაკვეთებზე დანახარჯებით, ნიშნავს დიფერენციული რენტის უარყოფას“[13]. ანალოგიურ პოზიციაზე დგანან აკად. სტრუმილინი, ა. ბოლგოვი, ა. მარკოვი და სხვ.

ასეთი თვალსაზრისი ეწინააღმდეგება რენტის მარქსისტულ თეორიას. კაპიტალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულების საშუალო ნაყოფიერების მიწის წარმოების პირობებით განსაზღვრა, საერთოდ, დიფერენციული რენტის გაქრობას კი არ იწვევს, არამედ იმას, რომ საშუალო ნაყოფიერების მიწები დიფერენციულ რენტას აღარ იძლევიან. როგორც ცნობილია, ზოგიერთ კაპიტალისტურ ქვეყანაში, მაგალითად, აშშ-ში, ბევრ შემთხვევაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასი საშუალო ნაყოფიერების მიწების წარმოების პირობებით განისაზღვრება, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ ასეთ შემთხვევებში დიფერენციული რენტა საერთოდ ქრება.

განსაკუთრებით გვინდა გავუსვათ ხაზი იმ გარემოებასაც, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულების განსაზღვრის კაპიტალიზმისათვის დამახასიათებელი კანონზომიერების მექანიკური გადმოტანა სოციალიზმის პირობებში არასწორია. კაპიტალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასწარმოქმნის სპეციფიკურობა განპირობებულია არა ბუნებრივი, არამედ „სოციალური რიგის“ ფაქტორებით. მიწაზე კერძო საკუთრებისა და, საერთოდ, ექსპლოატაციური ურთიერთობის არსებობა იწვევს არა

[13] А. И. Пашков. Заключительное слово по докладу, см. сборник—«Земельная рента в социалистическом сельском хозяйстве», М., 1959, стр. 244.

მარტო მუშახელის, არამედ ბუნებრივი ძალების, პირველ რიგში მიწის [illegible]-ცებლურ გამოყენებას; ეს უკანასკნელი კი კაპიტალიზმის პირობებში კიდევ უფრო ზრდის ცუდი ნაყოფიერების მიწის ფართობს და სოფლის მეურნეობაში გამოყენებული კაპიტალების უდიდესი ნაწილი, როგორც აღნიშნული იყო, დაბანდებულია ამ კატეგორიის ნაკვეთებზე, ამიტომაც საშუალო საზოგადოებრივი შრომა, რომელიც განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის საბაზრო ანუ საზოგადოებრივ ღირებულებას უახლოვდება უცუდესი მიწის პროდუქტების ინდივიდუალურ ღირებულებას.

სოციალიზმის პირობებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების საშუალო ნაყოფიერების მიწის პროდუქტების ინდივიდუალური ღირებულებით განსაზღვრა განპირობებულია შემდეგი გარემოებებით:

1. მიწაზე კერძო საკუთრების მოსპობის გამო, აღარ არსებობს კაპიტალისტური სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების უცუდესი ნაყოფიერების მიწის პროდუქტების ღირებულებით განსაზღვრის პირობები და „ყალბი სოციალური ღირებულების“ კატეგორია;

2. სოციალიზმის პირობებში, როდესაც ერთიანი გეგმის მიხედვით ხდება სოფლის მეურნეობის წარმოების რაციონალური გაადგილება და სპეციალიზაცია, როცა წარმოების რაციონალურ გაადგილებასა და სპეციალიზაციას მიწის კერძო საკუთრება წინ აღარ ეღობება, როცა მიწის, როგორც მატერიალური დოვლათის წარმოების ერთ-ერთ უმთავრეს პირობას, სახელმწიფო განსაკუთრებული მზრუნველობით ეკიდება, უამრავ თანხებს ხარჯავს მისი ეკონომიკური ნაყოფიერების გასადიდებლად, — „წინათ უნაყოფო“ მიწები „ნაყოფიერი“ მიწების კატეგორიაში გადადის, სწრაფი ტემპით იზრდება საშუალო და კარგი ნაყოფიერების მიწების ფართობები. საბჭოთა კავშირის პირობებში, ამჟამად, აბსოლუტურად ჭარბობს საშუალო და კარგი ნაყოფიერების მიწების ნაკვეთები. თუ როგორ მოხდა „უნაყოფო“ და „მწირი მიწების“ ნაყოფიერ მიწებად გადაქცევა, ამას ნათლად ამტკიცებს, ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, ჩვენი რესპუბლიკის მაგალითი.

ცნობილია, რომ დასავლეთ საქართველოს იმ რაიონებში, სადაც კოლმეურნეობრივი წყობილების გამარჯვების შემდეგ სუბტროპიკული კულტურები დაინერგა, მანამდე ცუდი ნაყოფიერების აქაური მიწები ჩაისა და ციტრუსების ქვეშ უნაყოფიერეს მიწებად გადაიქცნენ.

საერთოდ, აღიარებულია, რომ „აბსოლუტურად ნაყოფიერი ნიადაგები“ არ არსებობენ. შესაძლებელია, ერთი და იგივე ნიადაგი ერთი სახის კულტურისათვის ცუდი ნაყოფიერებისა იყოს, მეორისათვის კარგი, ხოლო მესამისათვის საუკეთესო. ამიტომაც სოფლის მეურნეობის სწორი სპეციალიზაციისა და გაადგილების დროს ნიადაგების ეკონომიკური ნაყოფიერება შესამჩნევად მაღლდება. თუ კაპიტალიზმის პირობებში, სოფლის მეურნეობის დარგებისა და კულტურების ნიადაგურ-კლიმატური პირობების შესაბამისად, რაციონალურ სპეციალიზაციასა და გაადგილებას (რაც იქ სტიქიურად ხდება) უწინარეს ყოვლისა ხელს უშლის მიწაზე კერძო საკუთრების არსებობა, წარმოების ანარქია და სხვ. სოციალისტურ სოფლის მეურნეობას რაციონალური გაადგილებასა და სპეციალიზაციას ფართო ასპარეზი აქვს როგორც ცალკეულ სო-

ცალისტურ ქვეყნის შიგნით, ასევე სოციალისტურის სისტემის ქვეყნებს შორის საზოგადოებრივი შრომის დანაწილების საფუძველზე, სოფლის მეურნეობის საწარმოთა გაღრმავებული სპეციალიზაციით, — რესპუბლიკების, ეკონომიკური და ადმინისტრაციული რაიონების, აგრეთვე, ცალკეული კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების მიხედვით, — მცირდება „ცუდი ნაყოფიერების“ მიწების ფართობი, ხოლო იზრდება „საშუალო“ და „კარგი“ ნაყოფიერების მიწების ფართობი;

3. სოციალიზმის პირობებში საშუალო და საუკეთესო მიწის ნაკვეთებზე დანაზოგ შრომას სახელმწიფო ფართოდ იყენებს „ცუდი ნაყოფიერების მიწის“ საშუალო და კარგი ნაყოფიერების კატეგორიაში გადასაყვანად; ე. ი. ამ ღონისძიებებითაც თანდათანობით მცირდება „ცუდი ნაყოფიერების მიწების“ ფართობი და სოფლის მეურნეობის პროდუქციის წარმოება ძირითადად საშუალო და კარგი ნაყოფიერების მიწებზე წარმოებს;

4. სოციალისტური სოფლის მეურნეობისათვის, განსხვავებით კაპიტალისტურისაგან, დამახასიათებელია რაციონალური მრავალდარგოვანი მეურნეობები; ამიტომაც მრავალ დარგოვან მეურნეობას (მონოკულტურულ მეურნეობას ეს არ შეუძლია) საშუალება აქვს ერთი დარგის ან კულტურის დროებით ზარალი დაფაროს სხვა დარგის, კულტურის მოგებით და ზარალიანი პროდუქტის წარმოება გააგრძელოს, თუ „საზოგადოებრივი მოთხოვნილების“ დასაკმაყოფილებლად ეს აუცილებელია, ყოველი მეურნეობის განკარგულებაში არსებული მიწები სხვადასხვა სახის პროდუქტის წარმოებისათვის განსხვავებული ნაყოფიერების არიან. ზოგიერთი პროდუქტისათვის მოცემული მეურნეობის მიწის ნაკვეთი იქნება საუკეთესო ნაყოფიერების, ზოგიერთისთვის საშუალო ნაყოფიერების, ზოგისთვის კი ცუდი. ამიტომაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების საშუალო ნაყოფიერების მიწის პროდუქტების ღირებულების მიხედვით განსაზღვრის დროს, მეურნეობას რაციონალური სპეციალიზაციის პირობებში ყოველთვის ექნება ისეთი დარგები ან კულტურები, რომელთათვის ნიადაგები საშუალო და საუკეთესო ნაყოფიერებისა იქნებიან. ამ კატეგორიის მიწებიდან მიღებული პროდუქციის რეალიზაციით მიღებული წმინდა შემოსავალი (საშუალო ნაყოფიერების მიწებიდან) და დამატებითი წმინდა შემოსავალი (საუკეთესო ნაყოფიერების მიწებიდან) მეურნეობას შეუძლია გამოიყენოს როგორც წარმოების გასაფართოებლად და ზარალის დასაფარავად, აგრეთვე მშრომელთა მატერიალური კეთილდღეობის ასამაღლებლად და სხვ.

ამიტომაც სწორი არ არიან ის ეკონომისტები, რომლებიც ფიქრობენ, თითქოს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საშუალო ნაყოფიერების მიწის პროდუქტების ღირებულებით განსაზღვრის პირობებში კოლმეურნეობების ეკონომიკას ძირი გამოეთხრებოდა, თითქოს ნაყოფიერი მიწების შემოსავლებით ცუდი ნაყოფიერების მიწების ზარალის კომპენსირება არ შეიძლებოდეს სოფლის მეურნეობის სპეციფიკურობის გამო.

„მოსაზრება იმის შესახებ, — წერდა ა. ბოლგოვი, — რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულების განსაზღვრა საშუალო ხარისხის ნაკვეთზე საზოგადოებრივი აუცილებელი დანახარჯებით მთლიანად უპასუხებდეს ღირებულების კანონს, იმდენად რამდენადაც ამ დანახარჯებიდან გადახრები ცალკეულ სასოფლო-სამეურნეო საწარმოში ან ცალკეულ ზონის საწარმოებში თითქოს ურთიერთ კომპენსირდებოდეს, სინამდვილეს არ შეესაბამება.

თეორია და პრაქტიკა აჩვენებს, რომ ურთიერთ კომპენსირდება წარმოების დონეთა ტექნიკური და ორგანიზაციული განსხვავებულობით განპირობებულნი გადახ[illegible]

ა. ბოლგოვს შეუძლებლად მიაჩნია სოფლის მეურნეობაში [illegible]შიაც არ უნდა ხდებოდეს ეს, ცუდი და კარგი მიწების პროდუქტთა ღირებულების ურთიერთ კომპენსირება. ამ მოსაზრებას არ შეიძლება დავეთანხმოთ იმ უბრალო გარემოების გამო, რომ რაკი საშუალო ნაყოფიერების მიწების პროდუქტების წარმოებაზე დახარჯული შრომა გვევლინება საზოგადოებრივ აუცილებელ შრომად კიდურებზე გაწეული შრომა ურთიერთ არ კომპენსირდებოდეს. ჩვენ სწორად მიგვაჩნია ამ საკითხის ირგვლივ აკად. სტრუმილინის აზრი, რომელიც წერს: „მიწის სხვადასხვა ნაკვეთების დიფერენციული „რენტაბელობა" რჩება... რადგან ფასი საერთოდ გამოყენებული მიწის ყველა ნაკვეთზე წარმოიშობა ღ ი რ ე ბ უ ლ ე ბ ი ს  კ ა ნ ო ნ ი ს მიხედვით, ესე იგი მათი გადახრა ინდივიდუალურ შრომით დანახარჯებიდან სხვადასხვა ნაკვეთებზე ურთიერთ კომპენსირდება"[15].

კ. მარქსი როდესაც საბაზრო ღირებულების საკითხებს განიხილავდა ხაზგასმით მიუთითებდა იმაზე, რომ საშუალო წარმოების პირობებით საბაზრო ღირებულების განსაზღვრის დროს კიდური წარმოებათა გადახრილობანი ერთმანეთს აწონასწორებენ.

სწორად არ მიგვაჩნია ეკონ. მეც. დოქტორის ლ. ნ. კასიროვის შემდეგი მოსაზრება: „პოზიციის მომხრეებს, რომლის თანახმად, — წერს ლ. ნ. კასიროვი, — სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულება და ფასი უნდა განისაზღვრებოდეს საშუალო ნაყოფიერების მიწაზე წარმოებული ღირებულებით, არ შეუძლიათ არ დაინახონ, რომ მათი რეკომენდაციების მიღება და გავრცელება კონკრეტულ ფასწარმოქმნის პრაქტიკაზე, მომასწავებელი იქნებოდა იმ საწარმოთა აღწარმოების მატერიალურ შესაძლებლობათა შერყევისა რომლებიც ცუდ მიწებზე ეწევიან მეურნეობას"[16]. ლ. კასიროვის აქ გამოთქმული მოსაზრება მხარდაჭერას არ იმსახურებს, იმის გამო, რომ მეურნეობა, რომელიც მთლიანად (ყველა კულტურის წარმოების ასპექტით) ცუდ მიწაზე საქმიანობდეს მხოლოდ იშვიათი გამონაკლისის სახით შეიძლება არსებობდეს. ამიტომაც გამონაკლისების მიხედვით საერთო კანონზომიერების დადგენა სწორი არ შეიძლება იყოს.

სოციალიზმის პირობებში დიფერენციული რენტის პრობლემის განხილვის დროს ერთ-ერთ სადაო საკითხს ისიც წარმოადგენს, თუ „უცუდესი მიწის ნაკვეთის" წარმოების პირობები რა ფარგლებში განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივ ღირებულებას, ზონის თუ საერთოდ მთელი სახალხო მეურნეობის მასშტაბით?

ეკონომისტთა ერთი ჯგუფი (ა. ბაჩურინი, მ. სოკოლოვი, ა. ოვჩინიკოვი და სხვ.) ამტკიცებს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულება იქმნება მხოლოდ ზონის ფარგლებში და დიფერენციული რენტის არსებობა ზონალურ ღირებულებასთან არის დაკავშირებული. ეკო-

[14] А. Б о л о в. დასახელებული შრომა, გვ. 116.

[15] А. С т р у м и л и н. О дифференциальной земельной ренте в условиях социализма, Ж. «Вопросы экономики» №-7, 1960, стр. 34.

[16] Л. Н. К а с и р о в, Хозрасчет и цены в социалистическом сельском хозяйстве, М., 1969, стр. 191.

ნომისტთა მეორე ჯგუფი (პროფ. პაშკოვი, ლ. კასიროვი და სხვ.) უარყოფს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზონალურ ღირებულებას და მასთან დიფერენციული რენტის არსებობის დაკავშირებას. ასე, მაგალითად, ა. პაშკოვის აზრით, თუ ვაღიარებთ, რომ თითოეულ მსხვილ ეკონომიკური რაიონის არსებული „ცუდი მიწის წარმოების პირობები" განსაზღვრავენ ამ ზონის სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებას, მაშინ ერთიანი სოციალისტური სახალხო მეურნეობა უნდა დავანაწილოთ მრავალ, ერთმანეთისაგან მოწყვეტილ, იზოლირებულ ნაწილებად და უნდა ვაღიაროთ, რომ ერთიან სოციალისტურ სახალხო მეურნეობაში ერთი და იმავე სოფლისმეურნეობრივი პროდუქტის იმდენი „საზოგადოებრივი ღირებულება" არსებობს, რამდენიც ეკონომიკური რაიონია. „საკითხის ამგვარად გაგების დროს, — წერს ა. პაშკოვი, — დიფერენციულ რენტაზე ლაპარაკი შეიძლება მხოლოდ ცალკეული რაიონების ფარგლებში"[15].

ამრიგად, ა. პაშკოვი უარყოფს ზონალური „ცუდი მიწის წარმოების პირობებით" სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების განსაზღვრას და მასთან დიფერენციული რენტის არსებობის დაკავშირებას. ა. პაშკოვის შეხედულება ეწინააღმდეგება როგორც მარქსისტულლენინურ თეორიას, ისე სოციალისტური სოფლის მეურნეობის პრაქტიკას.

საზოგადოებრივი ღირებულება ზონალურ ღირებულებებს კი არ გამორიცხავს, არამედ ეს უკანასკნელნი გვევლინებიან პირველის არსებობის რეალობად.

მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსების მოძღვრებით, ეკონომიკური კანონების მოქმედება და მათი რეალობა იმას კი არ ნიშნავს, რომ კანონის არსი და მისი მოქმედების გამოვლინების ფორმა ერთმანეთს სავსებით ემთხვევიან, არამედ მათ ურთიერთ მიახლოებას. „მათ ყველას (იგულისხმება ეკონომიკური კანონები) — წერდა ფ. ენგელსი, — სხვა არავითარი რეალობა არ გააჩნიათ, გარდა რეალობისა მიახლოებაში, ტენდენციაში, საშუალებაში, და არა რეალობა უშუალო სინამდვილეში. ეს, ერთი მხრივ, იმის გამო ხდება, რომ მათი მოქმედება ერთდროულად სხვა კანონების მოქმედებას გადაეჯვარედინება, ნაწილობრივ კი აგრეთვე მათი, როგორც ცნებების ბუნების გამო"[17].

ამრიგად, ამა თუ იმ ეკონომიკური კანონის მოქმედება განსაზღვრულ წარმოების წესის პირობებში ნიშნავს მათს ტენდენციას მიუახლოვდეს მისი რეალობის საშუალოს და არა მათი სინამდვილისადმი მათემატიკური სიზუსტით დამთხვევას ყოველ კონკრეტულ პირობებში. მაგალითად, საშუალო მოგების ნორმის კანონი ყოველ მოცემულ მომენტში მხოლოდ მიახლოებით არსებობს. ფ. ენგელსის თქმით, „საგნის ცნება და მისი სინამდვილე, ერთმანეთის გვერდით მიემართებიან, ორი ასიმპტოტის მსგავსად, ერთმანეთს მუდმივად უახლოვდებიან, მაგრამ არასოდეს ერთმანეთს არ ემთხვევიან"[18].

აქედან გამომდინარე, საბჭოთა ეკონომიკის პირობებში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება ერთმანეთს დავუპირისპიროთ ზონალური ღირებულება და საერთო საზოგადოებრივი ღირებულება, რადგანაც პირველი არის მეორის კონკრეტული გამოვლინების ფორმა; ამასთან ისინი ურთიერთს მათემა-

[17] Вопросы экономики, планирования и статистики, М., 1957, стр. 95.
[18] კ. მარქსი, ფ. ენგელსი. რჩეული წერილები, თბ., 1949, გვ. 532.

ტიკური სიზუსტით თითქმის არასოდეს ემთხვევიან. თუ უარვყოფთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ზონალური ღირებულების როგორც ზონალური შესყიდვა-ჩაბარების ფასების საფუძველს და მას, ლ. კასიროვის მსგავსად, „ხელოვნურ კატეგორიად“ გამოვაცხადებთ, მაშინ აუცილებლად უნდა უარვყოთ ფასების ღირებულებასთან უშუალო კავშირი და ზონალური ფასების განაწილებითი ფუნქცია, რადგანაც, თუ არ გვეცოდინება თითოეული ეკონომიკური ზონის სოფლისმეურნეობრივი პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულება, როგორღა უნდა განვსაზღვროთ ზონალური ფასი, ან როგორ უნდა მოახდინოს დიფერენციული რენტის ნაწილის ამოღება სახელმწიფომ? გარდა ამისა, საკითხავია ის, თუ ზონალური ფასები, რას ეყრდნობა, რა უდევს საფუძვლად იმას, რომ 1 ტონა რბილი ხორბლის შესყიდვის ფასად კრასნოდარის მხარეში დაწესებულია 65,9 მანეთი, სტავროპოლის მხარეში — 72, არხანგელსკის ოლქში — 130, დონეცკის ოლქში — 76, ჟიტომირის ოლქში — 120, ბელორუსიის სსრ-ში — 130, საქართველოს სსრ-ში — 90 და ა. შ.[19]? — პასუხი მხოლოდ ერთი შეიძლება იყოს — ზონალური ღირებულება. ამ ზონალური ფასების დაწესების დროს ზონალურ ღირებულებაზე დაყრდნობა და ფასების გადანაწილებითი ფუნქციის სრულყოფილად გათვალისწინება ღირებულების კანონის შეგნებულად გამოყენების თვალსაჩინო მაგალითია. აქვე უნდა აღინიშნოს, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასწარმოქმნის თავისებურება მჭიდროდ არის დაკავშირებული მატერიალური წარმოების ამ სფეროში ღირებულების წარმოქმნის თავისებურებასთან, ზოგიერთი ავტორი კი სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულებისა და ფასების განსაზღვრის პრობლემას ერთმანეთს აშორებს; ასე, მაგალითად: პროფ. ა. პაშკოვი სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებას განსაზღვრავს „ცუდი მიწის ნაკვეთის წარმოების პირობების“ მიხედვით, ხოლო შესყიდვის ზონალურ ფასებს — „საშუალო წარმოების პირობების მიხედვით“; ამავე დროს ის საკითხისადმი ასეთ მიდგომას სავსებით მართებულად თვლის და წერს: „ამ დადგენილებაში (იგულისხმება სკკპ ცენტრალურ კომიტეტის 1958 წლის ივნისის პლენუმის დადგენილება — მ. კ.) ნათქვამია, რომ შესყიდვის ფასები უნდა იქნას დიფერენცირებული ზონების მიხედვით, ხოლო ზონალური ფასი უნდა გამოდიოდეს საშუალო ზონალური წარმოების პირობებიდან... სავსებით აშკარაა, რომ ამ დადგენილებაში ლაპარაკია არა იმაზე, თუ ჩვენთან როგორ განისაზღვრება სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულების სიდიდე, არამედ იმაზე, თუ როგორ დავაწესოთ შესყიდვის ფასები პროდუქტებზე. ეს კი სხვადასხვა საკითხებია“[20]. პროფ. ა. პაშკოვი ფიქრობს, რომ დიფერენციული რენტის წარმოქმნის საკითხის ფასებთან დაკავშირება სწორი არ არის, რადგან მისი აზრით მარქსს დიფერენციული რენტა გამოყავდა ღირებულებიდან და არა ფასებიდან. იგი წერს: „... შეიძლება თუ არა საერთოდ დიფერენციული რენტა გამოვიყვანოთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების პოლიტიკიდან? დიდი მტკიცება არ დაგვჭირდება იმისათვის, რომ ამის ასე გაკეთება არ შეიძლება“[21].

ამრიგად, ა. პაშკოვის შეხედულებით, საერთოდ, რენტის წარმოქმნა ფასიდან არ შეიძლება; ეს მოსაზრება აშკარად მცდარია. კ. მარქსის

[19] Закупочные цены, М., 1970, стр. 5-29.
[20] Сб. «Земельная рента в социал. сельском хозяйстве», М., стр. 257.
[21] იქვე, გვ. 27—28.

მოძღვრებით, რენტის სწორი გაგებისათვის კაპიტალიზმის პირობებში „პირველი და მთავარი იყო იმისი შეცნობა, რომ რენტა მომდინარეობს სწორედ შრომის პროდუქტის ფასიდან, მაგალითად, ხორბლის ფასიდან“. გარდა ამისა ვ. ი. ლენინი, დიფერენციული რენტის ანალიზის დროს, ხშირად წერდა სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასების ცუდი მიწის წარმოების პირობების მიხედვით განსაზღვრის შესახებ და არა სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულების განსაზღვრის შესახებ. რაც იმას ნიშნავს, რომ არც კ. მარქსი და არც ვ. ლენინი დიფერენციული რენტის ანალიზის დროს ღირებულებასა და ფასს ერთმანეთს არ სწყვეტდნენ; პირიქით, ისინი ყოველთვის და, ამ შემთხვევაშიც, ღირებულებას თვლიდნენ რა ფასების კანონად, რენტის წარმოქმნას ფასების მექანიზმს უკავშირებდნენ. ყველაფერს თავი რომ დავანებოთ, რენტაზე როგორც გარკვეულ ღირებულებით სიდიდეზე მარქსიზმ-ლენინიზმის კლასიკოსები ყოველთვის ფასების საკითხთან მჭიდრო კავშირში მსჯელობდნენ, ამიტომაც იმის სერიოზულად მტკიცება თითქოს რენტის საკითხი ფასებთან არ იყოს დაკავშირებული უდავოდ მცდარი შეხედულებაა. ფასების ღირებულებისაგან მოწყვეტა ნიშნავს მის როგორც საზოგადოებრივი შრომის გაზომვის, ფუნქციის მხედველობის გარეშე დატოვებას, ხოლო რენტის ფასებისაგან მოწყვეტა კი — ფასის გადანაწილებითი ფუნქციას იგნორირებს; ამასთან ერთად, თუ დამზადების ფასების დადგენას კავშირი არ აქვს იმ საკითხთან, თუ რა განსაზღვრავს სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებას, მაშინ საერთოდ აზრი არა აქვს საზოგადოებრივი ღირებულების განსაზღვრას. ამიტომაც საკითხის იმ ასპექტში დაყენებას, — როგორც ამას პროფ. პაშკოვი გვთავაზობს, — არც თეორიული და არც პრაქტიკული გამართლება არა აქვს.

ამრიგად, როგორც ამ ნაშრომის წინა თავში აღვნიშნეთ, სოფლის მეურნეობის პროდუქტების როგორც საზოგადოებრივი, ასევე ზონალური ღირებულება და, მათთან ერთად, ფასები განისაზღვრება საშუალო ნაყოფიერების მიწის წარმოების პირობების მიხედვით; ხოლო თვით საშუალო ნაყოფიერების მიწის წარმოების პირობები კი წარმოადგენს საშუალო საზოგადოებრივ წარმოების პირობების ტოლფარდ შინაარსის მქონე ცნებას. აქედან გამომდინარე, თეორიულად არასწორია და პრაქტიკულად მიუღებელი იმ ეკონომისტთა თვალსაზრისი, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების შესყიდვის ფასების დაგეგმვის თეორიასა და პრაქტიკას საფუძვლად უდებენ სხვა მეთოდს, ხოლო სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულების განსაზღვრას კი — სხვას. აქვე საჭიროდ მიგვაჩნია, დავადგინოთ ის, თუ რა იგულისხმება ცნებებში: „უცუდესი მიწა“, „უცუდესი წარმოების პირობები“, „საშუალო მიწა“, „საშუალო წარმოების პირობები“, — რადგანაც რენტის პრობლემებისა და სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებისა და ფასის განსაზღვრის დროს ადგილი აქვს ამ ცნებების შინაარსის აღრევას. საერთოდ, მარქსი როდესაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფასებს განსაზღვრავდა, „უცუდესი მიწების“ წარმოების პირობებად იგი გულისხმობდა, რომ წარმოების პირობებიც არის უცუდესი, უფრო ცუდი, ვიდრე — სხვა ხარისხების მიწაზე; წინააღმდეგ შემთხვევაში რა აზრი ექნებოდა გამოთქმას: „უცუდესი მიწის წარმოების პირობებს“ თუ კი „ცუდ მიწაზე“ წარმოების კარგი პირობები იარსებებდა. რომ „უცუდესი მიწის“ წარმოების პირობებში

„უცუდესი წარმოების პირობები“ იგულისხმებოდა, ეს იქიდანაც ჩანს, რომ მარქსის მოძღვრებით, როცა კარგ მიწაზე უკანასკნელი კაპიტალის დანახარჯი „საზოგადოებრივი მოთხოვნილებისათვის“ აუცილებლად [illegible] წარმოების პირობები, ამ შემთხვევაში, უფრო ცუდია, [illegible] ვებაში მყოფი „ცუდი მიწისა“, ეს უკანასკნელი („უცუდესი მიწა“) დიფერენციული რენტის მოცემას იწყებს[19]. ასევე სოფლის მეურნეობაში როცა ლაპარაკია „საშუალო ნაყოფიერების მიწის“ წარმოების პირობებზე არ შეიძლება რომ აქ საშუალო წარმოების პირობები არ იგულისხმებოდეს, რადგანაც ამ შემთხვევაში წარმოების პირობების განმასხვავებელ მთავარ ფაქტორში „ბუნებრივი ფაქტორი“, ნიადაგობრივ-კლიმატური პირობები იგულისხმება და არა სხვა რამ.

ზემოთქმულიდან გამომდინარე, უმართებულოდ მიმაჩნია ზოგიერთი ეკონომისტის მიერ რენტის პრობლემების განხილვის დროს „უცუდესი მიწისა“ და „უცუდესი წარმოების პირობების“ ან კიდევ „საშუალო ნაყოფიერების მიწისა“ და „საშუალო წარმოების პირობების“ ურთიერთდაპირისპირება.

ჩემი აზრით, ზონალური ფასების დაწესების დროსაც (რამდენადაც ეს ფასები უპირატესად ბუნებრივი ნაყოფიერების საფუძველზე წარმოქმნილი დამატებითი მოგების ამოღებას ითვალისწინებს) წარმოების პირობებში განსხვავებულობის მთავარ ფაქტორადაც ნიადაგობრივ-კლიმატური პირობების განსხვავებულობა იგულისხმება.

ყოველივე ზემო თქმულიდან გამომდინარე სოციალიზმის პირობებში არავითარ შემთხვევაში არ შეიძლება, რომ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებისა და ფასის გამსაზღვრელ როლში უცუდესი მიწის ნაკვეთის წარმოების პირობები გამოვიდეს. აქ სოფლის მეურნეობის პროდუქტების როგორც ღირებულება, ასევე ფასები განისაზღვრება საშუალო ნაყოფიერების მიწების წარმოების პირობებით. ის ავტორები, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულებას და ფასს განსაზღვრავენ უცუდესი მიწის ნაკვეთის წარმოების პირობების მიხედვით კაპიტალისტური სოფლის მეურნეობისათვის დამახასიათებელ პირობებს მექანიკურად ავრცელებენ სოციალისტური სოფლის მეურნეობის პრაქტიკაზე რაც პრინციპულად ეწინააღმდეგება მარქსისტულ-ლენინურ რენტის თეორიას.

[19] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტომი III, ნაწ II, 1959, გვ. 345.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

დურსუნ დიასამიძე

# მთლიანი შემოსავალი და მისი განაწილება საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში

დიდი ხნის განმავლობაში შემოსავლის ღირებულებით მაჩვენებლად კოლმეურნეობებში ითვლებოდა ფულადი შემოსავალი, რაც არ გამოხატავდა შემოსავლის ნამდვილ სიდიდეს ამ სიტყვის მეცნიერული გაგებით. შემოსავლის მეცნიერული კატეგორია გულისხმობს გარკვეულ პერიოდში შექმნილი საზოგადოებრივი პროდუქტის იმ ნაწილს, რომელიც რჩება მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულების გამოკლების ან მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებისა და შრომის ანაზღაურებაზე ერთად გაწეული დანახარჯების გამოკლების შემდეგ; პირველ შემთხვევაში საქმე გვექნება მთლიან შემოსავალთან, ხოლო მეორე შემთხვევაში — წმინდა შემოსავალთან. რაც შეეხება კოლმეურნეობათა ფულად შემოსავალს, იგი ძირითადად წარმოადგენს კოლმეურნეობათა პროდუქციის რეალიზაციით მიღებულ ამონაგებს და შეიცავს საზოგადოებრივი პროდუქტის ყველა შემადგენელ ღირებულებით ელემენტს: მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას, შრომის ანაზღაურებაზე გაწეულ დანახარჯებს და წმინდა შემოსავალს; ამიტომ შემთხვევითი არაა რომ უკვე 1968 წლიდან კოლმეურნეობათა აღრიცხვა-ანგარიშგებაში ფულადი შემოსავლების მაჩვენებლები იცვლება და მათ ადგილს იკავებს მთლიანი შემოსავლისა და წმინდა შემოსავლის მაჩვენებლები.

უკანასკნელი წლების მანძილზე მთლიანი შემოსავლის დინამიკა კოლმეურნეობებში შემდეგი მონაცემებით ხასიათდება (იხ. ცხრილი 1).

კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავლის ზრდის ტემპი შესაბამისი წლების ფასებით (მილიონ მანეთობით)[1]

ცხრილი 1

| წლები | სსრკ | | საქართველოს სსრ | |
|---|---|---|---|---|
| | მთლიანი შემოსავალი | %-ით 1965 წლის მიმართ | მთლიანი შემოსავალი | %-ით 1965 წლის მიმართ |
| 1965 | 17911 | 100 | 240 | 100 |
| 1966 | 20333 | 113,5 | 258 | 107,5 |
| 1967 | 20541 | 114,6 | 268 | 111,7 |
| 1968 | 21229 | 118,5 | 255 | 106,2 |
| 1969 | 19515 | 108,9 | 252 | 105,0 |
| 1970 | 22774 | 135,3 | 303 | 126,2 |

როგორც ვხედავთ 1965-1970 წლებში კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავლის ზრდის ტემპი სსრ კავშირში მნიშვნელოვნად უფრო მაღალია, ვიდრე საქართველოს სსრ-ში. სსრ კავშირის კოლმეურნეობებში მთლიანი შემოსავლის ზრდის უფრო მაღალი ტემპი მთლიანი პროდუქციის ასევე უფრო მაღალი ტემპით ზრდის შედეგია[2].

[1] Сельское хозяйство СССР (статистический сборник), М., 1971, стр. 497.

[2] მთლიან პროდუქციასთან შედარებით, მთლიანი შემოსავლის ზრდის უფრო მაღალი ტემპი, როგორც სსრკ-ის ისე საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში აიხსნება დამზადების ფასების გადიდებით. მთლიანი პროდუქცია 1965 წლის შესადარისი ფასებით იანგარიშება, ხოლო მთლიანი შემოსავალი შესაბამისი წლის ფაქტიური ფასებით; ამდენად, ეს უკანასკნელი შეიცავს ფასების გადიდე-

ეროვნული ბიბლიოთეკა

მაგალითად, სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქცია სსრ კავშირის კოლმეურნეობებში 1965-1970 წლებში 28.953 მილიონი მანეთიდან (1965 წლის შესადარისი ფასებით) 34.576 მილიონ მანეთამდე ანუ 17,2%-ით გაიზარდა, საქართველოში [illegible] მილი- ონი მანეთიდან 359 მილიონ მანეთამდე ანუ 12,2%-ით.

მაგრამ მთლიანი შემოსავლის აბსოლუტური ოდენობა არ გვაძლევს სრულ წარმოდგენას მეურნეობათა შემოსავლიანობის დონის შესახებ; ამ მხრივ, უფრო სრულ სურათს ქმნის მთლიანი შემოსავლის მაჩვენებელი გაანგარიშებული ერთ მომუშავე კოლმეურნეზე და ერთ კაცდღეზე, აგრეთვე, 100 ჰექტარ სახმარ და სახნავ მიწაზე. საილუსტრაციოდ მოგვყავს შემდეგი მონაცემები.

მთლიანი შემოსავალი სამუშაო დროისა და ფართობის ერთეულზე გაანგარიშებით საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში[3]

ცხრილი 2

| წლები | მთლიანი შემოსავალი (მან-ით) | | | |
|---|---|---|---|---|
| | ერთ მომუშავე კოლმეურნეზე | ერთ კაცდღეზე | 100 ჰექტარ სახმარ მიწაზე | 100 ჰექტარ სახნავზე |
| 1958 | 487 | 2,28 | 11063 | 34370 |
| 1960 | 393 | 2,29 | 10081 | 3266 |
| 1965 | 560 | 2,99 | 12348 | 44399 |
| 1966 | 585 | 3,21 | 12687 | 47901 |
| 1970 | 788 | 4,77 | 16813 | 74660 |
| 1972 | 853 | 5,10 | 17459 | 76837 |

როგორც ამ მონაცემებიდან ჩანს მთლიანი შემოსავალი საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში ერთ საშუალო წლიურ კოლმეურნეზე გაანგარიშებით გაიზარდა 75,2%-ით, ერთ კაცდღეზე — 124,0%-ით, 100 ჰექტარ სახმარზე — 57,8%-ით და 100 ჰექტარ სახნავზე — 128,0%-ით.

იმისათვის, რომ უფრო ნათელი წარმოდგენა გვქონდეს საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მიღებული მთლიანი შემოსავლის დონეზე საჭიროდ მიგვაჩნია იგი შევადაროთ ჩვენი ქვეყნის სხვა რესპუბლიკების ანალოგიურ მაჩვენებლებს.

---

ბით გამოწვეულ ზრდას, კერძოდ 1964 წელთან შედარებით 1970 წელს სსრ კავშირში სახელმწიფოებრივი შესყიდვის ფასები 1,4-ჯერ გაიზარდა,-მათ შორის: მემცენარეობის პროდუქციაზე 1,2-ჯერ და მეცხოველეობის პროდუქციაზე 1, 6-ჯერ. კოლმეურნეობებისა და საბჭოთა მეურნეობების დამატებითი შემოსავლის ოდენობამ შესყიდვის ფასების გადიდების, აგრეთვე, გეგმის ზევით ჩაბარებულ პროდუქციაზე ფასნამატის დაწესების შედეგად 1966-1970 წლებში შეადგინა სულ 37,6 მილიარდი მანეთი,-მათ შორის: კოლმეურნეობებში 20,4 მილიარდი მანეთი, საბჭოთა მეურნეობებში 17,2 მილიარდი მანეთი.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებმა ფასების ცვლილების შედეგად 1965-1970 წლებში მიიღეს დამატებითი შემოსავალი 37, 6 მილიონი მანეთის ოდენობით. ეს ციფრი მიღებულია არაპირდაპირი გზით. აღნიშნულ წლებში კოლმეურნეობათა პროდუქცია 1965 წლის შესადარისი ფასებით გაიზარდა 39 მილიონი მანეთით, ხოლო მთლიანი შემოსავალი მიმდინარე წლის ფაქტიური ფასებით 63 მილიონი მანეთით. სხვაობა მათ შორის, თუ მთლიანი პროდუქციის ღირებულებიდან გამოერიცხავთ მოხმარებულ წარმოების საშუალებათა ღირებულებას, იქნება ზემოაღნიშნული ციფრი.

3 ცხრილი შედგენილია კოლმეურნეობების წლიურ ანგარიშგებათა მონაცემებით.

კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავალი ყოველ 100 კოლმეურნე კომლზე (ათასი მან-ით)[1]

ეროვნული ბიბლიოთეკა

| | 1965 | 1966 | 1967 | 1968 | 1969 | 1970 |
|---|---|---|---|---|---|---|
| სსრ კავშირი | 116 | 132 | 135 | 141 | 133 | 159 |
| რსფსრ | 119 | 147 | 153 | 168 | 146 | 174 |
| უკრაინის | 110 | 118 | 117 | 115 | 118 | 128 |
| ლიტვის | 119 | 132 | 149 | 159 | 165 | 223 |
| ლატვიის | 129 | 134 | 159 | 157 | 161 | 201 |
| ესტონეთის | 160 | 167 | 181 | 196 | 218 | 273 |
| საქართველოს | 52 | 56 | 58 | 60 | 60 | 76 |
| აზერბაიჯანის | 83 | 97 | 93 | 96 | 84 | 112 |
| სომხეთის | 104 | 108 | 119 | 111 | 110 | 130 |
| უზბეკეთის | 169 | 161 | 160 | 158 | 153 | 214 |
| ყირგიზეთის | 178 | 181 | 186 | 190 | 159 | 203 |
| ტაჯიკეთის | 144 | 141 | 139 | 136 | 134 | 184 |
| თურქმენეთის | 212 | 247 | 276 | 250 | 244 | 367 |
| ყაზახეთის | 161 | 263 | 200 | 258 | 186 | 273 |
| ბელორუსიის | 85 | 95 | 102 | 107 | 115 | 141 |
| მოლდავეთის | 119 | 118 | 130 | 129 | 133 | 141 |

ცხრილიდან ჩანს, რომ კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავალი 100 კომლზე გაანგარიშებით ყველაზე დაბალის ამიერკავკასიის, კერძოდ, კი საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში. მაგალითად, საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა მაჩვენებელი სსრ კავშირის საშუალო მაჩვენებელს ორჯერ და უფრო მეტად ჩამორჩება, ხოლო ზოგიერთი რესპუბლიკის მაჩვენებელს — უფრო მეტად.

სად უნდა ვეძიოთ ასეთი დაბალი დონის მიზეზები?

მთლიანი შემოსავლის დაბალი დონის მიზეზთა შორის, უპირველეს ყოვლისა, უნდა დავასახელოთ რესპუბლიკის მცირემიწიანობა ანუ, სხვანაირად რომ ვთქვათ, მოსახლეობის მაღალი სიმჭიდროვე. საქართველოში მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით მოდის დაახლოებით 5,5-ჯერ ნაკლები სახნავი და 3,6-ჯერ ნაკლები სახმარი მიწა, ვიდრე საშუალოდ კავშირში; ეს იმას ნიშნავს, რომ რესპუბლიკის მოსახლეობის ერთ სულზე გაანგარიშებით, სოფლის მეურნეობის იმდენი პროდუქციის წარმოებისათვის, რამდენიც იწარმოება საშუალოდ კავშირში, საჭიროა ყოველ ჰექტარზე მივიღოთ 4—5-ჯერ მეტი ღირებულების მქონე სოფლის მეურნეობის პროდუქცია.

დაახლოებით ასეთივე შეფარდება გვექნება, თუ ავიღებთ არა მთლიანად სოფლის მეურნეობის, არამედ მხოლოდ კოლმეურნეობათა მიწებს: საქართველოს კოლმეურნეობებში ერთ კოლმეურნე კომლზე გაანგარიშებით მოდის 1,1 ჰექტარი ანუ 6,7-ჯერ ნაკლები სახნავი და 4,3 ჰექტარი ანუ 3,3-ჯერ ნაკლები სახმარი მიწა, ვიდრე კავშირის მასშტაბით.

ჩვენი რესპუბლიკის სოფლის მეურნეობა, მათ შორის, — კოლმეურნეობრივი წარმოება — ინტენსიფიკაციის მაღალი დონით ხასიათდება. ამის შესახებ ლაპარაკობს თუნდაც ის ფაქტი, რომ თუ ერთ ჰექტარ სახმარ მიწაზე კავშირის მასშტაბით მთელს სოფლის მეურნეობაში საშუალოდ (წლიურად) იწარმოება 159,4 მანეთის პროდუქცია (მონაცემები 1970 წლისაა), რესპუბლიკაში იგი შეადგენს 391 მანეთს, თუ სსრ კავშირის კოლმეურნეობებში სა-

[1] Сельское хозяйство СССР, стат. сборник, М., 1971, стр. 498.

მხოლოდ იმავე ერთ ჰექტარ სახმარზე მიიღება 108,8 მანეთის მთლიანი შემოსავალი, რესპუბლიკის კოლმეურნეობებში იგივე მაჩვენებელი 132 მანეთს შეადგენს. რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, ყოველ 100 ჰექტარ სახმარ მიწებით, მთლიანი შემოსავლის დაბალ დონეზე, გარდა სახმარი მიწების სიმცირისა, გავლენას ახდენენ სხვა ფაქტორებიც. ერთ-ერთი მათ შორის ის არის, რომ ჩვენი სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის სოციალურ სტრუქტურაში დიდი ხვედრითი წონით არის წარმოდგენილი პირადს დამხმარე მეურნეობაში წარმოებული პროდუქცია: მისი ხვედრითი წონა 1965-1970 წლებში თითქმის ნახევარს (ცოტა ნაკლებს) შეადგენდა. ჩვენი რესპუბლიკის ზოგიერთ ზონაში, აგრეთვე, ზოგიერთ დარგში პირადი დამხმარე მეურნეობის ხვედრითი წონა უფრო მაღალია. პროდუქციის ასეთი მოცულობით წარმოება პირად საოჯახო მეურნეობაში მოითხოვს დიდ შრომითს დანახარჯებს. შეუძლებელია, რომ ეს გარკვეულ გავლენას არ ახდენდეს შრომითი რესურსების გამოყენებაზე კოლმეურნეობაში. ამისი მაჩვენებელია ის ფაქტი, რომ, თუ სსრ კავშირის კოლმეურნეობებში საშუალოდ ერთმა კოლმეურნემ, 1970 წლის მონაცემებით, 240 კაცდღე იმუშავა, საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში — მხოლოდ 167 კაცდღე და, საერთოდ, ამ მაჩვენებლის მიხედვით, ჩვენს რესპუბლიკას ერთ-ერთი უკანასკნელი ადგილი უკავია სხვა რესპუბლიკებს შორის.

მთლიანი შემოსავლის დონე განსხვავებულია აგრეთვე რესპუბლიკის შიგნით სოფლის მეურნეობის წარმოებრივი სპეციალიზაციის ზონების მიხედვით (იხ. ცხრილი 4).

საქართველოს სსრ კოლმეურნეობებში მთლიანი შემოსავლის მაჩვენებლები ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით[5]

ცხრილი 4

| სოფლის მეურნეობის საწარმოო სპეციალიზაციის ზონები | მთლიანი შემოსავალი ერთ კაცდღეზე | | |
|---|---|---|---|
| | 1968 | 1969 | 1972 |
| I. ალაზნის ვაკის მევენახეობის ზონა (მეთამბაქოეობით) | 4.61 | 4.59 | 4.59 |
| II. გარეკახეთის ზეგანის მარცვლეულ-მეცხოველეობის ზონა | 5.59 | 5.88 | 5.74 |
| III. ქვემო ქართლის ბარის საგარეუბნო სოფლის მეურნ. ზონა | 2,81 | 2,67 | 3,32 |
| IV. აღმოს. კავკასიონის მთიანი მეცხოველეობის ზონა | 2,70 | 2,14 | 3,98 |
| V. შიდა ქართლისმხრისა მეხილეობის ზონა (მეჭარხლეობით) | 2.74 | 2,10 | 3,14 |
| VI. ჯავახეთის მთიანეთის მეცხოველეობის ზონა | 2,60 | 1,92 | 3,95 |
| VII. სამცხე-თრიალეთის მეცხოველეობისა და მეხილეობის ზონა | 2,35 | 1,80 | 3,97 |
| VIII. იმერეთის მაღლობისა და რაჭა-ლეჩხუმის ქვაბურის მევენახეობის ზონა | 1.74 | 1,81 | 2,45 |
| IX. დასავლეთ კავკასიონის მთის მეცხოველეობის ზონა | 1,40 | 1,84 | 2,51 |
| X. მეთამბ. და სუბ. მეხილ. ქვეზონა (განვით. საგარ. მეურნეობით) | 3,39 | 3,49 | 6,04 |
| Xა. მეჩაიეობისა და სუბტროპიკული მეხილეობის ქვეზონა | 4.40 | 4.89 | 6,10 |
| Xბ. მეჩაიეობის ქვეზონა (განვით. საგარეუბნო სოფ. მეურნეობით) | 3,14 | 3,52 | 4,81 |
| სულ კოლხეთის დაბლობის X სუბტროპიკულ კულტურათა ზონა | 3,62 | 3,96 | 5.85 |
| XI. ზემო აჭარის მეთამბაქოეობისა და მეცხოველეობის ზონა | 1,86 | 1,88 | 2,99 |
| სულ საქართველოს სსრ-ში | 3,73 | 3,88 | 5,10 |

[5] ცხრილი შედგენილია კოლმეურნეობების წლიურ ანგარიშებათა მონაცემებით.

როგორც ცხრილიდან ჩანს, მთლიანი შემოსავალი, ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით, საშუალოდ რესპუბლიკის კოლმეურნეობებში [illegible] წლებში გაიზარდა; სხვაობა სხვადასხვა ზონის მაჩვენებლებს შორის რამდენადმე შემცირდა, თუმცა იგი ჯერაც შესამჩნევია, რაც გარკვეულ გავლენას ახდენს მოხმარებისა და დაგროვების ფონდებად მთლიანი შემოსავლის განაწილების სტრუქტურაზე.

თუ რესპუბლიკის კოლმეურნეობებს დავაჯგუფებთ ერთ კაცდღეზე და 100 ჰექტარ სახნავზე მიღებული მთლიანი შემოსავლის ოდენობის მიხედვით დავინახავთ, რომ კოლმეურნეობებს შორის განსხვავება ამ მხრივ კიდევ უფრო დიდია.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა დაჯგუფება ერთ კაცდღეზე და 100 ჰექტარ სახნავზე მიღებული მთლიანი შემოსავლის ოდენობის მიხედვით 1972 წ.[4]

ცხრილი 5

| ჯგუფები | კოლმეურნეობათა რაოდენობა | |
|---|---|---|
| | სულ | პროცენტობით ჯამის მიმართ |
| 1. ერთ კაცდღეზე მიღებული მთლიანი შემოსავლის სიდიდის მიხედვით | | |
| 2,0 მანეთამდე | 169 | 14,3 |
| 2,1—3,0 „ | 256 | 21,7 |
| 3,1—4,0 „ | 219 | 18,6 |
| 4,1—5,0 „ | 176 | 4,9 |
| 5,1—6,0 „ | 113 | 9,6 |
| 6,1—8,0 „ | 153 | 3 |
| 8,1—10,0 „ | 70 | 5,9 |
| 10,1 და მეტი | 18 | 1,5 |
| ჯამი | 1174 | 99,5 |
| მთლიანი შემოსავლის გარეშე | 6 | 0,5 |
| სულ | 1180 | 100 |
| 2. 100 ჰექტარ სახნავზე მიღებული მთლიანი შემოსავლის სიდიდის მიხედვით | | |
| 10 ათ. მანეთამდე | 10 | 0,8 |
| 1,1—5,0 „ „ | 3 | 0,3 |
| 5,1—10,0 „ „ | 14 | 1,2 |
| 10,1—15,0 „ „ | 36 | 3,1 |
| 15,1—20,0 „ „ | 49 | 4,2 |
| 20,1—25,0 „ „ | 55 | 4,7 |
| 25,1—30,0 „ „ | 53 | 4,5 |
| 30,1—40,0 „ „ | 116 | 9,8 |
| 40,1— და მეტი | 838 | 71 |
| ჯამი | 1174 | 99,5 |
| მთლიანი შემოსავლის გარეშე | 6 | 0,5 |
| სულ | 1180 | 100 |

როგორც ვხედავთ, ერთ კაცდღეზე მიღებული მთლიანი შემოსავლის მინიმალური დონე 2 მანეთამდეა, ხოლო მაქსიმალური 10 მანეთზე მეტია; 100 ჰექტარ სახნავზე შესაბამისად მინიმალური დონეა ათას მანეთამდე, მაქსიმალური დონე — 40 ათას მანეთზე მეტია, ამასთან არიან კოლმეურნეობები,

[4] საქართველოს სსრ ცენტ. სტატ. სამმართველოს მასალები, კოლმეურნეობების წლიურ ანგარიშგებათა მონაცემების მიხედვით.

თუმცა უმნიშვნელო რაოდენობით (0,5 პროცენტ.), რომლებიც საერთოდ არ ღებულობენ მთლიან შემოსავალს, ე. ი. არ აქვთ სახსრები [illegible] ბისათვის, არამედ დახარჯული შრომის ანაზღაურებისთვისაც [illegible] ნეობათა საკმაოდ დიდი ნაწილი — 594 კოლმეურნეობა ანუ მთელი რაოდენობის 54,6 პროცენტი ერთ კაცდღეზე ღებულობს მთლიან შემოსავალს არა უმეტეს 4 მანეთისა, 375 კოლმეურნეობა ანუ 36 პროცენტი არა უმეტეს 3 მანეთისა, ხოლო 169 კოლმეურნეობა ან 14,3 პროცენტი არა უმეტეს 2 მანეთისა. თუ ამ კოლმეურნეობებში ერთი კაცდღის საშუალო ანაზღაურება იმდენივეა, რაც საშუალოდ რესპუბლიკაში (3,99 მანეთი) მაშინ გამოდის, რომ კოლმეურნეობათა დიდ ნაწილს, ნახევარზე მეტს, არავითარი სახსრები არა რჩება დაგროვების ფონდში გადასარიცხად. ხოლო თუ მაინც გამოყოფს სახსრებს დაგროვებისათვის, მხოლოდ შრომის ანაზღაურების შემცირების ხარჯზე.

კოლმეურნეობათა შემოსავლიანობის დონეში არსებული ასეთი სხვადასხვაობის ერთ-ერთ მიზეზს წარმოადგენს რიგ მეურნეობებსა და ზონებში სოფლის მეურნეობის კულტურებისა და დარგების არარაციონალური გაადგილება. ზოგჯერ ესა თუ ის რენტაბელური კულტურა ან დარგი გადაადგილებულია იმ ზონაში, სადაც არ არსებობს მისთვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები. ამიტომ იგი აქ ზარალიანია, ეს ზარალი კი იფარება სხვა დარგებიდან მიღებული შემოსავლის ხარჯზე, რაც, საბოლოო ჯამში, უარყოფით გავლენას ახდენს კოლმეურნეობათა საერთო რენტაბელობის დონეზე. ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოებით იქ, სადაც მართვის ხელსაყრელი ბუნებრივი პირობები არსებობს, კოლმეურნეობები მაღალ შემოსავალს ღებულობენ. მაგალითად V ზონის კოლმეურნეობები (შიდა ქართლი) თვითეული ცენტნერი ხილის წარმოებაზე ღებულობენ 10-12 მანეთის წმინდა შემოსავალს, როდესაც რესპუბლიკის რიგ კოლმეურნეობებში, — სადაც ხილის წარმოებისათვის არ არსებობს სათანადო ბუნებრივი და სამეურნეო პირობები, — ხილის წარმოება ზარალიანია. I და II ზონის კოლმეურნეობებში (შიგა და გარე კახეთი) თვითეულ ცენტნერ ყურძნის წარმოებაზე წმინდა შემოსავალი უდრის 15-16 მანეთს, ხოლო IV (აღმოსავლეთ კავკასიონი) და VII (სამცხე-თრიალეთი) ზონის კოლმეურნეობებში მევენახეობა ზარალიანია. ჩვენი რესპუბლიკის კოლმეურნეობათა მნიშვნელოვანი ნაწილი ზარალით აწარმოებს სოფლის მეურნეობის ისეთ პროდუქტებს, როგორიცაა: მარცვლეული, კარტოფილი, ბოსტნეული, თამბაქო, ხორცი, რძე. რენტაბელობის განსხვავებული დონის ერთ-ერთი მთავარი მიზეზია პროდუქციის თვითღირებულების დიდად განსხვავებული მაჩვენებლები.

მაგალითად, ერთი ცენტნერი მარცვლეულის თვითღირებულება, 1972 წლის მონაცემებით, რესპუბლიკის კოლმეურნეობათა ჯგუფების მიხედვით მერყეობს 3,65 მანეთიდან 22,88 მანეთამდე, ხილისა — 7,45 მანეთიდან 70,77 მანეთამდე, ყურძნისა — 18,18 მანეთიდან 87,00 მანეთამდე, ჩაისა — 54,63 მანეთიდან 100,17 მანეთამდე, მსხვილი რქიანი პირუტყვის ხორცისა — 54,58 მანეთიდან 314,92 მანეთამდე, ღორის ხორცისა 47,78 მანეთიდან 316,99 მანეთამდე.

საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამაში მითითებულია: „საჭიროა უზრუნველვყოთ, რომ შეიქმნას სულ უფრო თანაბარი ეკონომიური პირობები იმ კოლმეურნეობათა შემოსავლის გადიდებისათვის, რომლებიც სხვადასხვა ზონაში, აგრეთვე ზონებს შიგნით არათანაბარ ბუნებრივ-ეკონომიურ პირობებში იმყოფებიან, რათა უფრო თანამიმდევრულად გან-

ხორციელდეს პრინციპი თანაბარი შრომისათვის თანაბარი ანაზღაურებისა მთელი საკოლმეურნეო სისტემის მასშტაბით"[7]. ასეთი თანაბარი პირობების შექმნისათვის დიდი მნიშვნელობა ენიჭება სოფლის მეურნეობის წარმოების სწორ, რაციონალურ გაადგილებას. სოფლის მეურნეობის ამა თუ იმ სახის პროდუქციის ძირითადად უნდა ვაწარმოებდეთ იქ, სადაც მისთვის ყველაზე ხელსაყრელი ბუნებრივი პირობებია. მხოლოდ ასეთს პირობებში მოგვცემს მისი წარმოება მაღალ ეკონომიკურ ეფექტს. იმისათვის, რომ პერსპექტივაში ყველა კოლმეურნეობაში შემოსავლის მიღებისათვის შეიქმნას თანაბარი ეკონომიკური პირობები, არანაკლებ მნიშვნელოვანია ისეთ ღონისძიებათა განხორციელება, როგორიცაა კოლმეურნეობათა მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განმტკიცება და წარმოების შემდგომი ინტენსიფიკაცია; აგრეთვე, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ფასების სრულყოფა. სწორედ ამ უკანასკნელზე გვინდა გავამახვილოთ ყურადღება.

როგორც ცნობილია, სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ფასები დიფერენცირებულია სსრ კავშირის ბუნებრივ-ეკონომიკური ზონების მიხედვით. 1965 წლის შემდეგ, დამზადების ფასების ზრდასთან ერთად, მნიშვნელოვნად ვაღრმავდა ფასების დიფერენცირება და კიდევ მეტად მიუახლოვდნენ ფასები პროდუქციის წარმოების რეგიონალურ პირობებს. 1965 წლამდე სსრ კავშირში მარცვლეულ კულტურებზე არსებობდა 8 ფასებრივი ზონა. ამჟამად ზონების რაოდენობა მნიშვნელოვნად გადიდებულია. ზოგიერთ ზონაში (კრასნოდარის მხარეში; როსტოვის, ვოლგოგრადის, ლიპეცკის, ომსკის — ოლქებში და თათრეთის ასსრ-ში) ფასები დიფერენცირებულია ზონების შიგნითაც. რსფსრ-ში შესყიდვის ფასები მარცვლეულზე დიფერენცირებულია 25 ზონისა და ქვეზონის მიხედვით. გაიზარდა, აგრეთვე, სხვაობა ფასებს შორის. თუ წინათ ფასები, მაგალითად, რბილ ხორბალზე ყველაზე არახელსაყრელ ჩრდილო-დასავლეთის რაიონებში აღემატებოდა ყველაზე უფრო ხელსაყრელ ჩრდილო-კავკასიის რაიონების ფასს 35%-ით, ახლა ფასების განსხვავება ამ რაიონებს შორის 80%-ს აღწევს. მსხვილი რქიანი პირუტყვის ფასების ზონათა რიცხვი სსრ კავშირში 41-დან 57-მდე გაიზარდა, რძეზე — 42-დან 70-მდე. ფასების შიგაზონალური დიფერენციაცია განხორციელდა ზოგიერთი რესპუბლიკის შიგნითაც. ლიტვის სსრ-ში 1970 წელს დაწესდა დიფერენცირებული ფასები რძის და ხორცის დამზადებაზე მეურნეობათა ოთხი ჯგუფის მიხედვით. ფასებრივი ქვეზონების დადგენა აქ მოხდა ცალკეული მეურნეობების მიხედვით მიწის ეკონომიკური შეფასების საფუძველზე და არ ემთხვევა რესპუბლიკის ადმინისტრაციულ-ტერიტორიულ დაყოფას. ფასების შიგაზონალური დიფერენციაციის შედეგად მეცხოველეობის პროდუქტების წარმოების რენტაბელობის დონე, მეურნეობათა მიხედვით, მნიშვნელოვნად გათანაბრდა[8].

საქართველოს სსრ-ში სოფლის მეურნეობის პროდუქტების უმრავლესობაზე დაწესებულია ერთიანი ფასები შიგაზონალური დიფერენციაციის გარეშე; ასეა: მარცვლეულზე, ყურძენზე, ხილზე, ციტრუსებზე, კარტოფილზე, ბოსტნეულ-ბაღჩეულზე, მზესუმზირაზე, შაქრის ჭარხალზე, ეთერზეთოვან

[7] საბჭოთა კავშირის კომუნისტური პარტიის პროგრამა, თბ., 1961, გვ. 91.

[8] Сельское хозяйство СССР на современном этапе, под ред. Голикова В. А., 1972, стр. 327-328.

კულტურებზე: მსხვილი რქოსანი პირუტყვის, ღორისა და ფრინველის ხორცზე; რძეზე, კვერცხზე და სხვ. ზოგიერთ ამ პროდუქტზე ფასები დიფერენცირებულია მხოლოდ ხარისხების, ჯიშებისა და პროდუქციის ჩაბარების ვადების მიხედვით. ამასთან, პროდუქციის წარმოების პირობები მკვეთრად განსხვავებულია რესპუბლიკის შიგნით ცალკეული ზონების, რაიონებისა და მეურნეობების მიხედვით. რესპუბლიკა, თავისთავად, როგორც ერთი ფასობრივი ზონა დიდ ტერიტორიას არ მოიცავს, მაგრამ იგი მკვეთრად გამოხატული ვერტიკალური ზონალობის გამო ბუნებრივი პირობების დიდი მრავალფეროვნებით ხასიათდება. ზოგიერთ პროდუქტებზე, მაგალითად: ჩაიზე, თამბაქოზე, ცხვრის ხორცზე — ფასები რესპუბლიკის შიგნით დიფერენცირებულია, მაგრამ არა მეურნეობათა ერთგვაროვანი ჯგუფების, არამედ — ადმინისტრაციული რაიონების მიხედვით. ასეთი დაყოფა კი სათანადოდ ვერ ითვალისწინებს პროდუქციის წარმოების კონკრეტულ პირობებს, ვინაიდან ერთი ადმინისტრაციული რაიონი ზოგჯერ აერთიანებს მეტისმეტად განსხვავებული ბუნებრივი პირობების მქონე მეურნეობებს.

სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ფასები სისტემატურად უნდა უმჯობესდებოდეს, რათა რაც შეიძლება სრულად ასახავდეს მისი წარმოებისათვის საჭირო საზოგადოებრივად აუცილებელ დანახარჯებს. იმისათვის, რომ ფასებმა ეს ფუნქცია შეასრულონ, ისინი უნდა ავაგოთ არა წარმოების საშუალო პირობებიდან გამომდინარე, არამედ, ფასების დაწესებისას, მხედველობაში უნდა მივიღოთ ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოების ცუდი პირობები. ეს მით უმეტეს აუცილებელია ამჟამად, როცა საკითხი დგას სოფლის მეურნეობის საწარმოთა სრულ მეურნეობრივ ანგარიშიანობაზე გადაყვანის შესახებ.

მიუხედავად ამისა, ეკონომიკურ ლიტერატურაში დღემდე დავაა საკითხზე, თუ წარმოების რომელმა პირობებმა უნდა განსაზღვრონ სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივი ღირებულება და, აქედან გამომდინარე, — ფასები. ბევრი ეკონომისტი გამოდის იმ ფაქტიდან, რომ ზონალური ფასების განსაზღვრა ხდება ზონის საშუალო პირობების მიხედვით, სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულების განმსაზღვრელად მიიჩნევს იმ დანახარჯებს, რაც აუცილებელია პროდუქციის წარმოებისათვის ზონის საშუალო პირობებში. ჯერ ერთი, ლაპარაკია არა იმაზე, თუ როგორ ხდება სოფლის მეურნეობის პროდუქტებზე ფასწარმოქმნა, არამედ — იმაზე, თუ როგორ უნდა ხდებოდეს იგი; მეორე, აღნიშნული ეკონომისტები არ ასხვავებენ რეგიონალურ (ზონალურ) და ნაციონალურ ღირებულებებს ერთმანეთისაგან.

საზოგადოებრივი ღირებულების ჩამოყალიბება ხდება განსაზღვრული ბაზრის ფარგლებში. ნაციონალური ბაზის მასშტაბით იქმნება ნაციონალური საზოგადოებრივი ღირებულება; რეგიონალური, ადგილობრივი ბაზრის პირობებში შეიძლება ჩამოყალიბდეს ნაციონალური ღირებულებისაგან განსხვავებული რეგიონალური (ზონალური) ღირებულება, რომელიც, თავის მხრივ, იქნება საზოგადოებრივი იმ მეურნეობათა ინდივიდუალური ღირებულებების მიმართ, რომლებიც მოცემულ რეგიონში მოქმედებენ; ისევე, როგორც რეგიონალური (ზონალური) ღირებულება, თავის მხრივ, იქნება ინდივიდუალური ღირებულება ნაციონალური საზოგადოებრივი ღირებულების მიმართ. ამიტომ როცა ვლაპარაკობთ სოფლის მეურნეობის პროდუქტების ღირებულების განმსაზღვრელ პირო-

ბებზე მხედველობაში უნდა გვქონდეს ის, თუ რომელ ღირებულებაზეა ლაპარაკი: ნაციონალურ [illegible] ბაზე თუ ზონალურ ღირებულებაზე.

კ. მარქსი, რენტის საკითხებზე მსჯელობისას ერთგვაროვან პროდუქტებზე ერთიანი ფასებისა და ერთიანი ნაციონალური ღირებულების არსებობიდან გამოდიოდა და მის განმსაზღვრელად თვლიდა წარმოების ცუდ პირობებს. ჩვენი სოციალისტური მეურნეობის პირობებში შესაძლებელია ფასების გეგმიანი, ზონალური დიფერენცირება, ე. ი. შესაძლებელია, ერთ და იმავე სახის პროდუქციაზე არსებობდეს რამდენიმე ფასი. თავისთავად, რამდენიმე ფასის არსებობა უკვე გულისხმობს იმას, რომ კავშირის მასშტაბით ხდება ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო არა მხოლოდ საშუალო, არამედ, ცუდ პირობებთან ერთად, საშუალო და კარგი პირობების გათვალისწინება. წარმოების ყველაზე კარგ პირობებში ფასები ყველაზე დაბალია. ხოლო წარმოების ყველაზე ცუდ პირობებში — ყველაზე მაღალი (მაგალითად, კრასნოდარის მხარეში ერთი ტონა რბილი ხორბლის დამზადების ფასია 65-69 მანეთი, ხოლო ორლოვისა და არხანგელსკის ოლქებში — 130 მანეთი). ამრიგად, კავშირის მასშტაბის ფასების დაწესებისას ხდება წარმოების ცუდი პირობების გათვალისწინება, მაგრამ, ამასთან ერთად, ხდება წარმოების საშუალო და კარგი პირობების მხედველობაში მიღება და შესაბამისად — იქ ფასების დაბლა დაწევა. ფასწარმოქმნის ასეთი პრაქტიკა დამახასიათებელია მხოლოდ სოციალისტური მეურნეობისათვის და ამაშია მისი ერთ-ერთი უპირატესობა კაპიტალისტურთან შედარებით. აქედან გამომდინარე, არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ნაციონალური საზოგადოებრივი ღირებულების განსაზღვრა ხდება წარმოების საშუალო პირობებიდან გამომდინარე. რაც შეეხება რეგიონალურ (ზონალურ) ღირებულებასა და ფასს, მათი განსაზღვრა ხდება ზონის საშუალო პირობების მიხედვით, მაგრამ ეს ზონები ზოგჯერ დიდ ტერიტორიას მოიცავენ, მეურნეობათა დიდი რაოდენობით, რომელთაც ხშირად ამა თუ იმ სახის პროდუქციის წარმოებისათვის სრულიად განსხვავებული პირობები აქვთ. ამიტომ ერთი ზონალური (საშუალო) ფასის დაწესება სხვადასხვა ბუნებრივ პირობებში მყოფ მეურნეობებს არათანაბარ ეკონომიკურ პირობებში აყენებს და სავსებით მართებულია, როდესაც ზონის შიგნით ერთგვაროვან ბუნებრივ პირობებში მყოფ მეურნეობათა დიდი ჯგუფების მიხედვით ხდება ფასებრივი ქვეყნების გამოყოფა.

ეკონომისტთა გარკვეული ნაწილი წარმოების ცუდი პირობების მიხედვით საქონლის ღირებულებისა და ფასის განსაზღვრის წინააღმდეგია იმის გამო, თითქოს დაირღვევა ეკვივალენტური გაცვლა მრეწველობასა და სოფლის მეურნეობას შორის, თითქოს მოხდება ღირებულების გადმოქაჩვა მრეწველობიდან სოფლის მეურნეობაში სოფლის მეურნეობის პროდუქტების მაღალი ფასების გამო, თითქოს ადგილი ექნება ყალბი სოციალური ღირებულების არსებობას სოციალიზმის დროს. ასეთი მტკიცება უსაფუძვლოა.

როგორც ცნობილია, კაპიტალიზმში სოფლის მეურნეობის პროდუქტების საზოგადოებრივ ღირებულებას განსაზღვრავენ დანახარჯები წარმოების ცუდი პირობებისა ანუ ყველაზე მაღალი ინდივიდუალური ღირებულება. ასეთ შემთხვევაში წარმოების კარგ პირობებში დახარჯული შრომა გვევლინება როგორც გამრავლებული შრომა, რამდენადაც, აქ დახარჯული ნაკლები რაოდენობის შრომა ისევე გამოდის საზოგადოებრივი ღირებულების შემქმნელად,

როგორც ცუდ პირობებში დახარჯული მეტი შრომა; ამიტომ კ. მარქსი წერდა, რომ საზოგადოება კაპიტალიზმის დროს მიწათმოქმედების პროდუქტებში იხდის სამუშაო დროის ისეთს რაოდენობას, რაც ბევრად [illegible] დუქტში ნამდვილად დახარჯულ სამუშაო დროს, — ე. ი. [illegible] ციალური ღირებულება, რომლის შესაბამისი შრომა ფაქტიურად არ დახარჯულა, მაგრამ კ. მარქსი აქაც გამოდიოდა ერთიანი ფასების არსებობიდან.

სოციალიზმის დროს, როდესაც სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ფასები დიფერენცირებულია ზონების მიხედვით და გათვალისწინებულია პროდუქციის წარმოებისათვის საჭირო დანახარჯების ზონალური განსხვავება, შეუძლებელია არსებობდეს საფუძველი ყალბი სოციალური ღირებულებისათვის და, მით უმეტეს, ღირებულების გადმოქაჩვისათვის სახალხო მეურნეობის სხვა დარგებიდან. სოფლის მეურნეობის პროდუქტების დამზადების ფასების შემდგომი სრულყოფა, წარმოების შიგაზონალურ განსხვავებულ ბუნებრივ პირობათა უკეთ გათვალისწინება — მეურნეობათა შორის დამატებითი წმინდა შემოსავლის გადანაწილების გზით — ყველა კოლმეურნეობას გაფართოებული აღწარმოებისათვის დაახლოებით თანაბარ პირობებს შეუქმნის. კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობის ნორმალური განვითარებისათვის, შემოსავლიანობის შემდგომ ამაღლებასთან ერთად, არანაკლები ყურადღება უნდა მიექცეს მის სწორ განაწილებას მეურნეობის შიგნით. განაწილება არ არის წარმოების პასიური შედეგი, იგი გარკვეულ ზეგავლენას ახდენს წარმოებაზე. სკკპ ცენტრალური კომიტეტისა და სსრ კავშირის მინისტრთა საბჭოს 1966 წლის 16 მაისის დადგენილებამ — „საზოგადოებრივი წარმოების განვითარებით კოლმეურნეთა მატერიალური დაინტერესების გადიდების შესახებ“ — არსებითი ცვლილებები შეიტანა კოლმეურნეობათა შემოსავლის განაწილების წესში: თუ, აღნიშნული დადგენილების მიღებამდე მთლიანი შემოსავლის განაწილებისას, უპირველეს ყოვლისა, იქმნებოდა დაგროვების ფონდი, — აღნიშნული დადგენილებით, პირველ რიგში, შრომის ანაზღაურების ფონდი უნდა შეიქმნას. ამ დადგენილებამ თავისი გამოხატულება ჰპოვა 1969 წელს კოლმეურნეთა სრულიად-საკავშირო მესამე ყრილობის მიერ მიღებულ კოლმეურნეობის სანიმუშო წესდებაში, სადაც აღნიშნულია, რომ კოლმეურნეობის მიერ წარმოებული მთლიანი პროდუქციიდან, უპირველეს ყოვლისა, უნდა ანაზღაურდეს მის წარმოებაზე გაწეული მატერიალური დანახარჯი: ძირითადი ფონდების ამორტიზაცია; თესლის, საკვების, სასუქის, ნავთპროდუქტების დანახარჯები; ხარჯი მიმდინარე რემონტისათვის და სხვ. მიღებული მთლიანი შემოსავლის ხარჯზე კოლმეურნეობა ქმნის შრომის ანაზღაურების ფონდს. მთლიანი შემოსავლის დანარჩენი ნაწილი (წმინდა შემოსავალი) გამოიყენება სახელმწიფოს გადასახადთა და გადასახდელთა გასასტუმრებლად, ძირითადი და საბრუნავი ფონდების გაფართოებისათვის, კულტურულ-საყოფაცხოვრებო, სოციალური უზრუნველყოფისა და კოლმეურნეთათვის მატერიალური დახმარების ფონდების შესაქმნელად, კოლმეურნეებისა და სპეციალისტების მატერიალური წახალისებისათვის, სარეზერვო ფონდების შევსებისათვის და სხვ.

კოლმეურნეობათა პროდუქციის ღირებულებაში მნიშვნელოვანი ადგილი უკავია მატერიალურ დანახარჯს, კერძოდ, 1972 წლის მონაცემებით, მისი ხვედრითი წონა მარცვლეულის (სიმინდის გარეშე) თვითღირებულებაში შეადგენდა 63,7%-ს, სიმინდის — 27,9-ს, ბოსტნეულის — 38,5, ხილის — 53,8,

ყურძნის — 35,8, რძის — 65,2, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვის ხორცის — 66,9-ს, ღორის ხორცის თვითღირებულებაში — 68,9%-ს.

განსაკუთრებით დიდია მატერიალური დანახარჯები მეცხოველეობაში. დანახარჯების დიდი ნაწილი აქ საკვებზე მოდის. რაც უფრო მეტია მთლიანი პროდუქტის ღირებულებით სტრუქტურაში მისი ხვედრითი წონა სხვა თანაბარ პირობებში მით უფრო დიდი იქნება კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავალი. ამიტომ დიდი მნიშვნელობა ენიჭება მატერიალური დანახარჯების ეკონომიურად ხარჯვას, ძირითადი და საბრუნავი ფონდების თვითეულ მანეთზე წარმოებული პროდუქციის ზრდას.

საერთოდ, მატერიალური დანახარჯების ხვედრითი წონა მთლიანი პროდუქტის ღირებულებითს სტრუქტურაში ზრდის ტენდენციით ხასიათდება, რის გამო ღირებულებაში გამოხატული წმინდა პროდუქტი მცირდება, თუმცა მისი ფიზიკური მასა იზრდება შრომის მწარმოებლურობის ამაღლების შედეგად. უნდა აღინიშნოს, რომ კოლმეურნეობებში შექმნილი მთლიანი შემოსავლის მთელი მოცულობის რეალიზაცია უშუალოდ კოლმეურნეობების მიერ არ ხდება. ფასების მექანიზმის, საშემოსავლო გადასახადისა და სხვ. გზით მთლიანი შემოსავლის გარკვეული ნაწილი სახელმწიფოს განკარგულებაში გადადის. კოლმეურნეობათა მთლიანი შემოსავალი უპირველეს ყოვლისა მოხმარებისა და დაგროვების ფონდებად ნაწილდება. იმისათვის, რომ მოხმარებისა და დაგროვების ფონდებს შორის უზრუნველვყოთ სწორი თანაფარდობა, უპირველეს ყოვლისა, საჭიროა კოლმეურნეობებს ჰქონდეთ ნორმალური შემოსავლის მიღების პირობები; საერთოდ, რაც უფრო მაღალია, ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით, მთლიანი შემოსავალი, მით უფრო მცირდება მასში შრომის ანაზღაურების ფონდის ხვედრითი წონა, თუმცა შრომის ანაზღაურების აბსოლუტური დონე იზრდება.

როგორც ზემოთ დავინახეთ, სხვადასხვა კოლმეურნეობაში მიღებული მთლიანი შემოსავლის დონე ფრიად განსხვავებულია, ამიტომ თანაფარდობა მოხმარებისა და დაგროვების ფონდებს შორის არ არის, და არც შეიძლება იყოს, ერთნაირი; მაგრამ ზოგჯერ ამ თანაფარდობის აუცილებელი მოთხოვნები დარღვეულია: არის კოლმეურნეობები, რომლებიც მეტ სახსრებს გამოჰყოფენ დაგროვებისათვის, — ხშირად შრომის ანაზღაურებისათვის განკუთვნილი სახსრების ხარჯზე, — ან, პირიქით, დაუსაბუთებლად მეტ საშუალებებს ახმარენ შრომის ანაზღაურების დაგროვების საზიანოდ; ამასთან, არ იცავენ შრომის მწარმოებლურობისა და შრომის ანაზღაურების ზრდის ტემპებს შორის აუცილებელ თანაფარდობას. უკანასკნელი წლების მანძილზე რესპუბლიკის კოლმეურნეობებში, საერთოდ, მოხმარებისა და დაგროვების ფონდების თანაფარდობაში მნიშვნელოვანი ცვლილებები მოხდა: დაგროვების ფონდი თანდათანობით შემცირდა, ხოლო მოხმარების ფონდი გაიზარდა. მაგალითად, 1964 წლამდე მთლიან შემოსავალში დაგროვების ფონდის ხვედრითი წონა 30 პროცენტამდე აღწევდა, შემდგომ მისი ხვედრითი წონა კლებულობს და დაახლოებით 20 პროცენტამდე მცირდება. ასეთი კანონზომიერება ნაკარნახევი იყო ჩვენი ქვეყნის განვითარების ისტორიული და ეკონომიკური პირობებით. თუ ადრე ჩვენი ქვეყნის და კერძოდ, კოლმეურნეობრივი წარმოების განვითარების ინტერესები მოითხოვდა დაგროვების მაქსიმალურ გადიდებას, რაც აუცილებელი იყო დასახული გეგმების შესრულებისათვის. ამჟამად,

კოლმეურნეობათა მატერიალური ბაზის განმტკიცებასთან ერთად შეიქმნა სათანადო პირობები იმისათვის, რომ სწრაფი ტემპით განხორციელდეს მოხმარების ფონდის ზრდა.

როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, მოხმარებისა და დაგროვების თანაფარდობაზე საბოლოო ჯამში გადამწყვეტ გავლენას ახდენს კოლმეურნეობის მიერ მიღებული მთლიანი შემოსავლის სიდიდე. ეს ჩანს შემდეგი მონაცემებიდან:

კოლმეურნეობათა დაჯგუფება მთლიან შემოსავალში მოხმარების ფონდის ხვედრითი წონის მიხედვით (1972 წ. მონაცემებით)[9]

ცხრილი 6

| ჯგუფები | კოლმეურნეობათა რაოდენობა | | მთლიანი შემოსავალი | | მოხმარების ფონდი (პრემიების ჩათვლით) | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | სულ | პროცენტი ჯამის მიმართ | სულ (ათ. მან.) | ერთ კომლზე (მან.) | სულ (ათ. მანეთი) | %-ით მთლიანი შემოსავლის მიმართ |
| 2 მანეთამდე | 169 | 14.3 | 7852 | 1.5 | 8698 | 110.8 |
| 2,1—3,0 „ | 256 | 21.7 | 23381 | 2.58 | 22351 | 95.6 |
| 3,1—4,0 „ | 219 | 18.6 | 31896 | 3.53 | 27138 | 85.1 |
| 4,1—5,0 „ | 176 | 4.9 | 45531 | 4.52 | 37276 | 81.9 |
| 5,1—6,0 „ | 113 | 9.6 | 38692 | 5.51 | 30250 | 78.2 |
| 6,1—8,0 „ | 153 | 3 | 84153 | 6.96 | 62567 | 74.3 |
| 8,1—10,0 „ | 70 | 5.9 | 55454 | 8.93 | 38357 | 69.2 |
| 10,1-ზე მეტი | 18 | 1.5 | 23600 | 11.67 | 15736 | 66.7 |
| ჯამი | 1174 | 99.5 | 310559 | 5.12 | 242373 | 78.0 |
| მთლიანი შემოსავლის გარეშე | 6 | 0,5 | —96 | —0,58 | 351 | — |
| ს უ ლ | 1180 | 100 | 310463 | 5.10 | 242724 | 78.2 |

როგორც ვხედავთ, მოხმარების ფონდის ხვედრითი წონა რესპუბლიკის კოლმეურნეობათა მთლიან შემოსავალში საშუალოდ 78,2 პროცენტს შეადგენს, მაგრამ კოლმეურნეობათა ცალკეული ჯგუფების მიხედვით, იმის შესაბამისად თუ როგორ იცვლება მიღებული მთლიანი შემოსავლის ოდენობა ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით, მოხმარების ფონდის ხვედრითი წონა მთლიან შემოსავალში იცვლება.

კოლმეურნეობათა პირველ ჯგუფში (კოლმეურნეობათა საერთო რაოდენობის 14,3 პროცენტი), სადაც ყველაზე დაბალია შემოსავალი (ერთ კაცდღეზე 1,5 მანეთი) მოხმარების ფონდი აღემატება კიდეც მთლიან შემოსავალს 10,8 პროცენტით, ამ კოლმეურნეობებში არა თუ რჩება სახსრები დაგროვებისათვის, არამედ, პირიქით, მცირდება წინა წლებში შექმნილი ფონდები.

ცხრილიდან ჩანს, აგრეთვე, რომ მ ო ხ მ ა რ ე ბ ი ს ფ ო ნ დ ი ა რ ი ც ვ ლ ე ბ ა მ თ ლ ი ა ნ ი შ ე მ ო ს ა ვ ლ ი ს ზ რ დ ი ს პ რ ო პ ო რ ც ი უ ლ ა დ, რაც კანონზომიერი მოვლენაა. ეს იმას ნიშნავს, რომ მაღალი შემოსავლის მქონე კოლმეურნეობები მეტ სახსრებს გამოჰყოფენ დაგროვების ფონდების, აგრეთვე მოხმარების საზოგადოებრივი ფონდების შესაქმნელად. მაგრამ იმი-

[9] საქართველოს სსრ ცენტ. სტატ. სამმართველოს მასალები კოლმეურნეობების წლიური ანგარიშგებათა მონაცემების მიხედვით.

სათვის, რომ ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში სწორად დავგეგმოთ მთლიანი შემოსავლის მოცემულ სიდიდეში მოხმარების ფონდების ხვედრითი წონა და, სხვანაირად, სწორად განვსაზღვროთ შრომის მწარმოებლურობისა და შრომის ანაზღაურების ზრდის თანაფარდობა, არა კმარა მთლიანი შემოსავლისა და მოხმარების ფონდის ზრდის ზემოთ აღნიშნული საერთო კანონზომიერების ცოდნა. ეკონომიკური მუშაობის გაუმჯობესების ამოცანები მოითხოვენ, რათა გამოვნახოთ კონკრეტული რაოდენობრივი კავშირი მთლიანი შემოსავლის ზრდასა და მასში მოხმარების ფონდის ხვედრითს წონას შორის ანუ შევიმუშაოთ გარკვეული წესი იმის შესახებ, თუ როგორ უნდა გაიზარდოს ერთ კაცდღეზე გაანგარიშებით მოხმარების ფონდი მთლიანი შემოსავლის თვითეული მანეთით გადიდების პირობებში. ზოგიერთი ეკონომისტი[10] გვთავაზობს ამ ორ ცვლადს შორის კორელაციური კავშირის ისეთ მოდელს, როდესაც ერთ კაცდღეზე მთლიანი შემოსავლის თვითეული მანეთით გადიდებას უნდა მოჰყვეს შესაბამისად მოხმარების ფონდის გადიდება 50 კაპიკით. მაგრამ, ჩვენი აზრით, მთლიანი შემოსავლისა და მოხმარების ფონდის ზრდას შორის კავშირი არ შეიძლება გამოვხატოთ ასეთი სწორხაზოვანი ფუნქციით: იგი არ არის ელასტიკური და ვერ ასახავს სინამდვილეში არსებულ კანონზომიერებას.

როგორც ცხრილში მოყვანილი მონაცემების ანალიზი გვიჩვენებს, კავშირი მთლიანი შემოსავლისა და მოხმარების ფონდის ზრდას შორის უნდა გამოისახოს მრუდხაზოვანი კორელაციით, რაც საშუალებას მოგვცემს, რომ, არა თუ სწორად გავიგოთ ზემოთ აღნიშნული კანონზომიერება მთლიანი შემოსავლის ზრდასთან შედარებით კლებადი პროპორციით გაზრდილი შრომის ანაზღაურების შესახებ, არამედ სწორად დავგეგმოთ ერთ კაცდღეზე შრომის ანაზღაურების დონის მატება მთლიანი შემოსავლის ყოველი მანეთით გადიდებასთან ერთად.

---

[10] Журн. «Вопросы экономики», 1966, № 10.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

რობერტ აბურჯანიძე

# ხორცის მრეწველობის განვითარება საქართველოში

საბჭოთა ხალხის მატერიალური კეთილდღეობის ამაღლების ერთ-ერთი ძირითადი პირობაა კვების პროდუქტების წარმოების გადიდება, კვების პროდუქტების წარმოება კი ადამიანთა საზოგადოების ძირითადი პრობლემათაგანია. მოხმარებული კვების პროდუქტის რაოდენობა, ხარისხი და ასორტიმენტი, — დროული და რეგულარული მიღება, — გადამწყვეტ გავლენას ახდენს ადამიანის შრომის უნარზე და სიცოცხლის ხანგრძლივობაზე, აგრეთვე — მის შრომის მწარმოებლურობაზე: „კვების საშუალებების წარმოება, — წერდა მარქსი, — უშუალოდ მწარმოებელთა სიცოცხლისა და, საერთოდ, ყოველი წარმოების უპირველესი პირობაა"[1]. ვ. ი. ლენინი ჩვენს ქვეყანაში სასურსათო ფონდის შექმნის აუცილებლობაზე მსჯელობისას წერდა: „არავითარი სოციალისტური ქვეყანა არ შეიძლება, როგორც მუშურ-გლეხური ხელისუფლების სახელმწიფო, თუ მას მუშებისა და გლეხების გაერთიანებული ძალღონით არ შეუძლია ისეთი სასურსათო ფონდის შეგროვება, რომ უზრუნველყოს მრეწველობაში ჩაბმულ მუშათა გამოკვება, რომ შესაძლებლობა ჰქონდეს ათი და ასი ათასობით მუშა დაძრას იქით, საითაც ეს საბჭოთა ხელისუფლებას ესაჭიროება, უამისოდ მხოლოდ ლაპარაკი იქნება. მეურნეობის ნამდვილი საფუძველი — ეს სასურსათო ფონდია"[2].

სსრკ კვების მრეწველობის ერთ-ერთ ძირითად დარგს ხორცის მრეწველობა წარმოადგენს. კვების მრეწველობაში შემავალი 20 დარგიდან 1971 წლის 1 იანვრისათვის ხორცის მრეწველობას, მთლიანი პროდუქციის მიხედვით, პირველი ადგილი უჭირავს (21,7%), ხოლო მრეწველურ-წარმოებრივი ძირითადი ფონდების ღირებულებისა და მომუშავეთა რაოდენობის მიხედვით კი მეოთხე (10%)[3]. რაც უფრო იზრდება საზოგადოების მატერიალური კეთილდღეობა, მით უფრო მეტ ადგილს იკავებს ადამიანთა კვების რაციონში საზრდოობის ისეთი ძვირფასი პროდუქტები, როგორიცაა ხორცი, ცხიმი, რძე და რძის პროდუქტები. ხორცის მრეწველობა უშვებს მთელი გადამუშავებული კვების პროდუქტების დაახლოებით 20%[4].

სსრკ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს სისტემაში — 1971 წლის 1 იანვრისათვის 895 საწარმო იყო, მათ შორის: 637 ხორცკომბინატი, 103 მეფრინველეობის კომბინატი, 26 ხორცის გადასამუშავებელი ქარხანა და ფაბრიკა, 17 წების, 2 ჟელატინისა და 10 სამედიცინო პრეპარატების მწარმოებელი ქარხანა. აქვე შედიოდა ტარისა და შესაფუთი მასალების დამამზადებელი 10 სპეციალიზებული ქარხანა და 85 სამშენებლო-სამონტაჟო ორგანიზაცია. 1971 წლის 1 იანვრისათვის სსრკ ხორცის მრეწველობის საწარმოებს დღე-ღამეში შეეძლო გადაემუშავებინათ: 32 ათასი ტონა ხორცი, 8 ათასი ტონა ძეხვი და 4 მლნ პირობითი ქილა ხორცის კონსერვი. 1940 წელთან შედარებით წარმოებრივი სიმძლავრე გაიზარდა: ხორცის გადამუშავებისა — თითქმის 3,3-ჯერ, ძეხვის ნაწარმის — 6,4-ჯერ, ხოლო კონსერვებისა კი 5,2-ჯერ[5].

---

[1] კ. მ ა რ ქ ს ი, კაპიტალი, ტ. III, ნაწილი მეორე, თბ., 1959, გვ. 218.

[2] ვ. ი. ლ ე ნ ი ნ ი, თხზ., გამოცემა IV, ტ. 31, გვ. 623.

[3] გაანგარიშებულია ჩვენ მიერ სსრ კავშირის ხორცის მრეწველობის სამეცნიერო-კვლევითი ინსტიტუტის მონაცემების საფუძველზე.

[4] Г. А. Ф а л е е в. Вопросы развития и размещения мясной промышленности СССР, М., 1968, стр. 3.

[5] С. Е. К р а с н о в, Б. И. С м е р л и г о в. Экономика мясной промышленности, М., 1973, стр. 19, 29-30.

პირუტყვის გადამუშავება გარდა სახელმწიფო მრეწველური საწარმოებისა, წარმოებს აგრეთვე სამომხმარებლო კოოპერაციის [illegible] მელიც 1971 წლის 1 იანვრისათვის აერთიანებდა 4 ათას სასაკლაოს და 1,7 ათას საძეხვე საამქროს. მათზე მოდიოდა ხორცისა და ხორცის პროდუქტების მრეწველური წარმოების საერთო მოცულობის თითქმის 5 პროცენტი[6].

სსრკ ხორცის მრეწველობა განვითარების დონის მხრივ ერთ-ერთ პირველ ადგილზეა მსოფლიოში. 1970 წელს მასზე მოდიოდა ხორცის მსოფლიო წარმოების 9,6 პროცენტი, ხოლო 1970 წელს კი 11,8 პროცენტი, აღნიშნულ პერიოდში ხორცის მრეწველური წარმოების აბსოლუტური მოცულობის მიხედვით სსრკ მეორე ადგილზე იყო აშშ-ის შემდეგ. აშშ-ზე მოდიოდა კაპიტალისტურ ქვეყნებში წარმოებული ხორცის თითქმის ერთი მეოთხედი:

ხორცის (საკლავი) მრეწველური გადამუშავება 1972 წელს (მლნ ტონა)[7]

| | |
|---|---|
| სსრკ | 6,2 |
| აშშ | 20,8 |
| გფრ | 3,1 |
| საფრანგეთი | 3,1 |

მოსახლეობის ერთ სულზე მოდიოდა ხორცეული 1972 წელს (კგ)[8]

| | |
|---|---|
| სსრკ | 55 |
| აშშ | 116 |
| გფრ | 75 |
| საფრანგეთი | 90 |
| ინგლისი | 56 |

მიუხედავად იმისა, რომ ჩვენი ქვეყნის მოსახლეობის მოხმარებაში მეცხოველეობის პროდუქციის ხვედრითი წონა ყოველწლიურად იზრდება, მოსახლეობის ერთ სულზე ხორცის წარმოების მხრივ მაინც ჩამორჩებით რიგ ქვეყნებს. საინტერესოა აშშ-ის ხორცის მრეწველობის მონაცემები სახეების მიხედვით 1968-1970 წლებში (იხ. ცხრილი 1)[9].

ცხრილი 1

| ხორცის სახეები | 1968 წ. | | 1969 წ. | | 1970 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|
| | ათასი ტონა | %-ით ჯამთან | ათასი ტონა | %-ით ჯამთან | ათასი ტონა | %-ით ჯამთან |
| საქონელი და ხბო | 10809 | 47,3 | 11151 | 47,5 | 10103 | 47,6 |
| ღორი | 7601 | 33,3 | 7646 | 32,6 | 6094 | 28,9 |
| ცხვარი და ბატკანი | 287 | 1,3 | 269 | 1,1 | 250 | 1,1 |
| ფრინველი | 4146 | 18,1 | 4415 | 18,8 | 4767 | 22,4 |
| სულ . . . | 22843 | 100,0 | 23481 | 100,0 | 21214 | 100,0 |

[6] იქვე, გვ. 19.
[7] Народное хозяйство СССР в 1972 г., изд. «Статистика», М., 1973, стр. 98-99.
[8] იქვე, გვ. 100-101.
[9] Мясная промышленность США, М., 1972, стр. 1.

ცხრილიდან ირკვევა, რომ, მართალია, საქონლის ხორცის წარმოება 1970 წელს, 1968 წელთან შედარებით, აბსოლუტური მონაცემების მიხედვით ცოტათი შემცირდა, მაგრამ იმის გამო, რომ ღორისა და ცხვრის ხორცის წარმოება უფრო მეტად შემცირდა, საქონლის ხორცის ხვედრითი წონა აღნიშნულ პერიოდში 0,3 პროცენტით გაიზარდა. ცხრილიდან ჩანს აგრეთვე, რომ განსაკუთრებული ზრდის ტენდენციით ხასიათდებოდა ფრინველის ხორცის წარმოება.

საქართველოში პროდუქტიული მეცხოველეობის განვითარებას დიდი ხნის ისტორია აქვს. აკადემიკოს ივანე ჯავახიშვილის აზრით, ქართველ ტომებს მაღალხარისხოვან მიწათმოქმედებასთან ერთად, განვითარებული მეცხოველეობაც ჰქონდათ[10]. როგორც ისტორიული წყაროებიდან ჩანს, მე-8 საუკუნის მეორე ნახევარში კახელები საუცხოო ცხენსა და ცხვარს აშენებდნენ და მრავალრიცხოვანი ჯოგ-ფარების პატრონნი ყოფილან. იმდროინდელ საქართველოში მეცხოველეობის განვითარების შესახებ საინტერესოა შემდეგი ცნობა: „როცა, მე-9 საუკუნის დამდეგს არაბებმა ზავი დადეს კახელებთან, კახელებმა არაბების მოთხოვნით იკისრეს მიეცათ მათთვის სამი ათასი ფაშატი ცხენი და ოცი ათასი ცხვარი“[11]. მეცხოველეობა, რომ ძველთაგანვე ქართველი ხალხის ცხოვრებაში მნიშვნელოვან როლს თამაშობდა, ჩანს იქიდანაც, რომ ქართლის ჟამთა აღწერაში პირუტყვის აღრიცხვის მეორე რიგის ამოცანად ყოფილა დაყენებული „დიდსაჭირსა მიეცნეს ყოველნი მკვიდრნი სამეფოსა დავითისანი, რათაგან იწყეს აღწერად კაცთა და პირუტყვთამდე, ყანითა ვენახთამდე, წალკოტით ბოსტნამდე“[12]. გამოჩენილი ქართველი გეოგრაფი ვახუშტი ბატონიშვილი თავის ნაშრომში — „აღწერა სამეფოსა საქართველოსა“ იძლევა ცხოველთა სახეების აღწერას. იგი წერს: „... არამედ პირუტყვნიცა მრავალნი, ვითარცა: აქლემი, ცხენი, ჯორი, ძროხა, კანბეჩი, ცხვარი, თხა, ღორი...“[13]

რევოლუციამდელ საქართველოში მსხვილფეხა რქიანი მეცხოველეობა უმთავრესად „მოხმარებითი“ ხასიათს ატარებდა, მრეწველური მეცხოველეობა კი შედარებით ნაკლებად იყო განვითარებული. მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი გლეხობის იმ ნაწილს ყავდა, რომელნიც უმთავრესად მიწათმოქმედებას ეწეოდა. მის მთავარ დანიშნულებას გამწევ ძალად გამოყენება შეადგენდა. წვრილგლეხურ მეურნეობაში ძროხას ინახავდნენ უწინარეს ყოვლისა მუშა-პირუტყვის აღწარმოების მიზნით. რძისა და ხორცის წარმოება კი უმთავრესად „საოჯახო მოთხოვნილების“ დაკმაყოფილებას ემსახურებოდა. „საერთოდ მსხვილი რქიანი პირუტყვი, — წერს პროფ. პ. გუგუშვილი, — ბინადარ მოსახლეობას ჰყავდა უპირატესად მიწათმოქმედური მეურნეობის მომსახურებისათვის. ამიტომაც თვითეულ კომლს ჩვეულებრივად იმდენი ხარი და ძროხა ჰყავდა, რამდენის შენახვაც მას შეეძლო თავისი საზაფხულო საძოვრითა და საზამთრო ხმელი საკვებით. მიწათმოქმედური მოსახლეობის სარგებლობაში მყოფი სახნავი მიწის ფართობი განსაზღვრავდა საერთოდ შინაურ პირუტყვთა რაოდენობას, რაც მუშა თუ პროდუქტიული პირუტყვის სა-

[10] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. 1, 1930, გვ. 316.

[11] ნ. ბერძენიშვილი, ივ. ჯავახიშვილი, ს. ჯანაშია. საქართველოს ისტორია, ნაწ. 1,1946, გვ. 150.

[12] ივ. ჯავახიშვილი. საქართველოს ეკონომიური ისტორია, ტ. 1, გვ. 4.

[13] ვახუშტი. აღწერა სამეფოსა საქართველოსა, 1941, გვ. 30.

ხით მხოლოდ იშვიათ შემთხვევაში სცილდებოდა თვით მიწათმოქმედური მეურნეობის დამატებითი საქმიანობის ფარგლებს"[14].

ამრიგად, მიწათმოქმედ გლეხობას რქიანი პირუტყვი ჰყავდა, უმთავრესად, თავისი მეურნეობრივი მოთხოვნილების დასაკმაყოფილებლად (გამწევ ძალად, რძისა და ხორცისათვის). საქართველოს მოსახლეობის ძალიან მცირე ნაწილი აშენებდა მსხვილფეხა რქიან პირუტყვს წმინდა მრეწველური თვალსაზრისით.

ხორცის როგორც საკვები პროდუქტის მნიშვნელობისა და გავლენის შესახებ ადამიანის განვითარებაზე ფ. ენგელსი წერს: „ხორცეულის საჭმელი თითქმის მზა სახით შეიცავდა ყველაზე არსებით მასალას, რომელსაც სხეული საჭიროებს თავის ნივთიერებათა ცვლისათვის; ხორცეულის საჭმელმა მონელებასთან ერთად შეამოკლა სხვა ვეგეტატური, მცენარეული ცხოვრების შესაბამისი პროცესების ხანგრძლივობა სხეულში და ამით უფრო მეტი დრო, მეტი მასალა და ხალისი შეიძინა საკუთრივ ცხოველური (ანიმალური) ცხოვრების აქტიური გამოვლენისათვის... მცენარეულ საჭმელთან ერთად ხორცეულის საჭმელზე მიჩვევამ არსებითად ხელი შეუწყო იმას, რომ ჩამოყალიბების პროცესში მყოფ ადამიანს ფიზიკური ძალა და დამოუკიდებლობა მისცემოდა. მაგრამ ყველაზე უფრო არსებითი იყო ხორცეულის საჭმელის გავლენა ტვინზე, რომელმაც ამის გამო ახლა თავის გამოკვებისა და განვითარებისათვის საჭირო მასალა ბევრად უფრო უხვად მიიღო, ვიდრე უწინ იღებდა და რომელსაც ამიტომ შეეძლო თაობიდან თაობამდე უფრო ჩქარა და უფრო სრულქმნილად განვითარებულიყო... ადამიანი ადამიანად ვერ იქცეოდა ხორცეული საჭმელის გარეშე..."[15] ფ. ენგელსი არიელებისა და სემიტების მიერ ხორცისა და რძის უხვ გამოყენებას მიაწერდა ამ ორი რასის უფრო წარმატებითს განვითარებას. ახალი მექსიკის პუებლო-ინდიელებს, რომლებიც მარტო მცენარეულობით იკვებებოდნენ, უფრო პატარა ტვინი ჰქონდათ, ვიდრე ბარბაროსობის დაბალ საფეხურზე მყოფ ინდიელებს, რომლებიც მეტწილად ხორცით და თევზით საზრდოობდნენ.

ხორცი შეიცავს 14,5-დან 23%-მდე ცილებს, 2-დან (მჭლე ხბოს ხორცი) 37%-მდე ცხიმს (ქონიანი ღორის ხორცი), მინერალურ ნივთიერებებს: ფოსფორს, კალიუმს, ნატრიუმს, კალციუმს, რკინასა და მაგნიუმს, აგრეთვე ექსტრაქტულ ნივთიერებებს, რომლებიც ბულიონსა და ხორცის ნაწარმის კერძებს განსაკუთრებულ გემოსა და არომატს აძლევენ. აღნიშნულს გარდა, ხორცში (განსაკუთრებით ხორცეულ სუბპროდუქტებში) შედის A, D B ჯგუფის ვიტამინები და სხვ. უნდა აღინიშნოს, რომ ხორცის ქიმიური შედგენილობა დიდადაა დამოკიდებული საქონლის სახეობაზე, ჯიშზე, ასაკზე, ნაკვებობაზე და სხვ.[16]

მეცხოველეობის სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა იმაში მდგომარეობს, რომ იგი მოსახლეობას აწვდის მაღალი კვებითი ღირებულების მქონე საზრდოობის პროდუქტებს: ხორცს, რძეს, ცხიმს, ყველსა და კვერცხს; აგრეთვე — გამწევ ცოცხალ ძალას (ცხენს, ხარს, ვირს, ჯორს, აქლემს, ირემს); მრეწველობას — ნედლეულს (ტყავს, მატყლს, ხორცს, რძეს, აბრეშუმს); მეცხოველეობის პროდუქტებიდან და ნარჩენებიდან ამზადებენ ცხოველური

---

[14] პ. გუგუშვილი. საქართველოს და ამიერკავკასიის ეკონომიური განვითარება, XIX-XX სს., ტ. III, თბ., 1959, გვ. 506-507, 529.

[15] ფ. ენგელსი. ბუნების დიალექტიკა, თბ., 1954, გვ. 180.

[16] ვ. გობეჯიშვილი. საჭმლის მომზადების ტექნოლოგია, თბ., 1971, გვ. 28.

წარმოშობის საკვებს (რძეს, შრატს, ძვლის ფქვილს და სხვ.); მეცხოველეობა იძლევა ძვირფას ორგანულ სასუქს — ნაკელს, რომელიც ხელს უწყობს სოფლის მეურნეობის კულტურების მოსავლიანობის გადიდებას; გარდა ამისა, მემცენარეობის პროდუქციის ნარჩენები ეფექტურად გამოიყენება მეცხოველეობაში.

მეცხოველეობას, ისევე როგორც მეურნეობის სხვა დარგებს, თავიდანვე ნატურალური ხასიათი ჰქონდა. ადამიანი ღებულობდა მისგან ხორცს, ახდენდა მის საოჯახო გადამუშავებას და უშუალოდ თვითონ მოიხმარდა ანდა ცვლიდა მისთვის საჭირო სხვა პროდუქტებზე. მეცხოველეობის ამ პროდუქტის გადამუშავებისა და მითვისების ასეთი საოჯახო წესი დიდი ხანია ინარჩუნებს არსებობას და შეიძლება ითქვას, დღესაც მნიშვნელოვანი ადგილი უჭირავს.

საქალაქო ცხოვრების წარმოშობამ და განვითარებამ, ხელოსნობის აღმოცენებამ შეიტანა არსებითი ცვლილება მეცხოველეობის პროდუქტების გადამუშავებაში: იწყება ხორცის ხელოსნური დამუშავება, სოფლის მეჯოგესა და მეცხოველეობის პროდუქტების მომხმარებელს შორის ჩნდება ხელოსანი, იგი იძენს პირუტყვს, კლავს მას და ჰყიდის ბაზარზე; პარალელურად გაჩნდნენ ნედლეულის გადამამუშავებელი ხელოსნებიც, ეს უკანასკნელნი იწყებენ რძიდან ყველის, კარაქის, ერბოს; ხორციდან — ძეხვისა და სხვა პროდუქტების კეთებას; ასევე — ტყავის გამოყენებას. ამრიგად, მეცხოველეობის პროდუქტები ხელოსნური გადამუშავების შედეგად მომხმარებელთან უკვე კვებისა და სხვა პროდუქტების სახით მიდის. ეს პერიოდი დასავლეთ ევროპის ქვეყნებში დაახლოებით XI-XV საუკუნეებში იწყება, ხოლო რუსეთსა და ამიერკავკასიაში — უფრო გვიან. ხელოსნობა საქართველოსა და ამიერკავკასიაში ყველაზე განვითარებულია XVIII ს. ბოლოს და XIX საუკუნის პირველ ნახევარში. ამ დროს, სხვა დარგებთან ერთად, ხელოსნობა საკმაოდ დამკვიდრდა მეცხოველეობის პროდუქციის გადამუშავებაშიც: 1855 წლისათვის მარტო თბილისში 112 ყასაბი, რამდენიმე მეძეხვე და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების გადამამუშავებელი ხელოსანი იყო[17].

მწარმოებლურ ძალთა შემდგომი ზრდის შედეგად, — რამაც განაპირობა კაპიტალისტური წარმოების წესის წარმოშობა, — გამოიწვია მოსახლეობის მოთხოვნილების დონის ზრდა, რომლის დაკმაყოფილება უკვე ხელოსნურ წარმოებას აღარ შეეძლო. ამიტომ იწყება ხელოსნური წარმოების დაშლა და მის ადგილს შედარებით მსხვილი კაპიტალისტური წარმოება იჭერს. კაპიტალისტური წარმოება სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგში სხვადასხვა დოზითა და ფორმით შეიჭრა, თავისებურად დაიწყო მისი განვითარება ხორცის მრეწველობაშიც.

ხელოსნური წარმოების დროს პირუტყვის დაკვლა უშუალოდ ბაზრებთან, ეზოებთან და წვრილ კერძო სასაკლაოებზე ხდებოდა, რის გამო ქალაქებში დიდი ანტისანიტარული მდგომარეობა სუფევდა; ამიტომაც დასავლეთ ევროპის ქვეყნებში XIX საუკუნის დასაწყისიდან უკვე შეიქმნა საზოგადოებრივი სასაკლაოები. ამასთან ერთად, მიღებული იქნა კანონი, რითაც ეკრძალებოდა ყველას, საზოგადოებრივ სასაკლაოს გარდა, პირუტყვის დაკვლა. მეცხოველეობის განვითარებამ, საზოგადოებრივ სასაკლაოებზე პირუტყვის

[17] პ. გუგუშვილი, ამქრული ხელოსნობის დაშლა ამიერკავკასიაში, ეკონომიკის ინსტიტუტის შრომები, ტ. VII, თბ., 1953, გვ. 363-364.

დაკვლის შემოღებამ, სარკინიგზო ტრანსპორტის აღმოცენებამ — შესაძლებელი გახადა გასაყიდად შორ მანძილზე ხორცის წაღება და [illegible] ციათა ფუნქციებად დაყოფა: პირუტყვის შესყიდვა, დაკვლა [illegible] ბაზე გაყიდვა. ამისათვის მეხორცე ხელოსნებს შორის ჩნდება ვაჭარი, რომელიც იძენს პირუტყვს, მიჰყავს იგი მოხმარების ადგილზე, კლავს საზოგადოებრივ სასაკლაოზე და ყიდის ხორცს საცალო მოვაჭრეზე — მეხორცე ხელოსანზე.

ამრიგად, ხორცის დაკვლის ფუნქცია როგორც დამხმარე საქმიანობა ვაჭარზე გადადის, ხოლო მეხორცე ხელოსნები — ყასბები ცალობრივად მოვაჭრენი ხდებიან.

საქართველოში ყველაზე დიდი სასაკლაო იყო თბილისში დღევანდელი ფეხსაცმელების პირველ ფაბრიკის ტერიტორიაზე. ხორცის დამუშავების ყველა ოპერაცია წარმოებდა ხელით, ყოველგვარი სანიტარულ-ჰიგიენური პირობების დაცვის გარეშე. ამის გამო ქალაქის მმართველობის წინაშე დაისვა საკითხი ახალი საზოგადოებრივი სასაკლაოს მშენებლობის შესახებ ჯერ კიდევ 1878 წლის მარტში. 1878-დან 1889 წლამდე იწერებოდა მოხსენებითი ბარათები, მაგრამ მაინც ვერ იქნა მოგვარებული საკითხი საზოგადოებრივი სასაკლაოსათვის მიწის ფართობის გამოყოფის შესახებ. 1889 წელს ქალაქის ადმინისტრაციამ თავისი 9 ივნისის სხდომაზე დაადგინა სასაკლაოს აშენება ნავთლუღში შიმკოვიჩის პროექტის შესაბამისად, რომლის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 166 ათას მანეთს[18]. შიმკოვიჩის მიერ წარმოდგენილი პროექტი საბოლოო არ აღმოჩნდა, რადგან ის დაწუნებული იქნა მმართველობის სანიტარული კომისიის მიერ. ასევე რამდენიმეჯერ იქნა შედგენილი სასაკლაოს პროექტი ინჟინერ ენშისა და საკსაკინსკის მიერ. საბოლოოდ მიღებული თბილისის მთავარი არქიტექტორის — ოგანჯიევის პროექტის სახარჯთაღრიცხვო ღირებულება შეადგენდა 900 ათას მანეთს. 1910 წლის 10 მაისს (32 წლის მსჯელობის შემდეგ) საქალაქო მმართველობამ დაადგინა თბილისში სასაკლაოს აშენება დღევანდელი ხორცკომბინატის ტერიტორიაზე. მშენებლობა დაიწყო 1910 წლის ოქტომბერში და დამთავრდა 1914 წელს.

ახლად აშენებული პირუტყვის სასაკლაო თბილისში, შედარებით პრიმიტიულ სასაკლაოსთან, დიდი მოცულობისა იყო: ჰქონდა რამდენიმე საამქრო და შეეძლო დღე-ღამეში 200 სული მსხვილფეხა და 600 სული წვრილფეხა ცხოველი გადაემუშავებინა. ამ სასაკლაოს ჰქონდა სპეციალური ბაზარი პირუტყვით ვაჭრობისათვის, სადაც ვეტერინალური გასინჯვის შემდეგ ხდებოდა პირუტყვის გაყიდვა. მეპატრონენი პირუტყვს ყიდდნენ ვაჭრებზე, ამ უკანასკნელთ კი ჰქონდათ ხორცის სავაჭრო მაღაზიები. სასაკლაოს შემოსავალს ამ დროისათვის წარმოადგენდა: გადასახადი, რასაც პირუტყვის მფლობელები იხდიდნენ პირუტყვის ბაზარზე დგომისათვის, ვეტერინალური მომსახურებისათვის, დაკვლისა და მაცივრის გამოყენებისათვის (თუ გამოიყენებდა) და სხვა.

გარდა ქ. თბილისისა, კუსტარული ტიპის სასაკლაოები არსებობდა ქუთაისში, ბათუმში, სოხუმში, ფოთში, სამტრედიაში და სხვ. აქედან შედარებით მსხვილი სასაკლაო ქუთაისში

[18] Материалы по вопросу о перестройки новой скотобойни для города Тифлиса, под ред. Л. И. Хатисова, Тифлис, 1908, стр. 1-3.

იყო, სადაც 1913 წელს დაიკლა 13486 სული მსხვილფეხა და 933 სული წვრილფეხა საქონელი, აგრეთვე — 2031 სული ღორი[19].

ეროვნული ბიბლიოთეკა

საქართველოში არსებობდა კერძო სასაკლაოები და სასაკლაო პუნქტები, რომელთა უდიდესი ნაწილი მოთავსებული იყო უბრალო ხის ფარდულებში და ვერ აკმაყოფილებდა სანიტარულ-ტექნიკურ ელემენტალურ მოთხოვნებს: არ ჰქონდათ გაყვანილი წყალი, კანალიზაცია, რის გამოც მათ ახლო-მახლო დიდი ანტისანიტარია სუფევდა. პრიმიტიული იყო ტექნიკაც. ცხოველთა დაკვლა და ხორცის დამუშავება მხოლოდ ხელის დანებით წარმოებდა. სასაკლაოების მთელ საქმიანობას ძირითადად პირუტყვის დაკვლა და მისგან ხორცის მიღება შეადგენდა. არ ხდებოდა ხორცის სხვა პროდუქტებად გადამუშავება. სასაკლაოებთან არ იყო ორგანიზებული ძეხვის კეთებაც კი. ამ უკანასკნელს მხოლოდ ცალკეული კერძო პირები ეწეოდნენ. საქართველოში ისე, როგორც მთელს ამიერკავკასიაში, ნაკლებად იყო განვითარებული სახორცე მესაქონლეობა, რაც მეურნეობის ამ დარგის ნაკლები ბუნებრივი ხელსაყრელი პირობებით იყო განპირობებული; ამის გამო მოსახლეობის მოთხოვნილება ხორცზე ძირითადად მოყვანილი პირუტყვის დაკვლის შედეგად მიღებული ხორცით იფარებოდა. თბილისის ბაზარზე პირუტყვი შემოდიოდა: ჩრდილო კავკასიიდან, ბაქოს, ერევნის, თბილისის (უმთავრესად — ბორჩალოს მაზრა) გუბერნიებიდან და ყარსის ოლქიდან.

900-იანი წლებისათვის და 1915 წლამდე თბილისის ბაზარზე საშუალოდ ყოველწლიურად 65-90 ათასი მსხვილფეხა რქოსანი და 200-250 ათასი წვრილფეხა პირუტყვი იყიდებოდა. აქედან 70-80% თბილისის სასაკლაოებზე იკვლებოდა.

ცხრილი 2

თბილისის სასაკლაოზე დაკლული პირუტყვის რაოდენობა (1892—1915 წწ.)[20]

| პირუტყვის დასახელება | წ ლ ე ბ ი | | | | | | 1915 წელს 1891 წლის მიმართ (%-ით) |
|---|---|---|---|---|---|---|---|
| | 1892 | 1895 | 1896 | 1904 | 1913 | 1915 | |
| მსხვილფეხა | 44036 | 48139 | 58498 | 63222 | 75999 | 102732 | 233,2 |
| წვრილფეხა | 62440 | 109258 | 185726 | 188166 | 157784 | 230394 | 369,0 |
| ს უ ლ . . | 106476 | 157397 | 244224 | 251388 | 233783 | 333126 | 312,8 |

როგორც ცხრილიდან ჩანს, პირუტყვის დაკვლა თბილისის სასაკლაოზე ყოველწლიურად მატულობდა, რაც იმის დამადასტურებელია, რომ თბილისის მოსახლეობაში სწრაფად იზრდება მოთხოვნილება ხორცზე და, განსაკუთრებით, წვრილფეხა საქონლის — ცხვრის, თხისა და ღორის — ხორცზე, მოსახლეობის ეს მზარდი მოთხოვნილება არსებითად თბილისის ამ სასაკლაოთი კმაყოფილდება.

ამრიგად, ოქტომბრის სოციალისტურ რევოლუციამდე საქართველოში ხორცის მრეწველობის როგორც დამოუკიდებელი დარგი, რომელშიც რო-

[19] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", 1927, № 12, გვ. 92.

[20] პ. გუგუშვილი. საქართველოსა და ამიერკავკასიის ეკონომიკური განვითარება XIX-XX სს., თბ., 1959, ტომი მესამე, გვ. 801.

გორც ერთიანი პროცესი ჩართული პირუტყვის დაკვლიდან დაწყებული კვე-ბის და ტექნიკური საჭიროებისათვის სხვადასხვა პროდუქტების გადამუშავებით ქეჩვისა და ხორცის ნახევარფაბრიკატებით გათავებული, არ არსებობდა. ხორცის წარმოება ამ პერიოდში სავაჭრო კაპიტალისა და სოფლის მეურნეობის დამხმარე ფუნქცია იყო, რომლის წარმოებრივი გადამუშავება არსებითად მხოლოდ პირუტყვის სასაკლაოზე დაკვლაში მდგომარეობდა.

მეცხოველეობის პროდუქციის ნამდვილი მრეწველური გადამუშავება კვების მრეწველობის სხვა რიგ დარგებთან ერთად, არსებითად, საქართველოში მხოლოდ საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ დაიწყო და განვითარდა; ამასთან, დაემთხვა იმ პერიოდს, როცა მთელი ჩვენი ქვეყნის მასშტაბით დაიწყო სახალხო მეურნეობის აღდგენის პერიოდი და მიღებულ იქნა ახალი ეკონომიკური პოლიტიკა (ნეპი) რაც ნიშნავდა კერძო ვაჭრობისა და მრეწველობის დროებით დაშვებას; ხორცის წარმოება-რეალიზაცია სხვა დარგებთან ერთად, არსებითად, კერძო კაპიტალს დაუკავშირდა.

თუ საქართველოში 1913 წელს სულ დამზადებული იქნა 982585 ფუთი ხორცი, აქედან: მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვისა — 689713 ფუთი, წვრილფეხა საქონლისა — 204281 ფუთი, ხოლო ღორისა — 88566 ფუთი; 1924 წელს დამზადდა მთლიანად 926967 ფუთი ხორცი ანუ 1913 წლის 94%, აქედან: მსხვილფეხა საქონლის ხორცი დამზადდა 696684 ფუთი, წვრილფეხა საქონლისა — 145915 ფუთი, ხოლო ღორის ხორცისა — 84368 ფუთი[21] როგორც ჩანს, ხორცის წარმოების შემცირება ძირითადად წვრილფეხა პირუტყვის ხარჯზე ხდებოდა, რომელზედაც მოთხოვნილება თითქმის მთლიანად ადგილობრივი რესურსებით კმაყოფილდებოდა, ხოლო მსხვილფეხა საქონლის ხორცის 20-25% შემოდიოდა მოძმე საბჭოთა რესპუბლიკებიდან.

საქართველოში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების პირველი დღეებიდანვე ხორცისა და მეცხოველეობის სხვა პროდუქტების დამზადებაში ფართოდ გავრცელდა კოოპერაცია. ყველაზე დიდი კოოპერაციული ორგანიზაცია, რომელიც უმთავრესად ხორცის დამზადებას მისდევდა, იყო „წარმოკავშირი", რომელიც ჩამოყალიბდა 1923 წელს და 1925 წლამდე არსებობდა. 1925 წლიდან ეს საქმიანობა გააგრძელა მეორე კოოპერაციულმა ორგანიზაციამ — „სოფლის კავშირმა". ხორცის ბაზრის მოწესრიგების მიზნით, საქართველოს შინაგანი ვაჭრობის სახალხო კომისარიატის ინიციატივით, კავშირში ჩატარებული ღონისძიების მსგავსად 1924 წელს დაარსდა სააქციო საზოგადოება „მიასოტორგი", რომელმაც თავისი საქმიანობა დაიწყო 300 ათასი მანეთი ძირითადი თანხით. ეს ორგანიზაცია პირუტყვის შეძენას, ხორცით მოსახლეობის მომარაგების უზრუნველყოფის მიზნით, საქართველოს ფარგლებს გარეთ ახდენდა. პარალელურად ხორცით ვაჭრობას აწარმოებდნენ კერძო პირებიც.

ახალგაზრდა საბჭოთა საქართველოში თუ რა რაოდენობის ხორცის პროდუქცია მოიხმარებოდა, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს ქვემოთ მოყვანილი ციფრები: მარტო 1923-1924 წელს საქართველოში დაკლული იქნა 27849 მსხვილფეხა, 59733 წვრილფეხა პირუტყვი და 8490 ღორი; დამზადდა 24 ტონა ძეხვის ნაკეთობა და სხვა. მათი მთლიანი ღირებულება შეადგენდა 142074 მანეთს (ჩერვონეცით)[22]. თუ რამდენად ჩამორჩებოდა სასაკლაოების მაჩვენებ-

---

[21] ვ ი ნ ტ ა რ ი. საქართველოს სასოფლო-სამეურნეო პროდუქცია და მისი რეალიზაცია, ჟურნ. „ეკონომისტი", 1925, № 4, გვ. 32-33.

[22] Промышленность Закавказья, 1928, стр. 95.

ლები ომამდელ დონეს და როგორ მუშაობდნენ იმ დროისათვის ისინი, ამაზე წარმოდგენას გვაძლევს ქუთაისის სასაკლაოს მონაცემები:

ქუთაისის სასაკლაოში დაკლული პირუტყვის რაოდენობა და წონა 1913—1926 წლებში[23]

| დაკლული პირუტყვის რაოდენობა (სული) | მსხვილფეხა | | წვრილფეხა | | ღორი | | სულ | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| წლები | აბსოლუტური | %%-ით 1913 წლის მიმართ | აბსოლუტური | %%-ით 1913 წლის მიმართ | აბსოლუტური | %%-ით 1913 წლის მიმართ | აბსოლუტური | %%-ით 1913 წლის მიმართ |
| 1913 | 13485 | 100 | 993 | 100 | 2031 | 100 | 16410 | 100 |
| 1920 | 7323 | 54,4 | 2725 | 274,1 | 634 | 31,2 | 10682 | 65,0 |
| 1924 | 4611 | 34,2 | 2605 | 262,3 | 558 | 27,5 | 7774 | 47,3 |
| 1926 | 5770 | 42,8 | 3985 | 401,3 | 900 | 44,3 | 10655 | 64,9 |
| **დაკლული პირუტყვის წონა (ფუთი)** | **მსხვილფეხა** | | **წვრილფეხა** | | **ღორი** | | **სულ** | |
| **წლები** | **აბსოლუტური** | **%%-ით 1913 წლის მიმართ** | **აბსოლუტური** | **%%-ით 1913 წლის მიმართ** | **აბსოლუტური** | **%%-ით 1913 წლის მიმართ** | **აბსოლუტური** | **%%-ით 1913 წლის მიმართ** |
| 1913 | 78838 | 100 | 870,5 | 100 | 6093 | 100 | 85801.5 | 100 |
| 1920 | 42587 | 54,1 | 2361 | 271 | 1902 | 31,2 | 46850 | 54,6 |
| 1924 | 29518 | 37,4 | 2087 | 239 | 1557 | 25,5 | 33162 | 38,6 |
| 1926 | 35149 | 44,6 | 2758,6 | 316,3 | 2356 | 38,6 | 40263,6 | 46,9 |

როგორც ცხრილიდან ირკვევა, ქუთაისში აღდგენითი პერიოდის დამთავრებისათვის, მიუხედავად იმისა, რომ საქონლის დაკვლა მნიშვნელოვნად გაიზარდა, მაინც დიდად ჩამორჩებოდა 1913 წლის დონეს; კერძოდ, 1926 წელს მთლიანად დაკლული იქნა 1913 წელს დაკლული საქონლის 46,9%. ცალკეული სახეობის პირუტყვის საერთო რაოდენობაში შეიმჩნევა, რომ წვრილფეხა საქონლის რიცხვი ამ პერიოდში ორჯერ გაიზარდა; მაგრამ წვრილფეხა საქონელი შედარებით მცირე წონისაა და ამიტომ მას არ შეეძლო დიდი გავლენის მოხდენა დაკლული პირუტყვის ხორცის წონის საერთო რაოდენობაზე. ცალკეულ სასაკლაოებში პირუტყვის დაკვლის ასეთი დაბალი დონე იმას არ ნიშნავს, თითქოს მთლიანად რესპუბლიკაში 1913 წელთან შედარებით საერთოდ დაქვეითებულიყოს ხორცის წარმოება. როგორც ზემოთ აღვნიშნეთ, ხორცის

[23] ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი“, 1927, № 12, გვ. 93.

დამზადებას იმ დროისათვის საქართველოში სხვადასხვა ახალი კოოპერაციული და სხვა ორგანიზაციები აწარმოებდნენ, რამაც ჩვენს [illegible] ხატულება ვერ პოვა. ამიტომ უნდა ვივარაუდოთ, რომ ხორცის წარმოების ომამდელი დონე იმ პერიოდისათვის თითქმის აღდგენილი იყო.

სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად ხორცის მრეწველობის სწრაფი განვითარება, მისი სოციალისტურ ყაიდაზე გარდაქმნა და ტექნიკური რეკონსტრუქცია, არსებითად, სახალხო მეურნეობის აღდგენის დამთავრების შემდეგ, სოციალისტური ინდუსტრიალიზაციის პერიოდიდან დაიწყო. ინდუსტრიალიზაცია, — რაც ჩვენს ქვეყანაში 1926 წლიდან დაიწყო და რომელმაც ფაქტიურად გადაწყვიტა სოციალიზმის გამარჯვების ბედი ჩვენს ქვეყანაში, — გულისხმობდა მთელი ჩვენი სახალხო მეურნეობის ტექნიკურ შეიარაღებას, საწარმოთა მაღალმწარმოებლური ტექნიკით აღჭურვას და ამით მთელი ჩვენი ეკონომიკისა და მშრომელთა მატერიალურ-კულტურული დონის მნიშვნელოვან ამაღლებას. „სოციალისტურმა ინდუსტრიალიზაციამ და სახალხო მეურნეობის რეკონსტრუქციამ ახალი ამოცანები დასახა საქართველოს ეკონომიკური განვითარების წინაშე. მტკიცე გეზი იყო აღებული სოციალისტური მრეწველობის კერების შესაქმნელად, დაიწყო ახალი ფაბრიკაქარხნების მშენებლობა, მათი აღჭურვა ახალი მანქანებითა და დანადგარებით. რესპუბლიკაში გაიშალა ელექტროსადგურების, ქვანახშირისა და მანგანუმის მრეწველობის საწარმოების მშენებლობა, ვითარდებოდა მსუბუქი და კვების მრეწველობა"[24].

წარმოებრივი სიმძლავრეების გაფართოების მხრივ დიდი სამუშაო ჩატარდა ჩვენს რესპუბლიკაში: ძირეულად გაფართოვდა თბილისის ხორცკომბინატი; მექანიზირებული სასაკლაოს მოწყობასთან და საძეხვე წარმოების გაფართოებასთან ერთად, ორგანიზებულია ნაწლავების გადამუშავება; გაიზარდა სამაცივრო მეურნეობა და სხვა; მოხდა მსხვილფეხა და წვრილფეხა საქონლის გადამმუშავებელი საამქროების რეკონსტრუქცია, მოწყობილი იქნა გასატყავებლად ნახევრად ავტომატიზებული ბოქსები; მექანიზებული იქნა ასევე ხორცის დაჭრა ხერხემლის გასწვრივ და სხვა. ასეთი ღონისძიების გატარების შედეგად კომბინატის სიმძლავრე ორ ჯერზე მეტად გადიდდა. ომამდელ პერიოდში საქართველოში ორგანიზებული იქნა ხორცის მთელი რიგი ახალი საწარმოები, კერძოდ, ხორცკომბინატები შეიქმნა: ქუთაისში, სოხუმში, ბათუმში, ახალციხეში, ფოთში და სხვა. სასაკლაოები შეიქმნა: გორში, სამტრედიაში, ჭიათურაში და სხვა. თითქმის ყველა ახალ საწარმოებთან ორგანიზებული იქნა ძეხვის საკეთებელი, ცხიმის გადამდნობი საამქროები და ა. შ.

1940 წლისათვის საქართველოში გამომუშავებული იქნა: ხორცი — 11,5 ათასი ტონა, ძეხვი — 2,5 ათასი ტონა, ცხიმი — 2,7 ათასი ტონა და სხვა; გამოიმუშა სულ 18,8 მილიონი მანეთის პროდუქცია (1926-27 წლის უცვლელი ფასებით)[25].

ომამდელ პერიოდში, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, ხორცის მრეწველობის ასეთი განვითარება გახდა მთავარი საფუძველი სამამულო ომის პერიოდში არმიისა და მოსახლეობის კვების პროდუქტებით უზ-

[24] ა. გ უ ნ ი ა. საქართველოს სსრ ინდუსტრია, თბ., 1972, გვ. 8-9.
[25] საქართველოს სსრ სახალხო მეურნეობა სსრკ 50 წლისთავზე, თბილისი, 1972, გვ. 66, 103.

რუნველყოფისა. ომის პერიოდში საბჭოთა ტერიტორიის ნაწილის მტრის მიერ დროებითი ოკუპაციის გამო, ნედლეულის შემცირებასთან ერთად, [illegible]ლად შემცირდა ხორცის მრეწველობის პროდუქცია. ხორცის საწარმოთა მნიშვნელოვანი ნაწილი (დაახლოებით 200-მდე) მტრის ხელში აღმოჩნდა, მნიშვნელოვანი ნაწილი დაინგრა და გაპარტახდა; ზარალი მარტო ხორცის მრეწველობისა ერთ მლრდ მანეთს შეადგენდა, — ამის შედეგად პროდუქციის რაოდენობა დაახლოებით ორნახევარჯერ შემცირდა. ამ პერიოდში, მრავალი მსხვილი საწარმოს მტრის მიერ მიტაცებისა და დანგრევის გამო, დიდი პასუხისმგებლობა დაეკისრა ჩვენი რესპუბლიკის ადგილობრივ რესურსებზე მომუშავე მრეწველურ საწარმოებს. საქართველოს ხორცის მრეწველობა, სხვა მოძმე რესპუბლიკების შესაბამისი დარგის მრეწველობასთან ერთად, ფრონტისა და ზურგის კვების პროდუქტებით უზრუნველყოფის მიზნით, ყოველგვარ სიძნელეს ძლევდა და ახერხებდა პროდუქციის რაც შეიძლება მაქსიმალურ გამოშვებას.

ხორცის მრეწველობამ, სახალხო მეურნეობის სხვა დარგებთან ერთად, სერიოზულ განვითარებას ომის შემდგომ პერიოდში მიაღწია. სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის აღდგენისა და განვითარების 1946-1950 წლების ხუთწლიანი გეგმის მთავარ ამოცანას შეადგენდა მრეწველობის, სოფლის მეურნეობის, ტრანსპორტის ომამდელი დონის აღდგენა და შემდეგ ამ დონის მნიშვნელოვანი გადაჭარბება. ამ დიდი დავალების შესრულებისათვის პირველ რიგში საჭირო იყო ხორცის მრეწველობას იმ საწარმოების აღდგენა, რომლებიც ომის დროს გამოვიდა მწყობრიდან, ასევე ახლის მშენებლობა; დიდი ყურადღება ექცეოდა საწარმოების ტექნიკურად შეიარაღებასა და ახალი კომბინატების მშენებლობას. ხუთწლიანი გეგმის ეს დავალებები წარმატებით შესრულდა. ჩვენი ქვეყნის ხორცის მრეწველობის მიერ გამოშვებულმა პროდუქციამ ხუთწლედის ბოლოსათვის გადააჭარბა ომამდელ დონეს (იხ. ცხრილი 4).

ცხრილი 4

საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის ძირითადი სახეობის პროდუქციის წარმოების დინამიკა 1940—1960 წლებში [26]

| წლები | ხორცი | | ძეხვეული | |
|---|---|---|---|---|
| | ტონობით | %-ით 1940 წელთან | ტონობით | %-ით 1940 წელთან |
| 1940 | 10005 | 100,0 | 2450 | 100.0 |
| 1950 | 11466 | 114,6 | 4222 | 172.3 |
| 1956 | 18597 | 185.9 | 7457 | 304,4 |
| 1957 | 22444 | 224.3 | 7342 | 229,7 |
| 1958 | 18907 | 189.0 | 8336 | 340,2 |
| 1959 | 25630 | 256,2 | 8754 | 357,3 |
| 1960 | 29462 | 234,5 | 10125 | 413,3 |

[26] ცხრილი დამუშავებულია ჩვენ მიერ შემდეგი წყაროს საფუძველზე: Мясная промышленность Советской Грузии за 40 лет, Тб., 1961, стр. 7.

როგორც ცხრილიდან ჩანს საქართველოს სსრ ხორცის წარმოება 10005 ტონიდან (1940 წ.) გაიზარდა (1960 წ.) 29462 ტონამდე ანუ 294,6 პროცენტით, ხოლო ძეხვეულის — შესაბამისად, 2450 ტონიდან — 10125 ტონამდე ანუ 4,1-ჯერ; ამას დიდად შეუწყო ხელი ნედლეულის ბაზის განვითარებასთან ერთად, ხორცის ახალი საწარმოების მშენებლობამ.

1940 წლისათვის რესპუბლიკაში ხორცის გადამამუშავებელი 12 საწარმო იყო: თბილისის, ქუთაისის, სამტრედიის, სოხუმის, ფოთის, ახალციხის, გორის, ჭიათურის, ბორჯომის, თელავის, ხაშურისა და ბათუმის ხორცკომბინატები. 1960 წლისათვის ხორცის მრეწველობის საწარმოთა რაოდენობა 20-მდე გაიზარდა, რომელთა წარმოებრივი სიმძლავრე შეადგენდა 180 ტონა ხორცისა და 50 ტონა ძეხვეულის ნაწარმს. ექსპლოატაციაში გადაეცა გაგრის, რუსთავის, თელავისა და სხვა ხორცკომბინატები; აგრეთვე — წყალტუბოსა და ტყიბულის ძეხვეულის ქარხნები; თბილისის, სოხუმის ჭიათურისა და ბორჯომის ხორცკომბინატები რეკონსტრუირებული და გაფართოებულია. სწრაფი ტემპით იზრდება საქართველოს ხორცის მრეწველობა შემდგომ პერიოდშიც. თუ როგორ შეიცვალა ამ დარგის ძირითადი მაჩვენებლები 1960-1973 წლებში ჩანს მე-5 ცხრილიდან.

ცხრილის მონაცემებიდან ყურადღებას იპყრობს ის, რომ აღნიშნულ პერიოდში გაიზარდა როგორც ხორცისა და ძეხვეულის წარმოება, ასევე მეცხოველეობის მთლიანი პროდუქცია, ძირითადი წარმოებრივი ფონდები და მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალი. განსაკუთრებით ჩქარი ტემპით იზრდებოდა მთლიანი პროდუქცია და ძეხვეულის წარმოება. ასე, მაგალითად: მთლიანი პროდუქცია 1973 წელს 1960 წელთან შედარებით თითქმის სამჯერ გაიზარდა და შეადგინა 51613 ათასი მანეთი, ხოლო ძეხვეულის წარმოება — ორ ჯერზე მეტად და 1973 წელს შეადგინა 20642 ტონა. 1960-1973 წლებში ხორცის მრეწველობის ასეთ ზრდას დიდად შეუწყო ხელი ნედლეულის ბაზის განვითარებამ. ასე, მაგალითად: თუ 1960 წელს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მიერ შესყიდული იქნა 61141 ტონა პირუტყვი, 1973 წელს პირუტყვის შესყიდვა გაიზარდა 81574 ტონამდე. გარდა ამისა, 1973 წელს რესპუბლიკათაშორისი მოწოდების წესით შემოსულია 8819 ტონა პირუტყვი უკრაინიდან და კრასნოდარის მხარიდან, თუმცა გეგმით უნდა მოეწოდებიათ 12 ათასი ტონა.

1966-1973 წლები ხასიათდება ხორცის მრეწველობაში კაპიტალურ დაბანდებათა მოცულობის გადიდებით. მაგალითად, 1966-1970 წლებში საქართველოს ხორცის მრეწველობაში დაბანდებული იყო 14984 ათასი მანეთი, ხოლო 1970-1973 წლებში — 16125 ათასი მანეთი. 1960-1973 წლებში ექსპლოატაციაში გადაეცა შემდეგი საწარმოები: გაგრის, მახარაძის, წნორის, ბოგდანოვკის, სოხუმის, წითელწყაროს ხორცკომბინატები. აღნიშნულ პერიოდში რეკონსტრუირებულია ბორჯომის, რუსთავის, ცხინვალის, ქუთაისის, სამტრედიის, წყალტუბოს, ბათუმის ხორცკომბინატები. ჩატარებული ღონისძიებების შედეგად საგრძნობლად გაიზარდა წარმოებრივი სიმძლავრეები. მაგალითად, თუ 1960 წელს საქართველოს ხორცის მრეწველობის წარმოებრივი სიმძლავრე იყო 152 ტონა ხორცისა და 32 ტონა ძეხვეულის გადამუშავება, 1973 წელს მან შესაბამისად 259 და 64,4 ტონა შეადგინა.

[illegible] 1960–1973 [illegible]

| [illegible] | [illegible] | 1960 | 1965 | 1966 | 1967 | 1968 | 1969 | 1970 | 1971 | 1972 | 1973 | [illegible] |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| [illegible] | [illegible] | 15876 | 25500 | 29107 | 39372 | 38067 | 35475 | 41897 | 47547 | 51905 | 45911 | 171,1 |
| [illegible] | | | | | | | | | | | | |
| ა. [illegible] | » | 17273 | 11086 | 11134 | 22357 | 22117 | 21198 | 18455 | 17925 | 15085 | 21100 | 122,7 |
| ბ. [illegible] | » | 6357 | 6225 | 10702 | 11882 | 9225 | 9426 | 17795 | 23258 | 25730 | 22378 | 344,3 |
| გ. [illegible] | » | 1951 | 2010 | 3211 | 2018 | 4283 | 2524 | 3150 | 3744 | 3561 | 3465 | 117,5 |
| დ. [illegible] | » | 1166 | 24 | 18 | 15 | 9 | 18 | 16 | 31 | 52 | 190 | 16,3 |
| [illegible] | » | 10125 | 11447 | 12520 | 13258 | 15464 | 15925 | 17199 | 17454 | 19051 | 10542 | 103,9 |
| [illegible] | [illegible] | 79770 | 62967 | 75205 | 13324 | 102032 | 103729 | 123004 | 134272 | [illegible] | 151613 | 255,3 |
| [illegible] | » | 9923 | 11555 | 11578 | 12745 | 13676 | 10093 | 14374 | 14257 | 18556 | 22695 | 228 |
| [illegible] | » | 1511 | 1952 | 2062 | 2115 | 2387 | 2742 | 2345 | 2419 | 2744 | 2815 | 185,3 |

[1] [illegible]

[illegible]

1960-1973 წლები ხასიათდება აგრეთვე ნედლეულის კომპლექსური გამოყენებით და სამაცივრო მეურნეობის განვითარებით. ხორცისა და ძეხვეულის ასორტიმენტისა და ხვედრითი წონის შესახებ მონაცემები მოყვანილია მე-6 ცხრილში.

ცხრილიდან ირკვევა, რომ საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის სამინისტროს ხაზით ძირითადად საქონლის, ღორისა და ცხვრის ხორცი იწარმოება; ამასთან თითქმის ნახევარი მოდის ღორის ხორცის წარმოებაზე და ის ხასიათდება განვითარების განსაკუთრებით მაღალი ტემპებით. მაგალითად, თუ 1960 წელს წარმოებულია 6314 ტონა ღორის ხორცი, 1972 წელს — 25730 ტონა ანუ 4-ჯერ მეტი. დადებით მოვლენად უნდა ჩაითვალოს საქონლის ხორცისა და პირველი კატეგორიის სუბპროდუქტების წარმოების გადიდება. 1960-1972 წლებში საგრძნობლად შემცირდა ფრინველის ხორცის წარმოება, რაც მეფრინველეობის სპეციალიზებული მეურნეობების შექმნის შედეგია. ცხრილის მონაცემებიდან ჩანს აგრეთვე, რომ საქართველოში წარმოებული ძეხვეულის ასორტიმენტი მეტად მცირეა. მაგალითად, 1960-1972 წლებში ძირითადად 5 სახის ძეხვეული იწარმოებოდა. ცხრილიდან ირკვევა აგრეთვე, რომ როგორც აბსოლუტურად, ისევე ხვედრითიწონის მიხედვით განსაკუთრებული ზრდის ტემპით ხასიათდება სოსისისა და სარდელის წარმოება. აღნიშნულ პერიოდში იზრდება აგრეთვე მაგარი და შებოლილი სახის ძეხვეულის წარმოება, რაც მასზე მოთხოვნილების ზრდაზე მიგვანიშნებს.

საქართველოს ხორცის მრეწველობის საწარმოთა მუშაობის დამახასიათებელი ძირითადი მაჩვენებლები ასეთია: 1973 წელს საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს უშუალო დაქვემდებარებაში იყო ხორცის მრეწველობის 16 საწარმო. გარდა ამისა, ბათუმის ხორცკომბინატის დაქვემდებარებაშია დამოუკიდებელ ბალანსზე მყოფი მახარაძის ხორცკომბინატი, ბორჯომის ხორცკომბინატისა — ხაშურის ხორცკომბინატი და ბოგდანოვკის პირუტყვის სასაკლაო პუნქტი. თბილისის ხორცკომბინატისა — გურჯაანისა და წითელწყაროს ხორცკომბინატები, მარნეულის, მცხეთის, დუშეთის, ლაგოდეხის, თეთრიწყაროს და წალკის პირუტყვის სასაკლაო პუნქტები; აგრეთვე ორგანოთერაპევტების ქარხანა თბილისში. 1973 წელს მათ გამოუშვეს 51,6 მლნ მანეთის მთლიანი პროდუქცია და მიიღეს 15,5 მლნ მანეთის მოგება. ხორცის მრეწველობაში დასაქმებული იყო 3672 კაცი, ხოლო ძირითადი ფონდების ღირებულება 22695 ათას მანეთს შეადგენდა. ხორცის მრეწველობის საწარმოებიდან მთლიანი პროდუქციის წარმოების მოცულობის მიხედვით გამოირჩევიან თბილისის, სოხუმის, და ბათუმის ხორცკომბინატები. 1972 წელს მათ გამოუშვეს 87 665 ათასი მანეთის მთლიანი პროდუქცია, ანუ მთელი რესპუბლიკის ხორცის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 60 პროცენტზე მეტი.

აღსანიშნავია, რომ ხორცის მრეწველობის საწარმოებს შორის თბილისის ხორცკომბინატი ყველაზე მსხვილი საწარმოა. 1973 წელს მასზე მოდიოდა რესპუბლიკის ხორცის მრეწველობის მთლიანი პროდუქციის 42,0 პროცენტი, მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალის 45,0 და ძირითადი-წარმოებრივი ფონდების 23,0 პროცენტი.

რესპუბლიკის კვების მრეწველობის დარგობრივ სტრუქტურაში ხორცის მრეწველობის პროდუქციის ხვედრითი წონა 1972 წელს, მთლიანი პროდუქციის მიხედვით, 8,2 პროცენტს, მრეწველურ-წარმოებრივი პერსონალისა — 4,3,

საქართველოს სსრ ხორცის მრეწველობის ძირითადი სახეობის პროდუქციის ასორტიმენტი და მისი ხვედრითი წონა*

| პროდუქციის სახეობა | 1960 წ. | | 1965 წ. | | 1970 წ. | | 1971 წ. | | 1972 წ. | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | ტონა | ხვედრითი წონა | ტონა | ხვედრითი წონა | ტონა | ხვედრითი წონა | ტონა | ხვედრითი წონა | ტონა | ხვედრითი წონა |
| ხორცი სულ | 29076 | 100,0 | 25540 | 100,0 | 41807 | 100,0 | 47545 | 100,0 | 51825 | 100,0 |
| მათ შორის: | | | | | | | | | | |
| საქონლის | 17083 | 58,1 | 14981 | 58,7 | 19455 | 44,1 | 17927 | 37,7 | 19606 | 37,8 |
| ღორის | 6314 | 21,7 | 6032 | 23,6 | 17796 | 42,6 | 23258 | 48,9 | 25730 | 49,6 |
| ცხვრის | 2946 | 10,1 | 3007 | 11,8 | 3210 | 7,6 | 3744 | 7,9 | 3561 | 6,9 |
| ფრინველის | 102 | 0,3 | 19 | 0,1 | 9 | — | 14 | — | 9 | — |
| [illegible] | 1022 | 3,5 | 15 | — | 13 | — | 15 | — | 40 | 0,1 |
| პირველი კატეგორიის სუბ-პროდუქტები | 1611 | 5,7 | 1485 | 5,8 | 2344 | 5,7 | 2585 | 5,5 | 2879 | 5,6 |
| ძეხვეული ნაწარმი სულ | 10125 | 100,0 | 11147 | 100,0 | 17199 | 100,0 | 17451 | 103,0 | 19061 | 100,0 |
| მათ შორის: | | | | | | | | | | |
| მოხარშული | 3896 | 38,5 | 3823 | 33,4 | 6960 | 40,5 | 6437 | 36,9 | 6410 | 33,6 |
| სოსისი და სარდელი | 1785 | 17,0 | 2666 | 23,3 | 4095 | 23,8 | 4515 | 25,9 | 4590 | 24,1 |
| ნახევრად შებოლილი | 3658 | 36,1 | 3876 | 33,9 | 4558 | 26,5 | 4688 | 26,9 | 5792 | 30,4 |
| [illegible] შებოლილი | 47 | 0,5 | 172 | 1,5 | 618 | 3,6 | 570 | 3,3 | 702 | 3,7 |
| შებოლილი | 476 | 4,7 | 652 | 5,7 | 492 | 2,8 | 807 | 4,6 | 990 | 5,2 |
| [illegible] | 323 | 3,2 | 258 | 2,2 | 476 | 2,8 | 434 | 2,4 | 577 | 3,0 |

* ცხრილი შედგენილია ჩვენ მიერ საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მასალების მიხედვით.

ხოლო ძირითადი წარმოებრივი ფონდების ღირებულების მიხედვით — 3,71 პროცენტს შეადგენდა. საქართველოს სსრ ხორცისა და რძის მრეწველობის სამინისტროს მიმართ ხორცის მრეწველობის ხვედრითი წონა შესაბამისად 74,2, 41,8 და 57,1 პროცენტს შეადგენდა.

საქართველოში 1972 წელს ძირითადად იწარმოებოდა ხორცი, ძეხვი, ნახევარფაბრიკატები, დაფასოებული ხორცი და მშრალი საკვები. მათ შორის განსაკუთრებით დიდი ოდენობით იწარმოება ხორცი და ძეხვი. მაგალითად, 1972 წელს წარმოებულია 51966 ტონა ხორცი და 19060 ტონა ძეხვი. აღნიშნული პროდუქციის წარმოების მოცულობის მხრივაც გამოირჩევიან თბილისის, სოხუმისა და ბათუმის ხორცკომბინატები.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ელგუჯა ჩადუნელი

# მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობის სოციალურ-ეკონომიკური ბუნება*

სოფლის მეურნეობის სოციალისტური გარდაქმნა პროლეტარიატის დიქტატურის ყველაზე რთული ამოცანაა. მშრომელი გლეხობის გადასვლა კოლექტიურ მეურნეობაზე განსაკუთრებული სიფრთხილითა და წინდახედულობით უნდა განხორციელებულიყო, რადგან ყოველგვარი იძულებითი ღონისძიება გამოიწვევდა გლეხობის ჩამოშორებას რევოლუციისაგან. ენგელსი წერდა: „როცა ჩვენ სახელმწიფო ძალაუფლებას დავიპყრობთ, ჩვენ არ ვიფიქრებთ იმაზე, რომ ძალით მოვახდინოთ წვრილი გლეხის ექსპროპრიაცია (სულ ერთია, ანაზღაურებით თუ უამისოდ), როგორც ჩვენ იძულებული ვიქნებით მოვახდინოთ ეს მსხვილი მიწათმფლობელობის მიმართ. ჩვენი ამოცანა წვრილი გლეხის მიმართ, უწინარეს ყოვლისა, ის არის, რომ მათი კერძო წარმოება და კერძო მფლობელობა საამხანაგო გავხადოთ, მაგრამ არა ძალით, არამედ მაგალითით და ამ მიზნით საზოგადოებრივი დახმარების შეთავაზებით"[1]. კოლმეურნეობრივ-კოოპერაციული საკუთრების წარმოშობამ განაპირობა პირადი დამხმარე მეურნეობების არსებობა — როგორც ჩვენი საზოგადოებრივი წყობილების მწარმოებლური ძალების განვითარების აუცილებელი შედეგი. პირადი დამხმარე მეურნეობების სოციალურ-ეკონომიკური ბუნების გარკვევა თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების მნიშვნელოვანი პრობლემაა. ზოგიერთი ეკონომისტის აზრით, პირადი დამხმარე მეურნეობები გარდამავალი ტიპის მეურნეობებია, რაც ჩვენ დაუსაბუთებლად მიგვაჩნია. მეურნეობის ტიპს განსაზღვრავს წარმოების ძირითად საშუალებებზე საკუთრების ესა თუ ის ფორმა, ფილოსოფიური ლექსიკონის მიხედვით. გარდამავალი წარმოებრივი ურთიერთობები ხასიათდება ერთი ეკონომიკური წყობის ფარგლებში სხვადასხვა ტიპის ეკონომიკური ურთიერთობების შეერთებით[2].

პირადი დამხმარე მეურნეობა არ არის დამოუკიდებელი მეურნეობრივი წყობა, იგი ორგანულ კავშირში იმყოფება საზოგადოებრივ მეურნეობასთან და მისი განვითარების დონესთან. პოლიტიკური ეკონომიის ერთ-ერთ სახელმძღვანელოში აღნიშნულია, რომ სოციალიზმის დროს წარმოების საშუალებათა ნაწილი კოლმეურნეთა, აგრეთვე მუშა-მოსამსახურეთა პირადს საკუთრებაშია. მათი მეშვეობით კოლმეურნეები და მუშა-მოსამსახურეები დამხმარე მეურნეობას ეწევიან მათთვის გამოყოფილ მიწის ნაკვეთებზე. კოლმეურნეთა პირადი დამხმარე მეურნეობა თავისი ოდენობით, როგორც წესი, მეტია, ვიდრე მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობა, მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ იგი რაღაც განსაკუთრებულ ეკონომიკურ წყობას წარმოადგენს[3].

---

* იბეჭდება საკითხის განხილვის წესით.

[1] ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. გლეხთა საკითხი საფრანგეთსა და გერმანიაში (კ. მ ა რ ქ ს ი, ფ. ე ნ გ ე ლ ს ი. რჩეული ნაწერები, ტ. II, თბ., 1950, გვ. 524).

[2] Философский словарь, Под ред. М. М. Р о з е н т а л я и П. Д. Ю д и н а , Политиздат, 1968, стр. 292.

[3] Политическая экономия. Социализм—первая фаза коммунистического способа производства, под общ. ред. Г. А. К о з л о в а, М., 1968, стр. 48-49.

ზოგიერთი მკვლევარი უარყოფს პირადი დამხმარე მეურნეობების სოციალისტურ ბუნებას და მას კერძო სექტორს უწოდებს[4]. ამით უნდა აიხსნას, გარკვეული ზომით, პირადი დამხმარე მეურნეობების ის დაუსაბუთებელი შეზღუდვები, რასაც ადგილი ქონდა წლების მანძილზე.

პირადი დამხმარე მეურნეობა დიდ როლს თამაშობს ჩვენი საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების თანამედროვე ეტაპზე და მისი შეუფასებლობა, ადმინისტრაციული მეთოდებით მისი შეზღუდვა დიდ ზიანს აყენებს მთელი საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარებას. პირადი დამხმარე მეურნეობების ლიკვიდაციისათვის აუცილებელია მწარმოებლური ძალების განვითარების ისეთი დონე, რომელიც შესაძლებლობას მისცემს კოლმეურნეობას დააკმაყოფილოს კოლმეურნეთა ყველა მოთხოვნილება საზოგადოებრივი მეურნეობის ხარჯზე. პირადი დამხმარე მეურნეობების არსებობა დაკავშირებულია მწარმოებლური ძალების განვითარების მიღწეულ დონესთან, ამდენად მისი შემდგომი მძლავრი განვითარება ხელს შეუწყობს პირადი დამხმარე მეურნეობების თანდათანობით კვდომის პროცესს, — ეს კი ხანგრძლივი პერიოდის მუშაობის, სოფლად წარმოებრივ ურთიერთობებში თვისობრივი ცვლილებების შედეგი იქნება. საზოგადოებრივი წარმოების განვითარების მაღალ საფეხურზე პირადი დამხმარე მეურნეობა, როგორც შემოსავლის დამატებითი წყარო დაკარგავს თავის მნიშვნელობას, მაგრამ დარჩება დასვენების, შრომის მონაცვლეობის, საცდელი ობიექტებისა და სხვ. სახით. სკკპ პროგრამაში ვკითხულობთ: „გარკვეულ ეტაპზე კოლმეურნეთა საზოგადოებრივი მეურნეობა მიაღწევს განვითარების ისეთ დონეს, როცა შესაძლებელი გახდება მისი რესურსებით სავსებით დაკმაყოფილდეს კოლმეურნეთა მოთხოვნილებანი. ამ საფუძველზე დამხმარე მეურნეობა თანდათანობით დრომოჭმული გახდება ეკონომიურად, როცა კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობა მთლიანად შეცვლის კოლმეურნეთა პირად დამხმარე მეურნეობას, როცა კოლმეურნეები თვითონ დარწმუნდებიან, რომ მათთვის ხელსაყრელი არ არის ჰქონდეთ საკარმიდამო მეურნეობა, ისინი ნებაყოფლობით იტყვიან უარს მასზე"[5]. პირადი დამხმარე მეურნეობების ადმინისტრირების გზით შეზღუდვა უხეში შეცდომაა. სოფლის მეურნეობის განვითარების თანამედროვე დონე არ იძლევა პირადი დამხმარე მეურნეობის ლიკვიდაციის შესაძლებლობას.

საქართველოს სსრ კოლმეურნეობათა საზოგადოებრივი მეურნეობიდან შემოსავალი კოლმეურნეების ოჯახის ბიუჯეტის 25 პროცენტზე ნაკლებს შეადგენს, პირადი დამხმარე მეურნეობიდან კი — 50 პროცენტზე მეტს[6]. ასეთ პირობებში პირადი დამხმარე მეურნეობის შეზღუდვას, შემცირებას დიდი ზიანი მოაქვს თვით საზოგადოებრივი სექტორისათვის.

მიუხედავად იმისა, რომ პროგრამაში პირადი დამხმარე მეურნეობების შესახებ წამოყენებული დებულება თეორიულად მართებული იყო, პრაქტიკულად ზოგან დიამეტრალურად საწინააღმდეგო პროცესს ქონდა ადგილი. ზოგიერთი ხელმძღვანელი მუშაკი დაბეჯითებით ამტკიცებდა, რომ პირადი დამხმარე მეურნეობების არსებობა ხელს უშლიდა საბჭოთა მეურნეობებისა და

[4] იხ. ი. ჩერნიშენკო, გაზ. „პრავდა", 1970 წ., 3 თებერვალი; გ. ჯომარდიძე, ბ. სიმონიშვილი, ვ. გოგოლაშვილი. გაზ. „სოფლის ცხოვრება", 1973, 1 თებერვალი.

[5] „სკკპ XXII ყრილობის მასალები", თბ., 1962, გვ. 473.

[6] Журн. «Вопросы экономики», 1972, № 5, стр. 71.

კოლმეურნეობების, საერთოდ, საზოგადოებრივი სექტორის განვითარებას და სოფლის მეურნეობაში წარმოქმნილი სიძნელეები პირადი დამხმარე მეურნეობების არსებობას გადააბრალა. მათი აზრით, პირადი დამხმარე მეურნეობები უმნიშვნელო როლს ასრულებენ, ხელს უშლიან სახელმწიფო მეურნეობებისა და კოლმეურნეობების მუშახელით უზრუნველყოფას, ამიტომ მოითხოვდნენ მათს მინიმუმამდე შემცირებას. ეს შეცდომა იყო. პირადი დამხმარე მეურნეობების შეზღუდვებმა დიდი ზიანი მიაყენა სახალხო მეურნეობის განვითარებას, მკვეთრად შეამცირა კოლმეურნეობრივ ბაზრებზე პროდუქციის რეალიზაცია და კოლმეურნეობრივი ბაზრის ფასები სერიოზულად გაზარდა, რამაც საგრძნობლად შეაფერხა ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგების რეგულირება.

მკვლევარი გ. მაკეენკო თავის სტატიაში: „Экономическая роль личного подсобного хозяйства", მართებულად აღნიშნავს, რომ პირადი დამხმარე მეურნეობების დაუსაბუთებელი შეზღუდვით მნიშვნელოვნად შემცირდა მეშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების პირად დამხმარე მეურნეობებში მსხვილფეხა რქოსანი პირუტყვის რაოდენობა, კერძოდ, 1965 წ. 1 იანვრისათვის, 1958 წელთან შედარებით, მსხვილფეხა რქიანი პირუტყვი 4,1 მილიონი სულით შემცირდა, მათ შორის ძროხების სულადობა — 2,4 მილიონით, თხისა და ცხვრისა — 2,4 მილიონით და სხვა. პირადი დამხმარე მეურნეობების მთლიანი პროდუქციის მოცულობა 6 წლის განმავლობაში 8 პროცენტით შემცირდა, რამაც გამოიწვია ჩვენს ქვეყანაში სოფლის მეურნეობის განვითარების ტემპების შენელება და რიგი მნიშვნელოვანი დარგების გაპარტახება. 1958-1964 წლებში სოფლის მეურნეობის პროდუქტების ფიზიკური მოცულობა ქალაქის ბაზრებში $^{1}/_{3}$-ით შემცირდა; აქედან: კარტოფილისა და ფრინველის — 30 პროცენტით, ბოსტნეულის — 26 პროცენტით, მეცხოველეობის პროდუქტები კი — თითქმის 40 პროცენტით, ძროხის ხორცისა და რძის გაყიდვა ორჯერ შემცირდა, რამაც ფასების მნიშვნელოვანი ზრდა გამოიწვია. 1958-1964 წლებში საბაზრო ფასები კარტოფილზე გაიზარდა $^{1}/_{3}$-ით, ბოსტნელზე — 23 პროცენტით, საქონლის ხორცსა და რძეზე თითქმის 36 პროცენტით, ფრინველზე — 1,5-ჯერ[7].

პირადი დამხმარე მეურნეობების დაუსაბუთებელმა შეზღუდვებმა დიდი ზიანი მიაყენა ჩვენი ქვეყნის მშრომელი ხალხის კეთილდღეობას, მკვეთრად შემცირდა მათი რეალური შემოსავალი და ცხოვრების დონე. ზოგიერთ ხელმძღვანელს პირადი დამხმარე მეურნეობის კვდომის პროცესის ხელოვნურად დაჩქარება საზოგადოებრივი სექტორის განვითარების პირობად მიაჩნია, რაც სინამდვილეს არ შეეფერება. მკვლევარი ვ. ა. ბელიანოვი მართებულად აღნიშნავს, რომ ჩვენი ქვეყნის განვითარების თანამედროვე ეტაპზე პირადი დამხმარე მეურნეობა გამოდის როგორც საზოგადოებრივი და პირადი ინტერესების შეხამების მძლავრი ფაქტორი. პირადი დამხმარე მეურნეობა მთელი ქვეყნის სოფლის მეურნეობის მთლიანი პროდუქციის თითქმის ერთ მესამედს იძლევა[8]. ამდენად პირადი დამხმარე მეურნეობის მართვა კანონით დაწესებულ ფარგლებში არა თუ ზიანს არ მიაყენებს საზოგადოებრივი წარმოების განვითარებას, არამედ, პირიქით, ზრდის მშრომელთა აქტივობას, მათი ცხოვრების დონეს. მართებულია გ. ი. შმელევის მტკიცებაც, რომ პირადი დამხმარე მეურნეობის წარმოების სრული სურათის მოცემა შეუძლია არა საქონლურ, არამედ მთლიან პროდუქციას[9], ვინაიდან პროდუქციის მნიშვნელოვანი ნაწილი, განსაკუთრებით ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა პირად დამხმარე მე-

[7] Журн. «Вопросы экономики», 1966, № 10, стр. 57.

[8] В. А. Беляйов. Личное подсобное хозяйство при социализме, М., 1970, стр. 51.

[9] Жур. «Вопросы экономики», 1965, № 4, стр. 29.

ურნეობებში, სამომხმარებლო ხასიათისაა. პირადი დამხმარე მეურნეობები მნიშვნელოვან როლს ასრულებენ სოფლის მეურნეობის დამატებითი პროდუქციის წარმოებაში, დამატებითი შრომითი რესურსების დასაქმებაში (დიასახლისები, პენსიონერები, მოზარდები და სხვ.), მშრომელთა შემოსავლების ამაღლებაში.

პირადი დამხმარე მეურნეობების ლიკვიდაციის ცდებმა, შიშველმა ადმინისტრირებამ ჩვენი სახალხო მეურნეობის, პირველ რიგში, თვით საზოგადოებრივი სექტორის განვითარება საგრძნობლად შეაფერხა; მეორე მხრივ, პირადი დამხმარე მეურნეობებისათვის სოფლის მეურნეობის განვითარებაში არსებული სიძნელეების გადაბრალება სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობაში სუბიექტივიზმია. ამის შედეგად მოდუნდა ხელმძღვანელობის ყურადღება საზოგადოებრივ მეურნეობაზე, მის ყოველმხრივ განვითარებაზე, მატერიალური დაინტერესების სრულყოფის გზით ახალგაზრდობის შრომაში ჩაბმაზე.

ჟურნ. „საქართველოს კომუნისტში" ვკითხულობთ: „ზედმეტი არ იქნება შევეხოთ მეურნეობისადმი პარტიული ხელმძღვანელობის ნაკლები ქმედითობის, საერთოდ საზოგადოებრივი წარმოების ამაღლებისათვის ბრძოლის საქმეში არსებულ სერიოზულ ნაკლოვანებათა გამომწვევ ზოგიერთ მიზეზს. ავიღოთ თუნდაც „მუშახელის ნაკლებობის მოტივი", რასაც თითქმის ერთნაირად ხსნიან თერჯოლაშიც და სხვა რაიონებშიც. მაგალითად, აქაურ კოლმეურნეობებში 1971 წელს 5747 შრომისუნარიან წევრიდან შრომადღეების სავალდებულო მინიმუმი ვერ გამოიმუშავა 1067 კოლმეურნემ, 1972 წელს — 5762-დან 840-მა". მიზეზი კი შემდეგშია: „მათ შორის ცოტანი როდი არიან ჯანღონით სავსე ჩვილბავშვიანი დედები, რომლებსაც ბევრგან საბავშვო ბაგებისა და ბაღების უქონლობის გამო საშუალება არა აქვთ აქტიურად ჩაებან საზოგადოებრივ შრომასა და სისხლსავსე ცხოვრებაში. ეს აღელვებთ თერჯოლაშიც, მაგრამ, სამწუხაროდ, ბევრი სხვა საქმის მოგვარებასაც ვერ სწვდება საზოგადოებრივი მეურნეობიდან მიღებული მცირედი შემოსავალი". რაც შეეხება „საკოლმეურნეო შრომაში ახალგაზრდობისა და ყველა შრომისუნარიანი წევრის აქტიურად ჩაბმა, ბევრ ფაქტორთან არის დაკავშირებული. ადამიანებს სოფლად უნდა ჰქონდეთ შრომისა და კულტურული გართობა-დასვენების პირობები, მორალური და მატერიალური დაინტერესება. მაგრამ რა მატერიალურ დაინტერესებაზე შეიძლება ლაპარაკი, როცა 1972 წელს ერთი კაცდღის ანაზღაურებამ სოფელ ჩხარის კოლმეურნეობაში შეადგინა 1,22 მანეთი, ახალი თერჯოლის კოლმეურნეობაში — 1,38, ალისუბნის კოლმეურნეობაში კი — 1,52 მანეთი"[10].

ჩვენი რესპუბლიკის ეკონომიკურსა და კულტურულ მშენებლობაში ბოლო წლებში დაშვებულმა შეცდომებმა ბევრი სხვა უარყოფითი შედეგი მოგვცა. განსაკუთრებით აღსანიშნავია ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლების მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობების საკითხთან დაკავშირებული შეცდომები. მუშებისა და მოსამსახურეების პირადი დამხმარე მეურნეობები წარმოიშვა ჩვენს ქვეყანაში ინდუსტრიალიზაციის პოლიტიკის განხორციელების შედეგად, რაც დაკავშირებული იყო შრომითი რესურსების დიდი რაოდენობით მობილიზაციასთან. ამ დიდი ამოცანის შესრულება შეუძლებელი იყო სოფლის მეურნეობაში ჩაბმული მუშა ხელის გამონთავისუფლების და მათი მრეწველობასა და სახალხო მეურნეობის სხვა დარგებში ჩაბმის გარეშე. ქვეყანაში შექმნილი კონკრეტულ-ეკონომიკური ვითარება, ქალაქისა და ქალაქის ტიპის დასახლებათა განვითარების მაღალი ტემპები წინ უსწრებდა სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მათს ნორმალურ მომარაგებას, რაც დიდ დაბრკოლებას უქმნიდა ქალაქის მოსახლეობის წარმატებით

[10] იხ. ჟურნ. „საქართველოს კომუნისტი", 1973, № 7, გვ. 74-75.

10 „მაცნე", ფილოსოფიის... სერია, 1974, № 1.

მუშაობას. ამ გარემოებამ განაპირობა სოფლიდან ჩამოსული მუშებისა და მოსამსახურეებისათვის პირადი დამხმარე მეურნეობების შენარჩუნება. ეს პირადი დამხმარე მეურნეობები დიდ როლს ასრულებდნენ ქალაქის მოსახლეობის სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგებაში.

პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარებამ ფართო ხასიათი მიიღო დიდი სამამულო ომის წლებში, რაც მუშახელის ნაკლებობით იყო ნაკარნახევი. საჭირო გახდა ქალაქის მშრომელი ხალხი ჩაებათ სოფლის მეურნეობაში. აღნიშნული ღონისძიების გატარება სასარგებლო იყო როგორც საზოგადოებრივი მეურნეობისათვის, აგრეთვე, ქალაქის მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებიც სოფლის მეურნეობის პროდუქტების დიდ ნაკლებობას განიცდიდნენ. ომის წლებში, პირადი დამხმარე მეურნეობების ეკონომიკური მნიშვნელობა საგრძნობლად დიდი იყო, იგი პირადი და სახელმწიფოებრივი ინტერესების ჰარმონიული შეხამების მძლავრი ბერკეტი გახდა.

თუ ომის დასაწყისში დაახლოებით 3 მლნ პირადი დამხმარე მეურნეობა იყო, 1946 წლისათვის მათი რიცხვი 18 მილიონამდე გაიზარდა. მუშებისა და მოსამსახურეების საბოსტნე ნაკვეთებიდან მიიღეს 35 მილიონ ტონაზე მეტი კარტოფილი და ბოსტნეული[11].

მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობების რაოდენობრივი ზრდა ომის წლებში შექმნილმა მძიმე ეკონომიკურმა მდგომარეობამ განაპირობა. სხვა მიმართულებით წარიმართა პირადი დამხმარე მეურნეობების განვითარება ომის შემდგომ პერიოდში. მატერიალური დაინტერესების გარდა, პირად დამხმარე მეურნეობებს ის მნიშვნელობაც აქვს, რომ შრომითი საქმიანობის მონაცვლეობა დიდ როლს ასრულებს, განსაკუთრებით იმ კატეგორიის მუშა-მოსამსახურეებისათვის, რომლებიც მიწის ქვეშა სამუშაოებს ასრულებენ. მათთვის აუცილებელია სუფთა ჰაერზე ხანგრძლივად ყოფნა.

პირადი დამხმარე მეურნეობები დიდ როლს ასრულებს მძიმე და ჯანმრთელებისათვის მავნე სამუშაოებზე დასაქმებული მუშა-მოსამსახურეების შრომითი აქტივობის გაძლიერების საქმეში. სხვადასხვა კატეგორიის მუშა-მოსამსახურეების ოჯახის ბიუჯეტში პირადი დამხმარე მეურნეობების როლი განსხვავებულია. განსაკუთრებით დიდი მნიშვნელობა აქვს პირად დამხმარე მეურნეობებს იმ ქალაქის მუშა-მოსამსახურეებისათვის, სადაც სოფლის მეურნეობის პროდუქტებით მომარაგება სათანადო დონეზე არ დგას. რაც შეეხება ისეთ ქალაქებს, როგორიც მოსკოვი და ლენინგრადია, სადაც ორგანიზებული ვაჭრობის არხებით მოსახლეობა კარგად მარაგდება სოფლის მეურნეობის პროდუქტებით, პირადი დამხმარე მეურნეობების როლი — უმნიშვნელოა.

ზოგიერთი მონაცემით, მიწათსარგებლობის ინდივიდუალურ ფორმებთან ქალაქისა და ქალაქის ტიპის თითქმის 40 მილიონზე მეტი მოსახლეობაა დაკავშირებული[12]. ინდივიდუალური მებაღეობისა და მებოსტნეობის პარალელურად ფართოდ ვითარდება კოლექტიური მებაღეობა, რისთვისაც ცალკეულ ოჯახებზე გამოყოფილი ნაკვეთების ოდენობა 0,06 ჰექტარიდან (ქალაქის ზონაში) 0,12 ჰექტარამდე (ქალაქის გარეთ) მერყეობდა.

---

[11] Г. И. Шмелев. Личное подсобное хозяйство и его связи с общественным производством, М., 1971, стр. 149.

[12]. В. Я. Балезин, Право землепользования граждан, проживающих в городской местности, М., 1970, стр. 83.

სსრკ მინისტრთა საბჭოს 1949 წლის 24 თებერვლის დადგენილება, რომელიც კოლექტიური და ინდივიდუალური მებაღეობის განვითარებას [illegible]ბოდა, ითვალისწინებდა იმ მუშა-მოსამსახურეთა უზრუნველყოფას [illegible] მიწის ნაკვეთებით, რომლებსაც იგი არ გააჩნდათ. დიდი ყურადღება ექცეოდა აღნიშნული მიზნებისათვის ქალაქების, სოფლების, რკინიგზებისა და გზატკეცილების ირგვლივ თავისუფალი მიწების გამოყენებას. მუშა-მოსამსახურეთათვის გამოყოფილი მიწები განთავისუფლებული იყო გადასახადისაგან. ცხოვრებაში ამ დადგენილების გატარებამ დიდი როლი შეასრულა მებაღეობა-მებოსტნეობის განვითარებაში. სოფლის მეურნეობის აღმავლობა შესამჩნევი გახდა, რამაც სახელმწიფოს შესაძლებლობა მისცა ქალაქის მოსახლეობა სოფლის მეურნეობის იაფი პროდუქტებით უკეთ მოემარაგებინა. შემდგომ პერიოდში, ადგილი ქონდა პირადი დამხმარე მეურნეობების შემცირებას და კოლექტიური მებაღეობის განვითარება შეჩერებული იქნა, რომელიც კვლავ აღდგა 1964 წლის 27 ოქტომბრის სსრკ მინისტრთა საბჭოს დადგენილების საფუძველზე, რომელმაც გააუქმა პირადი დამხმარე მეურნეობების დაუსაბუთებელი შეზღუდვები. ამას თავისი გამართლება ჰქონდა; კერძოდ, როგორც გ. ი. შმელევმა მართებულად აღნიშნა, კოლექტიური მებაღეობის განვითარებამ მრეწველური ცენტრების საქარხნო კოლექტივებში მნიშვნელოვანი გაქანება პოვა. საწარმოებისა და დაწესებულებების ხუთდღიან სამუშაო კვირაზე გადასვლამ კოლექტიური მებაღეობის განვითარებას ახალი სტიმული მისცა.

კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარებას მძლავრი ბიძგი მისცა მრეწველურ ქალაქებში საბინაო მშენებლობის განვითარებამ. ის მუშები და მოსამსახურენი, რომლებიც ადრე ინდივიდუალურ ბინებში ცხოვრობდნენ და პირადი დამხმარე მეურნეობები გააჩნდათ, მრავალსართულიან ბინებში გადასვლის შემდეგ ხალისით შედიან მებაღეობა-მებოსტნეობის ამხანაგობებში[13]. საქართველოში ქალაქებისა და ქალაქის ტიპის დასახლებების გარეუბნებში მრავალი აუთვისებელი, ხრიოკი ადგილია, რომელთა გამოყენება შეიძლება კოლექტიური მეურნეობების ზიანის მიუყენებლად. გამოუყენებელი და მივარდნილი ადგილების ათვისებას დიდი სახალხომეურნეობრივი მნიშვნელობა აქვს, რამდენადაც იგი ხელს უწყობს სახმარი მიწების ფართობების გადიდებას.

გამოუყენებელი. ნაკლებად პროდუქტიული მიწების ათვისება ათავისუფლებს სახელმწიფოს მილიონობით კაპიტალდაბანდებისაგან, ზრდის შრომითი რესურსების რაციონალურ გამოყენებას, მკვეთრად ამცირებს კადრების დენადობას, რაც სახალხო მეურნეობის განვითარების ტემპების დაჩქარების მნიშვნელოვანი ფაქტორია.

კოლექტიური მებაღეობისა და მებოსტნეობის განვითარება მნიშვნელოვან შრომით დანახარჯებთან არის დაკავშირებული; მიუხედავად ამისა, ადამიანებს დიდ ესთეტიკურ სიამოვნებას ჰგვრის ბუნების გარდაქმნის პროცესი. ბევრ რესპუბლიკაში კოლექტიური მებაღეობა კარგად არის განვითარებული და მისი წევრებიც კმაყოფილნი არიან. ეს, პირველ რიგში, ხელმძღვანელი ორგანიზაციების დახმარებაზეა დამოკიდებული. წინააღმდეგ შემთხვე-

[13]. Г. И. Шмелев. Личное подсобное хозяйство и его связи с общественным производством, М., 1971, стр. 153.

ვაში, კოლექტიური მებაღეობა შეიძლება გამოყენებულ იქნეს საზოგადოებ-რივი ინტერესების წინააღმდეგ. გ. ი. შმელევის აზრით, უკანასკნელ წლებში ქალაქის მოსახლეობა, რომელიც მებაღეობასა და მებოსტნეობას [illegible] თანდათანობით იზრდება. ეს განსაკუთრებით დაკავშირებულია მრეწველობა-ში, მშენებლობაში და მომსახურების სფეროში მოსახლეობის ინტენსიურ გადასვლასთან, ამ პატარა ქალაქებში მცხოვრებთ სოფლის მეურნეობის წარ-მოების ცოდნა და გამოცდილება აქვს[14]. კოლექტიური მებაღეობის განვითა-რებას დიდი მნიშვნელობა აქვს აგრეთვე სელექციონერების გამოვლენისა-თვის, რომლებიც მაღალმოსავლიანი და ყინვაგამძლე ჯიშების გამოყვანაზე მუშაობენ.

მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის შედეგად მრეწველობის განვითა-რებამ ყველა ქვეყანაში ქალაქების მოსახლეობის სწრაფი ზრდა გამოიწვია. ახალგაზრდების ლტოლვა ქალაქებისაკენ კანონზომიერ მოვლენად იქცა, ჯერ ერთი, იმიტომ, რომ ქალაქის მოსახლეობის აბსოლუტური და შეფარდებითი ზრდა კანონია, მეორეც, ახალგაზრდობის მასობრივი ლტოლვის მიზეზი გახ-და კოლმეურნეების, მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობების დაუსაბუთებელი შეზღუდვები. თანდათანობით მცირდება ახალგაზრდობის რიცხვი სოფლად, სამაგიეროდ აქ ხანშიშესულ ადამიანთა რაოდენობა იზრდე-ბა. ეს უარყოფითი ტენდენციაა, რომელიც სპეციალური შესწავლის საგანი უნდა გახდეს, წინააღმდეგ შემთხვევაში, სერიოზული შეცდომების დაშვებას სავალალო შედეგები მოყვება. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია დღის წესრიგში აყენებს სახალხო მეურნეობის ხელმძღვანელობის სისტემატური სრულყოფის აუცილებლობას, რაც ახალგაზრდა თაობის გარეშე ვერ გან-ხორციელდება.

ქალაქების კოლოსალური ზრდა დღის წესრიგში აყენებს ქალაქის მუშა-მოსამსახურეთა დაკმაყოფილებას დამხმარე მეურნეობით. ორდღიან გამო-სასვლელ სამუშაო კვირაზე გადასვლამ კიდევ უფრო აუცილებელი გახადა დამხმარე მეურნეობების მოსაწყობად მცირე საბოსტნე ნაკვეთებით მუშა-მოსამსახურეთა დაკმაყოფილება. ბოლო წლებში მრავალი მუშა-მოსამსახურე დააკმაყოფილეს საბოსტნე ნაკვეთებით საგარეუბნო ზონებში, მაგრამ ეს კე-თილშობილური საქმე მალე მინელდა. აღნიშნულმა გარემოებამ დეზორგანი-ზაცია შეიტანა ინტელიგენციაში, რომელიც ისედაც სოფელს მთლად მოწყვე-ტეს (მრავალი მათგანი იძულებით) და ახლა სურთ მთლიანად მიატოვებინონ სოფელი, სახლ-კარი და დასვენებისათვის აუცილებელი ადგილი. ეს შეიძლება სახალხო მეურნეობის, პირველ რიგში, სოფლის მეურნეობის განვითარების მძლავრი დამამუხრუჭებელი პირობა გახდეს. თავის მხრივ, ქალაქის მუშა-მოსამსახურენი ისეთი ენთუზიაზმით ველარ იმუშავებენ. განა ნორმალურ მდგომარეობად ჩაითვლება ის, რომ მშობლების გარდაცვალების უმალვე შვილები სოფელთან კავშირგაწყვეტილებად ჩაითვალონ და საკარმიდამო ნაკვეთი ჩამოერთვათ?

ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის ყოველმხრივი კავშირის განმტკიცე-ბა კომუნისტური საზოგადოების მშენებლობის აუცილებელი პირობაა. მაგრამ ზოგიერთი ხელმძღვანელისათვის ხელსაყრელი არ არის ქალაქის ინტელიგენ-

[14] П. И. Шмелев, Личное подсобное хозяйство и его связи с общественным производством, М., 1971, стр. 156-157.

ციის გამოჩენა სოფლად. ეს ისეთი ხელმძღვანელია რომელიც ანიავებს საზოგადოებრივ დოვლათს, მაგრამ მაღალფარდოვანი სიტყვებით ცდილობს „დამსაბუთოს“ რომ მიწის საზოგადოებრივი დოვლათის დაცვა აუცილებელია.

საჭიროა არა პირადი დამხმარე მეურნეობების შემცირებით საზოგადოებრივი სექტორის ხვედრითი წონის გადიდება, არამედ, საზოგადოებრივი მეურნეობის ყოველმხრივი განვითარება — სრულყოფის გზით ხალხის კეთილდღეობის დონის სისტემატური ამაღლება. მუშების, მოსამსახურეების, კოლმეურნეების პირადი დამხმარე მეურნეობების შეკვეცამ შეიძლება დიდი ზიანი მოუტანოს ხალხს. სკკპ 1964 წ. ოქტომბრისა და 1965 წლის მარტის პლენუმებზე გაკრიტიკებულია პირადი დამხმარე მეურნეობებისადმი სუბიექტივისტური დამოკიდებულება და მას უგუნური პოლიტიკა უწოდა. საჭიროა ბოლო მოეღოს ასეთ პოლიტიკას, წინააღმდეგ შემთხვევაში, ადგილი ექნება ისეთი მოვლენების განვითარებასა და გამრავლებას, რაზეც სამართლიანად გაამახვილა ყურადღება ალექსანდრე გორბოვსკიმ სტატიაში — „Домик в деревне“, რომელიც „ლიტერატურნაია გაზეტას“ 1973 წლის № 3-ში გამოქვეყნდა. აღნიშნული სტატია მნიშვნელოვანია თავისი შინაარსითა და მიზანდასახულობით. მასში ლაპარაკია არა მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობების ჩამორთმევაზე ან მის მინიმუმამდე შემცირებაზე, არამედ, სოფლად ქალაქში მცხოვრებ მუშა-მოსამსახურეთათვის რეალური უფლებების მიცემაზე, გამოეყოთ მიტოვებული მიწები თავიანთი მცირე მეურნეობებით. ეს დიდ სარგებლობას მოუტანს ქალაქის მოსახლეობას, ხელს შეუწყობს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კავშირის ყოველმხრივ განმტკიცებას.

მიუხედავად იმისა, რომ კანონი კრძალავს სოფელში ბინის გაყიდვას, თავისი მცირე ნაკვეთითურთ, ზოგიერთი მოქალაქე მაინც ახერხებს მიტოვებული ბინების მიწიანად ყიდვას. ამგვარად, ერთი მხრივ, ადგილი აქვს კანონის დარღვევას, მეორე მხრივ, პრაქტიკულად ცხოვრება გვაიძულებს გადავდგათ კანონსაწინააღმდეგო ნაბიჯი. ბრძოლა მიმდინარეობს ცხოვრების მიერ დღის წესრიგში დასმულ აუცილებლობასა და ძველ, დრომოჭმულ კანონმდებლობას შორის, რომელიც რეალური პირობების შესაბამისად უნდა შეიცვალოს. უნდა აღინიშნოს, რომ კანონის დარღვევა რიგ არასასიამოვნო შედეგთან, ზოგჯერ პირდაპირ დანაშაულთან არის დაკავშირებული. ხელმძღვანელი მუშაკები კანონს ზოგჯერ თავის სასარგებლოდ არღვევენ და ესეც არსებული კანონმდებლობის სრულყოფის აუცილებლობაზე მიუთითებს.

ქალაქებსა და ქალაქის ტიპის დასახლებებში სხვა მოქალაქეებზე პირადი საკუთრების უფლების გადასვლა საცხოვრებელ სახლზე (ყიდვა-გაყიდვის, გაჩუქებისა და ანდერძის გადაცემისას და ა. შ.) ერთდროულად ნიშნავს იმავე მოქალაქეებზე დამხმარე მეურნეობის მიწათსარგებლობის უფლების გადასვლას[15]. ანალოგიური მდგომარეობა უნდა იყოს სოფლად იმ მოქალაქეების მიმართაც, ვისაც პირადი დამხმარე მეურნეობა არ გააჩნია.

უნდა დავსძინოთ, როცა ადამიანები, რომელთაც სურთ დასასვენებელი ადგილები ჰქონდეთ ქალაქგარეთ, ნერვიულობენ, აშკარად უკმაყოფილონი არიან ამის თაობაზე არსებული კანონმდებლობით. ეს ლოგიკურიცაა: სოფელ ადგილებში მიტოვებული ბინები პატარა ნაკვეთითურთ შეუძლებელია შე-

[15] В. П. Балезин. Право землепользования граждан, проживающих в городской местности, М., 1970 стр. 97.

ძინოს ქალაქში მცხოვრებმა, თუმცა აშკარაა, რომ მცირე მიწა მიტოვებულია, არავინ იყენებს მას, განა ეს სწორია და საზოგადოებისათვის სასარგებლო?

ზოგიერთს მიაჩნია, რომ ქალაქელების მიერ სოფლად, ბინების ყიდვა საზოგადოებრივი მიწების განიავებაა. ეს მოსაზრება საფუძველს მოკლებულია. გამოდის, რომ ცარიელი სახლი და მიტოვებული ნაკვეთი უკეთესია დამუშავებულ და დასახლებულ ნაკვეთზე. ეს პირდაპირ ეწინააღმდეგება ცხოვრების მოთხოვნილებებს. მიტოვებული სახლების ნაკვეთები დანაგვიანებულია, რაც დიდ ზიანს აყენებს მოსახლეობას, იწვევს ანტისანიტარიას; გარდა ამისა, მათი დამუშავება უფრო ძნელია, ხშირად კი შეუძლებელიც. ვინაიდან ნაკვეთები დაქუცმაცებულია და მექანიზაციის გატარება ვერ ხერხდება, ხელით შრომა კი არარენტაბელურია, რადგან დროის დიდ დანახარჯთან არის დაკავშირებული. აღნიშნული გარემოება კიდევ უფრო შეაფერხებს შრომითი რესურსებით საზოგადოებრივი სექტორის უზრუნველყოფას. ეს დამატებითს სიძნელეებს შეუქმნის კოლმეურნეობებსა და საბჭოთა მეურნეობებს. როგორც ვხედავთ, უკეთესია მიტოვებული ბინა თავისი პატარა ნაკვეთითურთ გაიყიდოს და ნაკვეთიც დამუშავდეს, ვიდრე მოუვლელობით გაპარტახდეს.

ამის ნათელი დადასტურებაა ქ. გორში ჩატარებულ მშრომელთა სამეცნიერო-პრაქტიკულ კონფერენციაზე საზოგადოებრივი მეურნეობის განვითარების შესახებ მოყვანილი სტატისტიკური მონაცემები, საიდანაც ჩანს, რომ „მიწების მაღალნაყოფიერად გამოყენების საქმეში სერიოზული ნაკლოვანებანი აქვს ქარელის კოლმეურნეობას: აქ რვა წლის განმავლობაში საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 4,1 ცენტნერი სამემოდგომო თავთავიანები; უფრო ცუდი მაჩვენებლებია ცალკეული წლების მიხედვით, კერძოდ, 1967 წელს 705 ჰექტარი ნათესი ფართობიდან საშუალოდ ჰექტარზე მიიღეს 1,1 ცენტნერი, 1969 წელს — 1,6 ცენტნერი, ხოლო მიმდინარე წელს — 3 ცენტნერი. კოლმეურნეობის ხელმძღვანელობა აგროტექნიკის მინიმუმსაც კი არ ახორციელებს"[16]. ამავე კონფერენციაზე აღინიშნა, რომ სრულებით არ ექცევა ყურადღება ამ რაიონში ჩამონაჭერი მიწების გამოყენებას. მაგალითად, მეჯვრისხევის კოლმეურნეობაში გამოუყენებელია 41 ჰექტარი ჩამონაჭერი მიწა, ზერტში — 27, ზემოდლეთში — 14, ბერშუეთში — 20, ხელთუბანში — 18, ახალუბანში — 8, მერეთში — 14, კარბში — 15, მეღვრეკისში — 27, ტირძნისში — 13, დიცში — 38, ნიქოზში — 20, ხიდისთავში — 15, ქახელში — 13, ატენში — 30 და ა. შ.

მსხვილი სამრეწველო ცენტრების გამრავლება კანონზომიერი პროცესია, ამდენად, თვით ქალაქის მოსახლეობის სოფლებისაკენ დასასვენებლად მისწრაფება განვითარების აუცილებელი შედეგია. ბუნების წიაღში ადამიანი ფიზიკურად და მორალურად ისვენებს, თავისი ძალ-ღონეს აღიდგენს. ეს თანამედროვე პირობებში ქალაქის მოსახლეობის მუშა-მოსამსახურეების, ინტელიგენციის შემოქმედებითი და ნაყოფიერი შრომის ყველაზე მნიშვნელოვანი პირობაა. ქალაქის მოსახლეობის ყოფნას სოფლად მეტად კეთილმყოფელი გავლენა აქვს როგორც კულტურული, ისე დემოგრაფიული თვალსაზრისით. ქალაქის მოსახლეობა ზეგავლენას ახდენს სოფლის მოსახლეობაზე, აახლოვებს ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კულტურული განვითარების დონეს. დემოგრაფიული თვალსაზრისით კი, ქალაქის ახალ-

[16] გაზ. „კომუნისტი", 1973, № 215, 13 სექტემბერი.

გაზრდობის სოფლის ახალგაზრდობასთან დაახლოებას, მათი ქორწინების გამრავლებას, დიდი სოციალური და ეროვნული მნიშვნელობა აქვს.

ამოცანა ის კი არ არის, რომ დავაჩქაროთ სოფლიდან [illegible] სახლეობის დინება, არამედ ბ უ ნ ე ბ რ ი ვ  პ რ ო ც ე ს ს  დ ა ვ უ ა ხ ლ ო ვ ო თ  ი გ ი. ეს საკითხი მარტო თანამედროვე მდგომარეობით არ შეიძლება გადაწყდეს, — ჩვენ წინ უნდა ვიყურებოდეთ. ეს გულისხმობს რომ ქალაქის მოსახლეობის ყველა ოჯახს შეიძლება თავისი პატარა დასასვენებელი ადგილი ჰქონდეს. დღევანდელი მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პროცესი აუცილებლობად აქცევს ასეთ მიზანს. ამ საკითხს კვლავ დემოგრაფიული ასპექტით უნდა მივუდგეთ. მომავალი თაობები, რომლებიც აგრძელებენ თავიანთი მშობლების მოდგმას, თავიანთ პატარა კუთხეს მოითხოვენ. მათ სურთ, რომ ცალკე ჰქონდეთ თავიანთი სააგარაკო თუ დასასვენებელი ადგილი. ვის უნდა მოსთხოვონ იგი? კვლავ კოლმეურნეობების თავმჯდომარეებსა და საბჭოთა მეურნეობების დირექტორებს. ეს დიდ წინააღმდეგობას წააწყდება სოფლის მეურნეობის ხელმძღვანელობის მხრივ, ისინი კვლავ არსებულ კანონმდებლობას მოიშველიებენ და მართალნიც იქნებიან. საჭიროა ხელი ავიღოთ იმ მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობების მინიმუმამდე შემცირებაზე, რომელთაც იგი გააჩნიათ და ვიზრუნოთ კოლექტიური მებაღეობის განვითარებისათვის ადგილები გამოვყოთ იმ მოქალაქეებს, რომლებიც ჯერ არ დაუკმაყოფილებიათ. ეს გადაუდებელი ამოცანაა. ამ ღონისძიების განხორციელებით შესაძლებელი გახდება ავაყვავოთ ჩვენი ქალაქების შემოგარენი, გზის ნაპირებზე კაკალი და სხვა ხეხილი გავაშენოთ. ამ გზით სპეციალისტების მიერ გამოთქმული სურვილი შეიძლება რეალობად ვაქციოთ. კოლექტიური მებაღეობის ამხანაგობის მთავარი ამოცანაა მუშა-მოსამსახურეთა კოლექტიური მებაღეობის განვითარება, არა მარტო ხილზე მოთხოვნილების დაკმაყოფილებისათვის, ბავშვების შრომითი აღზრდისათვის, არამედ ამხანაგობის წევრთა და მათი ოჯახის წევრების დასვენების ორგანიზაციისათვის[17]. ჩვენს სოციალისტურ მეურნეობას კოლოსალური შესაძლებლობები აქვს. საჭიროა მათი ამოქმედება და ხალხის საკეთილდღეოდ გამოყენება.

ზოგიერთი ხელმძღვანელის აზრით, ქალაქში მცხოვრებნი სოფელთან კავშირგაწყვეტილებად უნდა გამოვაცხადოთ, — ეს კი ვერავითარ კრიტიკას ვერ უძლებს: თანამედროვე სოფელი წარმოუდგენელია ქალაქის დახმარებისა და კავშირის განმტკიცების გარეშე. ის ვინც სოფლის მეურნეობისათვის ტრაქტორებს, კომბაინებსა და სხვა მანქანა-იარაღებს ამზადებს, განა ნაკლებ მონაწილეობას იღებს სოფლის მეურნეობის განვითარებაში, იმათთან შედარებით, ვინც უშუალოდ სოფლის მეურნეობის წარმოებაშია ჩაბმული? დღევანდელი სოფლის მეურნეობის მანქანები ათეულობით და ასეულობით ადამიანის შრომას ზოგავს, ამსუბუქებს. მაშასადამე, მრეწველობის იმ დარგის მშრომელები, რომლებიც სოფლის მეურნეობის მანქანა-იარაღებს აწარმოებენ არა ნაკლებ მონაწილეობენ სოფლის მეურნეობაში, ვიდრე მასში უშუალოდ ჩაბმულნი. მაგალითად, ქიმიურ მრეწველობაშიც ჩაბმული მშრომელები, რომლებიც სოფლის მეურნეობისათვის სასუქებსა და შხამქიმიკატებს ამზადებენ, დიდ როლს თამაშობენ სოფლის მეურნეობის ინტენსიფიკაციის

[17] В. П. Балезин. Право землепользования граждан, проживающих в городской местности, 1970, стр. 64.

გზით განვითარებაში. განა ქიმიური მრეწველობის მუშაკები ნაკლებად მონაწილეობენ სოფლის მეურნეობაში უშუალოდ ჩაბმულ წარმოების მუშაკებთან შედარებით? რასაკვირველია, არა. პირიქით, დღევანდელი სოფლის მეურნეობის განვითარება ქიმიური მრეწველობის გარეშე წარმოუდგენელია. ამდენად, ე. წ. „კავშირგაწყვეტილობაზე" ლაპარაკი დაუსაბუთებელია. ზოგიერთი ხელმძღვანელის მიერ კავშირი გაგებულია გეოგრაფიული ადგილმდებარეობის მიხედვით და არა წარმოებრივი, ეკონომიკური ნიშნის მიხედვით.

ახლა იმ ადამიანების შესახებ, რომლებიც უშუალოდ მონაწილეობენ სოფლისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებაში; მაგალითად: სოფლის მეურნეობის ინსტიტუტის პროფესორ-მასწავლებლები სოფლის მეურნეობისათვის კვალიფიციური კადრების მომზადებას ემსახურებიან; არ შეიძლება იმის მტკიცება, რომ ისინი კავშირგაწყვეტილები არიან სოფელთან, — „სოფელში ახალი და სულ უფრო რთული ტექნიკის — მძლავრი ტრაქტორების, კომბაინების, ავტომანქანების მიღება, გლეხთა კეთილდღეობის ზრდა, კულტურულ-საყოფაცხოვრებო პირობების თანდათანობით გაუმჯობესება სასოფლო-სამეურნეო შრომას უფრო მიმზიდველს ხდის, განსაკუთრებით ახალგაზრდობისათვის, საშუალებას აძლევს მას შეიძინოს მაღალი კვალიფიკაცია. ამის შედეგად, სოფლის ახალგაზრდობა, სასწავლებლის დამთავრების შემდეგ უფრო ხალისით რჩება ახლა სამუშაოდ სოფელში. ეს დადებითი ტენდენციაა, მას ყოველმხრივ უნდა დავუჭიროთ მხარი, მით უმეტეს, რომ სასოფლო-სამეურნეო წარმოების განვითარება მოითხოვს სოფლის კვალიფიციური კადრების მომზადების გაფართოებას"[18] — ვკითხულობთ სკკპ XXIV ყრილობის მასალებში.

დავუშვათ, რომ მუშა-მოსამსახურეებს მთლიანად ჩამოერთვათ ან მინიმუმამდე შეუმცირეს პირადი დამხმარე მეურნეობები, მაშინ, შვებულებების დროს პროფკავშირებს დასვენების მსურველთა ისეთი ტალღა მიაწყდება, რომ პროფკავშირები ვერ დააკმაყოფილებენ მათ საგზურებით. მუშა-მოსამსახურენი, რომლებსაც პირადი დამხმარე მეურნეობები აქვთ, იშვიათად მიმართავენ პროფკავშირებს საგზურებისათვის. ეს დიდი შეღავათია, დიდი რეზერვია დამსვენებლებისათვის. თუ მუშა-მოსამსახურეებს დასამუშავებელი არაფერი ექნებათ, ისინი დასასვენებლად ამჯობინებენ სხვაგან წავიდნენ, ეს ლოგიკურიცაა. მათ შეუძლიათ პრეტენზიები წამოაყენონ, დაასაბუთონ, რომ მათ არ უსარგებლიათ, ან ნაკლებად უსარგებლიათ საგზურებით, საწევრო შესატანებს კი მრავალი წლის განმავლობაში იხდიან. მუშა-მოსამსახურენი ირჩევენ უფასო ან შეღავათიანი საგზურებით დაისვენონ, რაც გაცილებით იაფი უჯდებათ. ასევეა სტუდენტებიც, ისინი ორი თვის განმავლობაში ისვენებენ. მათი მნიშვნელოვანი ნაწილი დროს თავის მშობლიურ სოფელში ატარებს, ეხმარება მშობლებს, კოლმეურნეობას და სხვა.

აღნიშნულიდან გამომდინარე, ჩვენ ვსპობთ ბუნებრივ, უფასო დასასვენებელ აგარაკებს და სახელმწიფოს ვაიძულებთ დააკმაყოფილოს მუშა-მოსამსახურენი. დიდძალი სახსრები მოაკლდება პროფკავშირს; კიდევ მეტიც, საგრძნობლად შემცირდება ტრანსპორტის შემოსავალი, ვინაიდან „ცარიელი" სახლების ნახვა თანდათანობით შემცირდება. ამით კიდევ უფრო დავაჩქარებთ სოფლიდან ქალაქისაკენ ლტოლვას, რაც დამატებით სიძნელეებს შეუქმნის

[18] სკკპ XXIV ყრილობის მასალები, თბ., 1971, გვ. 94.

მთელ სახალხო მეურნეობას, მოხდება ქალაქისა და სოფლის მოსახლეობის კათიშვა. ძნელია დაარწმუნო ქალაქის მოსახლეობა მიწის საერთო-სახალხო საკუთრების უპირატესობაში, თუ ამ უპირატესობის რეალიზაცია პრაქტიკულად არ განხორციელდება. მუშა-მოსამსახურეთა პირადი დამხმარე მეურნეობების ფართობი უმნიშვნელოა, მაგრამ მისი მნიშვნელობა ფართობთან შედარებით განუზომელია.

ქალაქის მუშათა კლასის ხელმძღვანელობით განხორციელდა პროლეტარიატის დიქტატურა და გლეხობასთან უშუალო კავშირურთიერთობის განმტკიცება, კერძო საკუთრების ლიკვიდაცია და საერთო-სახალხო საკუთრებად მიწის გადაქცევა, შრომელი ინტელიგენციის ფართო ჩაბმა სახალხო მეურნეობაში; ახლა კი მათ სოფლის მეურნეობის ზოგიერთი ხელმძღვანელი სოფელთან კავშირგაწყვეტილებად აცხადებენ ხელოვნურად თიშავს ქალაქსა და სოფელს; აი სადამდე შეიძლება მივიდეს არასწორი პოლიტიკა.

**რესპუბლიკაში უკანასკნელ წლებში ფართოდ გავრცელდა ისეთი კერძომესაკუთრული გამოვლინებანი, როგორიც არის უკანონოდ ინდივიდუალური სააგარაკო სახლების მშენებლობა, მაგრამ ეს როდი ნიშნავს, რომ მშრომელ ხალხს არ მივცეთ ნორმალური მუშაობისა და დასვენების უფლება.** ვებრძვით რა უკანონო ინდივიდუალურ სააგარაკო მშენებლობას, ფართოდ უნდა გაიშალოს კანონიერი სააგარაკო მშენებლობა ქალაქის გარეუბნებში, გზატკეცილების გასწვრივ და სხვ. ეს იქნებოდა საკითხის მართებული გადაწყვეტა, რეალური გზა საქართველოს კომპარტიის ცენტრალური კომიტეტისა და მინისტრთა საბჭოს ახლახან მიღებული დადგენილებისა — ქალაქების: თბილისისა და რუსთავის მწვანე ზონის გაფართოების, გარემოს გაჯანსაღებისა და მშრომელთა მასობრივი დასვენების პირობების გაუმჯობესების ცხოვრებაში განხორციელებისათვის. ასეთივე ღონისძიების გატარება აუცილებელია რესპუბლიკის სხვა ქალაქებსა და დაბებში, რაც შესაძლებელია მთელი ხალხის შეერთებული შრომით, მათი შემოქმედებითი უნარის ყოველმხრივი გამოვლენით.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ნიკოლოზ იაშვილი

# ქართული ღვინის სახელგანთქმულობა

ვაზის კულტურა ქართველმა ხალხმა თავისი ჰირითა და ლხინით ალსავსე ცხოვრების მთელ მანძილზე სიყვარულით შემოინახა და განავითარა.

„ვაზი და ღვინო ქართველი კაცის საზრუნავია დასაბამიდან. ის მუდამ იყო და არის ხალხის მატერიალური დოვლათის შექმნის უპირველესი წყაროთაგანი. ქართველმა კაცმა ვაზსა და ღვინოში ჩააქსოვა მთელი თავისი შინაგანი ბუნება და შემოქმედებითი უნარის ცხოველმყოფელი ენერგია. ამიტომაც იქცა ვაზის მოვლისა და ღვინის დაყენების ხელოვნება ჩვენი ერის სულიერი კულტურის დიდ საგანძურად“. ქვეყნის სხვადასხვა კუთხეში საერთოდ მაღალი ღირსების ღვინოების თვალსაჩინო განსხვავება ოდითგანვე გამოწვეული იყო მათი ბუნებრივი პირობების მრავალფეროვანებით და ღვინოების დაყენების ყველგან მაღალი კულტურის სხვადასხვაობით. ცივილიზაციის განვითარების კვალობაზე ქართველი კაცი მუდამ დაუცხრომლად აუმჯობესებდა მევენახეობისა და მეღვინეობის კულტურას, ტექნიკას, ტექნოლოგიას. „საუკუნეებით შექმნილმა ტრადიციებმა დაუდვეს საფუძველი ჩვენი ვაზისა და ღვინის ქებათა ქებას და დიდ საერთაშორისო პრესტიჟს. დიდი ტრადიციების გარეშე შეუძლებელი იქნებოდა შექმნილიყო მევენახეობის ისეთი მძლავრი ბაზა, როგორიც ჰქონდა და აქვს საქართველოს“[1].

მრავალი ისტორიული, ფოლკლორული, ეთნოგრაფიული, ამპელოგრაფიული, უვალოგიური, ენოლოგიური და სხვა მასალა მოწმობს საქართველოში მევენახეობა-მეღვინეობის უძველესობას. მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს პრეზიდენტმა ბარონმა ლ ე რ უ ა მ თქვა: „საქართველოს საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა სპეციალურად აირჩია კონგრესის მონაწყობად სსრ კავშირის მთავრობამ. მართლაც, დედამიწაზე თუ კი არსებობს რაიონი, სადაც მევენახეობა უძველესი დროიდან, თემურ ლენგის დროიდან (ზევრად უფრო ადრე. ნ. ი.) იყო, ეს საქართველოა“[2]. ქართველი კაცი მიწლილი კერისა და კავერანებული მეურნეობის ალდგენას ვენახის გაშენებით იწყებდა.

მრავალრიცხოვანი დამოწმება მოიპოვება ანტიკური ეპოქის ავტორების, უცხოელ მოგზაურთა და აგრეთვე ადგილობრივი მოღვაწეების შრომებში. მაგალითად, ჰ ო მ ე რ ო ს ს (ძვ. წ. IX-VIII სს.) „ოდისევსში“ აღნიშნული აქვს „ცქრიალა და არომატიული ღვინოები კოლხეთში, რომელიც მდიდარი იყო ოქროსფერი ყურძნით. იგი აქებდა აქაურ თაფლივით ტკბილ ღვინოებს“[3].

---

[1] პროფ. გ. ბ ე რ ი ძ ე. საქართველო კლასიკური მეღვინეობის ქვეყანაა, კრებული, „ძეგლის მეგობარი“-16, თბ., 1968, გვ. 65.

[2] გაზ. „კომუნისტი“, 1962, 14 სექტემბერი.

[3] ეს და ზოგი სხვა ცნობა ციტირებულია გ. ი. ბ ე რ ი ძ ი ს „ქართული ღვინოდან“, რუსულ-ფრანგულ ენაზე, თბ., 1962 და 1965, გვ. 15-26 (იხ. აგრეთვე ს. ყ ა უ ხ ჩ ი შ ვ ი ლ ი, რას გვიამბობენ ძველი ბერძნები საქართველოს შესახებ, თბ., 1964, გვ. 51; მისივე, გეორგიკა, 2 გამოცემა, „მეცნიერება“, თბ., 1965 და სხვ.).

აპოლონ როდოსელი (ძვ. წ. III ს.) თავის ცნობილ ნაწარმოებში — არგონავტების ლაშქრობაზე კოლხეთში — მოგვითხრობს, რომ კოლხეთის მეფე აეტის სასახლეში არგონავტებმა იხილეს ზღურბლთან [illegible] მოხვეული მაღლარი, ხოლო მარმარილოს ნატიფი აუზებიდან [illegible] [illegible]ური და წითელი ღვინოების შადრევნები და უამრავ წინწკლებად მათ უკანვე ეფინებოდა.

ჰეროდოტე — ისტორიის მამა (484—425) — აღნიშნავს, რომ: „ქართველმა ტომებმა იცოდნენ ვაზის მოვლა, ღვინის დაყენება და შენახვა". ქსენოფონტე (ძვ. წ. IV ს-ის პირველი ნახევარი) მიუთითებდა, რომ შავი ზღვის კავკასიის სანაპიროებზე მცხოვრებნი ამზადებენ მაგარ და მძიმე ღვინოებს, წყალს ურევენ და ღებულობენ სასიამოვნო სასმელს. იგი წერს: „გვხვდებოდა შეურეველი ღვინოც, რომელიც მჟავე და მწარე გვეჩვენა, მაგრამ წყალგარეულს ქონდა სასიამოვნო სუნი და გემო".

პროკოფი კესარიელი (VI ს.) წერდა, რომ: „მესხები შრომისმოყვარე ხალხია და იქ არის ვენახები. ღვინო ქართლიდან შემოაქვთ ეგრისში". იმ დროს ქუთაისის მხარე განთქმული იყო ეკონომიკური დონითაც. ამ მხარეს, პროკოფისა და აგათიას ცნობით, ეწოდებოდა მოხირისი ანუ მუხარისი. ეს მხარე კოლხიდის მიწა-წყალზე საუკეთესო უბანს წარმოადგენდა: „ღვინოც კარგი მოდის და სხვა ნაყოფიც"; VI საუკუნის უცნობი ბიზანტიელი ისტორიკოსი წერს: „ლაზიკის ერთ-ერთ რაიონში მუხარისისაკენ... არის საუკეთესო და ნაყოფიერი მხარე კოლხეთი... ღვინო კარგია, მოყავთ სხვა შესანიშნავი ნაყოფიც"[4].

მრავალი უნიკალური მასალა მოიპოვეს ქართველმა არქეოლოგებმა (ა. აფაქიძემ, ნ. ხოშტარიამ, ო. ლორთქიფანიძემ და სხვ.), იმისა რომ შიგა კოლხეთში ღვინოს ყოველთვის ადგილობრივ მოთხოვნილებაზე ბევრად მეტი რაოდენობით აყენებდნენ და სხვადასხვა დროს დიდი რაოდენობით უცხო ქვეყნებშიც ეზიდებოდნენ. „მარცვლეულ კულტურებთან ერთად სანაპირო ქალაქების სოფლის მეურნეობაში მძლოლი ადგილი ეჭირა მევენახეობა-მეღვინეობას. ამას მოწმობს სოხუმის ტერიტორიაზე ძვ. წ. IV—III სს. კულტურულ ფენებში აღმოჩენილი დანები და რკინის პატარა წალდები განკუთვნილი ვაზის გასხვლისათვის; აგრეთვე ფიჭვნარში (აჭარა), სოხუმის შემოგარენსა და ა. შ. დიდი რაოდენობით ნაპოვნი თიხის პითოსები და სხვა ჭურჭლეული ღვინის შენახვისა და გადაზიდვისათვის"[5].

მოსე კაგანკატოვცი, VII საუკუნის სომეხი წელთაღმრიცხველი, — მატიანეში გვამცნობდა, რომ: „ხაზარებმა თბილისის აღების დროს ხელთ იგდეს დიდძალი დოვლათი... გაძარცვეს ქვეყანა და ხაზარებს ნადიმზე ჰქონდათ ღვინის მრავალი მოოქროილი სასმისი"[6]. IX საუკუნის მეორე ნახევარსა და X საუკუნეში საქართველოს სწრაფი აღორძინების ხანა დაუდგა; სხვა მრავალთა შორის ფართოდ განვითარდა მევენახეობა და მეღვინეობაც. „X საუკუნის არაბი გეოგრაფი ისტახარი აღნიშნავს, რომ აქ სოფლის მეურნეობა „ნათეს-ხეხილოვანია და ვენახებიც ბლომადაა".

---

[4] ო თ. ლორთქიფანიძე. ანტიკური სამყარო და ძველი კოლხეთი. თსუ, თბ. „1966" გვ. 44.

[5] М. П. Инадзе. Причерноморские города древней Колхиды, Изд-во «Мецниереба», Тб., 1968, стр. 189-190.

[6] Г. И. Беридзе. Вина Грузии, Тб., 1962, стр. 16-17.

საქართველოს ისტორიკოსები ამტკიცებენ, რომ ოდითგანვე ქართველური ტომები (ხეთები და სუბარები) იმ ხანებში წინა აზიაში რომ ცხოვრობდნენ, კარგად იცნობდნენ სოფლის მეურნეობის სხვადასხვა დარგს, კერძოდ მევენახეობა-მეღვინეობას. დავით აღმაშენებლისა და თამარ მეფის დროს გაძლიერდა ქვეყანა, ამაღლდა კულტურა, გაიფურჩქნა სოფლის მეურნეობა. ამას სხვაზე მეტად ხელი შეუწყო შესანიშნავ სარწყავ და სხვა ნაგებობათა მშენებლობამ: ალაზნის, არაგვის, შიომღვიმის, გარეკახეთისა და სხვა; ფართოდ განვითარდა მევენახეობა და მეღვინეობა, რომელთაც დიდი მნიშვნელობა მოიპოვეს ქვეყნის ეკონომიკაში; აქაური ღვინო განთქმული იყო და, სხვა მრავალ საქონელთან ერთად, დიდი რაოდენობით გაჰქონდათ ბევრ შორეულ ქვეყანაში; ამგვარი ცნობები მოიპოვება გიორგი შავთელთან, ხოლო არსენ იყალთოელის მიერ თარგმნილ (XII ს.) ქრონოგრაფში გიორგი მონომახი წერდა: „გვხვდებოდა ღვინო გულის გამხარებელი".

ხშირი ძნელბედობის გამო, დიდი შემოსევების (სპარსელები, მონღოლები, თურქები და სხვ.) შედეგად გაჩანაგდა ქვეყანა, დაქვეითდა მევენახეობა და მეღვინეობა. წელთაღმრიცხველი გვამცნობს, რომ მონღოლების სარდლობამ „აღიღო საქართველოს ყველაზე მიუვალი ციხე-სიმაგრეები, ამიერკავკასიის მთათა ძირებში და ხმაურიანი მუსიკალური იარაღების ჰანგებზე სვამდა ღვინოს ქართულს". დიდი ხნის შემდეგ, შაჰ-აბასის მხედრობა მის განსაკუთრებულ ბრძანებას ასრულებდა, როცა ანგრევდა სასახლეებს, სიმაგრეებს, სწვავდა სოფლებს და მას მთელ ნაგებობებს; კაფავდა ვენახებს, ხეხილის ბაღებს, თუთისა და კაკლის ნარგავებს, რათა მიეღწია ქვეყნის პოლიტიკური და ეკონომიური დაძაბუნებისათვის.

ბევრი სიმწარის განცდის შემდეგ დაძაბუნებული საქართველო კვლავ მოშენდა, გაძლიერდა. ვ. ბატონიშვილს „საქართველოს აღწერაში" აღნიშნული აქვს: „მისი ქვეყანა ყველგან ნაყოფიერია... მრავალია ბაღები და ვენახები, საიდანაც აყენებენ აუარებელ ღვინოს". XVI-XVII საუკუნეების მასალებით ცნობილია, რომ თბილისში ცალკე იყო გამოყოფილი ღვინითა და არყით ვაჭრობის უბნები და მიწის ნაკვეთები. დაქვეითებული საქართველოს სხვა ქალაქებშიაც (ქუთაისი, სკანდე, შორაპანი, გორი, თელავი, სიღნაღი და სხვა) გაცხოველებული ვაჭრობა იყო ღვინით. მოგზაური, სოვდაგარი და საფრანგეთის ორდენის კავალერი ჟან შარდენი (საქართველოში იყო 1672-73 წწ.) წერს: „დაბეჯითებით შეიძლება ითქვას, რომ არ არსებობს სხვა ქვეყანა, სადაც ისე ბევრს და კარგ ღვინოს სვამდნენ, როგორც საქართველოში"[7]. ფრანგი მოგზაურის პეისონელის ცნობით XVIII საუკუნის ორმოცდაათიან-სამოციან წლებში თბილისიდან ეზიდებოდნენ დიდძალ კახურ და ქართლურ ღვინოს, განსაკუთრებით ისპაჰანში, თეირანსა და სხვ. გილდენშტედტის მიხედვით[8] XVIII საუკუნის სამოციან წლებში ძველი თბილისის გარეუბნები 5 კმ-ის მანძილზე დაფარული იყო ბაღ-ვენახებით. ქართველი ისტორიკოსი და გეოგრაფი ვახუშტი (1770—1795 წწ.) დაწვრილებით აღწერს და დიდად აფასებს სხვადასხვა ტიპის ადგილობრივ ღვინოებს და მეტწილად აქებს მათ. იგი განსაკუთრებით გამოყოფდა მანავის, ახმეტის და კონ-

[7] ჟან შარდენი. მოგზაურობა საქართველოში 1672-1673 წ., თბილისი, 1935, გვ. 54-56.

[8] გილდენშტედტის მოგზაურობა საქართველოში, ტომი პირველი, თბ. 1962, გვ. 87-93.

დოლის ღვინოებს. საქართველოს უკანასკნელი მეფე გიორგი XII განსაკუთრებით აფასებდა ხოდაშნურ და ყვარლურ წითელ ღვინოებს[9].

რუსეთთან შეერთების შემდეგ მალე ფართოდ გაითქვა სახელი ქართულმა ღვინომ. „ამიერკავკასიის მხარის სტატისტიკური აღწერის“ შემდგენლები აღნიშნავდნენ: „საუკეთესოა კახური ღვინოები, ე. ი. ის ღვინოები, რომლებსაც საქართველოში აყენებენ... ისინი ხარისხით კარგ ფრანგულ ღვინოებს არ ჩამოუვარდებიან: წითელ ღვინოებს აქვთ ბურგუნდიის ან ბორდოს ღვინოების გემო და ღირსება. თეთრი ღვინოები ისეთი მაგარი და გემრიელია, როგორც საუკეთესო მადერა ან პორტვეინი. კახურ ღვინოებს განსაკუთრებული ბუკეტი აქვთ, რომელიც განასხვავებს მათ უცხოური ღვინოებისაგან[10].

ქართული მეღვინეობის ისტორიაში მოცემულია სამი პერიოდის გამოყოფის ცდა: პირველი პერიოდი, როცა ღვინოებს აყენებდნენ ადგილობრივი ქართული წესით; მეორე პერიოდი, როცა ჩაისახა და ძალზე ნელა ვრცელდებოდა ევროპული წესი ამ საქმეში და მესამე — საბჭოთა — პერიოდი, როცა ქართული მეღვინეობა უჩვეულოდ აღორძინდა.

პ ი რ ვ ე ლ ი  პ ე რ ი ო დ ი მოიცავს მთელ წინა საუკუნეებს, როდესაც შეიქმნა ქართული ორიგინალური ღვინოები — კახური, იმერული და სხვა, რომლებიც, როგორც ისტორიული მასალებით ჩანს, საკმაოდ ცნობილი ყოფილა ჩვენი ქვეყნის ფარგლებს გარეთაც და საექსპორტო საგანს წარმოადგენდა. მიუხედავად ამ ღვინოების მაღალი ღირსებისა, XIX საუკუნის პირველ ნახევრამდე მათ ოფიციალურად მარკიანი ღვინოების სახელწოდებით ნაკლებად იხსენიებდნენ, თუმცა თვითეული მათგანის სტანდარტული ტექნოლოგია უკვე შემუშავებული იყო ქართველ მეღვინეთა მიერ საუკუნეების მანძილზე.

მ ე ო რ ე  პ ე რ ი ო დ ი დაკავშირებულია წინანდლის, ნაფარეულის, მუკუზნის მამულების მეპატრონის — სახელმწიფო მოღვაწის, მეფე ერეკლეს პეტერბურგელი დესპანის გ ა რ ს ე ვ ა ნ  ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს ა და მისი ვაჟის, ცნობილი ქართველი პოეტის, ა. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ი ს სახელთან... ამ საქმეს თვალსაჩინო ღვაწლი და დიდი ამაგი დასდეს კახეთში — ზ. ჯორჯაძემ და პ. ავერკიენმა, სამეგრელოში—ნ. დადიანმა. რაჭაში — ძმებმა ყიფიანებმა, წულუკიძემ და სხვებმა, რომელთა მეოხებით გაუმჯობესდა და შეიქმნა ქართული ღვინოების მრავალფეროვანი ასორტიმენტი. არსებული მასალა მოწმობს, რომ სამარკო ღვინოების ყველა თვისებით შემკული ქართული ღვინოები პირველად ა. ჭ ა ვ ჭ ა ვ ა ძ ე მ დააყენა[11]. ამ ღვინოებმა — წინანდალი, ნაფარეული და მუკუზანი — სახელი გაითქვეს მთელ მსოფლიოში. მ ი ხ. ბ ა ლ ა ს ი ს ცნობით (Виноделие в России, I-IV, 1895-1897 гг.) გასული საუკუნის დასაწყისიდან ა. ჭავჭავაძე „უშვებდა 150 ათას ლიტრ საუკეთესო ღვინოს“.

ა. პ უ შ კ ი ნ ს ძალზე მოეწონა ქართული ღვინო და „Путешествие в Арзрум“-ში წერდა: „... ადგილობრივი ღვინოები ჩინებულია... კახური ზოგი ბურგუნდული ღვინის მსგავსია“. ა. გ რ ი ბ ო ე დ ო ვ ი, კავკასიაში მეფისნაცვლის — პასკევიჩის სახელზე წარდგენილ სამამულო მეღვინეობის გან-

[9] გ. ბ ე რ ი ძ ე. ქართული ღვინოების გაუმჯობესების საკითხები, თბ., 1958, გვ. 55; 158.
[10] Систематическое описание Закавказского края. С. Петербург, 1835.
[11] პ. გ. ს ო ხ ა ძ ე. ქართული მარკიანი ღვინოების ტექნოლოგიისა და მათი ხარისხის გაუმჯობესების საკითხები, თბ., 1958, გვ. 55-56.

ვითარების პროექტში, წერდა: „კახეთის კეთილდღეობის ძირითად წყაროს წარმოადგენს მევენახეობა, და ამ კუთხის ღვინოები არ ჩამო[illegible]გულს". გენიალური რუსი ქიმიკოსი დ ი მ ი ტ რ ი მ ე ნ დ ე ლ ე ე ვ ი მიუთითებდა, რომ „მთელ რუსეთში გავრცელდა კავკასიური, ყირიმული, ბესარაბიული ღვინოები, რომელნიც ჯეროვანი დაყენებითა და მარკების მაღალი ღირსებებით გამოირჩევიან; განსაკუთრებით საქებია კახეთი, რომელსაც თვლიან ვაზის სამშობლოდ"[12]. ფრანგი გეოგრაფი — ე ლ ი ზ ე რ ე კ ლ ი უ წერს: „კახელები განსაკუთრებით ამაყობენ ღვინით, რომელსაც იძლევა მათი მიწა, ქართული ელდორადო და სვამენ მას დიდი რაოდენობით... მათ ღვინოს, ამ ქვეყანაში თითქმის ერთადერთ სასმელს, როგორც ხშირად თვლიან, შეუძლია გაეჯიბროს დასავლეთის ღვინის საუკეთესო ჯიშებს"[13]. იმ ხანად ეს ღვინო სხვაგანაც მაღალ შეფასებას იმსახურებდა. საქართველოს რუსეთთან შეერთების დროიდან რუსეთის ცენტრალურ ქალაქებში თანდათან იზრდებოდა მოთხოვნილება მაღალხარისხოვან ქართულ ღვინოებზე. ვაზის ფართობი და ღვინის წლიური გამოსავალი თანდათან იზრდებოდა 1880-95 წწ. და შესაბამისად 80-95 ათას ჰექტარს და 7-8 მილიონ დეკალიტრს აღწევდა. ამ ხანებში რკინიგზებით ყოველწლიურად გაჰქონდათ, ე. ი. სასაქონლო იყო — ქუთაისის გუბერნიაში 300-500 ათასი დეკალიტრი ღვინო; მაღალმოსავლიანი 1885 წლის განმავლობაში მხოლოდ შორაპნის მაზრიდან გაიზარდა 490 ათასი დეკალიტრი ღვინო; გორისა და დუშეთის მაზრებიდან — 450 ათასი დეკალიტრი. გასული საუკუნის მხოლოდ უკანასკნელ მეოთხედში დაისახა საქართველოს მევენახეობაში თვალსაჩინო წინსვლა და გაუმჯობესება. ამას ხელი შეუწყო რუსეთის მთავრობის მფარველობითმა საბაჟო პოლიტიკამ და რკინიგზის მაგისტრალის მშენებლობამ კავკასიაში.

მეფისნაცვალ გუდოვიჩის დროს, თბილისის სასწავლებლის მასწავლებელი უნგრელი — მ ა რ ტ ი ნ ი დაინიშნა მცდელ მეღვინედ სახაზინო ვენახებში, რათა ადგილობრივ მცხოვრებთ მევენახეობა პრაქტიკულად მისგან ესწავლათ. პირველად კახეთში ღვინო ევროპული წესით დააყენა 1830-40 წლებში მთავრობის მიერ დაარსებული „საქართველოს ღვინის" კომპანიის სპეციალისტმა ლ ე ნ ც მ ა თელავის მაზრის სოფ. რუისპირში აგებულ ქარხანაში. მათივე ინიციატივით ჩამოიყვანეს პირველი მეკასრეები, რათა ღვინის გადაზიდვაში თანდათან შეცვლილიყო კუპრიელები და ტიკები, ქვევრები და კოლოტები, რუმბები და ტყავის სხვა ჭურჭელი. 1883 წელს ფინანსთა მინისტრის — კანკრინის განკარგულებით დაარსდა სოფლისა და მანუფაქტურული მრეწველობის წახალისების ამიერკავკასიის საზოგადოება: იგი ამზადებდა მუშის ჭურჭელს — ბოთლს, ავრცელებდნენ კასრებს; დააარსეს მევენახეობის საცდელი ფერმები, მაგრამ მათ მუშაობას დიდი შედეგი არ მოჰყოლია[14].

საქართველოში ღვინის დაყენების ევროპული წესის მომავალ დანერგვაში სერიოზული როლი შეასრულა ზ. ა. ჯ ო რ ჯ ა ძ ე მ. მან მოაწყო ღვინის დიდი წარმოება საკუთარ მამულში — თელავის მაზრის სოფ. საბუეში. მ. ბა-

---

[12] Д. И. Менделеев. Проблемы экономического развития России, М., 1960, стр. 573-578.

[13] Элизе Реклю. Земля и люди, Всеобщая география, кн. 4, т. 6 и 7, С.-Петербург, 1898, стр. 184.

[14] П. Гугушвили. Развитие капитализма в Грузии и Закавказии в XIX-XX веках, ч. I, 1957, стр. 201.

ლასი, რომელიც ჭორჭაძისეულ მამულში მისი სიკვდილის შემდეგ ყოფილა, წერდა: „როდესაც ამ მეურნეობას ვათვალიერებდით, თვალს ახარებდა სამაგალითოდ და ფართოდ დაყენებული ღვინის წარმოება, [illegible] ღვინის დასაყენებელი დიდძალი ინვენტარით, ევროპულ[illegible]ლესი ტექნიკით აღჭურვილი... თავადმა ჭორჭაძემ პირველმა მიჰყო ხელი კახური ღვინოების ევროპული წესით დამზადებას. მან გააცნო რუსეთს ამ ღვინოების ძვირფასი თვისებები; მანვე მოიპოვა მრავალი მაღალი ჯილდო გამოფენებზე მოსკოვსა და ოდესაში და ბოლოს პარიზის უკანასკნელ გამოფენაზე ღვინის მის ნიმუშებს სერიოზული ყურადღება მიაქციეს და დააჯილდოვეს, ადარებდნენ მათს საკუთარ ბურგუნდულ ღვინოებს“[15].

ყვარელში, ი. ჭავჭავაძის სახელობის მუზეუმში გამოფენილია ოქროს მედალი — „გრან პრი“, რომელიც ზ. ჭორჭაძემ 1888 წ. ბრიუსელში გამოფენაზე გაგზავნილ ღვინოებში მიიღო და მეღვინეობის განვითარებაში დაინტერესებულ ილიას პატივისცემის ნიშნად უძღვნა. ილია ჭავჭავაძე ჯერაც 1886 წელს გაზ. „ივერიაში“ წერდა: „ჩვენს ღვინოებს ძლიერი მეტოქე და მოცილე ჰყავს რუსეთის ბაზარში. ეგ მეტოქე ევროპაა... ამ მეტოქის განდევნა რუსეთის ბაზრიდან და მისი ადგილის დაჭერა, მეტად რთული და ძნელი საქმეა...“.

1882 წლის დეკემბერში ილია ჭავჭავაძის ტრადიციული — „შინაური მიმოხილვა“ ეხებოდა ვინმე „მეისნერის პროექტს“, რომლის გამოც დიდი შეხლა-შემოხლა გაიმართა პრესაში. ადგილობრივ საზოგადოებაში ზოგი ემხრობოდა და ბევრიც ეწინააღმდეგებოდა მას, რადგან იგი წარმოადგენდა ადგილობრივი ღვინის დიდი ნაწილის ჩალის ფასად ხელში ჩაგდებისა და იოლი გამდიდრებისათვის გამიზნულ დოკუმენტს. ილიამ ძალზე ვრცლად, მეცნიერულად, პოლიტეკონომიის პოზიციებიდან გაარჩია „მეისნერის პროექტი“, გამოააშკარავა მისი მძარცველური ხასიათი და უარყო იგი. ილია მრავალ შრომაში მოითხოვდა საქართველოს სასოფლო-სამეურნეო ნაწარმთა და პირველ რიგში ღვინის, რაც შეიძლება მეტ წარმოებას ბაზარზე გასაყიდად, რომ ფული დატრიალებულიყო, მეურნეობა აღორძინებულიყო და ხალხის ყოფაცხოვრებაც გაუმჯობესებულიყო. ამისათვის კი, იგი მოუწოდებდა ხალხს სწავლისაკენ, კერძოდ აგრონომიული განათლებისაკენ და ბუნებით ძვირფასი ნაწარმის უფრო მაღალი ხარისხით დამუშავებისა და ღირებულ ფასად რეალიზაციისაკენ; ოღონდ ისე, რომ ეს ნაწარმი თვითონაც ზომიერად მოეხმარათ და ნაჭარბი, რაც შეიძლება სარგებლიანად გაეყიდათ. ილიას დახასიათებით, მეისნერის პროექტი ღვინით ვაჭრობისა, რომ მდაბიურად ვთარგმნოთ, ეს არის: „დღეს თქვენ ვენახების მკეთებელიცა ხართ და ღვინისაცაო. რაკი ორივე წარმოება ხელთ გიჭირავთ, სჩანს, ერთიდამაც რასმე ხეირს ხედავთ და მეორიდამაცო. მოდით, ერთი წარმოება მაგ ორისაგან მე დამითმეთო, ისეთი, რომელიც უფრო ფაქიზია და სამუშაოდ უფრო ადვილი, ე. ი. ღვინის კეთებაო“. მერე ჩვენ რას გვაძლევთ მის სამაგიეროს?.. ვკითხავთ ჩვენ. „არაფერსაო, თქვენი ხეირი ის იქნებაო, რომ უკეთესი იქნება თქვენი ღვინო, იმა-

[15] М. Баллас. Виноделие в России, т. III, стр. 55;
იხ. აგრეთვე ა. სტეფანიშვილი და მოდებაძე. თავი მოვუყაროთ ქართული ღვინოების ჯილდოებს, გაზ. „თბილისი“, 2/X-1969 წ; ა. ბოლქვაძე. ვაზისა და ღვინის სახლი, გაზ. „თბილისი“, 25/IX-1969 წ.

საც თქვენ კი არ დაგალევინებთ, რუსეთში გავიტანთ და ამ გზით სახელი თქვენი იქნებაო და სახრავი კი ჩემიო“[16]... რომ ასეთ ოინებს ხალხი [illegible] მოეტყუებინა, ამიტომ ილიას სურვილი იყო მათში ცოდნისა და [illegible] დანერგვა, რომ ლუკმა ხელიდან არ გამოსცლოდა და დოვლათი მეტი მისცემოდა.

ილია საერთოდ მაღალ შეფასებას აძლევდა ქართულ ღვინოებს და აღნიშნავდა, რომ თუ ოდესმე გაიკვლევს გზას მსოფლიოში ჩვენი ღვინოები, მხოლოდ და მხოლოდ მისი ორიგინალური ხასიათის შედეგად და კვლავ ხაზს უსვამდა ღვინის დაყენების წესებისა და ტექნიკის გაუმჯობესების საჭიროებას. ამისაკენ მოუწოდებდა ხალხს ცნობილი ქართველი მეცნიერი ვასილ პეტრიაშვილიც: „ჩვენი ქვეყნის სამეურნეო მრეწველობაში ღვინოს დიდი ადგილი უჭირავს; მაგრამ, სამწუხაროდ, ეს მოსავალი ჩვენში ისე მზადდება, რომ ჩვენის მეტი მას არავინ ეწყობა. ამის გამო იძულებული ვართ ჩვენვე მოვიხმაროთ ეს მოსავალი; სხვა ქვეყანაში ჩვენ ღვინოს ფასი და გასავალი არა აქვს. თუ გვსურს, რომ ნამეტი ჩვენი მოსავლისა სხვასაც მივაწოდოთ, ჩვენს მოსავალს ბაზარი მოვუპოვოთ უცხო ქვეყნებში, საჭიროა იმ უცხო ხალხის გემოს და ჩვეულებასაც ყური ვუგდოთ და ჩვენი მოსავალი ისე მოვამზადოთ, რომ იმათთვისაც გამოსადეგი იყოს, იმათაც შეეძლოთ მისი მოხმარება. მხოლოდ მაშინ მოითხოვენ ჩვენ ღვინოს და ფასიც მაშინ ექნება. „ჯერ კი“ ჩვენ არ ვცდილობთ ჩვენი ღვინოების გაუმჯობესებას. ჩვენი ღვინის მასალა კი ისეთია, რომ ცოტაოდენი ცოდნით და მოვლით დიდი ღირსების ღვინოები დადგებოდა“[17].

ი. ჭავჭავაძესა და ვ. პეტრიაშვილს მხედველობაში ჰქონდათ მასობრივი პროდუქციის ხარისხის ამაღლებისა და რაოდენობის, რაც შეიძლება, გაზრდის ამოცანა; თორემ მათ, რასაკვირველია, იცოდნენ, რომ ცალკეულ მემამულეებს შედარებით კარგად ჰქონდათ ორგანიზებული მეღვინეობა და მაღალი ხარისხის ღვინოებსაც აყენებდნენ. მათგან უკვე დასახელებულთ გარდა, მრავალი სხვაც არის აღსანიშნავი. „საუფლისწულო უწყებაზე უფრო ბევრად ადრე დაიწყო ევროპული წესით ღვინის დაყენება. ივ. მუხრანბატონმაც (ბაგრატიონ მუხრანსკიმ). საზღვარგარეთ მოგზაურობიდან დაბრუნების შემდეგ, 1876 წ. იგი შეუდგა სარდაფის მშენებლობას თავის მამულში მუხრანში. 1878 წლიდან მუხრანსკის მეურნეობა უკვე ევროპული წესით დაყენებულ ღვინოების დიდ პარტიებს გზავნიდა სხვადასხვა ქალაქებში“...[18] მის სარდაფში ამ ხანებში 72-80 ათასი დეკალიტრი თორმეტი სახელწოდების მარკის ღვინო ინახებოდა: დილომი № 8, მწვანე № 10, მუხრანი № 5, დამპალო № 3 და სხვ. ამ ღვინოებს იმ დროს ხარისხით პირველი ადგილი ეკავა მთელს ამიერკავკასიაში; მათი ცალკეული ნიმუშები არაერთხელ ყოფილა აღნიშნული რუსეთის მთელ რიგ გამოფენებზე უმაღლესი ჯილდოთი. 1882 წელს სამხატვრო-სამრეწველო გამოფენაზე ბაგრატიონ-მუხრანელის ღვინოებს მიეკუთვნათ უმაღლესი ჯილდო — სახელმწიფო გერბი[19]. ქართული ღვინოების გაუმჯო-

[16] ილია ჭავჭავაძე, თხზ. ათ ტომად, ტ. V, თბილისი, 1955, გვ. 204-230.
[17] ვ. პეტრიაშვილი, ღვინის დაყენება, ტფილისი, 1895, გვ. 2.
[18] С. Диксенсон. Виноделие генерал-лейтенанта кн. И. К. Багратион-Мухранского, Тиф., 1880, стр. 3.
[19] Сб. св. по виногр. и винод. на Кавказе, вып. VII, Тифлис, 1910 стр. 110. ციტირ. კ. ჩარკვიანის წიგნიდან. მეღვინეობა და მისი ადგილი საბჭოთა საქართველოს ეკონომიკაში, თბ., 1960, გვ. 23.

ბესებასა და მათს სახელგანთქმულობაში ამ მეურნეობამ დიდი როლი შეასრულა, 1890 წლიდან საუფლისწულო უწყების ხელში გადავიდა; საბჭოთა მთავრობამ იგი სასოფლო-სამეურნეო ინსტიტუტს სასწავლო-სამეცნიერო ბაზად გადასცა და დღესაც წარმატებით ასრულებს ამ დანიშნულებას.

ქართული ღვინის სახელგანთქმულობაში მნიშვნელოვანი წვლილი მიუძღვის თვალსაჩინო მეღვინეს პ. ა ვ ე რ კ ი ნ ს[20]. იგი 38 წელი მუშაობდა გრაფ შერემეტიევის კარდანახის მამულში. ეს მამული გრაფმა შეიძინა ამატუნისაგან, რომელმაც უფრო ადრე იგი ხელსაყრელად იყიდა თავად ა. აფხაზისაგან. პ. ავერკინმა აქ შეადგინა როგორც კახური, ისე ევროპული ღვინოების კოლექცია და ბეჭდითი დაკვირვება აწარმოა მასზე. ამას საკმაოდ დიდი მნიშვნელობა ჰქონდა ქართული მარკიანი ღვინოების ასორტიმენტის ჩამოყალიბებაში (მაგალითად, 1888-1910 წწ. აქაურმა საფერავმა ფრიად მაღალი შეფასება მიიღო). ქართული ღვინოების სახელგანთქმულობას დიდი ღვაწლი დასდო თელაველი მეკირის შვილმა, თვითნასწავლმა იოსებ გიორგის ძე ბ ა ბ უ ნ ი ძ ე მ[21], მან 1885-1915 წლებში ბევრი რამ გააკეთა ქართული ვაზისა და ღვინის გაუმჯობესებისათვის — 1885 წელს დააარსა ღვინის ფირმა ჯერ კიევში, შემდეგ პეტერბურგში, ვლადივოსტოკში, თბილისსა და სხვა ცენტრებში და ყველგან მეტოქეობას უწევდა შემოზიდულ ევროპულ ღვინოებს. მისმა ღვინოებმა მიიღო 14 ოქროს, ვერცხლისა და ბრინჯაოს მედალი: 1892 წელს პირველ საერთაშორისო გამოფენაზე პარიზში — დიდი ოქროს მედალი, 1893 წ. პოლტავაში სასოფლო-მეურნეობის გამოფენაზე — ვერცხლის მედალი, 1894 წელს ანტვერპენში მსოფლიო სასოფლო გამოფენაზე — ბრინჯაოს მედალი და იმავე წელს ბელგიაში — კვლავ ბრინჯაოს მედალი; 1896 წელს პეტერბურგში რუსეთის სამრეწველო და სამხატვრო გამოფენაზე — ბრინჯაოს მედალი, 1897 წ. კიევში სამრეწველო და სას. სამ. გამოფენაზე — ოქროს მედალი და სხვა. მისი ღვინოები: წითელი — საფერავი, შავკაპიტო, სტეფანაური, მაღლემაური; თეთრი — რქაწითელი, ბუდეშური, მწვანე, ჯანური და სხვა მაღალი ღირსებისა იყო. იგი ყურძენს ყიდულობდა, თვითონვე კრეფდა და იმ დროისათვის მაღალი ტექნოლოგიით ამუშავებდა.

ი მ ე რ ე თ ი ადრიდანვე სამართლიანად ითვლებოდა და ამჟამადაც აღიარებულია ხარისხოვანი მეღვინეობის კუთხედ. იმერეთის ბევრ ადგილას ორდინარულ ღვინოებს აყენებენ; ეს ღვინოები მეტწილად გამოირჩევა შედარებით ნაკლები ექსტრაქტულობით, სიხალისითა და ჰარმონიულობით[22]. ამის მიუხედავად ციცქისა და ცოლიკაურის თეთრი და ოცხანური საფერეს წითელი ღვინოები, დაყენებული როგორც ევროპული, ისე ადგილობრივი იმერული წესით, უთუოდ კარგია: სპეციალისტები და ღვინის დამფასებელნი აღნიშნავდნენ, რომ ღვინოების მომავალი ჰაშნიკობები, ალბათ, გვიჩვენებს, რომ ამ ბოლო წლებში თვალსაჩინოდ გაუმჯობესდა იმერული ღვინოების ხარისხიც. ისინი ღირსებით იმდენად აღარ ჩამოუვარდებიან მთელ რიგ უცხოურ ღვინოებს. ამასთანავე იმერეთი იძლევა საქართველოს ღვინის საერთო პრო-

---

[20] П. А в е р к и н. Кахетинские сорта винограда и вина в сравнении с европейскими сортами и винами, М., 1909.

[21] ი. ჯ ა ვ ა ხ ი შ ვ ი ლ ი. უანგარო ქველმოქმედი, გაზ. „კომუნისტი", 1965, 4 ივლისი.

[22] გ. ბ ე რ ი ძ ე. გვ. 130.

დუქციის 24%-ს, რომელშიც ისეთი მაღალი ღირსების ღვინოებიც დგას, როგორიცაა ციცქა, ცოლიკაური, კრახუნა, ოცხანური საფერე და სხვა.

საერთოდ, დასავლეთ საქართველოში პირველი ქართული, [illegible] ღვინო „ოჯალეში" დააყენეს სამეგრელოში. აქ პრინცმა მიურატმა, „1889 წელს სანიმუშოდ გააშენა დაბლარი ვენახები სოფ. სალხინოში და ჰქადუაშში"[23]. ჟიულიენი მოგვითხრობს, რომ სამეგრელოში დიდი და უმსხვილესი ღეროიანი (მაღლარი) ვაზებია; მათ ნაკლებად უვლიან, მაგრამ იძლევიან მაგარსა და სასიამოვნო გემოს მქონე ტანინიან ღვინოს, მეგრელები სვამენ ყველა სხვა ხალხზე მეტ შუმ ღვინოს. თითოეული მოსახლის დღიური ნორმა, ხელოსანია თუ თავადი, ერთი თუნგია. „ოჯალეშის ღვინო ბევრს ურჩევნია კახურს. იგი ბურგუნდულ ღვინოს მოგვაგონებს, მაგრამ აქვს თავისი საუკეთესო ღირსებანიც და საუკეთესო ბუკეტი" — მოგვითხრობს 1853 წ. „კავკასიის კალენდარის" კორესპონდენტი და იქვე განაგრძობს: „ყურძენს კრეფენ დეკემბერსა და იანვარშიც და ღვინო გამოდის ბუნებრივად ტკბილი"[24]... აღსანიშნავია ი. გოგებაშვილის ცნობაც, რომ: „სამეგრელოში იმერეთზე მეტ ღვინოს აყენებენ, მაგრამ მაღალი ტენიანობის გამო აქაური ღვინო მსუბუქი, თხელი და წყლიანია... ზოგან კი, მდ. ტეხურსა და ხობს შორის აღმოსავლეთიდან დასავლეთისაკენ მთისწინებში, სადაც იწყება სოფ. სალხინო და თავდება შხეფი, მიიღება ცნობილი ოჯალეშური ღვინო, რომელიც არ ჩამოუვარდება კარგ კახურ ღვინოებს". მათ აქ აყენებენ იმერული წესით.

გურიაში ზოგან კარგი ღვინოები დგება. ჯერ კიდევ ვახუშტი აღნიშნავდა: „აქ ვენახები მაღლარია. ღვინო კარგია — მსუბუქი, სურნელოვანი და გემრიელი. მას ბლომად აყენებენ". ისტორიკოსი დ. ბაქრაძე წერდა, რომ: „გურიაში ადგილობრივი ჯიშებიდან განსაკუთრებით ცნობილი იყო ჩხავერი (სოფ. ბახვი)". პ. ძიუბენკო ერთგან ამბობდა, რომ „გურიაში ცნობილი იყო აგრეთვე საჯავახური ღვინო"[25]. მაგალითად, აქ ადგილობრივ მცხოვრებთა გარდა უცხო მრეწველნიც ეწეოდნენ მეღვინეობას. 1880 წელს მეღვინე კნორინგი აქ ამზადებდა ღვინოს და ყიდდა თბილისში. გურიის სხვადასხვა ხეობაში აყენებენ უპირატესად სუფრის სხვადასხვანაირ ღვინოს; ყველაზე ცნობილია და აქაური მეღვინეობის სიამაყეა მაინც ბუნებრივად ნახევრად ტკბილი ჩხავერი. კარგი ღვინოები დგება ყურძნის სხვადასხვა ჯიშებიდან ცოლიკაური, ჯანა, მტევანდიდი, საკმიელა და სხვა[26].

რაჭაში — ძველთაგან განთქმული იყო ჯიში ალექსანდროული, რომლიდანაც ძმებმა ყიფიანებმა ჩამოაყალიბეს ე. წ. „ყიფიანის ღვინო", ახლა რომ „ხვანჭკარა" (ყველაზე ტიპიური სოფლის სახელი) ჰქვია. იგი განთქმული იყო მთელ ქუთაისის გუბერნიაში და თბილისშიც. კარგია აგრეთვე წულუკიძის თეთრა (ახლა მას „თეთრა" ეწოდება). ქვემო რაჭაში კარგი ღვინო დგება სხვა ჯიშებიდანაც—ცოლიკაური, უსახელოური, ძველშავი, საფერე და სხვა).

---

23 Сборник сведений по виноградарству и виноделию на Кавказе, стр. 122.

24 М. Бр о с с е. История Грузии, I-II, стр. 175.

25 П. В. Дзюбенко. Виноделие на Кавказе. Тифлис, 1886, стр. 3—4.

26 თედო სახოკია. მოგზაურობანი: გურია, აჭარა, სამურზაყანო, აფხაზეთი; თბ., 1950, გვ. 47, 125, 174, 313, 314.

ლეჩხუმში, ლაჯანურისა და ცხენისწყლის ხეობებში, [illegible] სხვა ადგილებში ოჯალეშის, ალექსანდროულისა და ცოლიკაურის ყურძნისაგან დგება კარგი ღვინო, მაგალითად, მარკიანი ღვინო [illegible]

აჭარაში ძველად, გამაჰმადიანებამდე, მევენახეობა-მეღვინეობა კარგად იყო განვითარებული და კოლხეთის ღვინოების სახელგანთქმულობა მასაც შეეხებოდა. თურქების სამნახევარსაუკუნოვანი ბატონობის დროს ეს დარგები აქ თითქმის ჩაკვდა; თურქეთის უღლიდან განთავისუფლების შემდეგ კი აჭარა აღორძინების გზას დაადგა. მ. ბალასის ცნობით, 1884 წელს ართვინის ოლქიდან გაზიდეს 22 ათასი ფუთი ყურძენი, ოღონდ მაშინ აქ ღვინოს არ აყენებდნენ; ხოლო სადაც აყენებდნენ, მაგალითად, სოფ. გომში, თედო სახოკიას თქმით, „საუკეთესო იყო ჩხავერის ღვინო, ნაზი გემოსი და უზადო. ის ძალიან წააგავდა აფხაზურ ღვინოს „ამლახუს". თურქების დროს მოსახლეობა ღვინის მაგივრად ყურძნის ძეენს — „ხარდალს" (მერბეთი, ბექმეზიდა სხვ.) სვამდნენ". ახლა აჭარაში ღვინოს აყენებენ, სვამენ და ყიდიან კიდეც. აჭარა მაინც ორდინარული ღვინოების რაიონია. აქ ვაზის მრავალი ჯიშია, რომელთაგან უპირატესად გავრცელებულია ცოლიკაური, საწური, კლარჯული, ბათუმური, საფერავი და სხვ.

აფხაზეთში მევენახეობა-მეღვინეობა ცნობილია უძველესი დროიდან, მაგრამ, მ. ბალასის ცნობით, „მხოლოდ გასული საუკუნის 30-იან წლებში ჩაატარეს აქ პირველი წესიერი ცდები მეღვინეობაში ქართველმა და რუსმა მევენახეებმა და მეღვინეებმა. 50-იან წლებში ისინი კუსტარულ პატარა ქარხნებში 50 ათასამდე ვედრო ღვინოს აყენებდნენ და ამის ნაწილს ეზიდებოდნენ ქერჩში, ნოვოროსიისკსა და რუსეთის სხვა ქალაქებში. 60-იან წლებამდე, ვიდრე სოკოვანი დაავადებები გაჩნდებოდა, გუდაუთის რაიონში ცნობილი იყო ორგვარი ღვინო — ოქროსფერი და ვარდისფერი, შამპანურის მსგავსი; აქვე განთქმული იყო ღვინო „ამლახუ", რომელიც გემოთი „ხერესს" მოგვაგონებდა. წითელი ღვინოებიდან საუკეთესო იყო სქელი და მუქი ღვინო სოფელ ტასრაკვანისა, ქარვისფერი — ჯეგარდინისა და მუქი ვარდისფერი — ოთარასი. გუდაუთისა და კოდორის შემაღლებული ადგილების ღვინოები, სოკოვან დაავადებათა გაჩენამდე და ვაზის ადგილობრივი კარგი ჯიშების იზაბელათი შეცვლამდე, გამოირჩეოდნენ სიმაგრითა და შესანიშნავი თვისებებით. ამჟამადაც აფხაზეთში აყენებენ ევროპული ტიპის სუფრის ღვინოებს ვაზის — კაჭიჭისა და ცოლიკაურის — ჯიშებიდან; იზაბელადან დგება წითელი ორდინარული სუფრის ღვინო; აგრეთვე, მისგან და ცოლიკაურიდან გამოდის პორტვეინის ტიპის დესერტული ღვინო, რომელსაც ეწოდება „აფხაზეთის ბუკეტი". აქვე აყენებენ ნახევრად ტკბილ ღვინოებს — „ფსოუსა" და „ლიხნის". დიდი შესაძლებლობისაა ვაზის ჯიში კრახუნა: მისგან მიღებულ ღვინოს ახასიათებს ხერესის თვისებები და სადესერტოა. ვაზის ჯიშთა — ცოლიკაურის, ავასირხვას, კაჭაჭისა და ოჯალეშის — სუფრის ღვინოების ნიმუში მაღალი ღირსებისაა. აღსანიშნავია, რომ „ადგილობრივი ბუნებრივად ტკბილი ჩხავერი მშვენიერია და არ ჩამოუვარდება გურულს. რევოლუციამდელ პერიოდში — გასული საუკუნის სამოციანი წლებიდან და განსაკუთრებით კი მის მიწურულში საქართველოს მეღვინეობა რიგი მიზეზების გამო (მრაქი, ნაცარი, ფილოქსერა და სხვ.) დაქვეითების გზას დაადგა და ხანგრძლივ დეპრესიაში მოექცა. XX საუკუნის ოციან წლებამდე მას კრიზისი დაუდგა, პირველი მსოფლიო ომისა და რევოლუციის თანმდევნი მოვლენებისა-

გან. მხოლოდ საუფლისწულო უწყების მეურნეობებში დაყენებული ღვინოები ინარჩუნებდნენ მაღალ ხარისხს. მაშინაც, აქაურ მეღვინეთა ერთი წყება გულმოდგინედ ატარებდა ხაზს — წაშლილიყო ქართული ღვინის სპეციფიკა და ღვინო მხოლოდ ევროპული წესით ემზადებინათ. ამის მიუხედავად, ქართული მიწისა და მზის ძალამ, ვაზის შესანიშნავმა ჯიშებმა და ადამიანის გულმოდგინებამ მათ ეროვნული არსი შეუნარჩუნა. საუფლისწულო უწყების ცნობილმა სპეციალისტებმა: გ. გოგოლ-იანოვსკიმ, მ. ხოვრენკომ, მ. მასინომ, ს. ვახვახიშვილმა, ვ. ჯაფარიძემ, ე. ნაკაშიძემ, ა. ეგოროვმა, ტ. ბააკაშვილმა, ი. თარხნიშვილმა, დ. მდივანმა და სხვ. ცნობილ მეურნეობებში — კახეთში (წინანდალი, ნაფარეული, მუკუზანი, კარდანახი), ქართლში (მუხრანი, ალაიანი, ატენი), იმერეთში (ვაჭევი, ვარციხე, საქარა და სხვ.) გააფართოვეს და შეავსეს აღნიშნული მეურნეობანი როგორც ადგილობრივი, ისე უცხოური ვაზის ჯიშებით და ამით განავითარეს მევენახეობა-მეღვინეობა. ამ ღვინოებმა საქართველოს მეღვინეობას სახელი მოუხვეჭეს მსოფლიოში და 1930 წლამდე შეინარჩუნეს სახელწოდებანი „წინანდალი № 64“, „მუკუზანი № 65“, „ნაფარეული № 66“, „წინანდალი № 45“, „მუკუზანი № 46“, „ნაფარეული № 47“ და „თელიანი № 48“.

საუფლისწულო უწყებათა მიერ გამომუშავებული ღვინოების საერთო რაოდენობა ჯერ კიდევ 80-იან წლებში 100.000 ვედროს აღემატებოდა. ამ პერიოდში მეღვინეობაში ღვინის მეცნიერული დამზადების წესების დანერგვისა და ღვინოების ევროპულ ყაიდაზე დაყენების საქმეში თვალსაჩინო როლი შეასრულეს პროფ. ვ. პეტრიაშვილის, მ. ხოვრენკოს, ზ. ჯორჯაძის და სხვათა ნაშრომებმა. საუფლისწულო უწყების მეურნეობებში ღვინის წლიური წარმოება ძალზე მცირე იყო (საქართველოში სულ — 5-7 მილიონი ვედრო ღვინის საშუალო წლიური გამოსავალი იყო). გლეხური წარმოების ღვინის უდიდესი მასა კი მდარე ხარისხისა იყო და პრიმიტული ტექნიკის გამო სალად დიდხანს ვერ ძლებდა; მას ადრე გაზაფხულიდან უჩნდებოდა მრავალი დაავადება (პრკე, გადაბრუნება, მოლბობა, სიმავე, მოჭვანქვა-დაძმარება და სხვ.), ამიტომ იგი ბაზარზე ან სულ ვერ საღდებოდა, ან ძალზე დაბალ ფასად იყიდებოდა. ჟურნ. „მოსავლის“ 1909 წლის მაისის ნომერში მეღვინე სპეციალისტი ვ. მ ჭ ე დ ლ ი შ ვ ი ლ ი წერილში — „კრიზისი“ მეღვინეობისა კახეთში“ — წერდა: „მიზეზი ამ კრიზისისა იმაში მდგომარეობს, რომ არ ვიცით: როგორ დავაყენოთ და როგორ შევინახოთ ღვინო ისე, რომ მალე არ დაგვიძმარდეს, არ გაგვიფუჭდეს“.

საქართველოს მეღვინეობის საქმე კატასტროფამდე იყო მისული საბჭოთა ხელისუფლების დამყარების წინა წლებში. ამის შესახებ ჟურნ. „ვაზი და ღვინოს“ ფურცლებზე გულისტკივილით წერდნენ: პროფ. ს. ჩოლოყაშვილი, გ. წინამძღვრიშვილი, ი. ანდრონიკაშვილი, კ. ნაკაშიძე და სხვები. საბჭოთა ხელისუფლება ენერგიულად შეუდგა მევენახეობა-მეღვინეობის აღდგენას და განვითარებას საქართველოში.

ახალი (მესამე) და უმნიშვნელოვანესი პერიოდი საქართველოს მევენახეობა-მეღვინეობის განვითარებაში არსებითად დაიწყო 1921 წლიდან. 1931-1941 წწ. ჩატარდა განსაკუთრებული ქმედითი ღონისძიებანი, მაგრამ ეს ძალზე მნიშვნელოვანი საქმე ომმა შეაფერხა. უფრო გონივრულად აღორძინდა მევენახეობა-მეღვინეობა 1950 წლიდან. კოოპერაციული ამხანაგობები: კახელ

მევენახეთა — „კახეთი“ და „კავშირთ-კავშირი“, იმერელ მევენახეთა — „საგურო“, შემდეგ — გაერთიანებული „საქართველოს ღვინო“; განსაკუთრებით კი — „სამტრესტი“ და „შამპანკომბინატი“ — აი, ორგანიზაციებმა, რომლებმაც დიდი მუშაობა გასწიეს სოფლის მეურნეობის მგეგმავი და სხვა ორგანოების ხელმძღვანელობით და დადებით შედეგებსაც მიაღწიეს. აქედან იწყება სახელგანთქმული ქართული ღვინოების ასორტიმენტის ეროვნულ ნიადაგზე აღდგენა, დახვეწა და გაფართოება, დაძველებული ღვინის მოცულობის წლიდან წლამდე ზრდა და გაუმჯობესება.

ქართული ღვინის სახელგანთქმულობას ხელი შეუწყო საკავშირო ორგანოების რიგმა სპეციალურმა ღონისძიებამ: განისაზღვრა ღვინისა, საერთოდ, და, კერძოდ, სამარკო ღვინის ცნება — მისი დაყენების, დაძველების, ჩამოსხმისა და რეალიზაციის სავალდებულო წესები, ცალკეულ საკითხებზე ჩამოყალიბდა და გამოქვეყნდა დადგენილებანი, წესები და ინსტრუქციები; შეიქმნა ღვინის საკავშირო და ადგილობრივი სადეგუსტაციო კომისიები, ამასთან, მეღვინეობის ძირითადი რაიონების ხარისხოვანი ღვინოების პერიოდულმა ჰამნიკობამ და, საერთოდ, გეგმური, ოპერატიული და მეცნიერულ-კვლევითი ღონისძიებების გაღრმავება-გაფართოებამ მნიშვნელოვნად გააუმჯობესა საქმიანობა ამ დარგში.

ომისშემდგომ პერიოდში ქართული ღვინოების ნიმუშები სულ უფრო ხშირად იგზავნებოდა სხვადასხვა ქვეყანაში საერთაშორისო გამოფენებსა და ჰამნიკობებზე. ამან ხელი შეუწყო ჩვენი ღვინოების გაცნობას მსოფლიო მოსახლეობის სულ უფრო ფართო წრეებში, რასაც შედეგად მოჰყვა მოთხოვნა — გაეგზავნათ ისინი მათ ქვეყნებში სარეალიზაციოდ... და როცა ჩვენი ღვინო გამოჩნდა მსოფლიოს ბაზრებზე, ამან სხვადასხვაგვარი გამოძახილი გამოიწვია. ჯერ კიდევ 1955 წელს შეშფოთდნენ ფრანგი მეღვინეები: გაზ. „მონიტორი“ იტყობინებოდა, რომ: „ლონდონში გაიგზავნა ქართული მარკის ღვინოების ნიმუშები: წინანდალი, ნაფარეული, მუკუზანი, კარდანახი და ქართული ღვინის მაღალ ხარისხს გაიგებს მსოფლიო“[27]. ეს პირველ რიგში ჩვენთვისაა საზარალო — აღნიშნავდნენ ისინი; მაგრამ იყვნენ ისეთებიც, როგორც, მაგალითად, რენე ფიუზელი და მორის მასე, რომელიც ეწვივნენ თბილისს, რამდენიმე ხანს დაჰყვეს შამპანკომბინატის თბილისის ქარხანაში, უყვლაფრით აღფრთოვანდნენ, განსაკუთრებით მოეწონათ ქართული ღვინოები და ისინი საუკეთესოდ მიიჩნიეს[28]. ამავე ხანებში თბილისში სტუმრად იყო რუმინეთის ერთ-ერთი უდიდესი მეღვინე. მის პატივსაცემად ღვინის № 1 ქარხანაში ღვინის ჰამნიკობა გამართეს. სტუმრის მიერ ჩამოტანილი ღვინოების მონაწილეობით. მან თქვა: „თვითეული ქვეყნის ღვინოს აქვს თავისი სპეციფიკა. სახელდობრ, ამ ორიგინალური სპეციფიკით არის განთქმული მთელს მსოფლიოში ქართული ღვინოები; მაგალითად, რუმინული ღვინოებისაგან განსხვავებით, ქართული ღვინოები ნაკლებ სპირტიანია, მათში სიმაგრე არა

[27] გაზ. „კომუნისტი“, 1955 წ. 15 ოქტომბერი.

[28] გაზ. „თბილისი“, 1958 წ. 25 ნოემბერი. ამასთანავე საინტერესოა ითქვას, რომ ფრანგული ჟურნ. Le monitor vihicoe წერილში „ფრანგული ღვინოების მოულოდნელი კონკურენტი“ აღნიშნავდა, რომ ინგლისში მოეწონათ ქართული ღვინოები და სულ უფრო მეტი რაოდენობით იძენენ, რადგან თვლიან, რომ ისინი ხარისხით არ ჩამოუვარდებიან შესაბამის ფრანგულ ღვინოებს და უფრო იაფად ფასობენ. ეს არის საფრანგეთის მეღვინეობისათვის გარკვეული კონკურენცია და საჭიროა მიღებულ იქნეს სათანადო ღონისძიებანი—დაასკვნიდა დასახელებული ჟურნალი.

უმეტეს 12 გრადუსია, მათ აქვთ საუკეთესო გემო, ნაზი არომატი, ლამაზი ფერი". სტუმარს ცნობილმა მეღვინე გ უ რ ი კ ა ნ დ ე ლ ა კ მ ა უპასუხა: „ჩვენ, ქართველ მეღვინეებს, მიგვაჩნია, რომ ღვინო არის სასმელი, რომელიც ადამიანის ორგანიზმისათვის უნდა იყოს სასარგებლო და ამავე დროს სიამოვნებასაც ანიჭებდეს; სწორედ სიტკბოებას და არა დანაყრებას სპირტის დიდი რაოდენობით. აი, ამაშია ქართული ღვინის პოპულარობის „საიდუმლოება", ეს „საიდუმლოება" კი, გამომუშავდა საუკუნეობით"[29]. ამ ქარხნის საპატიო წიგნში ბევრი აღფრთოვანებული ჩანაწერებია. აი, ზოგი მათგანი:

სსრკ მეცნიერებათა აკადემიის ნამდვილი წევრი, სოციალისტური შრომის გმირი გ. ლ ი ა ხ ნ ო წერდა: „რამდენჯერმე მქონდა შემთხვევა გამესინჯა ფრანგული და იტალიური ღვინოების საუკეთესო ნიმუშები, მაგრამ ქართული მშრალი ღვინოების მსგავსი ჯერ არ მინახავს. ყურძნის წვენისაგან დაყენებულ ღვინოებში იგრძნობა ქართული მზისა და მიწის მადლი — სასიამოვნო ნექტარი, რომლისაგანაც გრძნობ მხნეობას და დგები საუკეთესო გუნებაზე".

1961 წ. 17 თებერვალს აშშ-ის მოქალაქემ ჟურნალისტმა, ჯინმა პირსმა ჩაწერა: „ჩემს ქვეყანაში ღვინოს სიცოცხლის სისხლად სთვლიან; ვემშვიდობები ამ შესანიშნავ ქარხანას და გულით მიმაქვს დიდი იმედი, რომ თქვენი ხალხისა და ცხოვრების სისხლი მუდამ იჩქეფს თქვენი ხალხის საბედნიეროდ. ჩემს თავს მოვალედ ვთვლი გამოვხატო ულრმესი მადლობა იმ სიამოვნებისათვის, რომელიც მომანიჭა ქართველი ხალხის სტუმართმოყვარეობამ, თქვენმა საუკეთესო ღვინოებმა". ამერიკელი დოქტორი მენარდა ემერინე (კალიფორნია) წიგნში — „საბჭოთა კავშირის მეღვინეობის რაიონები" — დაწვრილებით იხილავს საქართველოში მევენახეობისა და მეღვინეობის განვითარების საკითხებს. ავტორი ახასიათებს ქართული ვაზის ჯიშებს, კახური ღვინის დაყენების წესსა და ჩურჩხელის დამზადების ტექნოლოგიას. მკითხველს უზიარებს თბილისის შამპანურისა და კონიაკის ქარხნების ნახვით მიღებულ შთაბეჭდილებას, აღწერს კონიაკის დამზადებისა და დაძველების პროცესებს და აღფრთოვანებით წერს № 1 ქარხანასთან არსებულ მუზეუმზე (ღვინოების ბიბლიოთეკაზე). ემერინის სიტყვით, საქართველოში აძველებენ ღვინოების 15,2%, კალიფორნიაში კი — ბევრად ნაკლებს. თბილისი, აღნიშნავს ამერიკელი, ყოველწლიურად აწარმოებს შვიდ მილიონ ბოთლ ცქრიალა ღვინოს, რაც სსრ კავშირში ამგვარი ღვინის წარმოების 15-20%-ს შეადგენს. მუკუზნურ ღვინოს ადარებს — კალიფორნიულს, ბურგუნდულს, რაინულსა და სხვებს და ზღაპრულს უწოდებს"[30].

ქართული ღვინოების მასობრივი გაზიდვა უცხოეთში დაიწყო ამ ათი წლის წინად და ამჟამად როგორც გამოფენებსა და კონკურსებზე, ისე გასაყიდად მოკავშირე რესპუბლიკების გარდა იგზავნება 35-ზე მეტ ქალაქსა თუ ქვეყანაში. ამ პოპულარიზაციას ხელი შეუწყეს თბილისში ჩატარებულმა 1962 წ. სექტემბერში „მევენახეობისა და მეღვინეობის X მსოფლიო კონგრეს-

[29] გაზ. „ზარია ვოსტოკა", 1955, 27 დეკემბერი.
[30] გაზ. „თბილისი", 1964 წ., 19 ივნისი.

ეროვნული ბიბლიოთეკა

მა“[31] და 1965 წ. იმავე თვეში მოწყობილმა „ყურძნისა და შამპანური ღვინოებისა და კონიაკების საერთაშორისო კონკურსმა“.

ქართული ღვინის საერთაშორისო [illegible]ტყველებს მსოფლიოში ცნობილ მეღვინეთა გამონათქვამი[32]:

პიერ-ლერუა (საფრანგეთი): „მოსკოვში გავსინჯე ქართული ღვინო; ხოლო უფრო ადრე ჩემმა მეგობარმა გერასიმოვმა შვეიცარიაში 10 ბოთლი სხვადასხვა ღვინო ჩამოიტანა; აქედან ექვსი ქართული იყო. ქართული ღვინოები შესანიშნავია!..“

კ. ნაზარენკო (კონგრესის გენერალური კომისარი, სსრკ სოფლის მეურნეობის მინისტრის მოადგილე): „არ შევცდები თუ ვიტყვი, რომ ქართული ღვინოები ყველაზე საუკეთესოა სსრ კავშირში და მეტოქეობას თავისუფლად გაუწევს მსოფლიოს, რომელიც გნებავთ, ღვინოს“.

პროფ. ანდრე გოდარი (ფედერაცია „ავსია ბუგეი დეფინეს“ დირექტორი — საფრანგეთი): „მთავარი შთაბეჭდილება, რომელიც მე მივიღე ინსტიტუტში (იგულისხმება მებაღეობის, მევენახეობის და მეღვინეობის ინსტიტუტი — ნ. ი.) ყოფნის დროს, ის არის, რომ თქვენში არ ივიწყებენ ქართულ მეღვინეთა ძველ ტრადიციებს და ამავე დროს მას უქმნიან თანამედროვე მეცნიერულ საფუძველს“.

პიერ-ფრიდამმა (საფრანგეთი) მევენახეობა-მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროს ვიცე-პრეზიდენტმა სხვათა შორის თქვა: „წარმოდგენილ ღვინოებს შორის მინდა განსაკუთრებით აღვნიშნო ქართული ღვინოები, რომლებიც ყველაზე მეტად უახლოვდებიან ხარისხით საუკეთესო ფრანგულ ღვინოებს. მე პირადად უფრო მომწონს თქვენი თეთრი ღვინოები“.

პროფ. ბ. ფლანზი (საფრანგეთი): აქ „...შექმნილია ვაზის ძვირფასი ასორტიმენტი და საგანგებო ღირსების ღვინოები, რომელთა ქება და სახელი ყველგან ისმის, ქართულ წითელ ღვინოებს ბადალი არ მოეპოვება. მათ ბორდოსა და ბურგუნდიის ღვინოებთან შედარებით მეტი სალებავი ნივთიერება აქვთ: მეტი სხეული და ექსტრაქტული ნივთიერება ახასიათებთ“.

პროფ. გ. რადუჩევი (ბულგარეთი): „რაც შეეხება ქართულ ღვინოებს, ისინი შესანიშნავი არიან... საერთაშორისო დეგუსტაციებზე და კონკურსებზე მუდამ მოწმე ვყოფილვარ ქართული ღვინოების გამარჯვებისა“.

ჯ. დალმასო (ტურინის უნივერსიტეტის პროფესორი — იტალია): „რა შემიძლია ვთქვა ქართულ ღვინოებზე? ძალიან ბევრი კარგი. თქვენი თეთრი ღვინოები მზიანია; თუ შეიძლება ასე ითქვას, ძარღვებში ადამიანს ცეცხლს წაუკიდებს. წუნი არც წითელ ღვინოებს დაედებათ“...

კონგრესის ვიცე-პრეზიდენტი, იგივე ჯოვანო დალმასო, სამშობლოში დაბრუნების შემდეგ, ჟურნალში — „იტალიის სოფლის მეურნეობა“ — 1962

---

[31] რამდენიმე ხნის წინათ (მარტი, 1968 წ.) სამტრესტს მოუვიდა ცნობა „მევენახეობისა და მეღვინეობის საერთაშორისო ბიუროსაგან“, რომლითაც მისი თავჯდომარე რენე პროტენი იტყობინება, რომ თბილისში შედგება ყოველ ოთხ წელიწადში ერთხელ ღვინის, შამპანურისა და კონიაკის საერთაშორისო კონკურსი. ეს გადაწყვეტილება სასიამოვნოა იმდენად, რამდენადაც შეიძლება მივიჩნიოთ, რომ საქართველოს მეღვინეობა სხვებზე საინტერესოა მსოფლიო მასშტაბით და ქართული ღვინო, შამპანური და კონიაკი გამოდგება მსოფლიოს სათანადო ქვეყნების ამგვარი პროდუქციის ერთ-ერთ ეტალონად.

[32] ნ. იაშვილი. ღვინოების მსოფლიო ჭაშნიკობა თბილისში, ჟ. „საქართველოს ეკონომისტი“ № 8, 1965 წ., გვ. 51-58.

წლის ნოემბრის ნომერში წერდა: „... საქართველოს ღვინოების... დიდ ღირსებას აღნიშნავენ მწერლები, პოეტები, მოგზაურები. ისინი [illegible] საბჭოთა კავშირში საუკეთესოდ, რომლებიც ევროპის საუკეთესო ღვინოთა შორის საუკეთესოებსაც შეედრება. ეს ჭეშმარიტება შე[illegible] სადესერტო (შემაგრებულ, ტკბილ და ნატურალურ ნახევრადტკბილ) ღვინოებზედაც"[33]. ამგვარად სხვებიც ხშირად მოქცეულან...

ცნობილმა რუსმა მეღვინეებმა (გოგოლ-იანოვსკი, მასინო, ხოვრენკო, ეგოროვი, პროსტოსერდოვი, გერასიმოვი და სხვა მრავალი), რომელთაც გადამწყვეტი წრთობა ამ საქმეში სწორედ საქართველოში მიიღეს, ჯერ კიდევ ცარიზმის ეპოქაში აღიარეს ქართული ღვინის შეუდარებელი თვისებები. პროფ. მ. ხოვრენკომ იმთავითვე აღნიშნა: „კახეთი განსაკუთრებული მხარეა თავისი ღვინოებით, რომელსაც უფლება აქვს პირველი ადგილი დაიკავოს რუსეთში ხარისხოვან მეღვინეობის რაიონებს შორის"[34].

თითქმის ნახევარი საუკუნის შემდეგ, საქართველოში მეცნიერულად დაოსტატებულმა, მსოფლიოში სახელმოხვეჭილმა მეღვინემ, თბილისის ყურძნისა და შამპანური ღვინოების საერთაშორისო კონკურსის ჟიურის თავმჯდომარემ, საბჭოთა კავშირის პირველმა მეღვინემ, პროფესორმა მ. გ ე რ ა ს ი მ ო ვ-მ ა მ ე ღ ვ ი ნ ე ო ბ ა-მ ე ვ ე ნ ა ხ ე ო ბ ი ს მსოფლიო X კონგრესზე თქვა: „ქართული მარკიანი ღვინოები საკმაოდ ცნობილია და მათ ღირსეული ადგილი უჭირავთ საბჭოთა კავშირის ღვინოების ასორტიმენტში. განსაკუთრებით თაყვანს ვცემ კახური ტიპის ღვინოს — ტიბაანს; მასში შეხმატკბილებულია ქართული ღვინოების ნიშან-თვისებანი. მას ახასიათებს სხეულიანობა, სივაჟკაცე, სიძლიერე, ექსტრაქტულობა, სპეციფიკური ხილის არომატი, მუქი ჩაის ფერი, ჰარმონიულობა, სინოყივრე და მასაზრდოებელ ნივთიერებათა საკმაო შემცველობა. ყოველთვის მაღალ შეფასებას ვაკუთვნებ ქართულ მარკიან სუფრის ღვინოებს: წინანდალს, ნაფარეულს, თელიანს, სვირსა და სხვა; არანაკლებ ყურადღებას ვაქცევ ნატურალურ მოტკბო ღვინოებს და ქართულ შამპანურს"[35].

ამრიგად, ქართული ღვინის თავისებური ორიგინალური ნიშანთვისებები აღიარებულია მსოფლიოში. მთავარი ღირსება ისაა, რომ მათ ახასიათებთ სპეციფიკური, თუ შეიძლება ასე ითქვას, ეროვნული „ბუკეტი", გემო, მდგრადობა. ისინი არასოდეს არ არის, რომელიც გნებავთ მხარისა და ქვეყნის ღვინის მსგავსი.

ბულგარეთში მოწყობილ ღვინოების საერთაშორისო კონკურსზე თითქმის ყველა ღვინომ და კონიაკმა მიიღო მედალი, რომლებიც კი წარვადგინეთ. ოქროს მედალი მიიღეს „თელიანმა", „ახალშენმა" და „სალხინომ"; კონიაკებმა — „ენისელმა", „თბილისმა" და „კს"; ვერცხლის მედლები — "წინანდალმა", „ნაფარეული № 27", „ახმეტამ", „ტიბაანმა", ნახევრადმშრალმა შამპანურმა და კონიაკმა „ვარციხემ". აქვე უნდა აღინიშნოს, რომ ქართული ღვინოები ყოველთვის მაღალ შეფასებას იმსახურებენ ფერით, გემოთი და არომატულობით.

---

[33] ამის შესახებ უფრო დაწვრილებით: ჟურნ. „საქართველოს ეკონომისტი", № 8, 1964, გვ. 88.

[34] М. А. Х о в р е н к о. Общее виноделие, М., 1909, стр. 250.

[35] გაზ „კომუნისტი", 1965 წ., 12 სექტემბერი.

— უნგრეთის საერთაშორისო კონკურსზე წარმოდგენილი იყო 1.345 სახის სხვადასხვა ღვინო. საბჭოთა კავშირიდან 50 სახის სხვადასხვა [illegible] წარმოდგენილი. აქედან 20 საბჭოთა ღვინომ ოქროს მედალი მიიღო, [illegible] 28 — ვერცხლის; ოქროს მედლით დაჯილდოვდა ღვინოები [illegible]ნა“, მოლდავური კაგორი „ჩუმაი“, სომხური ხერესი „ბიუროკან“ და სხვ. ქართული ღვინოებიდან ყველამ მიიღო მედლები, რომლებიც კი წარედგინა ჟიურის. ოქროს მედლებით დაჯილდოვდნენ: „მუკუზანი“, „ხვანჭკარა“, „ოჯალეში“, „ნაფარეული № 28“, ნახევრად მშრალი შამპანური და კონიაკი „გრემი“; ვერცხლის მედლები დაიმსახურეს „გურჯაანმა“, „ტვიშმა“, „მუხრანულმა“ და კონიაკმა „ოს“. ამასწინათ მოწყობილ ლაიპციგის საერთაშორისო ბაზრობაზე ოქროს მედლები მიიღეს ქართულმა ღვინომ „თელიანმა“ და კონიაკმა „თბილისმა“.

ბულგარეთისა და უნგრეთის საერთაშორისო კონკურსები ხომ პირველი არ იყო? 1955 წლიდან საბჭოთა ღვინოები მონაწილეობდნენ 10 საერთაშორისო კონკურსში, სადაც ჩვენი ღვინოები დიდი მოწონებით სარგებლობდნენ. საერთოდ, საბჭოთა ღვინოებმა საერთაშორისო კონკურსზე დღემდე 870 მედალი მოიპოვეს, აქედან 447 ოქროსი. ქართულმა ღვინოებმა მიიღეს 557 მედალი, აქედან 75 ოქროსი, 75 ვერცხლისა, ხოლო დანარჩენი — ბრინჯაოსი. ყველაზე მეტი ოქროს მედალი მიკუთვნებული აქვს ყირიმულ მუსკატს. მაგალითად, თეთრი მუსკატს „კრასნიე კამნის“ 9 ოქროს მედალი და გრან-პრი აქვს. რვა ოქროს მედალი აქვს ღვინო—„პინო-რის“.

ქართული ღვინოებიდან ყველაზე მეტი — 9 მედალი აქვს „წინანდალს“. აქედან სამი ოქროსი და 6 ვერცხლისა; „მუკუზანს“ აქვს 4 ოქროს, ერთი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოს მედალი; „თელიანს“ სამი ოქროს და სამი ვერცხლის მედალი აქვს, „ახალშენს“ — სამი ოქროსი და სამი ვერცხლის, „ქინძმარაულს“ — ორი ოქროსი, სამი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოსი; „გურჯაანს“ — ერთი ოქროსი, ოთხი ვერცხლის და ერთი ბრინჯაოსი; „ახმეტას“ — ექვსი ვერცხლის მედალი, „სალხინოს“ — ხუთი მედალი აქვს, ხუთივე ოქროსი. კონიაკ „ენისელსა“ და „ოს“-ს ოთხ-ოთხი ოქროს და სამ-სამი ვერცხლის მედლები აქვთ...

. საქართველოში პირველად ჩამოსვლისას (1965 წ.) დიდი საბჭოთა მწერალი მ. შ ო ლ ო ხ ო ვ ი ხოტბას ასხამდა ქართველ ხალხს, მის მიწასა და ღვინოს: „თქვენს ღვინოში ჩაქსოვილია ქართველი ხალხის ჯადოსნური თვისების სამი შესანიშნავი ღირსება: სიმაგრე, სინაზე, სიმტკიცე. მივესალმები ქართულ მიწას“ — მ. შოლოხოვი[36].

[36] გაზ. „კომუნისტი“, 1968 წ. 19 სექტემბერი.

ეროვნული
ბიბლიოთეკა

კარლო ბზიშვილი

# ნასყიდობის ხელშეკრულების სიმტკიცისათვის

ნასყიდობა ვალდებულებითი სამართლის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი გარიგებაა და ალებმიცემობის ძირითად საშუალებას წარმოადგენს. მისი გზით საკუთრების უფლება ერთი პირისაგან გადადის მეორეზე. მაგრამ ამ მიზნის მისაღწევად აუცილებელია, რომ გამყიდველი უფლებამოსილი იყოს საკუთრების უფლება სხვას გადასცეს. არადა მესაკუთრეს აქვს სავინდიკაციო, ე. ი. თავისი ნივთის დაბრუნების სარჩელი და მყიდველი შენაძენს კარგავს. ნივთის ასეთ დაბრუნებას ევიქცია[1] ეწოდება და, რაკი ხელშეკრულება არ შესრულდა, მყიდველს უჩნდება მოთხოვნა თავისი კონტრაჰენტ-გამყიდველის მიმართ. მაშასადამე, ევიქცია არის მესამე პირის მიერ შემძენისათვის ნაყიდი ნივთის ჩამორთმევა სასამართლო წესით, მთლიანად ან ნაწილობრივ.

ადრინდელ რომის სამართალში ნასყიდობის ხელშეკრულებას თან სდევდა დამატებითი გარიგება stipulatio duplae, რომლის საშუალებითაც ნივთის ჩამორთმევის (ევიქციის) შემთხვევაში გამსხვისებელს შემძენისათვის ჯარიმად ნასყიდობის ფასი ორკეცად უნდა გადაეხადა. მოგვიანებით, სამართლის განვითარებასთან დაკავშირებით, ნასყიდობა აღნიშნული სტიპულაციის გარეშე ხდებოდა და ევიქციის შემთხვევაში მყიდველს თავისთავადაც უფლება ჰქონდა actio ex empto-ს საშუალებით თავისი ინტერესის ანაზღაურება მოეთხოვა. ინტერესის თანხა განისაზღვრებოდა ნაყიდი ნივთის ღირებულებით, რაც მას ჩამორთმევის მომენტში შემძენისათვის ექნებოდა. ინტერესი ჩვეულებრივ ნასყიდობის ფასს სჭარბობდა[2].

ევიქციისათვის აუცილებელია, რომ ნასყიდობის ნივთი მყიდველისათვის გადაცემული იყოს და შემდეგ სასამართლო წესით ჩამოერთვას. ნივთის ჩამორთმევის მიზეზი კი ნასყიდობის ხელშეკრულების დადებამდე არსებული საფუძველია. გამყიდველის პასუხისმგებლობა ევიქციისათვის არა მხოლოდ კონტრაჰენტთა შეთანხმებით განისაზღვრება, არამედ თვით ნასყიდობის ხელშეკრულების არსიდან გამომდინარეობს. ამრიგად, თუნდაც მხარეებს შორის ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს არც დაითქვას საგანგებო პირობა ევიქციის თაობაზე, კანონის ძალით, გამყიდველი მაინც ვალდებულია დაიცვას მყიდველი სასამართლო წესით ნივთის მთლიანად ან ნაწილობრივ ჩამორთმევისაგან და, თუ ვერას გახდა, თვითონ აგოს პასუხი მის წინაშე.

ევიქცია ნასყიდობის ხელშეკრულების მიზნის განხორციელებას ხელს უშლის. მიზანი შეუსრულებელი დარჩება, თუ, მესამე პირის მოთხოვნით,

---

[1] ნაწარმოებია, ლათ. სიტყვიდან evincere და ნიშნავს გამოთხოვას, სასამართლო წესით ჩამორთმევას (Римксе частное право. под. ред. проф. И. Б. Новицкого и проф. И. С. Перетерского, М., 1948. გვ. 456).

[2] И. А. Покровский, История римского права, П, 1915, გვ. 444. Г. Дернбург, Пандекты, обязательственное право, М., 1900, გვ. 321—327.

მყიდველის საკუთრების უფლება გაქარწყლდა. ამიტომ მესამე პირის მიერ ნაყიდ ნივთზე პრეტენზიის განცხადებისა და სასამართლოში სარჩელის წარდგენისთანავე მყიდველი ვალდებულია შეატყობინოს გამყიდველს [illegible] ეს ფაქტი; გამყიდველის უარი მყიდველის დაცვაზე ან [illegible]ლება მას (გამყიდველს) პასუხისმგებლობას აკისრებს. გამყიდველი პასუხისმგებელია მხოლოდ ნამდვილად მომხდარი ევიქციისათვის, თანაც მყიდველს მაში ბრალი არ უნდა მიუძღვოდეს, ე. ი. საევიქციო დავა მყიდველის მიზეზით არ უნდა იყოს გამოწვეული.

ევიქცია შეიძლება იყოს სრული და ნაწილობრივი. სრული ევიქციის დროს სასამართლო მესამე პირს ნივთის მესაკუთრედ ცნობს. ნაწილობრივი ევიქციის დროს კი სასამართლო მესამე პირს გაუყოფელი ნივთის თანამესაკუთრედ ანდა ნივთის გარკვეული ნაწილის მესაკუთრედ ცნობს.

**არსებობდა თუ არა პასუხისმგებლობა ევიქციისათვის ქართული სამართლით?** — გვიანფეოდალური პერიოდის ნასყიდობის დოკუმენტებში გამყიდველი მეტწილად ჰპირდებოდა შემძენს, რომ ნასყიდობა არ მოეშლებოდა და სათანადო პასუხისმგებლობასაც კისრულობდა, შესაბამის შემთხვევაში ყველა იმასთან ერთად, ვინც საბუთში მის მხარეზე მოხსენებული იქნებოდა. ასე უნდა მომხდარიყო, როცა ნასყიდობის საგანი საერთო-საოჯახო ქონებას ეკუთვნოდა.

ამის დამადასტურებელია ქვემოთ წარმოდგენილი საბუთები. 1733 წლის ნასყიდობის წიგნში ვკითხულობთ: „ნასყიდობის წიგნი მოგეც მე, ვეძელმა ზაქესტასშვილმა გულისადებმა, შვილმა ჩემმა დემეტრემ და შარმაზან და ქავამ, ძმის წულმა ჩემმა გიორგიმ, შვილთა, შვილის შვილთა და მომავალთა სახლისა ჩემისათა შენ, ფონდუას შვილს გაფრიელას და ბოჭორაძე ბერუასა... დამეჭირა და მოგყიდე ვეძის ჩემი ქვემო ვენახი. ვინც ჩემს მოსყიდულს ვენახს წამოგედაოს პირისა და პასუხის გამცემი ჩვენ ვიყოთ...“[3], „... პასუხის გამცემი ჩვენ და ჩვენი შვილი იყოს...“[4], „... მე არუთინა და ჩემი შვილები ვიყვნეთ...“[5], (პასუხისგამცემიო — კ. ბ.), „... ჩვენ იაგულაშვილმა გიორგიმა და ჩემმა შვილმა, და სახლისა ჩემისა მომავალმა გავცეთ“[6] — (პასუხიო — კ. ბ.), „... პასუხის გამცემი ჩვენ ვიყნეთ, რომელიც აზირში ვიყვნეთ...“[7].

3 საქართველოს სახელმწიფო ცენტრალური ისტორიული არქივი (შემდეგ შემოკლებით — სსცსა), ფ. 1448, საბ. № 1106; იხ. აქვე საბ. №№ 116, 3916, 4123, 4196; საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის აკად. კორ. კეკელიძის სახ. ხელნაწერთა ინსტიტუტი (შემდეგ შემოკლებით — ხელნაწერთა ინსტიტუტი), ფ. Sd, საბ. №№ 260, 580, 584.

4 საქართველოს სიძველენი, ტ. II, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ.; 1909, გვ. 378—379, საბ. № 336; იხ. დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, შეადგინეს ნ. ბერძენიშვილმა და მ. ბერძნიშვილმა, თბ. 1962, საბ. № 43.

5 საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 449—450, საბ. № 404; იხ. იქვე საბ. № 349; დოკუმენტები თბილისის ისტორიისათვის, საბ. №№ 70, 73.

6 საქართველოს სიძველენი, ტ. I, ექ. თაყაიშვილის რედაქტორობით, ტფ. 1920, გვ. 135—136, საბ. № 142.

7 საქართველოს სიძველენი, ტ. I, გვ. 92, საბ. № 87. სიტყვა — „აზირი“ ნაწარმოებია ... -ბული სიტყვისაგან „ჰაზირი“, „ჰაზური“ და ნიშნავს ადგილზე, სახეზე მყოფს. — მასალები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, დანართი, I, II, III წიგნების ლექსიკონი და საძიებლები შეადგინა მ. ბერძნიშვილმა, თბ .1957.

როგორც ვხედავთ, გამყიდველის მხარეს მოხსენებულ მრავალ პირთაგან პასუხისმგებლობას კისრულობდნენ ყველანი, ვინც საევიქციო დავას შეესწრებოდნენ, ხოლო როცა გამყიდველად ერთი პირი გამოდიოდა და პასუხისმგებლობასაც თვითონ ინდივიდუალურად კისრულობდა, სავ[illegible] გამსხვისების ობიექტს სათავისთაოდ (მონაგებით, ნაპირნახულევით, მზითვით) შეძენილი ქონება წარმოადგენდა.

მრავალთაგან მოვიტანოთ ორიოდე საბუთი. „....ნასყიდობის წიგნი მოგეც მე თბილელის ყმამ ქართველი ზაქარას შვილმა პონი მამუკამ შენ გოგიას შვილსა ფასოსა... დამეჭირა და ჩემი ალალი ნასყიდი სახლების გასყიდვა მოვინდომეთ..., მოგყიდე... თუ ვინმე შემოგეცილოს, პასუხის გამცემი მე, მამუკა ვიყო..."[8]. 1702 წლის ნასყიდობის წიგნში ნათქვამია: „ესე ნასყიდობის წიგნი მოგეცით ჩვენ, შაქარას შვილებმან გოგიამან და ძმამან ჩემმან პაპუამან და ბატატამან, ჩვენმა შვილმან და მომავალმან სახლისამან თქვენ, ჩივაძე ზაზას... მოგყიდეთ ქეძამზე ჩვენი ვენახი ბატონის ჩემის მახვილაძე ზაზას შეკითხულობითა და დასტურითა... თუ ვინმე წამოგედავოს, პასუხი მე, მახვილაძე ზაზამა და ჩემა ყმამა შაქარაშვილმან გავცე..."[9].

ეს საბუთი საინტერესოა იმით, რომ პასუხისმგებლობას თავის მხრივა და თვითონ გამყიდველის მხრივაც იღებს ზაზა მახვილაძე — გამსხვისებლის ბატონი, რომლის შეკითხულობითა და დასტურითაც მოხდა ნასყიდობა. საყურადღებო ცნობას იძლევა 1750 წლის ნასყიდობის სიგელი, რომელშიც ვკითხულობთ: „... თუ ვინმე წამოგედაოს ამ ჩვენგან გასყიდულს ჩვენი ყმის სახლებს და დუქნებს და სამართლით ჩვენც რომ დაგვძლიოს, მოდავის პასუხი მე, პატარკაცი, ვიყო და ეს ჩვენი მონასყიდობა აროდეს არ მოგეშალოს..."[10]. თუ მყიდველს ვინმე ნასყიდობის საგანს შეეცილებოდა და სასამართლო სადაო ნივთს მოსარჩლეს მიაკუთვნებდა, მაშინ გამსხვისებელი შემძენს ჰპირდებოდა, რომ „მოსარჩლეს მე დავაკმაყოფილებ და ჩვენი მონასყიდობა არ მოგეშლებაო". ე. ი. გამსხვისებლის დაპირებით მყიდველს შეძენილ ნივთზე საკუთრების უფლება არ მოეშლებოდა და, მაშასადამე, მისი (შემძენის) ინტერესიც არ დაირღვეოდა.

1691 წლის ნასყიდობის წიგნის მიხედვით: „... მოგყიდეთ მიწა ერთის დღისა,... თუ მას შემოგეცილოს ვინმე, მისი პასუხის გამცემი ჩვენ ვიყვნეთ. თუ ვერ გავცე, ერთისათვის ორი მოგცეთ და საიასაულოც ჩვენ მივცემთ..."[11] როგორც დავინახეთ, ფეოდალური საქართველოს უმეტეს ნასყიდობის დოკუმენტებში გამსხვისებელი ვალდებულებას კისრულობდა, რომ ევიქციის შემთხვევაში შემომდავებელს პასუხს ის გასცემდა. ზოგიერთი საბუთის მიხედვით კი იგი ასეთი პასუხისმგებლობის გარდა ორმაგად ანაზღაურებასაც აღუთქვამდა. ამრიგად, აქ საქმე გვაქვს ადრინდელი რომის სამართლისათვის დამახასიათებელი ინსტიტუტის — stipulatio duplae-ს პარალელთან, რომელიც ამ ხანის გამოძახილად მოჩანს, როცა ჩვენში სამოქალაქო სამართალი ჯერ იმდენად განვითარებული არ იყო. ამავე დროს ჩვენამდე მოღწეულია ისეთი

---

[8] სსცსა, ფ. 1448, საბ. № 629, იხ. იქვე, ფ. 1448, საბ. № 3215; ფ. 1449, საბ. № 172; ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Sd, საბ. №№ 672, 1178, 2052.

[9] დოკუმენტები საქართველოს სოციალური ისტორიიდან, I, ნ. ბერძენიშვილის რედაქციით, თბ., 1940, გვ. 118, საბ. № 160.

[10] დ. უ ჩ ა ნ ე ი შ ვ ი ლ ი. დოკუმენტები საქართველოს ეკონომიური ისტორიისათვის, თბ. 1967, გვ. 51-52, საბ. № 39. იხ. სსცსა, ფ. 1449, საბ. № 196.

[11] საქართველოს სიძველენი, ტ. II, გვ. 259-260, საბ. № 219.

ნასყიდობის დოკუმენტებიც[12], და, რაც მთავარია, არც თუ [illegible]ბით, სადაც კონტრაჰენტები საევიქციო პასუხისმგებლობას საგანგებოდ არ ითვალისწინებდნენ და, მაშასადამე, ასეთი პასუხისმგებლობა თვით ნასყიდობის ხელშეკრულებიდან გამომდინარეობდა. ამრიგად, ხსენებული განუვითარებლობა განვლილი ეტაპი იყო და საგანგებო დათქმებს უთუოდ აწმყო მძიმე გარემოებები თუ იწვევდა.

ახლა საჭიროა განვიხილოთ ვახტანგ VI-ის სამართლის წიგნის 163-ე მუხლი, რომლითაც „ქელმწიფის სახასოს აზნაურიშვილისა და სახასოს გლეხისაგან ქელმწიფის უდასტუროთ თავადი, ნურც თავადის ყმა, ნურას იყიდის. აგრეთვე სხვას თავადისა და ვინ გინდას ყმა თავის ბატონის უბეჭდოთ ნურავინ რას გაჰყიდის, თორემ მისი მებატონე არ იყაბულებს, მამულს თვითან დაიჭერს და ფასს მიმსყიდველს სთხოვს. იქნების, ამყრელმან და ან აყრილმან კაცმან სხვას თემიდამ მამული გაყიდოს, არ გაიყიდების. ვისაც ეყიდოს, ფასი მომსყიდველს სთხოოს"[13].

აქ ჩვენ გვაინტერესებს, თუ **რამ გამოიწვია ევიქციის დადგომა და რა შედეგი მოჰყვა მას?** — თუ ნასყიდობის ხელშეკრულება ზემოაღნიშნული პირობების გაუთვალისწინებლად დაიდებოდა, მაშინ სასამართლო კონტრაქტს დაარღვევდა, მყიდველს შეძენილ ქონებას ჩამოართმევდა და გამყიდველის მებატონეს გადასცემდა („მისი მებატონე არ იყაბულებს, მამულს თვითან დაიჭერს...") ხოლო მას (მყიდველს) გადახდილი ფასის უკუმოთხოვნის უფლებას უტოვებდა; მაშასადამე, გამყიდველი კარგავდა როგორც მიღებულ ფასს, ასევე მის მიერ გასხვისებულ ქონებას. ხსენებული ნორმა, როგორც ჩვეულებითი სამართლის წესი, ჯერ კიდევ ადრე, მის საკანონმდებლო აღიარებამდე მოქმედებდა. ნათქვამს ადასტურებს 1697 წლის განჩინება, სადაც ვკითხულობთ: „... თუ ყიზილბაშის ქვეყანას და ინდოეთში წასული კაცისათვის მამული გაგვესყიდვინა, მრავალი ბედოვლათი და წასული მოქალაქე და გორელი კაცი იყო დაკარგული და იქ ისინიც დაუწყებდნენ სყიდვასა; და ეს არ იქნებოდა. და მერმე არც კვლავ ქმნილიყო, რომე იქ გასყიდული მამული აქ დანებებოდა ვისმე... წისქვილები ისევ თუმანიშვილებს დავანებეთ და სამართალმა დაანარჩუნა. და კაჭკაჭაშვილმა თავისი თეთრი ვისთვისაც მიუცია იმას სთხოვოს..."[14] ვახტანგის სამართლის წიგნის 163-ე მუხლის მოქმედებას პრაქტიკაშიც ვხედავთ. 1785 წლის განჩინებაში, იოანე შალიკაშვილისა და ნიკოლოზ აფხაზის სახლის საქმეზე, ნათქვამია: „ჩვენ საქართველოს მსაჯულთშეკრებილებამ მათის უმაღლესობის ბძანებით ეს სამართალი მივეცით: რომელიც კაცი ამ ქვეყნიდამ ქელს აიღებს, სხვაგან დაემკვიდრება, იქიდამ აქ მამულს ვერ გაჰყიდის ვერც ის და ვერც სხვა ამგვარად დამკვიდრებული სხვა ქვეყანაში კაცი"[15]. „... აყრილ კაცს თუ ვისმე (მამული — კ. ბ.) გაუყი-

12 იხ. საქართველოს სიძველენი, ტ. I, საბ. №№ 78, 79, 83, 88, 94, 102, 120; საქართველოს სიძველენი, ტ. II, საბ. №№ 40, 65, 66, 68, 76, 92, 101.

13 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, ტექსტები გამოსცა, გამოკვლევა და ლექსიკონი დაურთო პროფ. **ი. დოლიძემ**, თბ. 1963, გვ. 552 (ვახტანგ VI-ის კრებულის ნაწილები სხვაგანაც მითითებულია ამ გამოცემით).

14 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, ტექსტები გამოსცა, შენიშვნები და საძიებლები დაურთო პროფ. **ი. დოლიძემ**, თბ., 1972, გვ. 173-175; საბ. № 106.

15 სსცია, ფ. 1450, დავთ. 37, საბ. № 238.

დია, ის ყაბული არ არის, მამული მეპატრონეს მემკვიდრეს, დარჩეს, მსყიდველმა ფასი მომსყიდველს სთხოოს...“[16].

ახლა საჭიროა შევჩერდეთ მყიდველის მდგომარეობაზე. ზემოთ მოხსენებული სამართლის ნორმაში ევიქციის დროს მყიდველისათვის მხოლოდ გადახდილი ფასის უკან მიღებაზე მიუთითებს, ხოლო ინტერესის ანაზღაურებაზე არაფერს ამბობს. საინტერესოა, **ეს ვახტანგის სამართლის წიგნის ხარვეზია თუ იმდროინდელი ხანის ჩვენამდე მოღწეული დოკუმენტებიც იმასვე მიგვანიშნებენ?** — დასმული საკითხის გადასაწყვეტად მოვიტანოთ რამდენიმე საბუთი: ბოლნელთა და ახალგორელთა მამულების ნასყიდობის საქმეზე მეფე ბაქარის განჩინებაში (1717-1719 წწ.) ვკითხულობთ: „სასამართლოს წიგნითა და საქართველოს რიგით და წესით ასრე გავარიგეთ და დადებულიც ასრე არის: თავისის ბატონის უდასტუროთ ვერაკაცი მამულს ვერც იყიდის და ვერც გაჰყიდის და არც აყრილსა და წასულის კაცისაგან მამული გაისყიდების.

თუ ამას იტყვიან: ამიშენებიათ, ამისათვის ვერას ითხოვენ; ამიტომ რომე თავად უდასტუროდ რატომ იყიდეს და მერმე ამდენი ხანი არის კიდეც უჭამიათ, იმაში გაიარონ.

ნაშენობისა ასრე იქნას: უნდოდეს ახალგორელთ თავისი ნაშენობა დააქციონ და წაიღონ; თუ ამათ არ დააქციონ, ამილახორმა დააქციოს“[17]. როგორც ვნახეთ, მოსამართლემ, მეფე ბაქარმა, ბატონის უდასტუროდ ყმის მიერ მამულზე დადებული ნასყიდობის ხელშეკრულება გააუქმა, შემძენს მამული ჩამოართვა და გამსხვისებლის ბატონს გადასცა, ხოლო მყიდველის მიერ მამულზე გაწეული ნაშენობა-ნაჭირნახულევი ინტერესის ანაზღაურების ნაცვლად მას (მყიდველს) ნაჭამობაში გაუბარა, რის საბუთადაც ბატონის უდასტუროდ შეძენა დაასახელა. იგი იქამდეც კი მიდის, რომ ადგენს: „ნაშენობა დააქციონ და წაიღონ, თუ იმათ არ დააქციონ, ამილახორმა (გამყიდველის ბატონმა — კ. ბ.) დააქციოს“.

ერეკლე II-ის 1792 წლის ოქმში, რომელიც დართული აქვს გლახა მამაცაშვილის არზას მამულის თაობაზე, ვკითხულობთ: „ჩვენი ბძანება არის კალატოზიშვილო დიმიტრი! მერმე ამ არზის პატრონს (მამაცაშვილს გლახას — კ. ბ.) ასრე რომ მოუხსენებია, ვისაც ის ამისი ვენახი გაუყიდნია და ფასი აუღია, ის ისევ უნდა გამოართვა, ფასი მონასყიდეს მოსცე. და ვენახი კი ამისია (მამაცაშვილისა — კ. ბ.) და ამას ასე უნდა დანებდეს“[18].

ზოგიერთ დოკუმენტში კი ლაპარაკია პასუხისგაცემაზე მყიდველის წინაშე. 1790 წლის ერეკლე II-ის ოქმში, რომელიც დართული აქვს მანუჩარ ლაშქარნიშვილის არზას მამულის თაობაზე, ნათქვამია: „ჩვენი ბძანება არის იასაულო... მერე მანუჩარ ლაშქარნიშვილის სახლისკაცს რუისს რომ ვენახი გაუყიდნია, მანამ არ გაიყრებიან, მანამდის არცერთის მამულის გასყიდვა არ შეუძლიანთ. და ვინც იყიდის, იმისი ნასყიდობაც ცუდი იქნება. ახლავ ის ვენახიც და იმისი გამოსავალიც მანუჩარს მოაბარე. მსყიდავმა თავისი პასუხი ვისთვისაც თეთრი მიეცეს, იმას გამოართოს...“[19], „... ვისაც გაუყიდნია (ყმა და

16 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 280-281, საბ. № 196.

17 იქვე.

18 სსცია, ფ. 1450, დავთ. 48, საბ. № 31.

19 ხელნაწერთა ინსტიტუტი, ფ. Hd, საბ. № 14878.

მამული — კ. ბ.) მსყიდველს პასუხი იმან უნდა გასცეს...“[20]. ძნელია გადაწყვეტით იმის თქმა, რომ ერეკლე II „მყიდველის პასუხის გაცემაში“ გამსყიდველის ინტერესს გულისხმობდა თუ იმ თანხის უკან დაბრუნებას, რაც მან (მყიდველმა) ნასყიდობის ხელშეკრულების დადების დროს [illegible]. ამრიგად, ყოველივე ზემოაღნიშნულიდან გამომდინარე შეიძლება დავასკვნათ შემდეგი:

I. თუ ევიქციის შედეგად ნასყიდობის ხელშეკრულება მოიშლებოდა, მაშინ დაზარალებულ მყიდველს ძირითადად ნასყიდობის ფასის უკუმოთხოვნის უფლება რჩებოდა.

II. მყიდველს არათუ ხელშეკრულების დარღვევით გამოწვეული ზარალი, არამედ ნივთის გაუმჯობესებისათვის გაწეული ხარჯებიც კი არ აუნაზღაურდებოდა, რაც ერთგვარ საჯარიმო ელემენტს გულისხმობდა.

III. მყიდველს უფლება ჰქონდა გამყიდველისათვის მოეთხოვა არა ის ფასი, რაც ნივთს ჩამორთმევის მომენტში ჰქონდა, არამედ ის თანხა, რაც კონტრაჰენტებმა ხელშეკრულების დადების დროს განსაზღვრეს („თუ ვინ იცის, ფასზედ ლაპარაკი შეექნასთ, რომე არა ამდენი — ერთი მომიცემიაო, რაც გამოიფიცოს, ვისაც მამული რჩება, იმან იმდენი თავის ფასი შეუბრუნონ. ეს ავაშენე, ეს ხარჯი ვქენო ან აოხრდაო, ახლა დაფასდესო, ის აღარ იქნების; თაობით რაც მისცემია, ის უნდა გამოართვან, სხვას ვერას გამოეკიდებიან...)[21].

ამავე აზრს იზიარებს პროფ. გ. ნადარეიშვილი, როდესაც მიუთითებს: „ევიქციის შემთხვევაში, საფიქრებელია, მხოლოდ ნასყიდობის ობიექტის ფასი დაუბრუნდებოდა დაზარალებულ მყიდველს“[22].

საინტერესოა, თუ **როგორ წესრიგდებოდა განსახილველი საკითხი საკვლევ ხანაზე ადრინდელ და შემდგომი პერიოდის სამართლის წიგნებში?** — პირველ ყოვლისა, შევჩერდეთ ბექასა და აღბუღას სამართალზე, სახელდობრ, მის 55-ე და 76-ე მუხლებზე, სადაც ნათქვამია, რომ სხვისი ქონების ან გლეხის მიერ თავისი ბატონის დაუმოწმებლად რაიმეს გაყიდვას შედეგად ის მოსდევს, რომ ნასყიდობის საგანი პატრონს დარჩება, ხოლო გადახდილ ფასს მყიდველი გამყიდველს მოსთხოვს.

სხვანაირადაა ეს საკითხი გადაჭრილი ხსენებული სამართლის 45-ე მუხლში, სადაც ვკითხულობთ. „საკარგავის გასყიდვა ცუდი იქნება პატრონისა უმოწმებლად და ვისაცა ეყიდოს, ნახევარი ფასი სარეგვნოდ მას დაუშავდეს და ნახევარი გამსყიდველსა. ამას შიგა ერთობ რამე აკლია, მაგრამ ნუ ვინ დაებმის მოსაკარგავისაგან სყიდვასა“[23]. „საკარგავი“ აქ მიწა-ადგილს ნიშნავს, რომელიც ბატონის საკუთრებაა, ვასალს იგი მიღებული აქვს პატრონისაგან დროებითი მფლობელობის უფლებით, რაც დაკავშირებულია განსაზღვრული სამსახურის შესრულებასთან. ვასალს მამულზე საკუთრების უფლება არა აქვს და ამიტომ მიწის გაყიდვა პატრონის თანხმობის გარეშე მას არ შეუძლია“[24].

20 სსცია, ფ. 1448, საბ. № 410.

21 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. IV, გვ. 280-281, საბ. № 196.

22 **გ. ნადარეიშვილი.** სანივთო სამართლის ობიექტების შესახებ, ქართული სამართლის ისტორიის საკითხები, 1, თბილისი, 1973, გვ. 126.

23 ქართული სამართლის ძეგლები, ტ. I, გვ. 441.

24 **ი. დოლიძე.** ძველი ქართული სამართალი, თბილისი, 1953, გვ. 155.

მიუხედავად ამისა, თუ ვინმე პატრონის ნებართვის გარეშე „საკარგავს" გაყიდდა, მაშინ გამყიდველსაც და მყიდველსაც „სარეგჭნით" ჯარიმდებოდა: გამყიდველს მიღებული ფასის ნახევარი ეკარგებოდა, მყიდველს კი ფასის ნახევრის მოთხოვნის უფლება-ღა რჩებოდა, ხოლო „საკარგავი" პატრონს გადაეცემოდა.

განსახილველ საკითხზე დავით ბატონიშვილს თავის სამართალში საგანგებო ყურადღება მიუქცევია. ხსენებული სამართლის 168-ე მუხლში ვკითხულობთ: „ვინცა ვის მამული და ანუ ნივთი გაუსყიდოს და ანუ ნივთსსა ვალში მისცეს, მაშინ ჩამოერთვას ნივთი იგი და მიეცეს პატრონსა მისსა, ხოლო მომყიდველი გულსავსე იქმნეს მომყიდველისაგან"[25]. აქ ჩვენს ყურადღებას იქცევს კოდიფიკატორის ხატოვანი გამოთქმა — „გულსავსე იქმნას". **ხომ არ შეიძლება ვივარაუდოთ, რომ დავით ბატონიშვილი, ხსენებული სიტყვებით, გულისხმობდა მყიდველის ინტერესის ანაზღაურებას?** — მაგრამ ასეთი ვარაუდის გასამაგრებლად ჩვენ ვერავითარი ხელმოსაკიდი ცნობა ვერ ვნახეთ.

საწინააღმდეგო მდგომარეობასთან გვაქვს საქმე კოდიფიკაციის პროექტის 34-ე და 216-ე მუხლებში, სადაც ნათქვამია: თუ ვინმე სადაო მამულს ანდა მებატონის შეუკითხავად გლეხს გაყიდდა, მაშინ მოსამართლე ნასყიდობის ობიექტს შემძენს ჩამოართმევდა და ამ უკანასკნელს ინტერესის ანაზღაურების ნაცვლად გადახდილ ფასს დაუბრუნებდა. ე. ი. უკანასკნელი ორი მუხლი ვახტანგის სამართლის პოზიციაზე დგას. ამავე საკითხის შესახებ საყურადღებო ცნობები მოიპოვება ვახტანგ ირაკლის ძის 1782 წლის კანონებში („განჩინება ბარისა და მთიულთა ადგილთა"), რომელიც არაგვის საუფლისწულოს მოსახლეობისათვის იყო შედგენილი"[26].

განჩინების მე-11 მუხლში ნათქვამია, რომ აყრილი კაცი უფლისწულის შეკითხვისა და ნებართვის გარეშე მამულს ვერ გაყიდდა. და თუ იყიდდა ვინმე, „რასაც იმ მამულში ფასს გაიღებს, ერთს კიდევ იმდენს ჩვენ წავართმევთ, და არც იმ მამულს ვასყიდვინებთ"[27]. მაშასადამე, თუ აყრილი კაცისაგან ვინმე მამულს იყიდდა, მაშინ ორმაგ ზარალს განიცდიდა, ნასყიდსაც კარგავდა და გადახდილი ფასის ორკეც თანხას ჯარიმად იხდიდა, ოღონდ, აქ გამყიდველი კი არ ჯარიმდებოდა, როგორც რომში იყო, არამედ მყიდველი. უფლისწული მყიდველს, სავარაუდებელია, იმიტომ აჯარიმებდა, რომ გამყიდველი აყრილი იყო და ძნელი მისაწვდომიც იქნებოდა.

მე-12 მუხლის თანახმად კი მსახურს სამსახურებრივი მამული სენიორისაგან (ამ შემთხვევაში უფლისწულისაგან) მფლობელობისა და სარგებლობის უფლებით ჰქონდა მიღებული. მას სენიორის თანხმობის გარეშე მამულის გაყიდვა სასტიკად ეკრძალებოდა. „თუ ან გაჰყიდის და ან იყიდის ვინმე, გამსყიდველსაც და მსყიდველსაც დიდად ავად მოვეპყრობით: იმ მამულსაც წავართმევთ (მყიდველს — კ. ბ.) და თავის სამკვიდროს მამულზედაც (გამყიდველს — კ. ბ.) ხელს ავაღებინებთ"[28]. საფიქრებელია, რომ მყიდველი გადახდილ ფასსაც კარგავდა.

---

[25] სამართალი ბატონიშვილის დავითისა, ტექსტი გამოსცა და გამოკვლევა დაურთო **დავით ფურცელაძემ**, თბილისი, 1964, გვ. 93.

[26] **ი. ფუტკარაძე**. ქართველ-მთიელთა სამართლის ისტორიისათვის, თბ., 1964, გვ. 43.

[27] **ი. ფუტკარაძე**. დასახელებული ნაშრომი, გვ. 108.

[28] იქვე, გვ. 108.

„განჩინება“ ჩვენ მიერ ზემოგანხილული სამართლის წიგნებთან (ვახტანგის, დავით ბატონიშვილის, ბექასა და აღბუღას სამართლის წიგნებთან) შედარებით, უფრო მკაცრად ეკიდებოდა იმათ, ვინც უფლისწულის თანხმობის გარეშე სახასო ან სამსახურებრივ მამულს გაყიდდა [illegible] კაცს, რომელიც მამულს გაასხვისებდა.

**რით შეიძლება აიხსნას ეს?** — აქ გასაზიარებელია ი. ფუტკარაძის ის მოსაზრება, რომ „კანონმდებლის ძირითად მიზანს წარმოადგენდა მიწათმფლობელობის ფეოდალური წესის დამკვიდრება არაგვის საუფლისწულოში“[29].

ნაწილობრივი ევიქციის დროს მყიდველს უფლება ჰქონდა მოეთხოვა მხოლოდ იმ ზარალის ანაზღაურება, რომელიც მან განიცადა სასამართლოს მიერ ნივთის ჩამორთმევით, თუ მყიდველს სასამართლოს ძალით ჩამოერთვა მხოლოდ ნივთის ნაწილი, რასაც მისი (ნივთის) მთლიანობისათვის ისეთი მნიშვნელობა ჰქონდა, რომ შემძენი ნივთს ჩამორთმეული ნაწილის გარეშე არ იყიდდა, მაშინ მას შეეძლო ნასყიდობის ხელშეკრულების გაუქმება მოეთხოვა.

1778 წლის სასამართლო განჩინებაში ნათქვამია: „პაატა მეითრისშვილი როსტომ ერისთავისშვილს უჩიოდა: ჩემის განაყოფის ავთანდილისაგან მოსყიდული ნათლულის მამული და გლეხი რომ გაქვს, იმ ნასყიდობაში ჩემი წილი ერთი კომლი კაცი — ორი ძმანი გლეხი და ხიზანა თან გამოუტანებია, ისინი ავთანდილის წილი არ იყვნენო“.

რადგან მოწამე არც ერთის მხრივ ცოცხალი არ იყო და მტკიცებულების სხვა საშუალებაც არ არსებობდა, სასამართლომ საქმის გადასაწყვეტად ფიცს მიმართა. მოსარჩლეს ფიცი სთხოვეს. შემძენმა აღარ დააფიცა და სადაო ნივთზე ხელი აიღო[30]. მაშასადამე, მყიდველს როსტომ ერისთავისშვილს სასამართლო განაჩენით ჩამოერთვა შენაძენის გარკვეული ნაწილი (ერთი კომლი კაცი) და ვინდიკანტს, პაატა მეითრისშვილს დაუბრუნდა.

ამრიგად, **ქართულ სამოქალაქო სამართალში მესამე პირის მიერ მყიდველისათვის შეძენილი ნივთის სასამართლო წესით ჩამორთმევა სრული ან ნაწილობრივი ევიქციით ხდებოდა.**

---

29 იქვე, გვ. 77.

30 სსცაა, ფ. 1450, დავთ. 8, საბ. № 151.

„მაცნე“. ფილოსოფიის, ფსიქოლოგიის, ეკონომიკისა და სამართლის სერია, 1974, № 1

ეროვნული ბიბლიოთეკა

Д. П. ДЗНЕЛАДЗЕ, Ю. М. АБЕСАДЗЕ

# ФУНКЦИИ УПРАВЛЕНИЯ ПРОИЗВОДСТВОМ

Функции управления — это направления, в которых развивается воздействие управляющей системы производства на систему производства как управляемую систему. Понятие функции управления неотделимо от понятия воздействия как сущности управления. Это воздействие целенаправлено. Вследствие переплетения целей, образующих иерархию или дерево целей, воздействие многогранно; оно протекает по разным плоскостям, образующим определенный логический ряд. Для того, чтобы воздействовать на производство в целях становления системы и обеспечения ее эффективного функционирования и развития, необходимо заранее представить себе план, проектировать систему, ее связи, ее развитие и условия ее функционирования. Связанное с этим планирование как содержание действий, совершаемых в управляющей системе, выступает как одно из направлений воздействия, оказываемого на производство как управляемую систему и представленного пока в замыслах, стремлениях, проектах; в сформулированных целях, которые должны быть реализованы. Поэтому вслед за планированием как направлением воздействия, выступает организация как второе направление воздействия, как определение связей и зависимостей создаваемой системы или как координирование, поддержание гармонии, оптимальных количественных и качественных соотношений, как третье направление воздействия. Реализация всех этих направлений рассчитана на использование различных форм стимулирования активности всех участников создаваемой системы, На этой почве развивается активизация как направление воздействия. Наконец, воздействие во всех указанных направлениях нуждается в установлении обратной связи, в наблюдении за тем, как развивается воздействие, как откликается производство, на которое оказывается воздействие, в наблюдении за поведением создаваемой системы. Это наблюдение на основе постоянной обратной связи может привести к необходимости корректировать и планы, и организацию, и координирование, и активизацию системы. Наблюдение перерастает, таким образом, в постоянный контроль, который выступает как форма воздействия на систему, как одно из направлений воздействия, оказываемого управляющей системой на производство, как управляемую систему.

Планирование, организация, координирование, активизация (или стимулирование) и контроль, как различные направления воздействия, оказываемого управляющей системой на систему производства как управляемую систему, в целях становления системы и обеспечения ее успешного функционирования и развития и *представляют собой функции управления производством*. Это — главные направления воздействия, которые предполагают в управляющей системе выполнение определенных действий и соответствующее отражение их в управляемой системе. Без этих направлений воздействия цель управления, его содержание, не могут быть реализованы. Эти главные направления воздействия и рассматриваются поэтому как *основные* функции управления производством. Эти функции между собой связаны, они выступают во взаимодействии, они представлены на любом уровне, в любой ступени, в любой сфере управления производством. В

любой управляющей системе производства раскрываются перечисленные выше основные функции управления; это значит, что любая управляющая система оказывает воздействие на управляемую ее систему, раскрывая, таким образом, сущность управления и действуя в указанных выше главных направлениях. Наличие пяти основных функций управления производством во всех управляющих системах, во всех ступенях управления, во всех сферах управления и образует основу, на которой развивается **единство** системы управления, характерная для управления социалистической экономикой **закономерность**. Это единство системы закрепляется на основе общих для всех ее ступеней и сфер основных функций управления.

На почве основных функции управления складываются определенные отношения в системе управления:

**Первый тип** — отношения, складывающиеся в системе управления на почве различных направлений воздействия, на почве **пяти основных функций** управления, которые раскрываются как отношения между этими основными функциями. Выше уже отмечалось взаимодействие этих функций. Но взаимодействие предполагает определенные границы действий каждого из действующих компонентов и определенные формы переплетения, стыка этих границ, дающие основание говорить о взаимодействии;

**Второй тип** — отношения между управляющими системами различных уровней и ступеней, складывающиеся на почве общих для них всех основных функций управления. Для анализа этих отношений важно помнить, что основные функции управления не выступают в качестве факторов формирования уровней управления и, следовательно, ступеней управляющих систем. Базой для возникновения различных ступеней являются не основные функции управления, а система производства.

Но если основные функции управления не влияют на формирование различных ступеней управляющих систем, то это не значит, что эти функции не выступают в качестве фактора дифференциации этих ступеней.

Е. И. Долицкий* в лекциях по основам теории управления производством, впервые вводя в научный словарь понятие «основные функции» управления производством, считает, что все основные функции управления выступают во всех управляющих системах производства, но в каждой из этих систем значение определенной функции приобретает особые черты, обусловленные содержанием процесса управления в данной системе, характером и направлением воздействия, оказываемого на нее, восприимчивостью этой системы, ее реакцией на воздействие; наконец, той ролью, какую выполняет определенная функция управления в целенаправленном воздействии на управляемую систему. Развивая выдвинутое им положение «...значение определенной функции приобретает особые черты... в каждой из систем», автор разъясняет эти особые черты на примере управляющих систем двух сопряженных уровней или ступеней — предприятия и отрасли производства: Содержание каждой функции в каждой ступени различно. Содержание, которое заполняет данную функцию управления в предприятии (например, планирование или контроль) будет обязательно отличаться от содержания од-

* См. Материалы лекций по курсу «Проблемы управления», Московский Государственный университет им. М. В. Ломоносова, экономический факультет. Межфакультетская лаборатория по изучению проблем управления производством. Москва, 1965 г., стр. 45.

ноименной функции в более высокой ступени управления... В той же функции на более высокой ступени может появиться новое содержание, которого совсем не было или было лишь в зародыше в управлении, осуществляемом в предприятии».

Различие в содержании одноименных основных функций управления в различных ступенях управляющей системы основано и вытекает из различия в содержании самого управления. Единство конечной цели управления не только не предполагает единого содержания во всех ступенях управления, но исключает такую возможность. Единая цель реализуется в различном содержании, которое обусловлено различием роли каждой ступени управления, стоящей над предприятием, и отличием ее от роли управления в самом предприятии. Содержание каждой ступени управления, по крайней мере, в главном и типичном, отличается от содержания ступени, стоящей над ней, или подчиненной ей.

Специфическое содержание управления в каждой ступени раскрывается в содержании основных функций управления, характерном для данной ступени. Различие в содержании одноименных основных функций управления в разных уровнях управления производством, с одной стороны, и складывающееся на той же основе — (различие в роли и содержании управления) различие в соотношении основных функций в каждой ступени; следовательно, в каждой управляющей системе, с другой, послужили основанием для формирования тенденции к убыванию или нарастанию содержания функций в сопряженных (смежных) управляющих системах, тенденции, перерастающей в закономерность процесса управления.

Различие в содержании одноименных основных функций, различие в соотношении основных функций управления в различных ступенях управляющих систем и формулируемая на этой основе тенденция к убыванию или нарастанию содержания функций в разных управляющих системах, вскрывают влияние, оказываемое основными функциями управления на управляющие системы производства, характеризуют функции как фактор дифференциации ступеней управляющих систем.

Специфические черты каждой из управляющих систем, дифференциация управляющих систем разного уровня должны быть выражены в специфическом содержании одноименных функций и в различном соотношении этих функций. Здесь выступают черты различия. Объединяющим фактором выступает наличие одних и тех же основных функций управления во всех ступенях управления, в управляющих системах всех уровней. Влияние этого фактора и создает единство системы управления производством, выступающее в роли первой закономерности управления производством в социалистической формации. Эта закономерность опирается на единые для всех управляющих систем производства основные функции управления.

Специфическое для каждой ступени управления, для управляющей системы любого уровня содержание основных функций управления и их соотношение, вытекающее из содержания управления в данной ступени, получает дальнейшее развитие в специфических (или конкретных в отличие от основных) функциях управления, характерных для данной управляющей системы.

Так, перед управляющей системой предприятия в соответствии с логической структурой и последовательностью технологических процессов производства выступают характерные для этого уровня производства сферы, и, следовательно, направления воздействия — подготовка производства, обеспечение производства, организация производства, обеспечение связей (внутренних и внешних) и т. д. Каждая из этих сфер

воздействия, в свою очередь, получает дальнейшее развитие. Так, подготовка производства складывается:

из планирования системы управления;
  планирования процесса трансформации вещества;
  планирования продукции: по типам, видам, моделям, по срокам выхода;
  планирования: технологических стадий связей, процессов, режимов, темпов;
  планирования: технических систем, режимов их использования;
  планирования: потребности в сырье, материалах, источников поступления, режимов потребления;
  планирования: живого труда, потребности по типам, по профессиям, по квалификации;
  планирования издержек производства; по процессам, по структуре;
  планирования рентабельности;
  планирования путей и средств стимулирования;
  планирования финансового оборота;
  планирования расширенного воспроизводства;
  планирования энергетического обеспечения, восстановительного и ремонтного обеспечения;

из проектной и конструкторской подготовки производства;
из технологической подготовки процессов, сырья, материалов;
из подготовки живого труда;
из подготовки транспортных средств и средств связи;
из подготовки системы контроля, анализа и наблюдения и т. д.

Все эти сферы воздействия в рамках подготовки производства представляют базу для развития конкретных, характерных для предприятия функций управления. Каждая такая функция представляет направление воздействия, оказываемого управляющей системой. Все эти конкретные функции раскрывают содержание одной из основных функций управления — планирования, причем, не исчерпывают всего ее содержания. Когда говорят о **содержании каждой основной функции управления в данной управляющей системе,** то имеют в виду весь круг конкретных функций, образуемый на основе развития определенной основной функции в данной управляющей системе. Естественно, конкретные функции в развитие основной функции, иначе говоря, содержание этой функции управления в управляющей системе отрасли производства, будто отличаться от содержания одноименной основной функции в управляющей системе предприятия. Так, если планирование процессов, совершаемых на данном предприятии, концентрируется преимущественно в управляющей системе этого предприятия, то в управляющей системе отрасли производства объектом планирования окажутся различные предприятия данной отрасли, многообразные связи между ними и связи данной отрасли с народным хозяйством и т. д.

Одна и та же основная функция управления, представляя одно и то же направление воздействия, раскрывается в различных конкретных функциях, получая, таким образом, различное содержание в управляющих системах разного уровня. На этом основано различие в содержании одноименных функций в разных управляющих системах. Это различие и лежит в основе отношений, возникающих между управляющими системами различного уровня. Содержание каждой данной одноименной функции различно, но одноименность подчеркивает, что речь идет об одном и том же направлении воздействия. Отсюда вывод: воз-

действие одноименного направления, оказываемое различными по уровню управляющими системами на систему производства, должно иметь различное содержание. Совпадение этого содержания, следовательно, совпадение в содержании данной функции, говорит о дублировании в процессе управления, которое никогда не может найти оправдания.

Так, раскрытие основной функции в конкретных функциях, соответственно содержанию процесса управления в данной управляющей системе, позволяя сделать вывод о недопустимости совпадения содержания одноименных функций управления в управляющих системах различного уровня, помогает в поисках содержания отношений между управляющими системами разного уровня. Единство конечной цели реализуется в различном содержании функций, в различном содержании воздействия, оказываемого управляющими системами на систему производства. Но различное содержание должно вести к единству цели, а характерное для данной управляющей системы содержание воздействия и поэтому содержание определенной функции управления должно соответствовать роли данной управляющей системы в управлении производством. Именно определение роли различных управляющих систем и ведет к решению проблемы отношений между управляющими системами различного уровня. Так, раскрытие конкретных функций управления в каждой ступени управления помогает в формировании управляющей системы, в определении характерного для нее содержания основных функций, в определении содержания оказываемого ею воздействия на систему производства, в установлении четкой конфигурации отношений между управляющими системами разного уровня.

Представленная выше схема раскрытия основной функции планирования в управляющей системе предприятия может рассматриваться как модель, пригодная для развития конкретных функций управления и раскрытия любой основной функции управления.

Схема развития всех конкретных функций управления, на основе пяти основных функций управления производством, приобретает дополнительное значение. Она не только раскрывает содержание управления в данной ступени, но, вскрывая все многообразие сфер воздействия, оказываемого управляющей системой на систему производства, намечает характер возможного разделения труда в управляющей системе и возникающих на этой почве отношений не только между управляющими системами разного уровня (по вертикали), но и внутри каждой такой системы (по горизонтали).

На процесс управления, на складывающиеся в этой связи управляющие системы влияют законы разделения труда. Схема раскрытия конкретных функций управления, например, в управляющей системе предприятия, — это и схема разделения труда в данной управляющей системе. Функции управления специализируются, на этой базе происходит процесс дифференциации и их обособления, чреватый опасностью расщепления процесса управления и нарушения его единства. Выступает необходимость предотвратить эту опасность. Управляющая система ищет путей интеграции функций. Сталкиваются противоборствующие тенденции — к обособлению функций и дроблению процесса управления, с одной стороны, к интеграции функций и обеспечения единства процесса управления, с другой. В ходе столкновений вырабатывается формула равновесия, на основе которой цементируется система управления, как единство управляющей и управляемой систем производства.

Критерием этого единства является соотносительность этих систем, осью которой служит сущность и содержание управления. Управляемая система не допускает, не воспринимает расщепленного воздействия управляющей системы, так же как не воспринимает воздействия, которое по своему содержанию, направлению, и глубине не соответствует ее нуждам и требованиям.

Специфические функции управления являются дальнейшим развитием основных функций управления с учетом особых черт данной ступени управления. Эти особые черты вырастают, с одной стороны, из интересов данной ступени управления, а с другой — из таких важных принципов, как решение всякой проблемы управляющей системой, наиболее близкой к управляемой и перенесение на вышестоящую ступень проблем, не разрешимых нижестоящей. Конкретные функции предопределяют структуру управления на данной ступени.

Соответствие содержания воздействия требованию к нему — это, воздействие на основе функции управления, поэтому структура должна быть формирована таким образом, чтобы она максимально соответствовала объективно необходимым функциям управления на данной ступени. Это диктует характер функциональных звеньев структуры управления и их фермирование на основе соответствующих функций управления, а не наоборот, когда вводят определенное звено, а потом думают, чем оно будет заниматься, так как в действительности функция для него отсутствует.

Таким образом, структура на любой ступени управления должна строиться, в первую очередь, на основе конкретных функций, но они с развитием производства меняются. Поэтому, в соответствии с динамикой функций, необходимо изменение и структуры управления.

Так, например: чтобы определить функции управления на уровне министерства и, исходя из этого, построить его структуру управления, необходимо исходить из того, что является характерной чертой управления для этой ступени. Современные отрасли производства, управляемые министерствами, представляют собой сложнейшие объекты. В результате высоких темпов развития производства и его дифференциации, министерства стали органами управления комплексных отраслей, т. е. управляют фактически рядом отраслей.

Характерные черты управления отраслью на современном уровне развития производства порождают следующие конкретные функции министерства:

1. **Управление развитием отрасли** требует разработки методологии прогнозирования, — Эту задачу должны решать специальные институты, входящие в состав министерств;

2. **Формирование и совершенствование систем управления.** В настоящее время эта функция становится насущной необходимостью в управлении производством. Ее первая проблема — проблема структуры управления. Структура при централизованном управлении производством в масштабе экономики страны, основанном на общественной собственности на средства производства, характеризуется тесным взаимодействием и взаимозависимостью составных элементов, что придает экономике страны наивысшую степень интеграции и является главной проблемой управления. Необходимо помнить, что с развитием производства рождаются все новые функции, которые должны получить отражение в структуре. Поэтому со временем структура управления производством на любой ступени стареет;

ეროვნული ბიბლიოთეკა

3. Управление системами производства в отрасли, в каждой отдельной подотрасли и на предприятиях;
4. Управление организацией живого труда;
5. Управление материальным обеспечением отрасли, отдельных подотраслей, предприятия;
6. Управление финансовым обеспечением;
7. Управление сбытом;
8. Управление кадрами;
9. Управление институтами и другими исследовательскими организациями;
10. Управление обеспечением самой системы министерства.

На базе этих конкретных функций, которые выдвигаются требованиями современного уровня развития производства, должна быть сформирована структура управления министерства.

ეროვნული ბიბლიოთეკა

# კრიტიკა და ბიბლიოგრაფია

## მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სოციოლოგიური და ფილოსოფიური ანალიზი[1]

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია თანამედროვეობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი სოციალური პროცესია; იგი მხოლოდ საზოგადოების მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას კი არ ცვლის ძირეულად, არამედ გარდაქმნის, აგრეთვე, ადამიანთა მთელი ცხოვრების წესს, მათს კულტურას და მძლავრ ზეგავლენას ახდენს ადამიანთა აზროვნების წესსა და ფორმებზე. ამიტომ ბუნებრივია, რომ რევოლუცია მეცნიერებასა და ტექნიკაში საზოგადოებრივი მეცნიერების ყურადღების ცენტრში მოექცა: მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის პრობლემებს მიეძღვნა 1973 წლის სექტემბერში ქ. ვარნაში ჩატარებული მსოფლიო ფილოსოფიური კონგრესის მუშაობა და იგი ფართო განხილვის საგანი იქნება უახლოეს მსოფლიო სოციოლოგიურ კონგრესზეც; სწორედ ამ კონგრესებისათვის მომზადების პროცესში შეიქმნა წიგნი — „Человек — Наука — Техника“, რომელიც წარმოადგენს სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის და ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის ინსტიტუტისა, ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტის თანამშრომელთა კოლექტიურ ნაშრომს. როგორც წიგნის წინასიტყვაობაშია აღნიშნული, მასში გარჩეული პრობლემების, აგრეთვე, თვით ხელნაწერის განხილვაში მონაწილეობა მიიღეს რამდენიმე სხვა ინსტიტუტის, კერძოდ საქართველოს სსრ მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა.

საბჭოთა კავშირისა და ჩეხოსლოვაკიის მეცნიერთა ერთობლივი ნაშრომი აჯამებს ამ ორ ქვეყანაში მიღწეულ შედეგებს მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ფილოსოფიური და სოციოლოგიური გამოკვლევების დარგში და ამდენად ის უეჭველად იმსახურებს ამ პრობლემების დაინტერესებული ყველა მკითხველის ყურადღებას. წიგნში განხილულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის სამი ასპექტი: მეცნიერულ-ტექნიკური, სოციალურ-ეკონომიკური და ფილოსოფიური. მ ე ც ნ ი ე რ უ ლ - ტ ე ქ ნ ი კ უ რ ი ასპექტის გამოკვლევას ეძღვნება პირველი სამი თავი — „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მისი არსი“, მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ძირითადი მიმართულებები“ და „ადამიანი — ტექნიკა — წარმოება“, — რომლებიც ძირითადად ბუნებისმეტყველებისა და ტექნიკის ისტორიის ინსტიტუტის თანამშრომლებმა მოამზადეს. ს ო ც ი ა ლ უ რ - ე კ ო ნ ო მ ი კ უ რ ი ასპექტით პრობლემა განხილულია შემდეგ ოთხ თავში — „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და საზოგადოებრივი სისტემები“, „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და საზოგადოების სოციალური სტრუქტურის ცვლილებები“, „ორგანიზაცია და მართვა“ და „ცხოვრების წესის ფორმირების გზები“. — ეს თავები ძირითადად ჩეხოსლოვაკიის მეცნიერებათა აკადემიის ფილოსოფიისა და სოციოლოგიის ინსტიტუტების თანამშრომლებმა დაწერეს. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ფ ი ლ ო ს ო ფ ი უ რ ი ასპექტით გამოკვლეულია უკანასკნელ სამ თავში — „ადამიანის პრობლემა და გონითი ღირებულებები“. „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენა მეცნიერული აზროვნების წყობაზე“ და

[1]. Человек—Наука—Техника./опыт марксистского анализа научнотехнической революции/, М., Политиздат, 1973.

„მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და კაცობრიობის მომავალი", — რომლებიც ძირითადად სსრ კავშირის მეცნიერებათა აკადემიის [illegible]ტიტუტის თანამშრომლებმა დაწერეს.

ბიბლიოთეკა

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ზოგადს დახასიათებაში ყურადღების ღირსია ავტორების მიერ ნაწარმოები ანალიზი, რომელიც ეხება მეცნიერების როლის თვისებრივი შეცვლის, მისი მწარმოებლურ ძალად გადაქცევის შედეგებს. წიგნში ხაზგასმულია ის, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში არსებითად იცვლება თეორიაზე პრაქტიკის, ბუნებისმეტყველებაზე წარმოებისა და ტექნიკის ზემოქმედების ფორმა: „... ისტორიულ პროცესში მატერიალურისა და სულიერის ურთიერთობის დიალექტიკა ამჟამად უფრო რთულ, გაშუალებულ ფორმებში ვლინდება. ადამიანის მოღვაწეობა წარმოებისა და მეცნიერული ცოდნის გამოყენების სფეროში სულ უფრო გადამწყვეტი პირობა ხდება საწარმოო ძალების განვითარებისა და, მაშასადამე, ისტორიული პროცესის მატერიალური მხარის განვითარებაში" (გვ. 22): ამასთან არის დაკავშირებული დღევანდელი პრაქტიკის მზარდი მოთხოვნა, რათა მეცნიერება წინ უსწრებდეს ტექნიკასა და წარმოებას. ტერმინში — „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია" — არსებითს ვითარებას გამოხატავს ის, რომ მეცნიერებას წინა ადგილი უკავია (გვ. 23).

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის არსის შესაბამისად, წიგნში განსაკუთრებული ყურადღება ეთმობა მეცნიერების, კერძოდ, ბუნებისმეტყველების განვითარების თავისებურებას თანამედროვე ეპოქაში. ერთ-ერთ ასეთს მნიშვნელოვან თავისებურებას ავტორები იმაში ხედავენ, რომ ბუნებისმეტყველებამ და საზოგადოებათმცოდნეობამ თავისი განვითარების იმ ფაზას მიაღწიეს, როდესაც მათს შორის ურთიერთკავშირი, ურთიერთგამსჭვალვა და ურთიერთზეგავლენა სულ უფრო იზრდება (გვ. 38-39). მეცნიერების როლის ზრდას თან სდევს თვით მეცნიერების კვლევის, მეცნიერებაზე რეფლექსიის, მისი თვითშემეცნების მნიშვნელობის ზრდა. ამასთან დაკავშირებით კი, იზრდება ფილოსოფიის როლიც, რამდენადაც ის სწავლობს მეცნიერული შემეცნების ზოგად კანონებს, ჭეშმარიტების გაგებისა და მისი პრაქტიკული გამოყენებისაკენ შემეცნების სვლის გზებს (გვ. 39).

მეცნიერებისა და წარმოების კავშირის უფრო ინტენსიურმა და, ამავე დროს, უფრო რთულმა ხასიათმა თავი იმაშიც იჩინა, რომ თვითონ მეცნიერებაში სულ უფრო დიდი მნიშვნელობა ენიჭება განსხვავებას ფუნდამენტალურ და გამოყენებითს დარგებს შორის: იმ დროს, როდესაც ეს უკანასკნელნი წარმოებას უშუალოდ უკავშირდებიან და მის პირდაპირ ზეგავლენას განიცდიან, — ფუნდამენტალური მეცნიერებების განვითარება უპირატესად მეცნიერული შემეცნების შინაგან კანონზომიერებებს, შინაგან ლოგიკას ექვემდებარება. ისინი არ არის მკაცრად დეტერმინირებული დღევანდელი დღის მოთხოვნებით, ისინი მომავლისათვის მუშაობენ (გვ. 84). ამასთან, ფუნდამენტური გამოკვლევები წინ უნდა უსწრებდნენ გამოყენებითს მეცნიერებებს (გვ. 87).

მეცნიერების განვითარება, მისი გადაქცევა მწარმოებლურ ძალად მოასწავებს შრომის არსებითს ინტელექტუალიზაციას და შრომის სტრუქტურის მნიშვნელოვან შეცვლას. თანამედროვე სახალხო მეურნეობის პერსპექტიულ დარგებში არა მარტო იზრდება იმ მუშაკთა რიცხვი, რომლებიც უზრუნველყოფენ მეცნიერული გამოკვლევების შედეგების სწრაფად დანერგვას წარმოებაში და მის მართვაში, არამედ ხდება უშუალოდ წარმოების მუშაკთა

შრომის ინტელექტუალიზაციაც. „მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია და მასთან დაკავშირებული სისტემის „მეცნიერება—ტექნიკა—წარმოება" [illegible]მირება მოითხოვს ადამიანის არსობრივი ძალებისა და შემოქმედებითი შესაძლებლობების, მისი როგორც საზოგადოებრივი არსების თვისებების ყოველმხრივ განვითარებას" (გვ. 94). უეჭველია, რომ ეს ცვლილებები ახალ ამოცანებს აყენებენ ზოგადი და პროფესიულ-ტექნიკური განათლების მუშაკთა წინაშე.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ღრმა და სწრაფ ცვლილებებს იწვევს მთელ საზოგადოებრივ ცხოვრებაში. წიგნის ავტორებს მოჰყავთ მონაცემები ფრანგი სოციოლოგის ჟ. ფურასტიეს წიგნიდან — „40.000 საათი", რომლის მიხედვითაც ჩვენს დროში საზოგადოება 3 წლის განმავლობაში იმდენადვე იცვლება, როგორც იცვლებოდა ის 30 წლის განმავლობაში XX ს-ის დასაწყისში, ნიუტონამდელი პერიოდის 300 და მეტი წლის განმავლობაში და ქვის ხანის 3000-ზე მეტი წლის განმავლობაში (გვ. 100).

განსაკუთრებული მნიშვნელობა ენიჭება მეცნიერულ-ტექნიკურ რევოლუციას ჩვენი საუკუნის უდიდეს სოციალურ ძვრასთან — კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლასთან — დაკავშირებით. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ანალიზი გვიჩვენებს, რომ მისი ყოველმხრივი განვითარებისათვის ადეკვატურ პირობებს სოციალისტური საზოგადოება ქმნის. მაგრამ სოციალიზმის უპირატესობათა გამოყენება ტექნიკური პროგრესის პროცესში თავისთავად როდი მოხდება; ამასთან, არ შეიძლება უგულებელვყოთ სწრაფი მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის ფაქტი თანამედროვე კაპიტალისტურ ქვეყნებში და აქედან გამომდინარე ამოცანები: „არ გვინდა შევამციროთ, — ამბობდა ლ. ი. ბრეჟნევი კომუნისტური და მუშათა პარტიების საერთაშორისო თათბირზე, — იმათი ძალები, ვისთანაც გვიხდება შეჯიბრება მეცნიერულ-ტექნიკურ სარბიელზე. აქ მოგველის ხანგრძლივი და მძიმე ბრძოლა და ჩვენ მტკიცედ გვაქვს გადაწყვეტილი ვაწარმოოთ ის სერიოზულად, რათა დავამტკიცოთ სოციალიზმის უპირატესობა ამ დარგშიც". ამიტომ დასვა ჩვენი საზოგადოების წინაშე პარტიის XXIV ყრილობამ ისტორიული მნიშვნელობის ამოცანა: ორგანულად შევუერთოთ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის მიღწევები სოციალისტური სისტემის უპირატესობებს.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში საზოგადოება აღწევს ტექნიკურ საშუალებათა განვითარების ისეთ დონეს, როდესაც ადამიანის წინაშე სულ უფრო მწვავედ დგება პრობლემა არა ამ საშუალებათა შემდგომი გაზრდისა, არამედ — მათი სოციალური დანიშნულების, საერთოდ, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის საზრისის შესახებ. ამ პრობლემაზე სულ უფრო ბევრს ფიქრობენ ტექნიკური პროგრესის ბურჟუაზიული თეორეტიკოსებიც. წიგნში ნახსენებია ფრანგი პროგნოსტიკოსი ბერნარდ დე ჟუვენილი, რომელიც კითხულობს: ყოველწლიურად ჩვენ სულ უფრო შეიარაღებულნი ვართ იმის მისაღწევად, რისკენაც მივისწრაფვით: მაგრამ მაინც რისკენ მივისწრაფვით? (გვ. 146). მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია კიდევ უფრო აძლიერებს თანამედროვე კაპიტალისტური საზოგადოების წინააღმდეგობებს და უფრო აშკარას ხდის მის ისტორიულ-გარდამავალ ხასიათს.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მძლავრ ზეგავლენას ახდენს საზოგადოების სოციალურ სტრუქტურაზე როგორც სოციალისტური, ისე კაპიტალისტური სისტემების ქვეყნებში: განსაკუთრებით თვალში საცემია ცვლილებები სახალხო მეურნეობის, საზოგადოებრივი სამუშაო ძალის სტრუქტურაში.

ერთ-ერთი შთამბეჭდავი ცვლილებაა სოფლის მეურნეობის დარგიდან სამუშაო ძალის მასობრივი გამოთავისუფლება.

საკმარისია მივუთითოთ ამერიკის შეერთებული შტატების მაგალითზე, [illegible] 50 წლის განმავლობაში (1920—1970) სოფლის მეურნეობის მუშაკთა ხვედრითი [illegible] 27,7-დან 4,4 პროცენტამდე, ხოლო პროგნოზების მიხედვით შემდეგ [illegible] ში 2,5 პროცენტამდე შემცირდება (გვ. 166).

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია მნიშვნელოვან ცვლილებებს იწვევს, აგრეთვე, მუშათა კლასის პროფესიულ და საკვალიფიკაციო სტრუქტურაში, მისი შრომის ხასიათში, ინტელექტუალური შრომის მუშაკთა საქმიანობის ორგანიზაციასა და სტრუქტურაში; მთლიანად — ფიზიკური და გონებრივი შრომის ურთიერთობაში და, მასთან ერთად, მუშათა კლასისა და ინტელიგენციის ურთიერთობაში. ერთი მხრივ, მუშათა კლასის მნიშვნელოვანი პროფესიები სულ უფრო მეტად საჭიროებენ მუშის მაღალ კვალიფიკაციასა და განათლებას, მისი შემოქმედებითი შესაძლებლობების გამოვლენას, ხოლო მეორე მხრივ, იცვლება ინტელექტუალური, კერძოდ, მეცნიერული შრომის ხასიათი და ადგილი წარმოებაში: გონებრივი, ინტელექტუალური შრომა სულ უფრო ხდება წარმოების უშუალო აგენტი, ხოლო მეცნიერული შრომის ორგანიზაცია იღებს ინდუსტრიული შრომის ორგანიზაციის სახეს; ამ საფუძველზე შრომის ამ ორი სახის დაახლოების პროცესი ახალ სტიმულებსა და იერს იღებს.

ახლებურად დგება მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის ეპოქაში საზოგადოებრივი პროცესების მართვის პრობლემაც. სიახლე მარტო ის კი არ არის, რომ ინერგება ტექნიკური საშუალებები საზოგადოებრივი პროცესების პროგნოზირებასა და მართვაში, რომ იზრდება მეცნიერულობის როლი ამ საქმეში, არამედ — ისიც, რომ წარმოებისა და ტექნიკის განვითარების თანამედროვე დონეზე განსაკუთრებით იზრდება ინფორმაციისა და, მაშასადამე, მისი მეცნიერული დამუშავებისა და მასზე დამყარების მნიშვნელობა. სპეციალისტების გამოთვლით, ინფორმაციული ტევადობის ზრდის სიჩქარე წარმოების მოცულობის ზრდის სიჩქარის კვადრატის პირდაპირპროპორციულია (გვ. 192). ამიტომ ბუნებრივია, რომ იზრდება ავტომატიზებული ინფორმაციული სისტემების, ელექტრონულ-გამომთვლელი მანქანების ფართოდ გამოყენების მნიშვნელობა. მაგრამ წიგნის ავტორებს ისიც სამართლიანად აქვთ აღნიშნული, რომ მეცნიერების განვითარებამ უარყო ის უტოპიური იმედები, რომლებსაც ე. წ. „მოაზროვნე მანქანებზე" ამყარებდნენ. სინამდვილეში, როგორც ცხოვრებამ დაგვანახვა, საფუძველი არ არსებობს იმისა, თითქოს მანქანებს შეეძლოთ შეცვალონ ადამიანი, მისი შემოქმედებითი უნარები, — გაათავისუფლონ ის შემოქმედებისაგან და ა. შ. ადამიანის, მისი გადაწყვეტილების, მისი აქტივობის როლი არა თუ მცირდება, არამედ, პირიქით, არნახულად იზრდება.

ადამიანის, მისი თავისუფალი და გონიერი გადაწყვეტილებისა და აქტივობის მნიშვნელობის ზრდა თვალნათლივ ჩანს ადამიანისა და ბუნების ურთიერთობის თანამედროვე მდგომარეობის ანალიზიდან. ტექნიკური პროგრესის თანამედროვე დონეზე, — აღნიშნულია საბჭოთა და ჩეხოსლოვაკიელი მეცნიერების ერთობლივ შრომაში, — ბუნებისადმი სტიქიური დამოკიდებულება, ადამიანის მიერ საკუთარი მოღვაწეობის შედეგების გაუთვალისწინებლობა შეუძლებელი ხდება და უნდა შეიცვალოს სასიცოცხლო გარემოს ფორმირების პროცესების მიზანშეწონილი, გეგმიანი მართვით; ამის გარეშე ბუნებაზე ზემოქმედებამ შეიძლება ისეთი უარყოფითი შედეგები გამოიწვიოს, რომ-

ლებიც კაცობრიობის არსებობას საფრთხეს შეუქმნიან (გვ. 210). წიგნში დამაჯერებლად არის დასაბუთებული ეს დებულება.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია სულ უფრო მეტ მოთხოვნებს უყენებს ადამიანის გონებასა და ნებისყოფას არა მარტო ბუნებისადმი დამოკიდებულების რაციონალიზაციის მიმართულებით, არამედ მთელი თავისი ცხოვრების მოწყობის საქმეში. ტექნიკური პროგრესის შედეგად მკვეთრად იზრდება საზოგადოების რესურსები — ნედლეულის, ენერგეტიკული და საწარმოო რესურსები. ტექნიკური პროგრესი იწვევს ადამიანთა თავისუფალ დროს ზრდასაც. ყოველივე ამის შედეგად სულ უფრო მეტი მნიშვნელობა ენიჭება იმას, „თუ რა მიზნებისათვის და რა მიმდევრობით იქნებიან ისინი გამოყენებულნი, — ე. ი. საკითხებს: ღირებულებითი ორიენტაციების, უპირატესობის მიცემის, მოთხოვნილებათა იერარქიის, მიზნების განსაზღვრის, საზოგადოებრივ პროცესებში ჩარევის კრიტერიუმების სისტემის გამომუშავების შესახებ" (გვ. 221).

ერთი შეხედვით, შეიძლება გვეჩვენოს, რომ მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია ძირითადად საბუნებისმეტყველო მეცნიერებასა და ტექნიკას ეხება, ხოლო ჰუმანიტარული პრობლემების მნიშვნელობა იქნებ უფასურდება კიდეც; სინამდვილეში, — რამდენადაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი მწვავედ აყენებს ადამიანური ცხოვრების მიზნების, მეცნიერებისა და ტექნიკის საბოლოო დანიშნულების, ადამიანის მომავლის პრობლემებს, — წინ წამოიწიეს ადამიანის, მისი ღირებულებების, მისი კულტურის არსისა და ბედის პრობლემებმა. მაგრამ ადამიანის, ღირებულებისა და კულტურის პრობლემები თავისებურ მიდგომასაც საჭიროებენ. ჰუმანიტარული პრობლემების გადაწყვეტა იმგვარი მიდგომის საფუძველზე, როდესაც კულტურის ერთადერთ ეტალონად და საზომად ბუნებისმეტყველური თვალსაზრისია მიჩნეული, — მათი ადამიანური შინაარსის უგულებელყოფის საფრთხეს ბადებს. ეს კარგადაც აქვთ გაცნობიერებული საბჭოთა კავშირ-ჩეხოსლოვაკიის ერთობლივი წიგნის ავტორებს და ეს ამ წიგნის უდავო ღირსებაა. წიგნის ერთ-ერთი საუკეთესო ნაწილია მე-9 თავი, სადაც განხილულია მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციის გავლენა მეცნიერული აზროვნების წესზე. იყო დრო, როდესაც ჩვენში იშვიათად თუ იტყოდა ვინმე აზროვნების იმ წესის საწინააღმდეგოდ, რომელიც აზვიადებდა მეცნიერების ადგილს საზოგადოებრივ ცხოვრებაში, ხოლო მეცნიერებათა შორის ეტალონად მათემატიკურ-საბუნებისმეტყველო დისციპლინებს მიიჩნევდა. ბოლო წლებში გზა გაიკაფა სწორმა თვალსაზრისმა და წიგნშიც, რომელსაც ჩვენ ვეხებით, ეს სწორი თვალსაზრისია მკაფიოდ და დამაჯერებლად გადმოცემული: აქ გადაჭრით არის უარყოფილი არა მარტო ანტისციენტისტური, ირაციონალისტური თვალსაზრისი (როგორც ადრე ხდებოდა ხოლმე), არამედ სციენტისტური შეხედულებაც, რომელიც განმარტებულია როგორც მეთოდოლოგიური ორიენტაცია, კულტურის სისტემაში, საზოგადოების იდეურ ცხოვრებაში მეცნიერების როლის აბსოლუტიზაციას რომ ახდენს (გვ. 304). სოციალურ-ჰუმანიტარული შემეცნების დარგში სციენტიზმი, უწინარეს ყოვლისა, გამოვლინდება მისწრაფებაში, რომ შესაბამისი მეცნიერული დისციპლინები განავითარონ ზუსტი, მათემატიკაზე ორიენტირებული დისციპლინების მაგალითისამებრ; ასე, მაგალითად, სოციოლოგიაში სციენტიზმი თავს იჩენს ნატურალიზმში, მათემატიზებული ბუნებისმეტყველების როგორც მეცნიერული სოციოლოგიის

პარადიგმის გაგებაში, თვისებრივ სოციალურ-ფილოსოფიური პრობლემებისადმი მტრულ დამოკიდებულებაში (გვ. 303).

ფილოსოფიაში სციენტიზმი (წიგნის ავტორები სავ[illegible] შენიშნავენ ამას) დაკავშირებულია სპეციალურ-მეცნ[illegible] უნივერსალურობისა და საყოველთაო-სავალდებულოობის მტკიცებასთან და ფილოსოფიური შემეცნების, ფილოსოფიის როგორც მეცნიერების სპეციფიკის უგულებელყოფასთან; იმ ცდას, რომ ფილოსოფია სპეციალურ-მეცნიერული შაბლონის მიხედვით ააგონ, მხოლოდ მოჩვენებითად აქვს მეცნიერული სახე, — ასეთი თვალსაზრისი არის არა მარტო ფილოსოფიის სპეციფიკის, არამედ, საერთოდ, ფილოსოფიის, მსოფლმხედველობის, მსოფლმხედველობრივი პრობლემების უარყოფა. სინამდვილეში ფილოსოფიას არ შეუძლია თავისი მსჯელობა დაამყაროს და გაამართლოს სავსებით ისევე, როგორც ამას ექსპერიმენტული მეცნიერება აკეთებს. თუკი ექსპერიმენტული მეცნიერება ემპირიული მონაცემებისადმი ახდენს აპელირებას, ფილოსოფია კრიტიკულად აანალიზებს ამ მონაცემებს და მათში გამოავლენს მაკონსტიტუციებელ ელემენტებს. ამიტომ ესა თუ ის ფილოსოფიური დებულება არ შეიძლება დასაბუთდეს საქმის ფაქტიურ მსვლელობაზე უბრალო მითითებით (გვ. 299). სამწუხაროდ, უნდა ვაღიაროთ, რომ ფილოსოფიური შემეცნების ეს სპეციფიკა ზოგჯერ შეგნებული არა აქვთ არა მარტო ზოგიერთ ბუნებისმეტყველს, არამედ ყველა ფილოსოფოსსაც როდი აქვს ის გაცნობიერებული.

მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუციისა და მისი სოციალური შედეგების ანალიზიდან ავტორები იმ მნიშვნელოვან დასკვნას აკეთებენ, რომ თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების ძირეული ცვლილებების მთავარი პირობა და, ამავე დროს, შედეგიც არის პიროვნების გონითი პროგრესი, მისი შემოქმედებითი ძალებისა და უნარების განვითარება (გვ. 348). ძირფესვიანი გადატრიალება, რასაც მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესი იწვევს, სხვა სიტყვებით შეიძლება დავახასიათოთ როგორც წარმოებაში ადამიანის ადგილის შეცვლა: მისი თანდათანობითი გადანაცვლება წარმოების ციკლში უშუალო მონაწილეობიდან მთელი წარმოების მართვის სფეროში, რის შედეგადაც სულ უფრო მეტ მნიშვნელობას იძენს ადამიანთა მეცნიერული და შემოქმედებითი მოღვაწეობა.

თანამედროვე საზოგადოებრივი ცხოვრების განვითარების ტენდენციების ანალიზის შედეგად წიგნის ავტორები მეცნიერულ ტექნიკურ-რევოლუციას მიიჩნევენ ისეთ სოციალურ მოვლენად, რომელიც გამოხატავს კაპიტალიზმიდან კომუნიზმზე გადასვლის ეპოქის კანონზომიერებებს და ექვემდებარება მათ, ამზადებს რა მატერიალურ-ტექნიკურ წანამძღვრებს კომუნისტური საზოგადოებისათვის. მეცნიერულ-ტექნიკური რევოლუცია, ცხადია, ჯერაც ძალიან შორს არის დასრულებლობისაგან. მით უფრო შორსა ვართ ჩვენ იმისაგან, რომ გადაწყვეტილად ჩავთვალოთ მისი თეორიული გააზრების ამოცანა. ჩვენ მიერ განხილული წიგნის შემქმნელნი თვლიან, რომ მათ მიერ მომზადებული შრომა მხოლოდ პრობლემების დასმას და მათი სერიოზულობის ჩვენებას ისახავდა მიზნად. უეჭველია, რომ ამ მიზანს წიგნის ავტორებმა მიაღწიეს. წიგნში დასმულია სერიოზული თეორიული პრობლემები, რომელთა შემდგომი გააზრება ფილოსოფიისა და სოციოლოგიის უაღრესად მნიშვნელოვანი და აქტუალური ამოცანაა.

ნ. ლეჟავა ო. ჯიოევი

ეროვნული ბიბლიოთეკა

## ქრონიკა და ინფორმაცია

### ВЫДАЮЩИЙСЯ СОВЕТСКИЙ УЧЕНЫЙ — КОНСТАНТИН ВАСИЛЬЕВИЧ ОСТРОВИТЯНОВ

(Воспоминания)

Исполнилось 80 лет со дня рождения советского экономиста, старого большевика, члена Президиума Академии наук СССР, академика Константина Васильевича Островитянова.

Имя Константина Васильевича пользуется большой популярностью не только в нашей стране, но и за ее пределами. Он был любимым воспитателем целых поколений экономистов, новатором в науке, автором многих интересных работ по актуальным вопросам социализма, автором одного из первых марксистских учебников политической экономии.

В 1934 году, будучи аспирантом Тбилисского государственного университета, я был командирован в Москву, в Аграрный институт красной профессуры, а позже, в Институт мирового хозяйства и мировой политики.

В этот период я имел счастье впервые встретиться и лично познакомиться с Константином Васильевичем, слушать его лекции и доклады, присутствовать на экономических дискуссиях с его участием, консультироваться с ним. Выступления на дискуссиях, доклады и лекции Островитянова всегда привлекали широкий круг слушателей. И это понятно. Он всегда по-новому ставил вопросы и ему всегда удавалось по-новому, глубоко научно отвечать на эти вопросы.

Исключительный интерес вызвало выступление Островитянова на известной ноябрьской экономической дискуссии в 1951 году, на которой из Грузии вместе с проф. П. В. Гугушвили, И. Баджадзе, Н. Хурцидзе присутствовал и я. Константин Васильевич говорил более полутора часов и весь зал, затаив дыхание, слушал его.

Константин Васильевич затронул вопросы о ряде новых экономических категорий, критиковал многие неправильные положения, выдвинутые некоторыми экономистами, а именно то, что якобы в Советском Союзе существуют все основные экономические категории капитализма: капитал, прибавочная стоимость, цена производства, рабочая сила как товар и т. д.

Мне по сей день запечатлелось это глубоко содержательное выступление и принципиальная позиция Константина Васильевича.

В 1965 году, я имел счастье еще раз встретиться с Константином Васильевичем, но не в Москве, а в Тбилиси в Институте экономики и права АН Грузинской ССР. Он приехал к нам для ознакомления с деятельностью института и оказания практической помощи.

Не был я в Тбилиси после 1929 года, — заявил он, — хотя ни на минуту не порывал связи с тбилисскими друзьями, с которыми я учился и работал. На меня произвели огромное впечатление новостройки вашего города. Далее он назвал тот вклад, который грузинские экономисты внесли в развитие советской экономической науки.

Нужно сказать, что, несмотря на его перегруженность, он очень внимательно, объективно подошел к каждому участку деятельности нашего института и наметил мероприятия по дальнейшему улучшению его работы.

В одной из частных бесед я напомнил Константину Васильевичу Ноябрьскую дискуссию и его интересное выступление на этой дискуссии. Он сразу среагировал на это и ответил, что «это была настоящая, большая, свободная дискуссия, где решались многие важные экономические вопросы». Затем он, нам рассказал о встрече со Сталиным, которая состоялось после окончания дискуссии в феврале 1952 года и на которой, к сожалению, мы делегаты из союзных республик, не могли присутствовать.

Запомнилась мне встреча с Константином Васильевичем и на дружеском ужине, который устроил директор института проф. Паата Виссарионович Гугушвили в честь дорогого гостя. Характерно то, что на этот вечер Константин Васильевич со своей супругой пришел точно в назначенное время, а мы, остальные приглашенные работники института, по нашему грузинскому «обычаю» пришли с опозданием. Этот факт нашей «недисциплинированности» стал предметом остроумия и шуток для всех нас. На этом вечере проф. П. Гугушвили назвал Константина Васильевича «патриархом советской экономической науки» и он вполне заслуживал это. Вообще весь вечер прошел очень весело и в дружеской обстановке.

На другой день Константин Васильевич выступил в Тбилисском государственном университете с очень интересной лекцией, которую мы и по сей день хорошо помним. Он говорил о некоторых дискуссионных вопросах политической экономии социализма.

Не лишено интереса, что у меня сохранилась фотография, на которой с группой работников нашего института и с академиком Георгием Ахвледиани запечатлен Константин Васильевич Островитянов. Этот памятный снимок был сделан во время его пребывания в Тбилиси.

К сожалению, я не вел записей о встречах с Константином Васильевичем Островитяновым, поэтому и не могу привести других интересных деталей.

Зав. отделом политической
экономии Института экономики и
права АН ГССР, проф. А. Нуцубидзе

ნ 19/205

ფასი 1 მან. Индекс 76 196

ეროვნული ბიბლიოთეკა